

მნათობი



114 / 4
1934 / 4

10

114/4

შინაარსი.

მხატვრული ლიტერატურა

- დონა უნგვლია
- ვ. შურული
- მ. მრავლიშვილი
- ირ. აბაშიძე
- ალ. ქუთათელი
- ვ. რუხაძე
- კ. გამსახურდია
- ნიგელუხუცი
- მ. ლეჩოხიძე
- ვ. ლომთათიძე

25

მწერალთა საკავშირო შრილობა

- ნ. ბუბარინი

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

- მ. ნატროშვილი
- ა. ბაყმალაძე
- მ. შინაგაძე
- ნ. ურუშაძე

წარსულიდან

- კ. აბაშიძე

ბიბლიოგრაფია

- კ. ჯავახიშვილი
- ვ.

პროლეტარებო შველა გვიხმისა, შიპართლით!



ქართული
კომუნისტური

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირის ურველთვიური
სალიბერატურო, სახელოვნო და საზო-
გადოებრივ-საპოლიტიკო შუროალი

5237

10

წელიწადი მეთერთმეტი



სახელგამი

1934

ტფილისი

პ.შ.ბ. რედაქტორი: გიორგი შურულაველი

საქმედაცემო კოლეგია: ლევან ასათიანი (პ.შ.ბ. რედაქტორი)
ირაკლი აბაშიძე
ნოე ზომლეთიანი
ნიკოლოზ ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
ბრ. შურულაველი
ზალმა რადიანი
გალაქტიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლიონ ქიჩაძე
პანტელეიმონ ჩხიკვაძე
დემან შინგელაია

რედაქციის მისამართი: ტფილისი, შაჩაბლის ქ. № 13. ტელ. № 3—55—25.

კანტორის მისამართი: ტფილისი, ილმასკომის ქ. № 7, პერიოდსექტორი.

სახელგაშის პირველი სტამბა, პლენარის პროსპექტი № 91.

შთავლ. რწმ. № 5 — 2146. შეკვეთის № 719. ტირაჟი 5000.

დამსახურებული

გ ა შ კ ა დ ი კ ლ ა რ

(მოთხრობა)

სამხედრო ბანაკში ეძინათ.

აქა-იქ ჯერ კიდევ წითლად ბეუტავდა ღველფად ჰკეპული ცეცხლი და ცივ ღამეში მარტოდ დარჩენილ კაცის გულს, თბილი იმედით თუ არა, ამ ცეცხლივით ოდნავ მბეუტავ ხალისით შინც ავსებდა.

იქ, ორასიოდენ ნაბიჯზე, მოყარაულე დონის ყაზახებს მაღალი ცეცხლი დაენთოთ. თხელ მაზარებში მოძუძგული მხედრები სახელოებში ხელებ-შეწყობილნი თბებოდენ და ძილით გამოლენჩებულ მილულულ თვალებით ცეცხლს შესცქეროდენ.

მოსართავეშეშვებული, დამარჩაფებული ცხენები ამ სინათლეზე შავად ილანდებოდენ, ეძინათ ზეზეულად.

ღონელების ხის ტარიანი გრძელი შუბები მინის შუაგულიდან წასულ ბზარებივით სერავდენ აღდაკრულ სინათლეს და ბზარის ეს ბოლოები ღამეში იკარგებოდა.

კიდევ იქით პიკეტების პირველი წყება ღამეს დარაჯობდა და ამ ხარფუშვით ვადმოხაპულ ვარსკვლავიან ღამეში საღლაც ხევიდან ისმოდა ტურების შემზარავი მოთქმა-კივილი.

აქამდე ყოველად წუნკალი ამინდი იყო.

ამაღამ, როგორც იქნა, გამოიღარა და ეს იმედიც ცეცხლივით ტკბილად ტკაცუნობდა და გულს ჩინჩხლებს საამოდ აყრიდა.

ყველაფერი სველი იყო: მიწა და კაცი, ცხენი და ტანისაშოსი.

ქართული უნაგირის შიგრიმის ბალიში მთლად გალიჭყდა და ზედ ჯდომა არც თუ ისე საამო იყო.

გუმბრიდან მოყოლებული თავმოძულებით ასხამდა ეს შემოდგომის ყოველად გამოუდარებელი თოვლნარევი წვიმა და მკერდ ჭეშ კაცის გული დამბალ პურის გულივით სველი იყო და ცივი.

სულიც, ეს ვერანა კაცის სულიც, ასე ტკბილი რომ არის, პირში ლენცოფასავით გამწარდა და ხალხს დაბადების დღეს აწყევლინებდა.

ტალახში ყელამდე ჩაფლულ ზარბაზნებს რომ ცხენებმა ვერ სძლიეს, ვადმოხეწილ სომხების ხარ-კამეჩები ჩააშველეს.

ჭვეითნი და ცხენოსანნი ერთნაირ გაჭირვებით მიემოქმედებდნენ და მაინც რომ ვერ გაატანეს, ისევ არფაჩაისკენ ამობრუნდნენ. მშვერაველს ვაგლახით მოაღწიეს და გადასალამებლად, სულის მოსეთქველად დაბინავდნენ.

გ. მ. მ. მ. მ. მ. მ.

— დაწყდით ხალხი, დავიხოცეთ და ეს არის! — ამოხდა ვილაყას და მათხად გაისმა:

— ეგ, შეილონიაე, ჯერ სადა ხარ! გაწყვეტა შენ ხვალაც ნახე, ფათოო ტყვიით რომ დაგვალიანდაგებენ!..

გაჩუმდნენ.

გადმოხვეწილთაგან მოტანილ და მშვერავთა მიერ შემოწმებულ ცნობით მტერი კადიკლარს იდგა ბანაკად.

კადიკლარამდე ხუთმეტრი ვერსი თუ იქნებოდა.

სარდალს, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, დილითვე უნდოდა მტრისათვის მიესწრო, ბრძოლა გაეშალა და ბაიანდურში მათგან დამარცხებულ ილიკო ორბელიანის ჯავრა ამოეყარა, იმათ ობტში ამოსულიყო.

მთელი დღე დაუსვენებელი მარშით ნასიარულევი ჯარი მიწაზე დაოსებული ეყარა, ზოგს თავის წადებაც ვერ მოესწრო და ძაღლივით ალაზე დაყუნტულს ჩამოსძინებოდა, ზოგი სველ მიწაზე ნახერხით გატენილ ტომარავით მიგდებულყო და ეს თეთრი სახელდახელოდ გაშლილი კარგები ოფიცრებისა ლიბრ გადაკრულ ბისტებივით მოსჩანდნენ ღამეში.

ზოგი მუშტის ოდენად მოკუნტულიყო და ტალახში ამოლუმპულებს ეძინათ მოუსვენრად. ვილაყას შესციენოდა და გაჭირვებული, კი არ ახველებდა, ჰყფფდა გაძაღლებულად. სიარულით, სიცივითა და ამუნციის თრაქვით დაოსებულებს გნასი აღარ ჰქონდათ, ტანი სტკიოდათ, მუხლები უჭრუოდათ და კუნთების მტვრევა ძილს აწვალებდა, ბორგავდნენ და ასე: დაღლილებს დაღლილობა არ ასვენებდა.

ეს ვერცხლის კოვზივით დარეცხილი ვარსკვლავებიც სალდათის ცრემლებივით კიაფებდნენ ცაში და ჩამოსტიროდნენ ბანაკს ნიკოლოზ I-ის შპიცრუტენებითა და გამომთავყვანებელ პლაცპარადებით განაწამები.

ტურებმა რომ კივილი მოათავეს, საღდაც შორს, ბნელ ღრანტეებში, რალაც ნადირმა დაიკნაელა. იქნებ ნადირი არც იყო, იქნებ ღამე იყო?

ისევ დუმილი და ოხვრა დაოსებულთა.

ხანდახან ცხენი თუ დაიხვისვინებდა ქერის ტკბილ ხრამუნში ქალივით ალერსიანად, ან ჯილავის ჯაჭვი გაჩხარუნდებოდა ქერით სავსე ტომსიკაში აფათურებულ დრუნჩხე, ან ტორს დაარტყამდა მოყინულ მიწას და ეს ტორი გულზე ბრავუნობდა.

ორბელიანი იდგა ამ გადმოხაფრულ სომხური ცის ქვეშ, არ ეძინებოდა და ფიქრნი მისნი რბოდნენ იქ, შორეულ ტფილისში.

გულში საგანგებო კაცი ამოვიდა, ამბავი მოუტანა: სულ ორი დღეა, რაც მისმა მეუღლემ ტყუბი აჩუბა და მისი ვაჟკაცური გული რაღაც საღბუნთან სიამაყესა და უცნაურ სიღბილეს განიცდიდა. ექვეყნულნი

ვინ იცის რა ამბავია ახლა მის გახარებულ ოჯახში? ჭეიფი მხოლოცები და გადაშენების გზად დამდგარი ზურაბაანთ ორბელიანების გვარი ზეიმობს, სმურები ჰქუხს და დაპირქვევებული ყანწები ჰერს წვერებით ებჯინებიან.

დაუდევარი, მუდამ მხიარული და მოსწრებული ყაფლან თარს ყელგადაღერებული დაჰმღერს მუხამბაზებს.

მის ძმას, შინაურობაში კურკასა და გარეულობაში გრიგოლ ორბელიანსაც შეატყობინებდენ ამ ამბავს და, მგონი, უძიროდ არ გადავიდეს ეს დიდი გვარი ზურაბაანთ ორბელიანებისა. მაგრამ უცნაურია, რათ არის ისე, თითქოს მის ცხოვრებაში არც ისეთი მნიშვნელოვანი რამ მომხდარიყო! ანუ რაი არს ეს, სიყრმის შეგობართ სახეები რომ არ შორდება?

კურკას გახსენებაზე გული საყვედურით ევსება ილიას.

უცნაურია კაცის ბუნება! შინ კურკა, გარეთ გრიგოლ, შინ პოეტი და მეთევზე ლოპიანას შეგობარი, გარეთ ავარიის ხანი და მეფის ნაცვალი. ჭვა ჭვაზე არ დაუტოვებია დალისტანში, ტფილისის ამბოხების ჩამქრობი. მისი წერილები თავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლით იყო დაწერილი და ილიას ახლაც თვალწინ უდგას სურათები: სახრჩობელები, სახრჩობელები, სახრჩობელები და ყოველ ხარისხზე დასად ჰკიღია ენაგალურჯებული აბრეკები და მურიდები... რამ დაავიწყა ასე უკვალოდ თავისი ყმაწვილკაცობა, როცა მისი გულიც ისეთივე ცეცხლით იყო ანთებული, როგორც ამ დასჯილთა?

არავის უბრალოდ დაღერილი სისხლი არ შერჩენია და არც ეს ზღვა სისხლი ჩაივლის უბრალოდ ასე დაუზოგველად რომ ააცურა შიგ მისი ისედაც სისხლეალიანი გვარეულობა.

ფიჭრები გულს ებეთქებიან, დგებიან მაღლა ყაბახივით აჭნულნი და ამ ღამეში მადლივით ეშვება, დაჰნათის თავზე მისი მეუღლის ბარბარე ილია ბატონიშვილის ტკბილი თვალეები. ეს თვალეები გულში უსვენია და ელოლიავება ყოველს ცალკე.

ზიყვარს, ზიყვარს მე ტიკტიკო ჩვილი ყრმის...

ეს ტატო არის...

სად არიან მისნი მეგობარნი, ანუ ტოლ-სწორნი, რომელთაც მისი დაუდგრომელი დისწული და მეგობარი ტატო ბარათაშვილი ხახვის ფრანტებს ეძახდა? სადა ხარ შენ, ჭვისლო დავით ჰავეკვაძევე, შენ, სიძვე ლევან მელიქიშვილო, შენ, ყაფლან!

ჰაუუ, ჰათაჟუყუო, ძმაო და ძმაზე ტკბილო, შენ მამაკაშვილო!.. ილია მარტოდ არის ჩატოვებული ამ შემოდგომის დარანიან ღამეში და დგას

გზაჯვარედინზე, ბჭეთ თათარი, იქით რუსი და მომავალი ირან დაბინდული, რომ არ იცის ვისთვის, ან რისთვის იბრძვის.

სად არის თუნდაც მისი სკოლის ამხანაგი ახალციხეელები და მისი გემრიელი ერბომცხვარი იაღლოები, იქ, სკოლაში რა იქნება?

ერთხელ ტატომ მთელი იაღლოები ერთად დაიტაცა, გივი და ანცი სასწავლებლის ეზოში შტრდულივით გაეარდა და გალავნთან მიდგმულ ფორტებიანოს გადასატან ძველ ყუთ ქვეშ შემძვრალი სენამდა მსუხაგად, სულმოუთქმელად. გულს დაცემული მსუყე და დიდი ლუკმები ყელში ძლივს გადაჰქონდა, მაგრამ ჭამას მაინც განაგრძობდა. ირგვლივ შემოხვეულ ამხანაგებს წიბლებითა და მუჯღლუგუნის კვრით იგერიებდა. ციხესიმაგრეიდან რომ ვერაფრით გამოაგდეს, გაბრაზებულემა უზარმაზარი ყუთი თავს წამოამხეს და თავივით გამოოგავდავდენ შიგ, გუვერნერი თანი რომ დროზე არ მიშველებოდა. ეს მაშინ იყო, როცა ტატოს ორივე ფეხი ხალად ჰქონდა.

საწყალი ტატო!

ბალღობაში „რაზლოვორის“ გამოთავყვანებული წიგნი და ვაჭკაცობაში სტოლონაიალნიკობა და მაზრის პრისტავობა!

უცნაურია, რათ სჭირს ასე? სხვაგან რომ არის, ცოცხალი ვეჯღელის, ქალაქი რომ ჩაეა, ჰგონია, ელის, აი, გაისმის ათრეულ ფეხების ბრახუნი კიბეებზე. აი, ოთახსაც უახლოვდება, კარიც იღება და შემოხვევდება იგი, შუატანის ყმაწვილი კაცი დახუთული ფეხებით, შემოვა დაჰრილ ფრინველივით ფრთავანიერი, უმწეო და მოუხერხებელი ამ მიწაზე, ისე როგორც არწივი ყაფაზაში, იმდენად უმწეო და უზარმაზარი ამ სიციწროვეში, რომ შეუდგამ სივრცეებში ნაჩვევი ოდნავ შემუბებული, ირიბულად ვიწროდ გაჰრილ თვლებში კარგად ვერც იხედება. სათვალე საღდაც, ქალაქ გარეთ, ქეიფში და ანგლობაში დაუკარგავს. სამთვრალევი აბეცებულ თვლებით დაძრწის ოთახში, ერთ ადგილას ვერ ისვენებს.

დაჯდება, — არ ეხერხება, დგას, — ვერ ჩერდება. ხან ფანჯარაში გაიხედავს, ხან კედელს მიადგება და რაზე სამკაულს, ან დაგეროტიბს ათვალეირებს და ასე, სულაწრიალებული, უამბობს ბიძას უთავბოლოდ, როგორც გაახსენდება ისე, ათას ჭორებს, განაგონსა და გამოგონილს.

თავის წრეში, სიღარიბისა და უღაზათობის გამო ბოვალწუნებული, ყველასაგან აბუჩად აგდებული ყმაწვილი კაცი, ბედოვლათი და ანჩლი მამის პატრონი, რით უნდა ყოფილიყო კეთილშობილ ბანოვანთათვის მიშნიდველი? რით უნდა შეჰპუებოდა იგი მდიდარ და განდიდებულ რაყიფთა თვისთა: მელიქიშვილებს, ორბელიანებს, ჭავჭავაძეებს, ანდა ასტაფიეებს, ოპოჩინინებსა და ბეზაკებს?

და ახლა, ნაჭეიფარზე, ღვინით გაჭყინებული, მთელ ბრახსა და ბოლმას აქ ამოანთხედა, გულს აქ მოიოხებდა, — საყვარელ ბიძასთან, ამხანაგთან.

ქორავდა ყველას, მრუდსა და მართალს, ქალსა და კაცს არავის არ დაინდობდა, არც დაერიდებოდა. ვისაც მისი კვიწარი და მღვალაკი ენა მოხვდებოდა, ის თავის სიცოცხლეში ვეღარ გაიხარებდა.

რაც უნდა ადრე ყოფილიყო, ის მაინც მოასწრდა. კოჭლი ფეხებით უთენია ჩამოივლიდა მთაწმინდას, სოლოლაკს, გარეუბანს, ანჩის-ხატს, შუბაბაზარს, კუკიას და მოიტანდა, თუ გულის გამგმირავსა და დამაფიქრებელ ლექსს არა, ქორებს დაუჯერებელს. ის ცოცხლობდა ამ ლექსებით, ცხოვრობდა ქორებით და, როცა იღია შეეკითხებოდა:

— რათა ხარ, ტატო, აგეთიო?

ისიც მიუგებდა სევლით, გაბრაზებით:

— მაგიერს მაგიერი არ უნდა აკლდებოდეს! — და შერე დაახვევებდა ერთად, სულმოუთქმელად დედათა სქესის შინაურ ამბებს: ვის ვინ უყვარდა, ვის ვისი ჯგავრი და ბოღმა ხუთავს და ვინ ცოლი და ღირსება წააგო ერთად ბანქოში და ნარდში.

ყველას ამბავი წვლილად იცოდა, ყველას გულის მესაიდუმლე ის იყო და კუბიდოს ისრით გულგანგმირულ ბანოვანთა შორის შუღლისა და შურის ჩამომგდები.

ბეცი იყო და არაფერი მის თვალებს არ გამოეპარებოდა, კოჭლი იყო და არაფერი უნახავი, ვაფეხებარი არ დარჩებოდა.

შემოსვლისთანავე, ყველა კუთხეებს დაივლიდა, ყველგან უნდა შეეხებოდა, ყველაფერი უნდა დაეთვლიერებინა. ყველა კარებს დააღებდა, განჯინებს და თახჩებს მოაფათურებდა, თაროებსა და უჯრებს გაჩხრეკდა და, ყველაფერს რომ შეამოწმებდა, გულს დააჯერებდა, დაოსებული, ილაჯ-გაცლილი სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვებოდა. დიდხანს ვერც ასე მოიხვენებდა. დამჩნობდა, დარბოდა კუთხიდან კუთხეში.

უეცრად გააბხენდა რომ ძია გრიგოლმა ყიზილბაშურად მოსევადებული ოქროცურვილი ჯგავარიანი ხირიმი გამოუვზავნა ნობათად. ათვალეირებს სანუქარს უცნაური, ველური აღამიანის ცნობისმოყვარეობით. ზარნიშს ხელოვანებას უმოწმებს, ჩახმახს უსინჯავს, ლულას სინათლეზე გახედავს, ყილაფს ცერით მოსინჯავს და შერე შიაგდებს ისე, თითქოს მთელი მისი სიცოცხლე თან ეტარებინოს და ახლა დანახავაც ეზარებოდეს.

ილიყო დაიღალა მისი ცქერით, ძიამაც დაკარგა მოსევენება დაუდევარ დისშვილის ცქერით და თავისთვის ფიქრად რომ წაეიდა, უეცრად კენესამ გამოარკვია.

— რა გაწუხებს, ტატო? მითხარ მაინც, იქნებ ეშველოს რამე მაგ შენ გულის დარდს!

მაგრამ ტატომ ხმა არ გასცა, თვალები ცრემლით აევსო და ერთის წუთის წინ ეს ბოროტად ანთებული თვალეზი, ახლა ბავშვივით კდემამო-სილია და სალუქი.

— ილო, ილიკოჯან!.. — ამოხდა გულის დამკოდავად და ბიძისაკენ რომ გამოეჭანა, კოჭლი ფეხით გზაში რაღაცას ტლანქად წამოედო და იატაკზე დაცემული ფაიფურის ძვირფასი ლარნაკი საშინელ ნმალურით რომ დაიმსხვრა, შეერთა, გეზი შეიცვალა და თვალეზზე ხეჭვინიერი სა-
ვარძლისაკენ ტორტმანით გაემართა, მაგრამ ახლა უცაბედოდ იქვე განთ-
ხმულ ილიკოს მეძებარს დაადგა ფეხი და ძაღლის სულშეპირებულ წაწ-
კანზე, თვითონაც ცოდვით აწაწკანდა, მუხლთ ჩაეკეცა და ჩაჩოქილი ქა-
ლივით ნაზად ეალერსება, უყვავებს ატირებულ პირუტყვს.

ძალი რომ გაყუჩდა და თავი ისევ წინა თათებში წარგო, ტატო წა-
მოდგა, ავადმყოფ ქალივით მოშვებული კედელს მიეყრდნო.

— ტატო, რაები გჭირს, ვეყო? — შეეკითხა შემფოთებული ილია.

— არაფერი, ილიკოჯან, არაფერი! — მიაგება მან პასუხი ბიძას, მე-
რე უეცრად შემობრუნდა და ისე შეეკითხა: — გახსოვს, ძიაჯან, გახსოვს
დღევანდელი დღე? — და ილიკოს გაახსენდა: ამ რამდენიმე წლის წი-
ნად, დღევანდელ დღეს მოხდა... გახსენებისაც ეშინია... როგორ მოფრი-
ნავს მესამე სართულიდან ტანისამოს გაფრიალებული ბაღლი კიბეებზე
და რომ დაეცა, გულის ყველა ძარღვები ერთად დაწყდა...

გულადულეზულმა მეგობარს თვალი თანაგრძნობით გაუსწორა.

— მე მაშინ სიკვდილს ჩაეხედე თვალეზში... — სთქვა მან უბედურე-
ბას შეჩვეულ ადამიანივით უბრალოდ.

ამ ერთის წუთის წინ ვერაგი და უწმაწური, უეცრად უმანკო ბავშვი-
ვით მოიქცა და ილიას აოცებს ეს კდემამოსილება და სიწრფელე მისი.

— არ ძაღმიძს, ილიკოჯან, არ შემოძლიან! მინდა... გაეფრინდე მინ-
და და მხრებს რაღაც ლოდევით მაწევს ტიელი!..

და ეს ოხერა ტატოსი ახლაც ისე ესმის, თითქოს ამ შორეულ ვარსკე-
ლავიან ღამეში ეძახდეს იგი ხსნად და შვებას შესთხოვდეს.

ყველაფერი ეჩქარებოდა: სიცოცხლე, სიყვარული, დაწინაურება, მაგ-
რამ ვერცერთს ვერ აღწევდა, გზა ეჭკოდა და პირდაპირ მიუკიბ-
ბავად სიკვდილისაკენ მიემართებოდა.

უნდოდა ყველაზე ღამეში ყოფილიყო და გონჯი იყო, წარჩინება
სწყუროდა და სტოლონაჩაღნიკობაში ხდებოდა სული, ლალად ფრენას
ესწრაფებოდა და პრისტავის თანამდებობაში დალია სული. ეჩქარებოდა,
ეშურებოდა ეს სიცოცხლე ისე, თითქოს თავისი სიცოცხლის დღემოკლეო-
ბასა გრძნობდა. რომ მოკვდა, მაშინ მიხვდენ, — უნდა მოეარათ, დაეყვა-
ვებინათ, მაგრამ გვიან ლა იყო.

ვინ იცის, ფეხი რომ არ მოეტეხა...

ვინ იცის, რუსეთს რომ გაეშვათ სწავლის განსაგრძობლად...

ვინ იცის, ცოლი რომ შეერთო...

ვინ იცის, მამუკას განჯას რომ არ წაეყვანა და თელავს წასულიყო...

ვინ იცის...

ენ იცის...

იქნებ მასაც იგივე ბედი მოეღოს.

განა ზაიანდურის მარცხს შემდეგ ღირს მისი სიცოცხლე?

რეაასი გრენადერი ჩაახვავა, დაჭრილ-დახოცილებით აავსო გუმბრის მიწა და პოშპიტალი.

და ასე რომ არის ფიქრად წასული, იქ, მოშორებით რომ კარავი მოსხანს, რალაც მღერიად აირია და ღამის უკუნეთი აჭრილ რძესავით შედგდა. ღამის დედა მორვევით დატრიალდა და ამ კორიანტელში რალაც კაცის მსგავსი რამ აჩრდილი გამოიკვერა. აჩრდილი იგი დაფორხილებული მისკენ გამოემართა, ოდნავ რომ მოუახლოვდა, კოჭლი ფეხი ავადმყოფ ყანჩასავით შეიკეცა და საღ ფეხზე საზარელ ჭიხინით დატრიალდა.

ზინკო ზინკო!..

ზინკო ზინკო!..

ეს კურკას ლექსი იყო.

— ტატო, რას სჩადი? — ამოხდა ილიას.

ლანდი გაჰჭრა.

ორბელიანი საკუთარმა ხმამ გამოარკვია.

— რა ტიელი დამემართა? — და უძილობით შეხურებულ შუბლზე ხელი გადაისვა, მაგრამ შევება მაინც რომ ვერ იგრძნო, თავი ამართა და შორეულ ალაგეზიდან მობერილ სუსხიან ნიავს მიუშვირა.

— ეს ვერანა, რაები მეჩვენებ?

საყვირმა დილის საარი დაუკრა.

ჯერ შეთენებულიც არ იყო.

1853 წლის 19 ნოემბრის დილა საყვარლის წიგნივით იგვიანებდა და ეს საყვირიც ამ ტკბილ საარს ღამეში ჩატოვებულ ქალივით ჰკენესდა სევდიანად.

რა ომის ცეცხლი ატყდება,
ზრძენი სიფრთხილით წახდება,
მაგრამ ღლეული მაშინვე
ან მოკლავს, ან შეაკედება.

— სტიხნი და სტიხნი! სადაური პიტიკოსი მე ვარ, ესოდენ ლექსნი ფიქრებივით რომ მეზურვიან? — და პასუხად საიდანღაც ბოლასლოვი პლატონ იოსელიანი გამოფორთბდა თავისი რატომღაც დათელილი ცალი ბაკით. იქნებ იმიტომ, რომ ჩვენს დიდს პლატონს ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაკენბარდზედ და ისე გაეთელა რომ ველარას გზით ვერ გაესწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა... ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს! ილიამ თვალს მოფარებული პლატონის ბაკენბარდი იქით მისწია და გამოჩნდა: იტალიური ოპერა, „პუგენოტები“ და „პუ-

რიტანები“, მომღერალი M-lle ვაზოლი, თავბრუდამსხმელ კალ-
მახივით შეტყირალებული ქალი „ფერიათა აღზრდილში“, corps de bal-
let-ში მისი აელვარებული ფორტელები, რეტორნიკის მძიმე...
მისი ბრწყინვალეების მიხედვით სემონოვიჩ ვორონცოვიჩი რისხვას... ელი-
ზავეტა ქსავერიენა, შუაზელ დე გაოფი, მანანა ორბელიანი თავისი ქა-
ლით ანასტასიათი და ელენე ორბელიანი, ქვრივი ზაქათალაში ლეკ აბრე-
კებთან შეტაკების დროს დაღუპულ ჩუდაკია იგივე ზაქარია ერისთავისა.
ბაასობენ ვინ ვის გაუფრიგონ, ვინ რა წარჩინება მიიღო და ვის ვინ უყვარს.
ხანვის ფრანტები გარს ეხვევიან მანდილოსნებს და იქვე, მახლობლად,
ხანში შესული მამაკაცები ლომბერის მაგიდის ირგვლივ შემომსხდარნი
უხალხოუნნიან კონით პოკერს თამაშობენ და ვორონცოვი ისეთის გულმო-
დგინებით ითვლის მოგებულ უხალხოუნებსა და შაურჩიანებს, თითქოს ინ-
დოეთის დოვლათსა თვლიდეს.

დალაბებმა განგაში დაჰკრეს.

ყველა ფეხზე დადგა, კარგებიდან გამოეფინენ.

ბანაკი უცებ აიშალა, უხმაუროდ, უსიტყვოდ.

გაჩნდა ფუსფუსი, სამხადისი.

კარგებს შლიან და ჰკრავენ სხვა ზედმეტ ბარგთან ერთად გუმბორში
გასაგზავნად.

ჯარი რიცხვით მცირეა და სარდალს არ უნდა არშია ზედმეტი ბარ-
გით დაამძიმოს. ესეც რომ არ იყოს, ვინ იცის...

— ბატონო გენერალო!.. თქვენო ბრწყინვალეებო!.. მოიხედა, — ახალ-
გაზდა პორუჩიკი ფონდერნონე.

— რა ხანია გეძებთ ამ სიბნელეში, ძლივს მოგაგენით... კარავში რომ
არ იყავით, აქეთ მომასწავლეს!.. მისი აღმატებულება ბატონი სარდალი
გინმობთ!..

— Харашо, очень харашо!.. Иду!.. — მიუგო ილიკომ თავისი და-
მტვრეული რუსულით და სარდალს კარავისაკენ გაემართა. სიბნელეში
ცხენის საბელს წამოედო, წაფორხილდა და, რომ გაიმართა, ახლა მიწაზე
მიგდებულ ფურშტატს წაჰკრა ფეხი და კინილამ კისერი მოიტეხა.

— მკედარო! — შეუტია ილიკომ ფეხზე წამოჭრილ ჯარისკაცს. — არ
გესმის, განგაშია!

ფურშტატმა რომ გენერალი იცნო შიშით აცახცახებული ლარივით
გაიჭიმა, მაგრამ ილიკოს მეტი არაფერი უთქვამს მისთვის, წავიდა. გზაში
ისევ ედებოდა ხან კარვის პალოებს, ხან თოკებს და ჯერ კიდევ დაუ-
შლელ კარავიდან ისმოდა გაგულსიებული ხმა:

— Какая там скотина по палаткам шляется!

როგორც იქნა, არმიის შტაბსაც მიაღწია.

კორპუსის სარდალი ვასილი ოსიპოვიჩ ბებუთოვი ძლიერ გააჩნია სიბნელეში. ის დაშლილი კარვის წინ იჯდა დალაბაზე და თურთუნს დინჯად ეწეოდა.

— ვიომებთ არა, ბატონო გენერალო? — შეეკითხა მას კართულად ილიკოს მისვლისთანავე.

— ვიომებთ, თქვენო აღმატებულებავ, რატომაც არ ვიომებთ. — მიუგო ორბელიანმა დაზეპირებულივით.

— მეფისა და მამულისათვის! — დაუმატა იქვე მდგომმა გენერალმა მუხრან-ბატონმა, მაგრამ სარდალს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, თითქოს განგებ წაუყრუა კიდევ.

დალაბის ხელახალი რატრატი რომ მოისმა, ბებუთოვი წამოდგა, წამოდგომისას პორტუბეა დალაბის ხრახნს მოედო, დოლი წიბოზე შედგა და ზევენი გადაგორდებოდა მუხრან-ბატონს რომ არ შეეჩერებინა და ძროთი არ დაედგა. დალაბა ისე დანესტილიყო რომ მოსახმარად აღარ ეარგოდა.

— მამ წავიდეთ, ღმერთი ვილოცოთ! — სთქვა ბებუთოვმა და, წინ რომ წავიდა, ილიკოც თან გაიმარტოხელა.

— დღეს შენი დღეა. ვაჟკაცი ხიფათს ეძებს და ღვთის წყალობით ხიფათი დღეს ბლომად იქნება. — სთქვა სარდალმა და გამომცდელი თვალი ორბელიანს გაუსწორა.

ილიკო მიხვდა თუ რათ იყო დღეს მისი დღე. დღევანდელ ბრძოლაში უნდა გამოეყენა მას თავისი მამაკობით ბაიანდურში დაშვებული შეცდომა. სარდალს თვალი შეუმართა და ისე, უსიტყვოდ შეხედა პირდაპირ. რა ვაჟკაცის საქმე იყო წინდაწინვე კადილი?

უკან რომ მოიხედა, კრელი დალაბა მიწაზე იდგა მარტოდ, ოფიცრები მოდიოდნენ ნელა დინჯი ბაასით.

წინ კარრეზად დაწყობილი ჯარი იდგა.

ჯარისკაცებს სიჩქარეში ჯერ კიდევ კარგათ ვერ მოერგოთ ტანისამოსი და ამუნიცია. ზოგი ჭამარს ისწორებდა, ზოგი კივერსა და ზოგი ზურგზე მორგებულ სამხედრო რანეცს.

ვინ იცის რამდენი დედის, ცოლისა და შვილის თვალები ატირდებოდა დღეს, რამდენი ვაჟკაცი დაღვეს კენესითა და ფრჩხილებით მიწის ბლოტვით ხულს, ამიტომ ვინმე დაუდგარის უადგილო ხუმრობას უტყვედნ ავად აღრენილი ამხანაგები:

— Нечего тебе зубы скалить! Нашел тоже время!

— შენი საქმე და ადგილი იცოდე!

— და იქ, ვინც ცოცხალი დარჩეს, იმან იცინოს!

— ვინც მოკვდეს, ცხონდეს! — დაუმატა ვილაყამ და ეს სიტყვები გულში კენჭივით ცივად მოხვდა ყველას, ხმა გაიკმინდეს.

ზემდეგები დამღულრულებივით დარბოდნ აქეთ-იქით, მწკრივებს ამოწმებდნ, ხალხს აწესრიგებდნ.

რომ დალაგდენ უთენია დილის დუმოლში გაისმა ცხრაათისთვის კაცის ერთიანი ლოცვა და ლაღადისი. ნამძინარევეს ეს სასოებრევი გუგუნნი გასაოცარის სევდითა და სიღიადით ზანზარებდა და ხევეტქვენი ჩაჩიხული მდინარე ბანს ეუბნებოდა. სალდათები, კაცი რომ შემხვეტილს ქვედათ, ღმერთს ევედრებოდენ, სასოწარკვეთილნი პირჯვარს სასოებით იწერდენ. ეს გულამომჯდარი ლოცვა გაისმოდა შორს, შორს და, თუ ღმერთი არა, შორეულ ცისკიდურში დაყუნტული მთები ზომ მიანც ისმენდენ.

არარატის ორივე წვერი ქედსა ჰბრიდა დიდმპყრობელ რუსეთის ჩექმის ქვეშ და ორთავიანი არწივის ფრთებით დაჩრდილულ მიწაზე მოჩილად ინართებოდა.

ლოცვა სულის სიღრმემდე აფორიაქებდა ადამიანს, გულსა ჰგმირავდა და ამ დიად წუთებში საიდანლაც ყოველად უადგილოდ გაისმოდა დრო და დრო ცბენების ყინატებილი ჭიხვინი. ეტყობა, ბრძოლის სიახლოვე იმათაც იგრძნეს და ერთ ადგილას ვერ ისვენებდენ. ფრუტუნებდენ, როკავდენ და ჰკებენდენ ერთი მეორეს ქინდრში.

— Ну-у, чорт!.. Три-пять-у!.. — უტევედენ მათ ორდინარები და დენ-შჩიკები.

უკანასკნელად არატრატდა დალაბა და ლოცვა დასრულდა. ჯარი მშვიდად, უსიგნალოდ და ზარბაზნის გაუსროლელად აიყარა ბანაკიდან.

კარგები, ზედმეტი ბარგი და ავადმყოფნი გუმბრის გზას გაუყენეს შინისაკენ.

სარდლის სურვილი იყო ჯარი რაც შეიძლება მსუბუქად ჰყოლოდა. იცოდა: ერთი მუჟა ხალხით ოსმალთა უზარმაზარ კორპუსთან ბრძოლა ძალზე სახიფათო იყო და მოსალოდნელ შემთხვევისათვის მებარგულნი თავიდან მოიშორა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ მოწინააღმდეგე ანატოლიის ოცდათექვსმეტათასიან კორპუსს წარმოადგენდა, განთქმულს მამაკობითა და სამხედრო წესების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით გაწრთენილს ევროპელ ინსტრუქტორთა მიერ. ეს არმია ოცდახუთ ბათალიონისაგან შესდგებოდა. აქ იყო აგრეთვე შტუციის მსროლელთა ორი ბათალიონი, ამას გარდა ოთხი რეგულარულ კავალერიის პოლკი, ორმოცდაოთხი ზარბაზანი და აურაცხელი ჭურთნი და არაბნი. ამას კი ათნახევარი, ისიც არა სრულკომპლექტი ბათალიონი ჰყავდა მათ საწინააღმდეგოდ გამოყვანილი. ეს ჯარი სულ ორმოცდაორ როტისაგან შესდგებოდა, ათი დრაგუნთა ესკადრონი, ლინიის ყაზახთა ცხრა სოტნა, ხუთი დონის „ლიატურკების“ ანუ „ღავერილოვიჩების“ სოტნა და ოცდათორმეტი ზარბაზანი.

ამას გარდა მოწინააღმდეგის ჯარი გათაუშებელი და გათამამებული იყო დუნაისა და ყირიმის გამარჯვებებით. ოლტენიცის ჰაობებში შტუ-

ცის ცეცხლით ჩახოცილი რუსის ჯარი, ინკერმანთან და ფელდინის მდ-
ლობებთან გამარჯვებული მტერი თავს ლალად გრძნობდა.

ოცდაოთხი წლის მშვიდობიანი მდგომარეობა ~~ინკერმანთან~~ ისე
უბრალოდ დაუკარგავს, როგორც ეს პეტერბურგელ მშენებლებს
ეგონათ. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ათი წელი. ოტტომანთა სა-
სულთნომ სირია რომ შეიერთა, ხონთქრის ჯარში ომებში ნაცადი სირი-
ელნი მოექცნენ. ისინი იბრაჰიმ ფაშის მიერ იყვნენ სამხედრო საქმეში გა-
წოთვნილნი და განსწავლულნი. გულიც პაზავატის ცეცხლით ჰქონდათ
აღზნებული და გაიურთა გასაქლელად თავს არაფრით დაზოგავდენ.

ჯარი რომ იყრებოდა, გუმბრიდან ფელდგეერი მოფრინდა და გენ.
ივანე-უქია ანდრონიკაშვილის მიერ ახალციხის აღების ამბავი მოიტანა.

ბებუთოვმა იცოდა, რომ ეს ამბავი ჯარზე კარგად იმოქმედებდა, ამი-
ტომ ამალით ადგილიდან დაძრულ ჯარს წამოეწია და პირადად მიუ-
ლოცა:

— ვაჟაკებო, ახალციხე ჩვენებმა აიღეს, გაუმარჯოს იმპერატორს!

— ურრა-ა!.. ურრა-ა!.. — აგუგუნდა არიერგარდი, მაგრამ ბებუთოვს
დიდხანს არ მოუცდია აქ. ახლა მეწინავეთაკენ გასწია და ასე ულოცავდა
სიგრიტით გაშლილ არმიას სულ წინ და წინ.

— ურრა-რა-ა, ურრა-რა-ა!.. — ეხმაურებოდნენ ბათალიონები ერთიმეო-
რეს და — ურრა-რა-ა!.. — გუგუნებდა გამოძახილის გამოძახილებად მთა
და ბარი.

გენერალ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს ეუიას იმიტომ ეძახდნენ,
რომ რუსული ცუდათ ეხერხებოდა და მის დამტვრეულ რუსულში წარა-
მარა გაისმოდა:

— Уже далажу вам... уже, шени ჭირიმე!.. Зделайте адалжение...

ბებუთოვი კი შესანიშნავად ლაპარაკობდა ქართულად, რუსულად,
ფრანგულად, გერმანულად, სომხურად, სპარსულად, ოსმალურად და, არა
უშავდა-რა, საშუალოდ, პოლონურადაც.

— Уже, далажу вам. что аხალციხე взят!.. Уже, шени ჭირიმე!.. —
აჯავრებდა მეგობრული ხუმრობით გამარჯვებულ ანდრონიკაშვილს სარ-
დალი შტაბის ოფიცრებში, მაგრამ ილიკო არ ერეოდა მათ ხუმრობასა
და ზეიმში.

რა ომის ცეცხლი ატყდება...

არ შორდება თავისი ქვისლის მამის ლეჟსი ფიჭრებს.

— მერმე ჩვენ რა? ვისია ეს ომი? ვისთვის ან რისთვის ვიხოცთ თავსა?

ლაზუტჩიკების გადმოცემით მოწინააღმდეგის არმიასი ქართველებიც
ერივნენ და ილიკოს ვერ გაერკვია, რომელნი იყვნენ მართალნი, ისინი,
ვინც ოტტომანთა ნახევარმთავრის სინათლის ქვეშ რომ იბრძოდნენ, თუ
ისინი, ვინც რუსეთის ორთავიან არწივის განუზომელ ფრთებს შეჰფარე-
ბოდნენ.

ამინდი კარგი გამოვიდა, მაგრამ მას დახურულ გულს არც ახალისებდა.

ჯარი ძლივს მიებოტებოდა მუხლამდე ტალახში, აჩრქვნიდა ცხენები თავს გაჭირვებით იკავებდნენ თავქვეზე, არც აღმართი სიყმატის მძვინვარებას ასალაზავი.

ოფიცრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, უხაროდათ, რომ „საქმეზე“ მიდიოდნენ. ისინი წარჩინებისა და დაწინაურების გარდა არას რაითხავდნენ. შკითხაობდნენ რომელი პოლკი გავიდოდა პირველი ბრძოლის ველზე, ან ვინ გახსნიდა პირველად ბრძოლას. ყველას პირველი უნდოდა რომ ყოფილიყო.

ჯარისკაცები დაფიჭრებულნი, კრიჭაშეკრულნი მიებოტებოდნენ ამ ყელამდე ტალახში. მათ სიკვდილისა და დასახიჩრებაზე უკეთესი არა მოელოდათ რა.

არმიამ, როგორც იქნა, მოლია ეს გაუთავებელი აღმართი.

თუმცა დილა მზიანი იყო, შემოდგომის სუსტი მზინც საგრძნობლად უშერდა.

მარშით მიმავალ ჯარსა და ცხენებს ტალახი და ოფლი ხვითქად სდიოდა.

გზადაგზა გადმოხვეწილი სომხები ხედებოდა ურმებით, ცხენებით, სახედრებით. მოჰყავდა აყრილი ოჯახები ბარკით, ბარხანით. მობობდნენ ყვირილით და შიშით გადაქცეული თვალები შუბლზე ჰქონდათ აქყლეტილი.

— ოსმან!.. ოსმან!.. — ყვიროდნენ ხელების ქნევით.

აჭა-იქ ყამირისფერი ნაგვიანევი ტოროლა ამოიჭრებოდა ვზის პირას, წყრილით, სტვენით წაეიდოდა ჰაერში ირიბულად გატყორცნილი და იქვე შახლობლად ჩაეარდებოდა გასროლილ ქვასავით.

აი მთის ლინგზე ქურთების პიკეტიც გამოჩნდა ცისიერზე შავად გამოხატული.

— ქურთები!.. ქურთები!.. — იცნეს ჯარისკაცებმა.

შტაბი აფუსფუსდა.

ორდინარები, ადუტანტები და შტაბის უფროსი წევრები დააჭროლებდნენ ცხენებს კოლონიდან კოლონაში და მით ჯარში დაზიდულ მდგომარეობასა ჰქმნიდნენ. ამ დიად წუთებს პეტერბურგის დიდგაც ოფიცერთა დოლომანებისა და პომპოლიკების ფუქსავატი რწევა თუ არღვევდა.

მწვერავებს, ლაზუტჩიკებს, მოხალისეებს მოჰქონდათ შტაბში ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობები. ყველა აზვიადებდა მტრის ისედაც საგრძნობ ძალას, განსაკუთრებით გამოქცეული მცხოვრებლები. მათ მილიონსა და ათასებზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ და ამიტომ მათ ცნობებზე მთლიანად დამყარება ძნელი იყო. ერთი რამ აშკარა იყო,

მოწინააღმდეგე საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და სარდალს რიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა ჰმართებდა.

სოფელ ფერველთან ჯარი შეფერხდა. ყარსის წყევუქუ ვეფდჷქლა არც ისე საადვილო შეიქნა.



წყევუქუ ვეფდჷქლა არც ისე საადვილო შეიქნა

აქედან კადიკლარამდე ექვსი ვერსი თუ იქნებოდა.

ჯარი აღმართზე რომ შედგა, ძირს, ხელის გულივით მოტიალეებულ ტაფობში, თვალშეუდგამი ველი გადიშალა.

ჯარი შეჩოჩქოლდა:

— Басурманы!.. Басурманы!..

— Ишь, сколько их, башибузуков проклятых!..

წინ კორპუსის სარდალი მიაგლეგებდა მსუქან ყარაბაღულს. შეხებულბული ცხენი ქოშინობდა, ლაგამს მოფთმენლად ლეჭდა და, ყელმოღერებული ირიბული ცეკვით რომ წავიდა, მხედრის გოროზი საზე აღმაცერად გამოჩნდა. ღრმა დაფიჭრება, ამოცანის სირთულე და მტკიცე გადაწყვეტილება ერთად აღბეჭდილიყო ამ ცხვირკებიან სახეზე.

ილიკომ სარდალს თვალი გააყოლა.

მიუხედავად იმისა, რომ მას არც თუ ისე უყვარდა ეს გენერალი, თვალი მაინც შერჩა მის ზვიად და კუშტ აღნაგობაზე.

ამბობდენ არმიის მოიჯარადრებთან ბნელ საქმეებს ჩარბავსო. ამ გზით აწაპნილ ფულით ჯიბეებს ისტელეზსო, მაგრამ რომელი არის ისეთი, ამგვარ საქმეს რომ დაერიდოს?

სარდალს თან ახლდა თავისი საათივით ზუსტი, მუდამ დამშვიდებული და წესიარად მომუშავე შტაბის უფროსი გენ. ინდრენიუსი, გენერალ-ლეიტენანტი მუხრან-ბატონი, ყოფილი დეკაბრისტი კავალერიის გენერალი ბაგოვუტი, გენერლები ბრიმმერი, ქავქავაძე, კიშინსკი და მერე... მერე პეტერბურგის სალონებიდან გამოსული ფუჟსავატი დიდკაცობა სამხედრო მინისტრის ჩერნიშევის, ან ნამესტნიკის ვორონცოვის სარეკომენდაციო ბარათებით სარდლისადმი:

Любезный князь!

Прошу предоставить случай отличиться
подателю сего... და სხვა და სხვა.

ე. ი., როცა ომში სისხლი ღვარად წავიდოდა და შორეულ რუსეთიდან ოცდახუთი წლის ვადით და ნამდვილად ოცდარვა-ოცდაათი წლით რეკრუტში გაყვანილი გლეხკაცი თავს აკლავდა რას, თვითონაც არ იცოდა, ეს დიდკაცები საბარგულს საიმედოდ შეფარებულნი რამდენიმე უსაქმო მედიკთან ერთად ბრძოლის ვათაგების მოლოდინში ვისტს თამაშობდენ. სამაგიეროდ, ბრძოლის დასრულების შემდეგ, სარდლის რელაციაში ორდენებზე ან შემდეგ ჩინზე წარდგენით წელილად მოიხსენიებდენ მათ თავგანწირულ ვაჟკაცობას.

ეს ისინი იყვნენ, ბაიანდურის მარცხის შემდეგ, ერთს ამბობდა რომ ჩურ-ჩულობდნენ, ჭორაობდნენ. ზურგს უკან ღირსების ახლით რომ ემუქრებოდნენ ილიას თავისი გავლენიანი ნათესავებისა და ნაცნობების მხარეებით იქ, პეტერბურგში. ათრეედნენ მას, როგორც ვაუნაჩიშვილს, მისი მხარეც, ლაფს ასხამდნენ მის სამხედრო ნიჭსა და გამჭრიახობას.

არც ლაციცა მუხრან-ბატონი ზოგავდა თავის ნათესავს. მას თავისი ანგარიში ჰქონდა და ექლესავებოდა, კვერს უკრავდა ორბელიანის შურიან მტრებს.

— შამილის ომში ბრძოლა და ტყვეობა რა ბედენაა! არც სტრატეგია, არც ტაქტიკა! — ამბობდნენ ისინი. — აი ოსმალეთი, მესმის, აქ საქმე რეგულარულ არმიასთანა გაქვს. თუ მხედარი ხარ, აქ უნდა გამოაჩინო მთელი სიმაღლე შენი სამხედრო სკოლისა. მთიელებთან გამარჯვება შემთხვევისა და თავზე ხელის აღების საქმეა, აქ კი წინდაწინვე ისეთის ზუსტად განსაზღვრულის გეგმით უნდა განაწესრიგო ჯარი, რომ გამარჯვების მთავარი შანსი შენს მხარეზე იყოს. ლაყბობდნენ ისინი შურით გამწვანებული თვალებით და არას დაგიდევდნენ თუ რათ მოტყუედა ორბელიანი ბაიანდურში, საცა ის საბრძოლველად გულდანდობით გავიდა, მისი აზრით, საზღვრებში შემოჭრილ ქურთების წინააღმდეგ. რას მოიფიქრებდა რომ ოსმალეთი მთელი კორპუსით ასე ომის გამოუცხადებლად გადმოლაზხავდა რუსეთის მიჯნას.

— ან რასა ჰგავს თუნდაც ის... ნამესტნიკის საქციელი... ირგვლივ ტუ-ზემცები შემოიხვია... ისიც რამდენიმე დიდგვაროვანი თავადი და სხვებს არად ავდგებს... — ჩააწვეთა ფრთხილად მუხრან-ბატონმა ისე, თითქოს თვითონ ტუზემცი არ ყოფილიყო.

— ცოლის ქუსლ ქვეშ არის გაგდებული... ემიგრანტები, დეკაბრისტები და სხვა გარეწარნი გარს შემოიხვია... ორბელიანები, ჭავჭავაძენი, პოტოცკები, ბაგოვუტები და ანდრეევსკები... ქართველები, სომხები, ბასურმანები და პოლონელები... არცერთი თავისიანი... მათ ბრმად ენდობა და თავისიანებს ახლოც არ იკარებს... — სისინებდნენ ისინი.

ბებუთოვზედაც აჭრევე ფიქრობდნენ, მაგრამ მათი წარჩინება ახლა მის ხელში იყო და დროებით ზედმეტ ლაპარაკისაგან თავს იკავებდნენ. თავისას რომ წაიღებდნენ, მერე არც ბებუთოვებს, არც არღუთაშვილებს, არ-შაკუნსა და ახვერდოვებს დაზოგავდნენ.

ორბელიანმა გადახედა გაშლილ მდელოს.

ველი სამი მხრივ იყო მთებში ჩაჭვებული და შუაზე თვალჩაუწვდენელი ხევით ისერებოდა. ეს ხევი პირდაპირ მდებარე მთის კალთიდან მოემართებოდა აქეთ, მერე უეცრად მარცხნივ უხვევდა და ამგვარად რკალივით იყო მოხნიქილი. მარჯვნივ ყარაილას მთა აყუდებულიყო,

მარცხნივ ვაკე იყო წინ წაგდებული და მავრაკიაი ზედ თეთრად მიეკლაკნებოდა.

წყალგალმა, ოდნავ მოშორებით, მეორე ხევი ჩადიოდა. ამ ხევეში კადიკლარის წყალი მიედინებოდა და ძირს, დავაკების ხეობის მხარეს, მავრაკიაის შეერთვოდა. ხევის მახლობლად, ყარსის გზაზე, სოფელი ჩატყვლი მოსჩანდა. სოფლის შუაში ქვის უზარმაზარი ეკლესია იდგა და ეკლესიის ირგვლივ სომხური მიწურები და გომურები ღორღივით იყო მიყრილი. მაღალ გუმბათზე ამართული შევერცხლილი ჯვარი მზის სინათლეზე თვალის მომპრელად ბრწყვიალებდა. ორიოდვე ვერსის მოშორებით სოფელი პაშზაკარაკი სჩანდა. კადიკლარს გაღმა ვაკე თანდათან მალღდებოდა და ამ დაქანებულ ვაკეზე მიწურებიდან და ქოხმახებიდან ამოვარღნილი წივის ყომრალი ბოღი იხრჩოღებოდა.

ბაშკადიკლარ,
 ორთაკადიკლარ,
 ლანკადიკლარ, —
 არ ჰყვფდა ძაღღი
 არ ყიოდა მამალი,
 სოფელი მიტოვებულღი იყო.

523X

ეს დაცემული ვაკე ამ შემოღღომის სიყურეში ჩახეღვებულღიყო და საფურე იღი იყო დამაფიქრებელი და უღაბური.

ორბელიანმა მხედრის თვალღით გაბეღა მღებარეობას და მიხვღა, — ამას არც დღღი მიხვეღრა უნღოღა, — რომ აღღიღმღებარეობღით ოსმალღონღი უღირატეს მღღომარეობაში იყვნენ.

— ღმერთო, რა დღმიღა! — გული მღშტივღით შეეღუმღა.

პირღაპირ, შორეულ ცისიერში, სოღანღულღის ქეღი ცას გულმკერღღით შეღბღენღოღა, მაღღა აეზიღა და იქ გაეჩერებინა. ცაში არწივე გაარჩიღა, არწივე თანღათან მკაფიოდ იკვერებოღა სივრცეში, მერე შეღკრა კაშარა და წავიღა კღღვე უფრო მაღღა, დაღნა ცაში მარღღივღით.

ღმერთო მამო, მომიხღღე ძე შეცოღმიღღი
 და განმასევენე ვნებათაგან ზოროტ ღღღღიღღ!

ხელის ჩაქნეღი ცხენღი შემოაბრუნა და შტაბისაკენ გაემარღათა.

ბებუთოღეს, მებრძოღ ოფიცრებთან ერთად, ორღენებისა და წარღინების შადღებელი პეტერბურგელი სტუმრები ირგვღივე მუმიღივღით შემოხვეოღენ. ყვეღაზე მეტს ისინღი ფუსფუსებღენ, ლაყბობღენ და ჯაღღით ერშოღოღვის მკაცრი სამხედრო სკოღაგანღიღი, უთვღღავე ბრძოღებში გამოწროღი კორპუსის სარღალი ნაძაღადეღად იღიმებოღდა მათ უტაქტო საქციელზე.

არცერთღი მათგანღი არ გრძნობღა დღღეღანღელი დღღის სიღღიღღი.



ბებუთოვმა იცოდა თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო დღეის ომი, რადგან რუსეთის მხედრობა ევროპის მხარეზე დამარცხებას და მარცხებებზე განიცდიდა. ეს ქარაქუცა ხალხი კი საშუალებას არ აძლევდა კარგად მოესაზრებინა ადგილმდებარეობა და ბრძოლის გეგმა.

ილიკო მიუხვდა სარდალს თუ რაც ასურდა, ირგვინდებოდა ოფიცრობა მოუთმენლად გაარღვია და უბოდიშოდ მიმართა ქართულად:

— იქა სჯობს, ბატონო სარდალო, იქედამ უკეთ მოსჩანს ველი!

სარდალმა შეხედა ორბელიანს, საჭკიელს მიუხვდა და გაელიმა.

მუმლს ეგონა ბებუთოვმა ილიკოს დასცინა და იმათაც პირმოთენდ გაილიმეს, მაგრამ, როცა ბებუთოვმა ბრძანა, რომ მხოლოდ შტაბის წევრნი და პოლკის უშუალო კომანდირები გაპყოლოდენ, თავი უხერხულად იგრძენს.

ასე დარჩა თავის ადგილას ეს ხროვა ზედმეტ აღუტანტებისა, კვარტირმეისტრებისა, საინტენანტო ვირთხებისა და დიდკაცურ ოფიცრებისა.

სარდალი დიღხანს აკვირდებოდა პოზიციას, მერე უეცრად შემობრუნდა და სრულიად მოულოდნელად განაცხადა:

— მაშ ასე... დროს დახანება არ უყვარს... — და ამ სიტყვებით მიუცილებელ ოფიცრებს თვალი ჩააყოლა, ხომ არავინ აკლიაო. ყველა რომ შეამოწმა, შტაბის უფროსს გენ. იდრენიუსს მოუბრუნდა: — მაშ ასე... ყველაფერი ჩასწერეთ... მხედველობაში მიიღეთ... ბატონო ოფიცრებო, შტაბის სხდომას გახსნილად ვაცხადებ!

ვინც არ იცოდა სარდალის ხასიათი, სახტად დარჩა, ვინც იცოდა, სხდომას მომზადებული დახვდა.

ჯაშუშთა ცნობით, მოწინააღმდეგე მრავალრიცხოვანი იყო, რაც ჯერ კიდევ ბაიანდურში გამოიჩქვა თვალდათვალ. რუსების ერთი მუჟა არმიისათვის ომი უსწორო იქნებოდა, ამიტომ დიდი სიფრთხილე, წინდახედულობა, ბრძოლის ყველა საშუალებათა და პირობათა უკიდურესად გამოყენება იყო საჭირო. ერთი წაფორხილება და იმპერატორის არმიას დალუპვა არ ასცდებოდა.

ბებუთოვმა კარგად იცოდა თუ რა ზარდამცემად მოქმედობდა აღმოსავლეთის ხალხზე ზარბაზნის ცეცხლი და გადასწყვიტა ბრძოლის სიძიმე არტილერიასა და შტუცერებზე გადაეტანა.

სარდალი ცალი ყურით უსმენდა შტაბის წევრების დავასა და მოსაზრებებს. მან კარგად იცოდა ყველა სამხედრო გეგმების ფასი. არასოდეს წინასწარ გამომუშაებულ გეგმით ბრძოლა არ წასულა. მაგრამ ისიც იცოდა, რომ უგეგმოდ ბრძოლის დაწყება, იმთავითვე წაგებას ნიშნავდა. ბრძოლის დასაწყებად გამოსადეგი გეგმა მისთვის უკვე გამორკვეული იყო, ჯარებისა და ზარბაზნების განაწილებაც, ამიტომ მოსაწყენი იყო ეს დავა და ჯახი შტაბისა. უეცრად მოიჯარადრე არშაკუნი გაახსენდა... ვინ იცის ბრძოლა რით გათავდება და შეცდა რომ წამოსვლის

წინ არ ინახულა... ცოტა ანგარიში ჰქონდა გასასწორებელზე და გადასწევითა, როგორც კი მშვიდობით დაბრუნდებოდა გუმბრში, დაიბაროს და საჭმე მოათავოს.

— რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ხევის გადალახვა შეუძლებელია... — ჩაესმა ბებუთოვს, გამორკვეულმა თვალელები დინჯად მიმოიქცა გენერლებს და იცნო, ეს, — შტაბის უფროსი გენერალი ინდრენიუსი ლაპარაკობდა, ყოველ სიტყვას, კი არ ამბობდა, ტყეპნიდა.

— ისე ყოველად შეუძლებელია... თუ ყარაილას მალღობების აღება მოვახერხებთ, ბრძოლის ბედი ჩვენდა სასარგებლოდ გადაწყდება!..

ილიკო ინდრენიუსს მთელის გულისყურით უსმენდა და თან თავის ქნევით კვერს უკრავდა, რადგან მისი მოსაზრებაც ასეთივე იყო.

ბრძოლის საერთო გეგმა და სურათი ყველასათვის საბოლოოდ რომ გამოირკვა, სარდალმა ყველასათვის მოულოდნელად დახურა სხდომა.

ყველა სახტად დარჩა. ვინც არ იცოდა სარდლის ეს ხასიათი, ვაოცებულ თვალელებს ხან ერთს მიაჩერებდა და ხან მეორეს. შერჩათ პირში სრულის წესრიგით დალაგებული სიტყვა, სადაც ყოველ მათგანს უნდოდა თავისი სტრატეგიულად დიდი განსწავლულობისა და გამჭვირახობის გამოჩენა.

ამგვარად, მთავარი შეტევა მარჯვენა ფლანგს უნდა დაეწყო.

ასეთი იყო თავდაპირველი გეგმა.

— თუ ტალახებმა არ შემოშალა ხელი.. — გაიფიქრა სარდალმა. რადგან ველზე ბრძოლად გასული ჯარი მთლად აატალახებდა ასპარეზს და არტილერიის მოქნილ ვადადგილებსა და მუშაობას ძალზე შეაფერხებდა.

მზე აიწვერა და განათებულ ველზე, როგორც ხელის გულზე, ისე გამოჩნდა ყველაფერი.

მოწინააღმდეგის ცხენოსანი ნაწილები ერთიმეორისაგან კარგა მოშორებით იდგნენ და ხევიდან ამოსული ხალხი თანდათან ემატებოდა. განსაკუთრებით ბლომად ხევის მარცხენა საფარიდან გამოდიოდნენ.

— თუ ეს ცხენოსნები ქურთებია, ომს არ ვავმართავ. ქურთებს მე არ ვდევ... ჩიტების დევნის თავი არა მაქვს!.. — თქვა ბებუთოვმა და ველს ქოვრით ვახედა, რომ გაერკვია, ოსმალთა ნიშანი იყო ეს ხალხი, თუ ქურთი პარტიზანები.

— აჰა!..

— ჰმ!..

— ოღუზლი!..

— იქ ხილია... ვერ არის კარგი... — ფიქრობდა იგი ხმამაღლა.

აი, შეირბა ერთი ჯგუფი მოწინააღმდეგისა და მზის სხივებზე აელვარდა მათი რუსული ხიშტები. ეს, — რუსის გატყვეული ჯარისკაცები იყვნენ და ახლა რუსულ ორთავიან არწივის სამაგიეროდ სტამბოლის ახალ მთავარისათვის დებდნენ თავს.

— ჩენი ხიშტები!.. ჩენი ხიშტები!..

— ხედავთ, მოლაღატეებს!

— ჰაი, ეგ ავშარები, ეგენი!.. — შესძახეს კავკასიელმა ძველმა მხედრებმა.

სარდლისათვის საბოლოოდ გამოირკვა ყველაფერი. მან მოხმობულ ცხენზე უსიტყვოდ შეჯდა.

ჯარი სამ მებრძოლ ხაზად უნდა გაშლილიყო: პირველ ხაზს ხელმძღვანელობას გენერალი კიშინსკი გაუწევდა, მას მეორე ხაზი მიჰყვებოდა, რომლის ხელმძღვანელობაც გენერალ მუხრან-ბატონს ევალებოდა. ამ ხაზში უნდა ყოფილიყო აგრეთვე გენერალი ილია ორბელიანიც თავისი გრენადერებით.

— მაშ ასე! — დაიწყო შუბლშეკვრით ბებუთოვმა თავისი სიტყვა, რომელიც მას სწდომაზე უნდა წარმოეთქვა, მაგრამ რატომღაც არ თქვა, რამაც ზოგიერთებში ერთგვარი გაბრაზებაც გამოიწვია.

ეს უკვე ყოყოობას ვავედა.

— მაშ ასე!.. — გაიმეორა მან და მისი ყურადღება ისევ მოწინააღმდეგის ფრონტმა მიიპყრო, მაგრამ ბოლოს ისევ მობრუნდა და განავრძო:

— ბატონო გენერლებო! — მაგრამ არც ახლა დასცალდა სიტყვის დასრულება, ცხენს თვალებში ხიშტებზე დაცემული მზის არილი შემოესხა, დაფრთხა და სადავით დაოკებულმა ერთ ადგილას ტორვა დაიწყო. სარდალმა ცხენი რომ მოთურგნა, ხელახლა მიმართა შტაბს:

— როგორც ხედავთ, მომენტი სერიოზულია, მეტად სერიოზული, ბატონო გენერლებო! სამშობლო სისხლს მოითხოვს და ჩვენც უნდა გავილოთ ის მისდა სადიდებლად. მარჯვენა ფრთის მეთაური თქვენ ბრძანდებით! — მიმართა ჭავჭავაძეს. — მარცხენა ფრთისა კი თქვენ! — მოუბრუნდა გენერალ ბაგოვტს.

— მაშ ასე, ვათავდა! დრო ძვირად გვიღირს! მარშ-მარშ!.. — ბრძანა ბებუთოვმა და ცოტა ხანს შემდეგ ჯარმა წყალივით იწყო დენა მთებიდან ვაკეში.

ცხენებმა რა ომის სუნი იკრეს, ყურები ცქციტეს, მთის კალთაზე დაშვებულნი ყელმოღერებულნი ჰირვეულობდნენ, ველს სისხლიანი თვალთა ბრიალით გადასცქეროდნენ და ქალივით ავზნებულნი ტკბილად ხეიხეინობდნენ.

— ტპრრუუ, чорт ты окаянный!.. — უტევედნ მხედრები ცხენებს და დაღმართზე დაგორებულ ზარბაზნებს თავს ძლივს უჭერდნენ.

შუადღის თორმეტი საათი იყო.

არმია დინჯად ეშვებოდა ძირს.

ცხენები ატალახებულ დაქანებაზე ფეხს ვერ იკიდებდნენ, სხლტებოდნენ და კბილდაღრპენილნი სადავით დაოკებულნი ერთ ადგილას ეჩინანად თქარუნობდნენ.

კარგებად დაწყობილი ჯარი ეაკეში მუსიკის გრილით რომ/ჩავიდა, შორით მაყურებელი ვერც დაიჯერებდა, რომ აქ ომი უნდა მომხდარიყო. ამინდი სადღესასწაულო იყო და ჯარი მშვიდად, სწრაფად მუსიკით მიემართებოდა საზეიმო მარშით ბრძოლის ველზე.

მოწინააღმდეგის ბანაკსაც ჩოჩქოლი დაეტყო.

მოპირდაპირე მადლობებზე კიდევ გამოეფინა უხვად ახალი ჯარები და სოფელ ოლუზლის ირგვლივ უვლიდნენ.

— საკვირველია! — ფიქრობდა ორბელიანი. — რათ ერიდებიან ამ სოფელს და შიგ არ მაგრდებიან? იქნებ გამაგრებულაც არის და იმიტომ? ანუ რა არის ჯარების ამგვარი გაფანტულობა? — და ხედავს ახლა ჯარები, მარჯვნივ რომ ხევი იყო, იქიდანაც გამოვიდა და არ უჩანდა ბოლო მათ ღენას.

— რამდენი ყოფილან! — კვირობს იგი და ყველასაგან ათვალწუნებულ გრენადერებს წინ მიუძღვის, თან თვალს მოწინააღმდეგის ბანაკს ვერ აშორებს.

ქართულ გრენადერთა პოლკში კომანდრობა დამცირებას ნიშნავდა კავკასიაში და ილიყო ორბელიანმა გადასწყვიტა: მართალია, ბაიანდურში სირცხვილი ჭამა, მაგრამ სამაგიეროდ აქ დაუმტკიცოს ქვეყანას თუ რა ბიჭები არიან ეს ყბად აღებული გრენადერები.

როცა რუსები იმდენად მიუახლოვდნენ თათრის ფრონტს, რომ უბრალო თვალი მოწინააღმდეგის მხარეზე კაცს ადვილად გაარჩევდა, ილიკომ დაინახა რომ ეს, ქურთები კი არა, ნიშამი იყო, რომელიც სამიოდ ვერსის მანძილზე იყო განით გაშლილი ახალ მთვარის მსგავსად და ოტტომანთა ეს ნახევარი მთვარე რუსებს შთანთქმით ემუჭრებოდა.

ყოველი კაცი შეყურსული იყო და ამ დაზიდულ მდგომარეობას ცხენების ფრუტუნი და ხარბახნების რაბრაბი არღვევდა უსიამოვნოდ.

ჯარისკაცები გადიოდნენ ფრონტზე ერთის აზრითა და გადაწყვეტილებით შეპყრობილნი: დახვეა არას გზით არ იქნება, ან უნდა მოკვდნენ, ან შეაკვდნენ, უკან ყველა გზები მოჭრილია.

ყველაზე დიდ შიშს ადამიანი ომში განიცდის. ეს არის მასობრივი შიში, როდესაც კაცი მიდის კაცის მოსაკლავად. არ უნდა მოჰკლას, მაგრამ მაინც ჰკლავს, ჰკლავს იმიტომ რომ თუ არ მოკლა, თვითონ მოჰკლავენ. მიდის იმიტომ რომ ყველა მიდის. ყველაზე დიდი გმირული ნაბიჯები უდიდესი შიშის შედეგია, როცა ამ შიშით ყველა გრძნობები დაყრუებულია, გონება დაჩლუნგებული და ადამიანი წარმოადგენს გაშეშვლებულ გრძნობას ზიფათის მოახლოვებისას, როდესაც მან უნდა იომოს უეჭველად და ისიც ომობს დამთვრალი ამ გრძნობით, ომობს ისე რომ არაფერს გრძნობს, იბრძვის ერთის აზრით შეპყრობილი და ეს აზრია, რაც შეიძლება მეტ მოქმედებაში იყოს, მეტ მოძრაობაში, რომ ფიქრისა და გულისცემის დრო არ ჭონდეს. ყოველი მათგანის გრძნობა იყო:

აი დადგა უდიდესი განსაცდელის წუთი. ყველას მოუთმენლობა ეტყობოდა და დაზიდულობა. უბრალო ხელის წაკარება, ცხენის მოულოდნელი ფრუტუნეც აკრთობდა მათ.

— ბარემ მალე დაიწყოს, რაც დასაწყებია და მოიჩქერს! — აი აზრი, რომელიც მათ ერთ მთლიან არსებად აქცევდა.

მოუთმენარი გრძნობა საქმის მალე გათავებისა ასულდგმულებდა მათ და ერთ მთლიან სხეულად აქცევდა. ეს გრძნობა არაფრით არ ჰგავს იმ გრძნობას, როდესაც უსამართლობით აშფოთებულნი, რევოლუციონური ცეცხლით აგზნებული მასები მიდიან მტრის წინააღმდეგ, იბრძვიან ბარიკადებზე. აქ შიში არ არის, ამიტომ არც მკვლელობაა. აქ გრძნობაა ამზობებული ადამიანისა, მასისა და ეს მასა იბრძვის არა იმიტომ რომ მოჰკლას, არამედ, — რომ დაამზოს, დასცეს წესწყობილება. აქ ის მღერის, ქადაგებს, მოუწოდებს ამზანაგებს, ხალხს და ეს წითელი დროშაც, გულს რომ სიხარულით ეხეთქება, მათი ლაღად აფრიალებული სულია, მას თავისუფლება სწყურია, სამართლიანობა. აქ დისციპლინა მეორე რიგში დგას, რადგან მის მაგივრობას საერთო აგზნება ეწვეა.

აქ კი ხალხს ერეკებოდნენ შპიცრუტენებით, ეკზეკუციებით და სიცოცხლეგამწმარებულებს სხვა გზა არ ჰქონდათ.

არცერთი მათგანი არ განიცდიდა მამულიშვილურ გრძნობას, არც სიძულვილს მოწინააღმდეგისადმი. ანდა რა უნდა ჰქონოდა სადავო რეკრუტში გაყვანილ მკადიჯვრელ ჭარელაანთ ტილას, ან სარატოველ მუჟიკს ბაიაზეთელ ოსმან ალასთან ანდა აჭარელ ჭყონიასთან? მაგრამ, როცა მათ ისე დაუბირისპირობებ ერთიმეორეს რომ, თუ არ მოჰკლა, მოკლავენ როცა მათ შეაძლებებ ერთიმეორეს, წააკიდებ ხატისა და ყურანის საშუალებით, სხვა რა დარჩენიათ?... მაშინ... სიცოცხლე ტკბილია, რაც უნდა გაძაღლებული იყოს იგი, ძვირფასია და ღვინოსავეით დამატრობელი, თავბრუდამსხმელი. ეს გულის ქაღილისათვის დარიგებული არაყიც შშიერ ნაწლავებს საამოდ სწუწნის, ეს სამხედრო მარშიც რომ გოგუნებს, იქ კი არ უკრავს, — სისხლში ეღერს, ადამიანის მთელ არსებას სარჩულით აბრუნებს, ეს, — სიცოცხლეა, ასე ტკბილად და თამამად რომ ეღარუნობს, და დალაბის ეს ზრიალიც სასიცოცხლო მაჯისცემაა, რომელიც გჯერა, გრწამს არასოდეს არ შეჩერდება.

სადღაც გაჭრა, დაიკარგა გრძნობა მტრობისა და სიძულვილისა და ყველაფერი ის, რაც ამ ერთი თუ ორი საათის წინ მის სულის საფუძვლებს ძირამდის არყევდა, არაფერია და უკვირს რათ იშფოთებდა გულს, იმღერედა სულს.

ილიკო მზად იყო ყველა ის უსიამოვნებანი, რომელიც მას კაცთაგან შემთხვევია, მიეტევებინა, დავიწყებისათვის მიეცა და ასე ცხოვრების ამობათაგან განწმენდილმა ცას რომ გახედა, რატომღაც სრულიად უადგილოდ და უმიზეზოდ გაახსენდა ამ დილით ლაქვარდში რომ არწივი ფრთას

ლალად წურავდა და მერე სადღაც ცის დასალიერში დადნა შაქოლივით. გაახსენდა რომ გუშინ ბაშმურაგელში თავისი გრენადერი ერთი ნატეხი პურის მოპარვისათვის ყარაულში დგომით დასაჯა და ახსნულს სინანულმა შეიპყრო. მოიხედა, უნდოდა გაჩერებულიყო, განოცხანა ის გრენადერი და ეთქვა რაიმე ტკბილი, მაგრამ გადიფიჭრა.

მიდის, უკან გრენადერები მოპყვებიან მარშით, რა უყოთ რომ ფეხ-შეწყობილად ვერ მოდიან, ამ ტალახში ვისა აქვს ახლა მაგისი თავი.

მოყინული მიწა გალხვა მზის ქვეშ და მთელი ეს კიდევანობა ტალახის ზღვისავეით არის გაშლილი და რომ მიეზოტება, საიდანღაც გამოტყვრა: მის ცოლს ბარბარეს ტყუპი შეეძინა, რომ ახალციხე „უქე“ აღებულია, რომ

ხინიკო ხინიკოს..

ხინიკო ხინიკოს..

ვისი ხმა არის ეს საკვირველი, ან რად აწვევს გულს ასეთი ჩუმი ნალველი? ან რა არის ეს უძირო, განუზომელი სიმშვიდე და გულის ასეთი სიცუდე?

განა ამ სამიოდე დღის წინ არ იყო, რომ ბაიანდურში სიკვდილს მძასავით უტყვროდა თვალბში პირისპირ და რეაასი კაცი ჩაახვავა? განა ცოტა განიცადა მაშინ, როცა საკუთარი დის ფეფოს შეიღს ენამწარე ტატო ბარათაშვილს დუელში თავისი გამომიზნებული დამბაჩის კორის წინ ხედავდა, ანდა შამილის ტყვეობაში, ერთხელ იდგა, თუ ორხელ სიკვდილის წინ?

არსად არასოდეს ამგვარი წუთები მას არ განუცდია.

აქ სულ სხვა იყო. აქ გმირობა და ვაჟკაცობა იძულებას უფრო გავდა. აქ შეიძლება არც იყო გმირი და გმირად შეიქმნა, რადგან აქ არ არსებობს როგორც ცალკეული ადამიანი, აქ შენ ამ ზღვა ხალხის განუყოფელი ნაწილი ხარ, თუნდაც ისეთი, თვალი რომ მიგორავს და ურემი თან მიიჭებს...

ჯარის უმთავრესი ნაწილი, ბრძოლის ველზე რომ გაიშალა, სარდლის ბრძანებაც მოვიდა და არმია შეჩერდა, მისი მითითებით გეგმისამებრ განაწილდა.

გენერალი ქვეყნაძე მალღობებიდან ძირს დაეშვა და ექვსი ესკადრონითა და ოთხი ცხენოსანი ზარბაზნით ოსმალთა მარცხენა ფლანგი დაიჭირა.

გენერალი ბაგოვეტი მდინარის ჩახსლეტელ ნაპირისაკენ გაემართა და მარჯვენა ფლანგი გააკავა.

მუხრან-ბატონმა და კიშინსკიმ ჯარები ხრამში ჩაიყვანეს და ქვეყნაძისა და ბაგოვეტს შორის რეანახევარი ბათალიონი და ორი ბატარეა ორ საომარ ხაზად გაშალეს.

პირველ ხაზში თავ. ვარშავსკის ორი ქვეითა ბათალიონი, თავ. ვორონცოვის ეგერთა ერთი პოლკი, ერთი მსროლელთა ბათალიონი და ორიც

მესანგრეთა როტა მოთავსდა თავისი არტილერიით გენერალ კონინსკის მეთაურობით.

მეორე ხაზში ილიკო ორბელიანის ქართული გრენადერული ბატალიონი და ორიც კავკასიის გრენადერთა ბრიგადის ^{საზღვრის} ბატალიონი, მუსხრან-ბატონის საერთო ხელმძღვანელობით.

ამგვარად რუსის ჯარები, მარჯვენა ფლანგით დაწყებული, სადაც ბაგოვეტი იდგა, სოფელ ოლუხლიმდე ერთი ვერსის მანძილზე გაიშალა. დროს არც ოსმალი ჰქარგავენ, ისინიც შემოტევის სამზადისში იყვნენ.

თავისი მხრით მარჯვენა ფრთისა და სოფელს შორის ხევში ოთხი ბატალიონი ჩამოუშვეს.

ჩვეულებრივ, ბრძოლას ავანპოსტები, კავალერიის ესკადრონები და, საერთოდ, ავანგარდი იწყებს. როცა ისინი ყიყინში, ავარდნილ ბოლში და კორიანტელში გახვეულნი მოწინააღმდეგეს უახლოვდებიან, ვერაფერს ხედავ, ისეა ყველაფერი არეული.

აქ ყველაფერი სხვანაირად ხდებოდა.

ორი არმია დინჯად, უსროლელად და წესრიგით გამწყრივებული ისე უახლოვდებოდა ერთი მეორეს, თითქოს ბრძოლის ველზე კი არა, პლაც-პარადზე გადიოდენ.

ოსმალთა ბატალიონები გაშლილ ბავრაციან ბუნჩუკებითა და სამხედრო მუსიკის გრიალით ეშვებოდენ ძირს მწყრივებად თავიანთ მალლობებიდან.

წინწილი და ტულუმბასი სადღესასწაულოდ გუგუნებდა.

ორი არმია უკვე ზარბაზნის გასროლაზე ნაკლები მანძილით იყო მისული ერთი მეორესთან და ბრძოლა ჯერ კიდევ არ იწყებოდა. სამხედრო ორკესტრების გუგუნი გაისმოდა მხოლოდ.

ერთის შეხედვით ადამიანს ეგონებოდა რომ აქ ორი არმია ორ არათანაბარ ნაწილად გაყოფილა და აილუმისათვის ემზადებოა. კავალერიის ცხენებმა, ბრძოლის მოახლოვების სუნი რომ იკრეს, გადაირიგნ, ყურებ აცქვეტილებმა ლაგამის ღეჭვით კისერი მოიღერეს, აცეკვდნ ერთ ადგილას და ფლოქთაგან ტალახი და პირში მომდგარი თეთრი პერი აქეთ-იქით ეშვებოდა, ტულუმბასის გუგუნი კიდევ უფრო რევდა მათ, შემკრთალნი ცას ასკდებოდენ და ძირს ვარდებოდენ.

ბებუთოვი თავისი შტაბით მთის კალთაზე იდგა და შებლშეკრული ბრძოლის ველს თვალყურს ადევნებდა.

წუთით მზე ღრუბელს მიეფარა, მაგრამ მალე ისევ გამოიხედა და კიდევ უფრო მკაფიოდ გაანათა ეს ტიალი მინდორი.

უეცრად ერთ ადგილას ბოლი ავარდა, წუთიც და რუსის ყუმბარის გუგუნიც გაისმა, მას მეორე მოჰყვა და ასე...

ბრძოლა დაიწყო.

ზარბაზნის გავარდნა და ოსმალთა მარჯვენა ფლანგის გორაკებზე ცეცხლის ღეარის გადასხმა ერთი იქმნა...

კიდევ წუთიც და არტილერიამ დააყრუა არე-მარე. ^{არტილერია} მიუხედავად იმისა, რომ ოსმალი მალლობებზე იდგენ და მათი პოზიციები მთელ ამ კიდევანობაზე ბატონობდენ, ისინი მაინც საკმაოდ ზარალდებოდენ რუსის ყუმბარებით.

— შეხე!.. შეხე, რა ამბავში არიან ჩვენი დონელები!.. — იძახდენ თავმომწონედ ჯერ კიდევ რეზერვში უქმად მდგომი დონის ყაზახები. — ხედავთ რა ბიჭებია ჩვენი „ღაჯრილოვიჩები?“

ეს დონის დივიზიონი იყო, ასე მარჯვედ რომ აფრქვევდა თავზე ყუმბარებს. ისინი მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგის პირისპირ იდგენ და რუსების მარჯვენა ფრთის ყველა ხაზებს მალლიდან გადასცქეროდენ. არ გაუვლია დიდხანს, რომ ოსმალთა ამ ფლანგში ყუმბარათა უზარმაზარი ყუთი აფეთქდა და ყველაფერი ავარდნილ ცეცხლში და ბოლში გაეხვია. მოწინააღმდეგე აირია, შეჩოჩოლდა, რამაც გულის ქადილი კიდევ უფრო შემატა რუსებს და

— ურრა!.. ურრა!.. — მოჰყვა ამ აფეთქებას.

ეს „ურა“ მოედო მთელ პოზიციებს და ჯარი ზარბაზნებთან ერთად გუგუნებდა:

— ურრა!.. ურრა!..

ილია მოუთმენლობისაგან ერთ ადგილას ვერ ისვენებდა. მას უკვე აღარ ესმოდა რა ხდებოდა მის ირგვლივ, ისე აირია ყველაფერი გვიფად ამდგარ ბრძოლაში და კორიანტელში. გული ყელში აწეებოდა და ტინ-მორეული ბრძოლაში მიიწევდა.

— როდის? ჩვენ როდის ღა?.. — გაიძახოდა ერთსა და იმავეს შეპყრობილივით და გამწარებულმა საკინძის ორი ღილი შეისხნა, უფრო თავისუფლად რომ ესუნთქა.

კანონდამ საათზე მეტს გასტანა. ბრძოლის ველს ზარბაზნები დაეპატრონენ და ამ საერთო ალიაჭოთში ჯოჯოხეთი ტრიალებდა. ზარბაზნებს არც შტუცერები ჩამორჩებოდენ, შტუცერებს თოფები ეხმარებოდენ და აირია ყველაფერი. დაჭრილები კენესოდენ, შეელას ითხოვდენ, მხედარ-გადაგლეჯილი ცხენები ჭიხვინით აქეთ-იქით დარბოდენ თავგზააბნეულნი.

თათრებმა ყველა ბატარეები ბრძოლის ველზე რომ გამოიტანეს და მით მთელი ძალა გამომამქლანეს, ბებუთოვისათვის აშკარა შეიქმნა მათი სამხედრო განაწილებანი, მან უეცრად შეცვალა ბრძოლის გეგმა, მუხრან-ბატონთან აღუტანტი აფრინა, რათა ქვეითი ჯარის მეორე ხაზი წინ წაეწია და ოსმალთა მარცხენა ფრთის პირისპირ მტერთან ახლოს მალლობების კალთებთან გაეჩერებინა, საიდანაც მათ მდგარი იერიში უნდა მიეტანათ მტრის ამ ფრთის წინააღმდეგ გენ. ბავოვუტის კავალერიასთან ერთად.

ბრძოლა გადამწყვეტ ხასიათს იღებდა.

ბრძოლის დროს გეგმის ასე ძირეულად შეცვლა, მტერს სპეციალურად იყო, მაგრამ მისი მოქნილი შტაბი და შტაბის უფროსი ინტენსიურად საათივით ზუსტად მუშაობდა და ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც სარდალს ჰსურდა.

ამიერიდან ომის დასრულებამდე რუსის ჯარები ოთხ ცალკეულ დაჯგუფებას წარმოადგენდნენ, რომელნიც ერთიმეორისაგან მხოლოდ ოდნავ იყვნენ დაშორებულნი.

კორაპისის სარდალი მარცხენა ფლანგზე იდგა მალლობზე და იქიდან იღებებდა თვალყურს. მისი შტაბი ისე ახლოს იდგა ბრძოლის ველთან, რომ ყუმბარები და თოფის ტყვიები ამაღლაში ვარდებოდა და ცხენები ფრთხვობდნენ. ომი რომ კარგა გახურდა, ძირს ჩავიდა და ბრძოლის დასრულებამდე ზაობაზნისა და თოფის სროლის არეში იმყოფებოდა.

შტაბის უფროსი გენ. ინდრენიუსი თვითონ ანაწილებდა პირადად ბრძანების მიხედვით ჯარებს მტრის ბატარეების პირისპირ.

ჯერ კიდევ გახურებული კანონადა იყო, თურქებმა რომ მარცხენა ფრთაზე, ხევს გაღმა, ექვსი ბათალიონი განიერ შუალედებით იერიშის მისატანად გაამწყრივეს. ეს შუალედები არტილერიისა და ულანთა ქვეითი ჯარის ორი პოლკით იყო შევსებული და ამგვარად რუსეთის მხედრობის მარცხენა ფრთას შემოვლა დაუწყეს. თან აუარებელი ბრბო მოყვებოდა ქურთებისა. ბებუთოვი მტერს განზრახვას მიუხვდა და ჭაეჭავაძესთან ინდრენიუსი აფრინა გასაფრთხილებლად, მაგრამ მას სარდლის გაუფრთხილებლადაც შეემჩნია მტრისათვის ეს განზრახვა, თვითონ დაასწრო და ექვსი ესკადრონით ეცვეთა მოწინააღმდეგეს.

ბრძოლა მტერად უსწორო იყო, მაგრამ ჭაეჭავაძეს, როგორც ეტყობოდა, იმედი ჰქონდა თავისი ესკადრონებისა და წარბი ოდნავაც არ შეუხრია.

თურქების ხევზე გადმოსვლის განზრახვისთანავე ხევეებიდან მათივე კავალერია ამოიჭრა და თავის ქვეითებს წინ შერჩეული ლეგა ცხენებიანი კარაბინერთა ორი ესკადრონი აეფარა, მაგრამ არც რუსებმა დააყოვნეს, ისინი დრავუნთა ორი დივიზიონით ეცვეთნ მტრის პოლკებს და მედგარი იერიშით ისინი მათ უკან მდგომ ქვეით ბათალიონებს მიარეკეს და ამგვარად მოწინააღმდეგის მთელი მხედრობა, რომელმაც ხევს გადმოლმა მოასწრო გადმოსვლა, ისევ ხევში ჩარეკეს.

ეს ქარიშხლის პირველი მოგერიება იყო, მაგრამ დრავუნთა ორი დივიზიონისათვის მაინც ძნელი იყო მათთან გამკლავება; ხევს გამოლმა კი მათი გადმოშვება არასგზით არ იქნებოდა, რადგან მაშინ ისინი შინ შემოჭრილ მტერს დაემსგავსებოდნენ.

არც ოტტომანთა სარდლობას ესმოდა ნაკლებ ეს მნიშვნელობა, ამიტომ არ სცხრებოდა და უნდოდა ჯარის ეს ნაწილები, რათაც არ უნდა დაჯდომოდა, ხევს გამოლმა გადმოეყარა. ულანები ისევ ამოიჭრენ ხე-

ვებიდან, მაგრამ ყაზახთა ოთხმა ზარბაზანმა ფრონტიდან და ფლანგი-
დან დაუშინა არტილერიის ცეცხლი, დრაგუნეცი მკერდით მიაწვეს მათ
და უკან დასწიეს, მაგრამ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისკაცმა დრო
მაინც იხელთა, ხევის ამოლახვა მოასწრო და ზევიცა მისი სისასანთა
უკან უკვე მთელი სამხედრო ზაზი იქნა გაშლილი.

ქვეყნაძის ქარივით გაქნეულ ესკადრონებს მოწინააღმდეგის ქვეითი
ჯარმა შუალედის გაშლით გზა მისცა და, შიგ რომ მოიქცია, ტყვია და
ფინდიხი სეტყვასავით დააყარა.

ქვეყნაძე მძიმე მდგომარეობაში ჩაეარდა.

დიდი, მეტად დიდი ნებისყოფა და ეგჯაკობა იყო საჭირო, რომ არე-
ული ესკადრონები ისევ წესრიგში მოეყვანა და გადამწყვეტი იერიშით
შეეტია შემორკალულ მტრის ქვეითი ჯარისათვის. მისი განზრახვა იყო
ოსმალთა კავალერია რამენაირად ბრძოლის არიდან გაეტყუებინა და შე-
რე, სანამ ის თავისივე ბათალიონების უკან ამოფარებას მოასწრებდა, აე-
კება. მაგრამ მისი ესკადრონები ისე იყო დაშლილი, რომ წინსვლა შეუ-
ძლებელი შეიქმნა. მხოლოდ ფლანკერებმა მოახერხეს ალყიდან გამოსვლა.

თურქებმა თავისი უპირატესი მდგომარეობა გამოიყენეს და გამეტე-
ბით უტევედნ ქვეყნაძეს.

შტაბი გადაციცებით ადევნებდა თვალყურს მის მოქმედებას და, რო-
ცა ის ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაეარდა, ბებუთოვი ინდრენიუსს
მოუბრუნდა და ცუდად დაფარული მღელვარებით გადასცა:

— Необходимо во что бы то ни стало, выручить Чавчавадзе.
Послать на помощь две сотни казаков! — და სოტნებიც დაიძრა.

არც თურქები კარგადენდნ დროს.

ქვეყნაძე რომ ამ მდგომარეობაში დაინახეს, ახლა ჭურთებმაც შე-
მოუტოეს.

ისინი ყივიანით და თქრიალით გაეჟანენ ქვეყნაძის ესკადრონებისა-
კენ, მაგრამ ჩაშველებული ყაზახთა ორი სოტნა ეკვეთა მათ და ვაჩნდა
ხელჩართული ბრძოლა.

ჭურთები დამარცხდენ, პირი ხევისკენ იბრუნეს, მაგრამ სოტნები მა-
ინც არ ეშვებოდენ, ფეხდაფეხ მისდევდენ, ზევში ჩაპყენ და ახლა იქ
ჩებდენ მათ დაუნდობლად, ადამიანობის ნასახდაკარგულნი.

მიუხედავით ამ გამარჯვებისა, ოსმალთა ქვეითი ჯარი, სანამ ისევ
ხევედმა არ იქნებოდა გადარეკილი, მაინც საშიში იყო რუსებისათვის.
თათრებსაც კარგად ესმოდათ ამდენი მსხვერპლით მოპოვებული პოზიციის
გადამწყვეტი მნიშვნელობა, საჭირო იყო ამ მდგომარეობის შენარჩუნება.
ისინი თავს უვლიდენ გიაურების მარჯვენა ფლანგს და ასე მიიწევდენ
წინ ნელნელა, დაბეჯითებით.

ბებუთოვმა გადასწყვიტა ისევ უკან მიერეკა ისინი. ქვეყნაძემაც კარ-
გად იცოდა ეს. მას სულ ერთი მუჟა ხალხი შერჩა ეჭესი ესკადრონისა-

გან, მაგრამ სხვა გზა არ იყო, უნდა შეეტრა. აქ აღარ იყო არც დრო და არც ადგილი მტრის თვლისა და ძალთა შეწონვისა. ექვეყნისუფლება და თვალის მომპრელი სისწრაფე იყო მთავარი.

— Орудья на передки, знамена вперед, ура!.. — გაისმა კომანდა.

— Ура-а!.. Ура-а!.. — აგუგუნდენ ყაზახები და ზარბაზნები საომარ ხაზიდან წინ წასწიეს და, მოწინააღმდეგეს პირისპირ რომ დასცხეს, გაისმა ჭავჭავაძის ჩახლანძული ხმა:

— ესკადრონებო სმენა!.. მარშ-მარშ!.. — და ხმალ ამოწვდილი თეთრი ცხენით გაუძღვა წინ.

ყაზახთა ზარბაზნები სულმოუთქმელად გრიალებდენ, ესკადრონებს დაუნდობლად ცხრილავდენ და ისედაც შეთხელებული მწყრივები კიდეც უფრო თხელდებოდა.

დრაგუნები ნელი მარშით მიადგენ მტერს პირისპირ. ტყვია ქარიან წვიმასავით აცვივოდა სახეში. მტრის ზიშტებს ექვსიოდე მეტრით რომ მიუახლოვდენ, ცხენებს გვერდში დეზები გაუყარეს და მოწყვეტილნი ქარიშხალივით შეიჭრენ კოლონებში. ეს შეტევა ისეთი მძლავრი იყო, რომ მოწინააღმდეგე ასიოდე ნაბიჯით იქმნა მიგდებული და უკან დატოვეს დაჭრილ-დახოცილებით საესე ნაკვალევი.

ყაზახთა ზარბაზნებმა ისევ განაახლეს ცეცხლი და კიდეც უფრო დაუზოგველად აყრიდენ ფინდიხს.

ჭავჭავაძემ ისევ მოუყარა თავი შეტევაში გაფანტულ დრაგუნებს და თავისიანების თოფისა და ზარბაზნების ცეცხლის დახმარებით ისევ შემოღებრუნდენ და შეუტიეს, გადაჯეკნეს ოსმალთა ბათალიონების პირველი შერენგები.

ასე ვრძელდებოდა ეს განუწყვეტელი იერიშები, თითქმის ერთი საათის განმავლობაში. ჭავჭავაძის დრაგუნები ზღვის ტალღებივით ეხეთქებოდენ მოწინააღმდეგის კედელივით ამართულ შერენგებს, იფანტებოდენ, ისევ იკრეფდენ ძალას და მოგორებულ ზვირთებივით ხელახლა ებლებოდენ. ოსმალთა ცხენოსნებმა რა თავისი ბათალიონების ესოდენ დიდ გასაჭირში ყოფნა შენიშნეს, შეეცადენ ზურგი გაემაგრებინათ მათთვის, მაგრამ ჭავჭავაძის დრაგუნები და დონის ყაზახთა გულმოცემული სოტნები ისე მედგრად არეკდენ მათ ამ შემდრკალ ბათალიონებს, რომ მოქმედება ვერ გაშალეს და პირიქით მეტ არეკვდარეკვასა და დაბნეულობას იწვევდენ მათში.

ჭავჭავაძის მხედრებმა, მტერი რომ დაძაბუნებული დაინახეს, მთლად გადირივნენ, გამწარდენ და ისეთის გამეტებით უტევდენ მკერდი მკერდს თათართა ქვეითებს, რომ მოწინააღმდეგე წახდა, ჯარი აირია, დამარცხებულმა ბრძოლის ველზე ორი ზარბაზანი დატოვა და ხევს მიაშურა.

შიშითა და დაღლილობით ილაჯგაწყვეტილი, თავგზაბნეული ოსმალთა მხედრები მიგორავდენ ხევის დაქანებულ ფლატეზე და რუსები

კბილთა ღრქენით აყრიდენ ტყვიას, მუსრს ავლებდენ დამარცხებულებს. ხევი აივსო დაქრილ-დახოცილ ჯარისკაცებითა და ცხენებით. ამოდა ვაება, ქიხენი და ვილაც შეშლილის ვულშემზარავი ხარხარი, ხარხარი იგი ამოიჭრა ისევ ხევით და ხევის გასწვრივ გაიქცა *ქიხენი* ცელზე გულში ხელშეტაცებული. ვილაც ფლანკერმა ბევრი *არქანსის* გამოუმინა და ესროლა. კაცმა ჰაერს პირი ძალღივით გაუკაბუნა, დაიწაწანა, წაწვა და წაწკანში ამოხდა სული.

ამგვარად, ჭავეჭავაძის თავამოდებული ბრძოლით ამოცანა ბრწყინვალედ იქმნა შესრულებული: მარცხენა ფლანგზე მტერმა უკან დაიხია და მით ამ კიდურიდან მტრის მიერ ირგვლივ შემოვლა და მარყუშში მომწყვდევის საშიშროება ამორებულ იქმნა.

აქ რომ ასეთი გამწარებული ბრძოლა იყო, მარცხენა ფლანგზე გენ. ბაგოვეტის კავალერიას ქურთები თითქმის ირგვლივ შემოერთყენ, მაგრამ ისინი არც იმდენ საშიშროებას წარმოადგენდენ, რადგან მათ რეგულარული ომის წარმოება არ ეხერხებათ. საშინელი ისინი მხოლოდ მაშინ არიან, როცა უკან იხევ. თუმც ისინი რიცხვით გაცილებით მეტი იყვნენ, მაგრამ ბაგოვეტმა კარგად იცოდა მათი ეს ნაკლი და არ დაბნეულა. წითელ ქურთუკიან ქურთებს მაშინვე ცხენოსანი არტილერიის დივიზიონი ჩაუყენა პირში და ისეთი ცეცხლი გაუჩინა, რომ ცა ძირს ჩამოდიოდა და დედამიწა ზანზარებდა. ქურთებმა ვერც აქ გაუძლეს და უკან დაიხიეს. მათ ოსმალთა რეგულარული პოლკიც წამოებზარა, მაგრამ ვერც მათ გაუძლეს ყაზახების ცეცხლს და სევ ძველი ხაზისაკენ დაექანენ.

ჭავეჭავაძისა და ბაგოვეტის კიდურებზე მდგომარეობა რომ აღდგენილ იქმნა, ჯერი მუხრან-ბატონზე და ორბელიანზე მიდგა.

მათ გადამწყვეტი იერიში უნდა დაეწყოთ.

ეს არც ისე ძნელი იყო, რადგან მეწინავე ხაზი მამაც კიშინსკის ჭონდა გაკავებული. გამარჯვების სასწორი, მართალია, ჯერ კიდევ ირყეოდა, მაგრამ რუსების შეტევითი ბრძოლის წარმოებით, მოწინააღმდეგე შედრკა და ამ მომენტს გამოყენება უნდოდა. ამას გარდა ოსმალებმა თავისი მრავალრიცხოვანი კორპუსი სიდიდის გამო ვერ ამოქმედეს მოქნილად და ეს ქურთებიც, დახმარების მაგიერ, ხელს უშლიდენ, რადგან რიცხვში და მხედველობაში მიღებული იყვნენ და საქმით ვერაფერს აკეთებდენ.

ბრძოლის, ეს მომენტი გენ. ბაგოვეტმა სწორედ შეაფასა, ის მიხვდა რომ ამიერიდან ყველაფერი რეგულარულ არმიისაგან იყო დამოკიდებული, ამიტომ ქურთები არად ჩაავდო, მიუშვა ნებაზე, რომ მისთვის ალყა იყ შემოერთყათ, როგორც მოესურვებოდათ და მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთის კიდურისაკენ გაეშურა, სადაც მთავარი შეტევა უნდა დაწყებულიყო.

მუხრან-ბატონიც იქით გაემართა: რაც არ უნდა დასჯდომოდათ ის ზორცეები უნდა აეღოთ, სადაც ოსმალთა არტილერია იდგა და გასაქანს

არ აძლევდა რუსებს. ჯარი გორაკის კალთებზე წაიყვანა ატმაცურად. ეს კალთები რუსებისაკენ იყო დაქანებული და მათ ზემოდან გომოსცქეროდა.

ორბელიანი მას ემორჩილებოდა, მაგრამ ის რატომღაც მხეცხე იყო და წინ უგულოდ მიდიოდა.

ახლა ისეთი წუთები იყო ბრძოლისა, როცა სამოქმედო გეგმის წინასწარ განსაზღვრა არ შეიძლებოდა და პირიქით ამ გეგმით ხელი შეეშლებოდათ ბრძოლის თინში შესულ მხედრებს. ამიტომ ბებუთოვმა ისინი ამ მომენტამდე მიიყვანა, ახლა მათი საქმე იყო, ან უნდა შეჰკვდომოდნენ, ან იქვე უნდა დაწოლილიყვნენ, სხვა გზა არ იყო.

ბრძოლის მსვლელობა და ხასიათი წუთით წუთზე იცვლებოდა. ამიერიდან ყველაფერი მეომარ გენერლების სამხედრო მიხედვრაზე და სისწრაფეზე იყო დამოკიდებული. გარდა მტკიცე რწმენისა და გულის სილრმემდე დაჯერებისა, რომ გამარჯვება შენია, სხვა არაფერი არ იყო საჭირო.

ილიკოს არ სჯეროდა...

ბაიანდურს შემდეგ მან დაკარგა ხალისი და მთელი ამ ომის განმავლობაში სულ წერაატანილივით იყო.

მოწინააღმდეგესაც არ ეძინა, ის მიხვდა რომ დაჰკრა საათმა და საჭიროა მთელი ძალთა მოკრება, ნებისყოფის დაზიდვა. ამიტომ რეზერვის მარტაფა ჯარის დიდი ნაწილი ამ ფრთას მიარეკა, სწორედ იმ ადგილებში. სადაც ფრთის გასწვრივ წასული ზევი უეცრად უხვევდა და მათკენ მოემართებოდა. ამას გარდა ფრონტის პირისპირ 12 ზარბაზნიანი ბატარეა გაშალა და უკან ქვეითი ჯარიც გამოაყოლა, რომელნიც მტრის შემოტევის შემთხვევისათვის მოგერიებისათვის და მეზარბაზნეთა დასაცავად იყვნენ განმზადებულნი. მარჯვენა ფლანგი კავალერიის რეგულარურ პოლკით ქონდათ გამაგრებული. დაახლოებით 15 ათასმა კაცმა მოიყარა აქ თავი, თუ ჭურთხესაც არ მივიღებდით მხედველობაში.

არც რუსები აყოვნებდნენ. მათ წინააღმდეგ 4 ქვეითი ბათალიონი, დრაგუნთა 4 ესკადრონი და ერთი დონის საარტილერიო დივიზიონი გაემართა.

და აი დაიწყო.

ეს ჯარები რომ ეკვეთენ, ოსმალთ არტილერიის გამანადგურებელი ცეცხლი გაუჩინეს. მათი 12 ზარბაზანი და ერთნახევარი ბათალიონის შტუცერები გადაჯვარდინებულ ცეცხლს აფრქვევდნენ და სახეში აყრიდა ფინდიხსა და ტყვიას რუსებს, რომელთაც მთელი ეს კალთები საკუთარი დაჭრილ-დახოცილებით მოჰფინეს.

— Орудья на передки, знамена вперед, ура!.. — გაისმა და ჯარები წაეიდნენ წინ. ზარბაზნებისა და შტუცერების გრიალში, ცხენთა თქარუნში, ჯარის აგუგუნებულ „ურა“-ს ძახილში დაბნელდა ზეცა.

ჯარი წინ მირბოდა, ტალახში ფეხი უცურდებოდა, ეცემოდენ. ვინც ვერ დგებოდა, ის ან დაქრილი იყო, ან მკვდარი.

მუხრან-ბატონმა, ჯარი რომ დაეზოგა, ხევში ჩაეშვა, შეასვენა და თვითონ მალლა ავიდა პოზიციების დასაზვერავად.

სირბილითა და ყვირილით დაქანცული ჯარისკაცები მდგომარეობისაგან დაჯდომასაც ვერ მიშვებდარიყვნენ. ზურგზე მოკიდებული შიშიმე რანცებით თოფის ლულეებზე ჩამოყრდნობილნი იდგენ სარდლის ბრძანების მოლოდინში.

მსუბუქად დაქრილებმა, ძირს რომ ჩააღწიეს, ლორღში კენესით მიეყარენ, კბილებით სამოსს იგლეჯდენ და შეციებულნი აკანკალებულ ხელებით ჭრილობებს იხვევდენ.

მუხრან-ბატონი მობრუნდა, უნდოდა თავისი ოფიცრისათვის რაღაც ეთქვა, მაგრამ ოფიცერმა რაღაც უცნაურად, თეატრალურად ხელი მკერდში იტაცა და მოწყვეტილი ხევში გადაეშვა. მუხრან-ბატონმა გაოცებით შეხედა სასაცილოდ აფრიალებულ კაცს და ძირს, ლორღში, რომ უსულოდ დაეცა, ახლა მის გვერდით მდგომ ერეენის მეორე ბათალიონის მესტუცერეთა უფროსს პრაპორშჩიკ ფონ დერნონნეს მოუბრუნდა და უბრძანა ან მომკვდარიყო ანდა აი იმ მალღობის წვერი დაეჭირა, რომელიც მთელ პოზიციაზე ბატონობდა, და იქიდან მოწინააღმდეგის მთავარ მსროლელთათვის და ქვემო ბატარეისათვის შტუცის ცეცხლი გაეჩინა.

ილიკოს არ მოსწონდა მუხრან-ბატონის საჭკიელი. ის ზედმეტად ფრთხილობდა, ისე ზედმეტად... რომ ილიკომ ფიქრს თავი გაანება. შეხედა ფონ დერნონნეს, მის ახლად აყრილ ქერა უღვაშებს და მარცხენა თვალს ქვემოდ, თითქმის ყვრიმალის ძვალის ადგილას, პატარა ხალს და დაენანა მისი ახალგაზრდობა. ეს დავალება კაცის უბრალოდ გაწირვას ჰგავდა.

მივიდა ოფიცერთან.

— С богом!.. — სთქვა ორბელიანმა და ხელი მხურვალედ გაუწოდა.

— С победой!.. — ჩამოართვა ფონ დერნონნემ სიტყვა, შემოტრიალდა და შტუცერებს მიმართა:

— Ну молодцы, вперед!.. — და გაემართა.

ოსმალეებმა ხევს მოფარებული ბათალიონები რომ დაინახეს, ცეცხლი გაუჩინეს. ჯარი არც თუ ისე საიმედო ადგილას იყო მოფარებული, და ხელის გაუნძრევლად იხოცებოდა. ამას გარდა შემოდგომის გაციებული მზე ხევში ვერ ატანდა, ციოდა და თან ეს ორკოლი ნიავეც ადამიანის გამზვრეტავად ჰქროდა.

— რას ჰგავს ეს? ასეთ დროს ჯარს ასვენებს და მტერს საშუალებას აძლევს დამშვიდებულად ეუფოს. ან რა არის ეს ახირებული ჯიუტობა?

რათ არ უნდა მთავარ ბატარეას შეუტეოს პირდაპირ? რის მატჩისია, ან რას ვაქნევთ ამ ქვემო ბატარეის აღებას, თუ მთავარ არ ავიღებთ?

გადაწყვეტა აღარ დაემორჩილოს, თუნდაც საველე-სამხედრო სასამართლოში მისცენ პაუზის საგებად და პატივი და ჩინური საქართველო, იმოქმედოს ისე, როგორც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ.

შელაპარაკდენ კიდეც, მაგრამ აქ დავის დრო არ იყო და თავი გაანებეს.

მუხრან-ბატონს გული მოუვიდა, ხევში ჩავიდა, ერევენლებს მოუბრუნდა და საშტურმო კოლონების სათავეში თავისი ბათალიონები გაამწყვრივა.

— Братцы!.. Солдаты-молодцы!.. Пойдем умирать за царя, отечество и правду!.. — მაგრამ ირველივ ისეთი სროლა და გუგუნე იყო რომ სიტყვები მის ახლოს მდგომთ გარდა არავის გაუგონია.

ილიკოს არც ეს „за царя, отечество и правду“ მოეწონა და მუხრან-ბატონის ბრძანების წინააღმდეგ თავისი გრენადერების შვიდი როტა შეაბრუნა და საკუთარი მოსაზრების მიხედვით მარჯვნივ გაემართა, სწორედ იქით, სადაც ოსმალთა მთავარი ბატარეა იდგა.

მუხრან-ბატონი ზევით ასვლისთანავე იქმნა შეფერხებული ოსმალთა ქვეითი ჯარების მიერ. თურქები შტაკიკედ და ურყევად იდგნენ თავის პოზიციებზე და არც ისე იოლად აპირებდნენ ადგილიდან ფეხის მოცვლას, როგორც ეს მუხრან-ბატონს ეგონა.

მათი არტილერია გასაოცარის სისწორითა და სიმარჯვით სცემდა რუსებს და ზარბაზნებს მაშინაც კი სტენილენ ღენითთა და ყურშუშით, როცა მტერი ოცდახუთიოდ ნაბიჯზე მიუახლოვდა.

წუთი მეტად საშიში იყო და საზიფათო, იგი სწყვეტდა ბრძოლის ბედს საბოლოოდ და აი სწორედ ამ გასაჭირის დროს გაჩნდა გაჭირვების ტალკვესივით ესაულ კულგაჩოვის დონის ცხენოსანი არტილერიის მწყობარი, მას უკან ნიევეგოროდელი დრაგუნები და ლინიის ყაზახები მოყვეზოდნენ გენ. ბაგოვეტის მეთაურობით, რომელთაც მედგარი იერიშით შებოუტეეს მტერს ფლანგიდან და ზურგიდან, რამაც ერეენის ეგერები გაამხნევა, და თავგანწირულნი ეკვეთენ მოწინააღმდეგის ბატარეას, მაგრამ ახლა მათ ზემოდან დამყურე ბატარეა არ უსვენებდა. მუხრან-ბატონი ახლა მიხედა თავის შეცდომას. მას ჯერ ის ბატარეა უნდა აეღო, ორბელიანი რომ ურჩევდა, და მაშინ ეს ბატარეაც მის ხელში იქნებოდა.

მარჯვნივ წასულმა ფრიალოს მოფარებულმა ქართულმა გრენადერთა პოლკმა უსროლელად მიადწია ზემო ბატარეის კიდურს და, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგემ, გამოჩენისთანავე, ჯოჯოხეთური ცეცხლი დააყარა თავზე, ისინი მაინც შეუდრეკელად მიიწეედნენ სროლით. წინ ორბელიანი მიუძღოდა ხმალ ამოწვდილი. ხევის ამოსასვლელი ისე ვიწრო იყო, რომ პოლკმა ამოსვლა ვერ მოახერხა. ისინი რიგ-რიგად ამოდიო-

დენ და იმ სიგრაძეზე იყვნენ გაკვირვნი, რომ მეწინავენი მტრის პირველ ზარბაზნებს რომ მიადგენ, უკანანი ჯერ კიდევ ხევში იყვნენ. მაგრამ მოცდა არაფრით არ შეიძლებოდა, სანამ უკანასკნელი კოლონები ამოვიდოდნენ, პირველნი მოლოდინში გაწყდებოდნენ.

ორბელთანმა ეს ელვის სისწრაფით მოისაზრა და მანამდე მისაძინებელი რომ არ იყო, 40 — 50 კაციან მეწინავე კოლონით ბატარეაზე აიჭრა.

თურქები პირველად შედრკენ, იმდენად განწირული და თავალებული იყო ეს შემოტევა, მაგრამ, მათი სიმკირე რომ დაინახეს, მარტაფა ჯარი წინ წამოსწიეს და გაჩნდა ბრძოლა ზარბაზნებისათვის. ოსმალთა არტილერიისტიები სიკვდილს გულდაგულ ხედებოდნენ და ქვემეხებს ცოცხალი თავით არ ანებებდნენ. არცერთ მათგანს ერთი ნაბიჯით არ დაუხევია უკან და, ზარბაზნების გატენას რომ ვერ ასწრებდნენ, იბრძოდნენ რითაც შეეძლოთ, იგერიებდნენ შემოჭრილ მტერს ზუმბებით, სარცხებითა და მიწიდან სახელდახელოდ ატაცებული ქვეებით.

ილიკო მიდის, არაფერს ხედავს, არის ბურანი და რაღაც უცნაური თრობა. და ასე რომ არის, ხედავს ვიღაც ოსმალო არტილერიისტი ფუსფუსობს იარაღთან. ის მარტო დაჩქინდა, მის ირგვლივ ყრია ხროვა და ხოცილ ამხანაგებისა, მაგრამ მაინც არ ცხრება, ცდილობს ზარბაზანი შალე გატენოს, და რომ ვერ მოახერხა, ხმალი იშიშვლა, ილიკო გაქანდა და ხმალი ხმალით გააგდებინა. მოწინააღმდეგე მაინც არ დანებდა, ლაფეტზე აიჭრა. კარტუზში გაჩრილი ყუმბარა საჩქაროდ გამოივლიჯა და გამწარებულმა გურული კილოიანი ქართულით დაიძახა:

— ჰაიტ, თქვენი რჯული და მასაფიც, თქვე ღდინ ძაღლებო!.. — და ყუმბარა მოიქნია.

ილია შედრკა. რაღაც რომ ვასკდა გრიალით და მკერდში დაეჯახა, ეს ყუმბარა კი არ იყო, ეს იმ გურულის სიტყვები იყო.

თვალთ დაუბნელდა, ხელები მოიქნია, უნდოდა რაღაცას წასტანებოდა და რომ ვერაფერს მოეკიდა, წავიდა უბსკრულიდან უბსკრულებში გადაქნეული, სულ ქვევით და ქვევით... გამოერკვა ეს ცა თვალეში მოასკდა სიერცხებით. რა სიმშვიდეა ირგვლივ, ეს ზარბაზნის დრონი ჩამოფარებული ზეცაც ისე გამსჭვირვალეა და ის, იქ რომ ჰფერენს ცაში, — არწივი უნდა იყოს, არწივია უეჭველად და ეს არწივი დნება ცაში მარილივით.

მკერდზე დაიხედა, ოდნავი ორთქლი ასდის, ეს ცხელი სისხლი გადმოსდის და ის არის რომ იორთქლებს.

— ალბათ, სიცივია! — გაუელვა მას და

ხინიკო ხინიკო!..

ხინიკო ხინიკო!..

დაიძახა ვილაკამ.

— ღმერთო, გაუმარჯვე!.. — ამოხდა ორბელიანს და არაქან იცოდა ვის: რუსებს, ოსმალთ, ხინიკოს თუ იმ ოსმალთ არტილერიას.
გრენადერები დამარცხდნენ. უკან იქმნენ მიყრილნი.

რამდენიმე წუთს კიდევ გასტანა რუსებსა და ოსმალთს ბატალურმა ცეცხლმა. გამარჯვების სასწორი მერყეობდა. რამდენიმე დააჭერდა პინას ხელს გაბედულად, ეს გამარჯვება იქით გადაიხრებოდა და აი ამ ხელის როლი გენერალმა ბაგოვეტმა ითამაშა.

ბრძოლა რომ სულ მთლად გამწარდა, აი იმ დროს გადაფრინდა ბრძოლის ველზე შავი ყორანივით გენერალ ბაგოვეტის შავი დროშა ფრიალით და მდინარეს ზედ გადაეველო. ლინიის ყაზახებმაც ყიყინით შეუტყეს მოწინააღმდეგის ულანებს და მილეწეს ისინი. დრავუნთა დივიზიონმა ოსმალთა მებრძოლ ხაზს ირგვლივ შემოუარა, ზურგიდან ეკვეთა თურქებს და გაჩნდა გამხეცებული ყიყინა უკანიდან წამოჭროლილი მხედრებისა:

— დაყარეთ იარაღი!.. დაყარეთ იარაღი!..

— იარაღი დაყარეთ!.. დაგვენბდით!.. — გამოეხმაურა მათ დანარჩენი ჯარებიც გუგუნით და

— ურრა-ა!.. ურრა-ა!.. — დააყრუა მიდამოები იმპერატორის ძღვევამოსილმა არმიამ.

— ურ-რა-ა!.. ურ-რა-ა!.. — ბლაოდენ ისინი გამარჯვებულნი, რომ ისევ ძველებურად გაძაღლებულად ეცხოვრათ მომავალ ბრძოლამდე და დღეს შემთხვევით აცდენილ სიკვდილს ხვალ შეხვედროდნენ ამ ბასურმანების მიწაზე.

— ურ-რა-ა!.. — გუგუნებდა ჯარი სისხლში, ტალახში და თოფის წამლის კვამლში მოდღურულნი საზარელი გულის გამგმირავი ხმით. და ეს ყიყინა იყო ყიყინა სიხარულისა, რომ ცოცხალი ხარ და არცერთ მათგანს არ ესმოდა თუ ვის რათ უნდოდა ეს გატრამალეებული მიწები, თავს რომ აკლავდნენ, ეს იქ იცოდნენ, შტაბში, ანდა იქ, სანკტ-პეტერბურგში.

დონის საარტილერიო მწყობრმა მამაცად გადაიარა საშინელ რიყიანზე უგზო-უკვლო ადგილებში და მოწინააღმდეგის ფლანგთან 50 ნაბიჯის მანძილზე მიახლოებულმა ფინდიხი დააყარა.

ამასობაში ორბელიანის გრენადერთა ბრიგადამაც მოითქვა სული, რის ვაივაგლაბით ხელასლა აფორთხდა ხევის ციკაბო ნაპირზე და, ძირს დაღებული ხიშტებით უორბელიანოდ რომ დაეჯახა მტერს, შიგ შუა გულში შეიჭრა.

ოსმალნი შედრკენ.

მათი მებრძოლი ხაზის უკან მდგომი ბათალიონები აფუსფუსდნენ. მიუხედავად საშინელი წუთისა მაინც შესძლეს, მტრის მოლოდინში, გასაოცარის წესრავით თვალის დახამხამებაში მწყობრ კარრედ დაწყობილიყვნენ, კუთხეებში ზარბაზნები ჩაიდგეს და მტრის დასახვედრად მოემზადნენ.

ნიეგოროდელი დრავუნების მესამე დივიზიონი ზომიერად ჩორთით გაემართა მათკენ, მაგრამ ისინი მაინც არ ტყდებოდნენ. — თოფი... ეს ზარბაზნის თავგამეტებული სროლით დაუხვდენ მათ და 25 ნაბიჯის სიშორიდან ცეცხლს პირში აყრიდნენ.

უკრაინული
პირობები

უკრაღ სროლაში გაისმა ბრძანება:

— მარშ-მარშ!.. — და იმავე წუთს დივიზიონერი თავისი ბრძანებით ჰაერში იქმნა ზიშტით აქნეული, მაგრამ წუთიც და დრავუნები შუა კარრეში ისხდნენ, ჩეხდნენ, კეპავდენ კბილდალრჭენილნი, გამხეცებულნი, რუსული დედისა და ჯიგრის გინებით.

და ასე, ამ გინებაში დაწვა მოცელილი და ცხენებით გადაჯეკნილი ოსმალთა ეს საფლანგო ბათალიონი ისეთივე წესიერი კაროეთი, როგორც იღვა.

ოსმალნი დამარცხდნენ.

მათი მარჯვენა ფრთის თორმეტი ბათალიონი და ექვსი ესკადრონი არც შეცდილა ბრძოლა განეგრძო. შიშით თავგზააბნეულნი თავისივე მარცხენა ფრთას ზედ მიაწყდნენ, მაგრამ ყოფილი დეკაბრისტი გენერალი ბაგოვუტი მაინც არ ცხრებოდა, დრავუნებითა და ლინიის ყაზახებით დამარცხებულებს დაერია და ცელავდა ბალახებით.

ომი ვათავებული იყო, მაგრამ ელეტა მაინც გრძელდებოდა, იმპერატორის ძღვევამოსილი გამხეცებული არმია, არმიას კი არა. კაცის მკვლელთა ხროვას წარმოადგენდა, რომელიც მუსრს ავლებდა იარაღაყრილ და მორჩილებულ ხალხს.

ოცდაორი ზარბაზნი დარჩათ რუსებს დავლათ და ათასობით დაჭრილ-დაზოცილნი ეყარენ ბრძოლის ველზე ორი ვერსის მანძილზე.

ბინდდება.

სიცივე თანდათან უკერს და გამლხვალი მიწა იყინება თანდათან.

ბრძოლით შეზურებული ჯარისკაცები დაშოშმიდნენ და ისე არიან დაქანცულნი, სულიერად მოწყვეტილნი, რომ არაფრის თავი არა აქვთ. სიცივით მოძუძგული სანიტარები საკაცეებით დაჭრილებს კრეფენ.

ეს ვარსკვლავებით მოისირმა და ეს ბუზმენტიანი ლავვარდი დასკვერის მიწას კალთა ვადაშლილი. კენესა, ვაება, დაჭრილი ცხენების ჭიხვინი და მიწაზე ბათქუნი არღვევს მყუდროებას.

სადღაც მგლები აზმუვდნენ და ლეშის სუნნაკრავი ტურები კივიან ისე, რომ ეს ძირს ჩამოაქვთ.

— ძმებო, საყვარელო, ხა-ხა-ხა!.. — გაისმა ვილაცის შემლილი ხარხარი სიბნელეში. ეს ხარხარი ჟრუანტელის მომგერელად გადაველო ბრძოლის ველს, აიჭრა ცაში და იქ გადმოეკიდა.

ხნიკო ხნიკო!...
ხნიკო ხნიკო!...

ორბელიანი გამოერკვა, წამოვარდა, მაგრამ რომ ვერ ადგა, მიხვდა დაქრილია. წაქცევისას ხელი ცუდით დასტანებია წელ ქვეშ და რის ვაივაგლახით გამოიძრო. თვალები დახუჭა, ისევ გააბილა, — *ცაა, ცეცა-ა-ა!* და ხედავს როგორ ეშვება ძირს კოკლი ფეხების რწევით ის ქუხუო, ორი ჩჩვილი ბავშვით და მას არაფრის თავი არა აქვს, არაფერი არ შეეხება და თვალებში ფანრის სინათლე რომ შემოესხა, ამოიკვნესა:

— ვინა ხართ, ან რა გინდათ?

— ჩვენა ვართ, თქვენო აღმატებულებავ! — მიუგეს და რომ ასწიეს, ეგონა მიწიანად აიღეს და ისე ჩადეს საკაცეში.

საკაცით აწეულმა ბრძოლის ველს რომ გახედა, ხედავს აქა-იქ ანთია ფანრები და სინათლეები ფათურობენ დაზოცილებში, მათივე აორთქლილი სულებივით; ეს, — დაქრილებს კრეფდენ.

— დედია!.. დედია!.. — ამოიკვნესა მის გვერდით ვილაცამ.

— მოიცათ!.. — შეაჩერა ილიკომ სანიტრები.

— ისიც... ნუ დასტოვებთ!..

სინათლე რომ დაანათეს, იცნო, ეს ის ოსმალო შტაბ-ოფიცერი იყო, ყუმბარა რომ ესროლა.

— ვინ ხარ შენ, ძმობილო? — შეეკითხა ილია, როცა საკაცე მის საკაცეს გაუსწორდა.

— გურული ვარ, ძამიავ!.. გვართ ჭყონია!.. — მიუგო დაქრილმა, მაგრამ ილიას მისი თავი აღარ ჭონდა, წავიდა თავდავიწყებაში...



ვარლამ შურული

ნარაზენი

(პოემა)

პ რ ო ლ ო ბ ი

იმდენი მაფიქრა ამ ერთმა პოემამ
ჯობდა რომ ამელო გუნების სიმაგრე.
მგონი ყველაფერი შიგ მოიპოვება,
რასაც შთაგონებით მიეწვდი და მივაგენ.

გულდასმით აეწერე ხეების ცხოვრება,
და რაც სიყვარულით დაეწვი, დავითვერ,
ნაჯახის ტყაცუნით ტყე შემახსოვრება
ხეებს რომ უჭრიდა ხისავე ტარითვე.

არ მიქია მთვარე რიონში რომ იწვა,
არც ბულბული შტოზე ნაწყენი რომ დარჩა.
ისე გადაეხატე სამეგრელოს მიწა
წინ არ ამფრენია ქაობიდან ყანჩა.

პოემად ვაქციე ნამდვილი ამბავი
წინანდელი სოფლის ფარული მწუხრისა.
სტრიქონში შრიალებს ტყე დაუსტამბავი,
ისმის ხმაურობა ნარაზნის მუხისა.

ვცადე ამესახა ჩვენი საუკუნე,
გამელო ბუნების საიდუმლო კარი.
შოთას დროინდელი ხეც ავაგუგუნე,
და როგორც მინდია მიწას მივეკარი.



წინად მამლერებდა კლდეები ფრიალო,
 დღეს კი — წალკოტობა კოლხეთის მდელიოტყევესწაღ
 მოწყურებული ვარ მეც ავაგრილო მინგლისწყინისა
 ჩაის ბუჩქებიდან დაძრული ებოსი.

მინდა ეს გულისთქმა დამიჰქენეს, დაობდეს,
 ხალხში თუ გავუშვა ლექსი ნაჩქარევის..
 მამონტის კბილივით გაუძღლებს თაობებს
 ჯანიერ პოემის ნათელი პწყარები.

სიმღწეა პირველი

დადიანის ბაგცევა

იყო ნარაზენი უდაბურ და უღრან —
 ტყეში ნადირობდა ლევან დადიანი.
 ხოხობს რომ ესროდა, — ზუოდა მუხნარი,
 თოფით აღვიძებდა ტყეს ადამიანი.

აქაიქ ხარობდა ურთხელი და ძელქვა,
 ცისკენ აწვართული, რტოებ ჩახლართული;
 ტყეც იმას გეტყოდა რაც არ უნდა გეტყვა,
 თაედაზრილ ხეებს დუმვილით გართული.

ტოტების მტერევესაც ხმა ჰქონდა ჩახჩახა,
 როცა ქარს მინდვრიდან მიმოქონდა მტვერი.
 ბატონის მათრახმა ვინც გააყაჩაღა
 მუხების ჩრდილის ქვეშ იფარაედა ტვერი.

ბუნაგში ღმუოდა მშიერი ნადირი,
 და ვიდრე რიქრაყით ინათებდა სერი —
 კნაოდა ტურა და ხაშმით ანატირი
 ტბორიტბორ ფრინაედა ტროპიკული მწერი.

გამჭრიახ თვალშიაც ველარ ეტეოდა
 ლევან დადიანის ვეება მამული.
 სამეგრელოს ტანტის გულზევიად ფეოდალს
 ტვერი შერჩენოდა ცვარით დანამული.

კვალიკვალ დასდევდა ფეხმარდი მწევიარი,
 შველის მიგნებაში მარჯვე და უცილო.
 იყო ნადირობით თაეშემაქცევიარი,
 თავს დაწრიალებდა ტყე საუფლისწულო.

არ აკლდა ნადიმი პურ-ღვინით ხაჭები,
 არ მონატრებია ორაგული, თართი;
 უყვარდა ქეიფი, უცხო ქალაქები,
 უქმად ხეტიალი, ქალები და კარტი.



რაც მთელი ქონება ბანქოში ჩაყარა
 ხიბლავდა ახალი თუმნიანის ფერი!
 სიზმარშიც ახსოვდა ფურთი და ბაქარა,
 ხან კი: ტუზიანზე დაცემული ბერი.

ზრავალთან მოსვლია თავადური ომი,
 მრავალს გაუთენა წლები ავდრიანი;
 და როგორც ამბობენ — ხალხის გულისწყრომით
 სოფლიდან გაიქცა ლევან დადიანი.

სიმღერა მეორე

ნარაზენის ღამე

მაშინ იწყებოდა ნარაზენის ღამე,
 როცა სამეგრელოს შემოსავდა ბინდი.
 მხეცს ენატრებოდა მთქნარებით სიამე,
 იქ, სადაც ტყე იდგა სიკვდილივით რინდი.

თოვლი ქათქათებდა მუხების გარშემო,
 ყინულით ეკიდა ტოტებზე ზამთარი.
 ნადირს აღვიძებდა თბილი სისხლის გემო,
 დილამდი ყმუოდა მშვიერი აფთარი.

ხარის ხერხემალზე დათვი შემდგარიყო,
 ხრავდა და ამტვრევდა ძვალთან გამკლავებით.
 დათვის წინ: ბუნავი, მალლა კი: ცა იყო,
 ნათელ წერტილებად ჩანდნენ ვარსკვლავები.

სადაც გულსაზარად გაჰკიოდა ჭოტი,
 ირზეოდნენ ჭირბლით შევერცხლილი ხენი.
 ცხენს უვლიდა მგელი მგლურად ანაშფოთი,
 კიხვინობდა ლაფშა გაეა შენაკბენი.

სუსხით გათოშილი მდუმარებდა შაშვი,
 ესე იგი — შტოზე არ გალობდა იმ ხმით!
 ნარაზენის გაღმა, ლაქაშების ფშანში —
 ნელი ცურვა-ცურვით ყვინთაობდა იხვი.



ნატრობდენ ყანჩები მთვარისკენ ყურებით
 როგორმე ეხილათ მომავალი დილა!
 სულ ისე ჩხაოდენ სოროდან ტურები,
 თითქო მიიცვალენ დამან და ჭილილა.

ღმუილის დროს თურმე სანადირო ნუსხას
 მუხის ხმელ ფოტროში ინახავდა დათვი!..
 მუმლის მოსაძრობად ეხვეოდა მუხას
 სისხლით შეღებილი კლანჭიანი თათი.

ლპებოდენ ფოთლები მცენარეთა მხრიდან,
 რკოც ბევრი ეყარა ნეშოების შიგნით.
 ყნოსვით და ღრუტუნით მიწას მიმოთხრიდა
 გარეული ტახი ეშვიანი დინგით.

ნაქარბუქი თოვლი ტყეს ჰყინაედა, რადგან
 ვერ აშრიალებდა ზამთრის სივარამე.
 როცა სამეგრელოს განთიადი აღგა
 ჩუმათ მიდიოდა ნარაზენის ღამე.

სიმღერა მესამე

ნახევარი მთვარი

დაკრავდა ბორიო, შრიალებდა ტვერი:
 უფრო უდაბური — რა გეხილა თვალო!
 ვილაც გერმანელმა იწადინა ბევრი,
 ხელში რომ ჩაეგდო ტყე საამნადაელო.

და რომ შეიძინა თავადის მამული,
 ვერხვები აჩეხა რტორტო ვადაბმული.
 ხმებოდა ნაჯახით დაკოდლილი ძელქვა,
 ქვის შესაბრალისად ქვის სახელი ერქვა.

აპრა და აკაფა ხეები ნარული,
 მიწაზე დაამხო ტანშოტი მუხები.
 ტყე დაიმორჩილა ქართაგან ფარული,
 ტყე აღამჟამიერ, ყრუ და ხელუხლები.



ზაფხულში მწვანობდა ტევრული ფართობი;
 წელამდი ბალახებს ცვარავდენ დილები.
 დილითვე ბოლავდენ მთელი ტანადობით
 ცისკენ აშოლტილი საჭარხნო მილები *).

შორიდან მოჩანდა მინდორი ტიალი,
 ბალახობდა ბანძას მოპარული ცხენი.
 ცხენს აქეთ — ფოთლების ნელინელ შრიალით
 ეცემოდენ ძირში მოკვეთილი ხენი.

გლესს აძაბუნებდა ცხოვრება ყოფითი,
 ტყეტყე სიარული, ვეერივეერ წანწალი.
 გლესს მაინც უყვარდა ძელქვა და კობიტი
 თითო დღის სახერხი რომ იყო ცალცალი.

ცულით და ურმებით მუხნარი იძვრთდა,
 გზადაგზა ეყარა ტოტის ნახლეჩები.
 გადიოდა ხე-ტყე ნაირნაირ ფიცრად,
 დგაფადგუფით ქრიდენ ტალახს კამეჩები.

რიჭრაყიდან უღელს ხარკამეჩი წევდა,
 შოლტზე ეხვევოდა მეურმეთა სევდა.
 ურმულს შეადგენდა მოწოლილი დარდი:
 — ჩქიმი დარინალი ნარი რე დო ბარდი! **)

ვისაც ტროპიკული მალარია ცდიდა
 ღამღამით ხაშმავდა ნარაზენის არე.
 ღმუროდა მგელი და სამეგრელოს ციდან —
 ფშანში ბანათბდა ნახევარი მთეარე.

*) გერმანელმა მრეწველმა ნარაზენში მოაწყო აგრეთვე არაყის სახდელი ქარხანა, სადაც:

დაზგებთან ისმოდა ხმაური, ჩოჩქოლი,
 ჩანდენ სახეები უილაჯო, ფიფრი,—
 სპილენძის ქვაბებში დუღდა ალკოპოლი,
 მახლასა და ჭაჭისგან იხდებოდა სპირტი.

**) ჩემი სამყოფელი ბარდია და ეკალი.

სიმღერა მეოთხე

ტყევის ბაზაფხული


 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ნარაზნის ხეების სიკვდილი სწრაფია,
 რკინასთან ბრძოლაში დაეცა მრავალი.
 ნაჯახმა დაწერა ტყის ეპიტაფია,
 დაცხო და აკაფა ტყერი წარმავალი.

ხუთასი წლის წინად ამოსული მუხა
 ქვეშ არ ატარებდა ჯოჯისპირულ წვიმას;
 დაასკდა მიწას და ტყემ წამოიქუხა,
 მოტეხილი ტოტი დაუფარდა წინ მას.

ხეო განწირულო, ხეო ბედტიალო,
 ძირში ახერხილო, დაბლა გაშწვართულო,
 პოემის პწკარებში მინდა იშრალო,
 მეგრული ოღების საძირკველად დართულო.

სად ქარი არწევდა მცენარეს დროდადრო,
 (ეს თქვენაც გეჭნებათ მინდორში ნახული!..)
 ცვარით და ამინდით ტშოზე ბინადრობდა
 მერცხლის მოტანილი მწვანე გაზაფხული.

და რომ გაზაფხული ტყეს ირგვლივ ეტურა
 მთელი დღე ეიოდენ ბუჩქებზე ჩიტები.
 რტორტო ფრთხილებდა აქაიქ ბელურა
 ზაერში საჭერად მწერს განაკიდები.

ტყეს ხშირად უვლიდენ გუნდები წეროთა
 ჩრდილოდან ორპირის ცისაკენ მცურავეი.
 ჭიოდენ ბარტყები მუხის კენწეროდან
 ჯერ კიდევ ბუმბულით ტანშეუბურავეი.

ცხოვრობდა ბულბული შტოს შეფარებული,
 უსტვენდა ფოთლებში გახლართულ ალიონს.
 მისი სიმღერების რჩეული კრებული
 გაფანტა ქარმა და ვინ შეინანიოს!..

როცა წიფობისთვე ატიტვლებდა ხეებს
 ქვეშ ეყარა ნეშო სპილენძის ფერადი.

ელტვოდენ ფრინველნი სამხრეთის სიკვებებს,
ფრინაუდენ ინდოეთს იქ დაზამთრებამდი.

ერკინული
გინგლირთისა

დღეს კი აჭრილია ტვერი ნარ-ბარდება,
და სადაც იღვიძებს აბალი სოფელი, —
ჩაის პლანტაციის შენებას ხმარდება
კოლხეთის მუხების ძველი სამყოფელი.

სიზღარა მისუთი

ხის ბარდაცვალება

ხემ ისე დალია მცენარული სული —
ფოთლებით ასხურა ვარამი და თქეში.
ძირს რომ დაეჯახა მოვარვარე ცული,
ხე გარდაიცვალა ნარაზენის ტყეში.

ცხრაასი ზამთარი წელში ვერ მოტეხდა,
რომც ჩამოწოლოდა ჩამოყინულ ტოტებს.
ტყემ ისე გამოთქვა სამძიმარი ხეთა
დაკოდილი მუხაც მიწას ააგოდებს.

ხე პატარა რკინამ დაამხო და დასცა,
დასცა და სიკოცხლე მოანატრა ფრიად.
სოფლიდან მისულმა თითისხელა კაცმა
ცულით დაამთავრა ხის ბიოგრაფია.

აღბად რომელიმე სახლად აიგება
შუთნში და ეკალში აწვართული ტანი.
როგორც ხე — მოკვდება, შენობა იქნება,
რომ იყო მუხის და შერეხის ამტანი.

გვაგი აწვევებდა, თოვლი აბარდნიდა,
ხრიდა ჭალიკონი და ხშირი ჭაროზა.
ხემ შეიხრიალა უდაბურ ბარდიდან,
როცა მოქალაქემ დაჭრა და დართფა.

მიწას დაანარცხა გაშლილი შტოები,
შეატყდა ქერჭი და გამოჟონა წვენი.
ტყიდან წასაღებად კამეჩი მოება,
თრევათრევით დაძრა პირქვე ჩანაწვენი.

ვცხო და ეფარა ტალახი და ნეშო,
 გვერდში ჩადგომოდა წყალი ნაწვიმარი.
 ნეტავი რა არი ხეზე უნუგეშო,
 როცა გაშხვართული გდია და წინ არი?!



ხის ტოტებს ელოდა მრავალი ბუხარი,
 ტანს კი — რაიონის სახერხი ქარხანა.
 ხეს ეთხოვებოდა ყოფილი მუხნარი,
 ცულის დაგადუგმა რომ არ გაახარა.

რტოებ ქვეშ ფრინავდენ დამფრთხალი ჩიტები,
 ფრინავდენ, ჟიოდენ ხმა მოკახკახენი.
 ხეს რომ ამარცხებდა კაცის შეჭიდება,
 — გვეჭრიანო, გვეჭრიანო! — იძახოდენ ხენი.

მიწასაც ესმოდა მცენარეთა ოხვრა,
 ტყე უფრო ღმუოდა — ხეების კრებული.
 ტყე ღმუოდა, როგორც დამშეული ხროვა
 ჭექის და დელგმის დროს მუნ შეფარებული.

და როცა მინელდა ტყის ადანდგარება,
 და როცა აიჭრა ტევრი ხელუხლები,
 ვნახე და გავთალე პოემის პწკარებად
 აწ განსვენებული ნარაზნის მუხები.

სიმღერა მიწასა

გატხილი შამირი

ჭუსლი რომ დაგადგი ნარაზნის მიწავ,
 პწკარში ჩამივარდა სიყვარული შენი.
 გატიალდი, გატყდი, ნაეკლარებს იწვავ,
 გასწორებენ, გთხრიან მანქანები ქშენით.

ნატევრალს მიწავ! ნამუხაროს მიწავ!
 სად წასულა, საით უღრანული ტევრი?!
 შარშანდელი წლიდან სიმღერებით გიცავ,
 ვერ ვითხარი, ვერა ზღვა სათქმელი, ბევრი.

იანვარი იყო... და ქარ-ყინვის დროსაც
 ტოტებიდან ტოტზე ეცემოდა თოვლი.

ხეში წყალი ჩადგა, ხე უონავდა, როცა
თებერვალი დადგა ქალიკონის მოვლით.



ღრუბლაობდა მარტი, ნისლაობდა მარტი, ^{ერკონულნი}
ხან მთელი დღე წვიმდა, ხან თქორავდა ^{ქიკულიძისა} მარტო.
აპრილიდან გაქრა მცენარეთა დარდი.
ვაიხარე კიდევ გაზაფხულის ვარდო.

ტყეს რომ დააყარა სიმწვანე მაისმა
შტოს მიუგალობა იაღონმა თურმე.
სადაც ხელმეორედ მისი ხმა გაისმა,
"სმენად გადაიჭკა გამვლელი მეურმე.

რა იენისი იდგა, რა იელისი იდგა,
სამეგრელოს ფშანებს ადუღებდა გვაღვია.
ნიაღვრული საცხტე იდგრებოდა მზისგან,
უხდებოდა ხოხობს ბალახებში მალვია.

ოქტომბერი იყო... და რამდენად ვიცი,
ხის ჩონჩხების ძირას გროვდებოდა ნეშო.
ცივი ქარით რეკდა ნოემბერი ცივი,
ითქრიალე ზამთრით მოვარდნილო თქემო.

ნაკორდალო მიწავ! ნაძელქვარო მიწავ!
გორაკიან მკერდზე გადაგწვია ნარი.
ვინც დაგიბყრო, დაგცა, მის გმირობას ვფიცავ.
გიწკრიალეებს, გიფლერს ამდროული ქნარი.

სული რომ ახლოა მანქანების მტვერთან,
აწ ვატეხილ ყამირს სიყვარულით ვიცავ.
სახელმწიფო ჩაის დიდებასთან ერთად,
ჩაიბარე ქება ნარაზენის მიწავ!

სიმღერა მეზვიდე

მოგავალო გუჯაო!

ვინაც ცვილონად უღრანი აქცია,
მეც მისი გმირობით ამღერება მერგო.
გიმღერი კოლხეთის ჩაის პლანტაციავ,
ძვირფასი ფოთლებით დაყურსულო ნერგო.

ჩინეთში დატოვე პირველი სამშობლო,
 მოდი და მოქარვე სამხრეთის მთა-ბარი.
 საბჭოთა მამულში თავი არ აობლო
 შორს რომ გეგულეება მწვანე წინაპარი.



არაბეთს გიპოვა ბედუინმა წინად,
 თაზისს ამკობდი პალმების ქვეშ, მარტო.
 ახლა საქართველო გაიჩინე ბინად,
 ზღვამდი დაგიპყრია სამფლობელო ფართო.

ისე გაგიტყდება აქაური არე
 ცვარად შეგერგება სამეგრელოს დელგმა.
 ბალახში ჩაფლულს პატარა მცენარევე,
 შენს გაზრდას უყურებს სახელმწიფო გეგმა.

მკერდში ჩაეხუტე ნარაზენის მიწას,
 ყაშირში ჩააწე უნაზესი ფესვი.
 მომავალო ბუჩქო! რა იცოდი იმ წამს,
 თუ ციების 'შხამიც სიყვარულით შესვი.

მომავალო ბუჩქო! რა იცოდი მაშინ,
 თუ ბოროტი კოლო გიბზუოდა წინ და,
 თუ შავი ზღვის ნისლი ნისლაობდა მთაში,
 და ორპირის ირგვლივ ხეაერიელად წვიმდა.

მომავალო ბუჩქო! რა იცოდი იმ დროს,
 თუ გაქონდათ ფშანში გადამწყვეტი ლელო,
 თუ მთავრობის გეგმით დახატავდი მინდორს,
 და მოგცემდა იერს სახელმწიფო მდელო!

ლამლამით გადგია ვარსკვლავების სიბოძო,
 ხან კიდევ: მთვარე და ხეტიალი მისი.
 გორაკების გულზე თავს ნიავეით ირობო,
 ირხევი და ჩუმი შრიალღივით ისმი.

კოლხეთის მთადაბარს წალკოტი აცვია,
 კოლხეთს აღიდებენ ჩემივე პწკარები.
 და როცა გიმღერი ჩაის პლანტაციავ,
 სიმღერას ხედებიან მწვანე ბუჩქნარები.

დასახრული პოემის პირველი ნაწილისა.

მიხეილ მრავლიშვილი

მ ი შ ი

(მოთხრობა)

არტანელი შერქრდა ვხაჯვარედინზედ და ამაყად გაჰხედა გულგადაღადრულ მიწას. მთის კალთებში წვებოდა მზე და უკანასკნელი სბივი თავმოჭრილი გოლიათისა ეთხოვებოდა მსხლის წვეროზედ შეწითლებულ ფოთლების თაიგულს. ცერები უცაბედათ მოვარდნილი ნიაღვრისა მძივებივით დაკიდულიყვნენ ზის ტოტზედ და ნაგვალვი მიწა ხარბად სრუტავდა ნანიღვრალსა.

არტანელმა გახჰედა თვალუწედნელ ზერებსა და თვალები მილულა. ლურჯად ლივლივებდა ნაშაბიამნარი ფოთოლი ვაზისა და ეალერსებოდა ქარვად დაფერილ რქაწითლის მტევანს, — დაყურსულსა და ჩაკვირიტებულს, ნოყიერსა და სავსეს. მარცვლებზედ სანთელივით დაღვენთბლიყო ნამი ნაწვიმარისა, გადაერეცხნა ნაცარი, ობი, და მტევანი ისე იყურებოდა ფოთლებიდან როგორც ახლად დაბანილი დიაცის წითური ლოყა. უკანასკნელი სხივები მზისა ჩუმად შეჰპარვოდა ფოთლებს მზისუნაჩავთან და ეკონებოდა გულსავსე საყვარელს, აბრჭყვიალებულს მარკალიტებითა და ნაწვიმარის ნამით.

არტანელმა აპხედა ცას, ქუდი შოიგლიჯა გამარჯვების ნიშნად და გადაიხარხარა. სიცილი გაიშალა, მოედო ზერებსა და ანიღვრებულნი რიყის ღმუილში ჩაილექა, ჩაქოთქოთდა.

პირგადაწმენდილ ცაზედ ცისარტყელა გადაიშალა. პაერს მოედო სენი დამწვარი მიწისა. ნელა გამოძვრა ლურჯკულა ხელიკი ბარდნილებიდან და ნაგოხარზედ მზის სხივებში გაწვა და ანებიერდა. აყიყინდა ჭაობში ბაყაყი, ხე-კაკუნა ჭანდრის წვეროზედ საათივით აკაკუნდა. ოფოფმა ჭოჩორი გაშალა. შაშვმა შინდიანში ჩაიგალობა და ცვარს დაეტანა ფოთლის წვეროზედ აალმასებულს — გული გაიგრილა, ნექტარი შესუტა მაცოცხლებელი და კვლავ ჩაუმღერა, ჩაუქიკქიკა.

არტანელმა ქალამნები სარტყლის თასმაზე მიიბა და ნელა ჩაუარა ნათობარ კვლებს. ფეხის ტერფს მოედო ნამის სიგრილე და თითები ჩაიფ-

ლო ნოყიერ ნიადაგში. არტანელი დასწვდა ვაზებსა და ქვივო/ გაუსწორა. ფრთხილად შეარხია, რომ ნამი მოსკლოდა აკიდობდათ დაძინებულ ვაზის ტოტებსა და ჩხად აბმული ყურძნის ტევნები შეათამაშა, ხედვით შეათბო და მოუაღერსა.

საყარაულოში ტკბილად მისძინებოდა ყარაულს, მსგავსეჭარის სუნით დამთერალსა და გაბრუებულს. ბერდენა საყვარელივით მიჰხუტებოდა გულზედ საცოდავსა და, სიზმარში წასულს, ხმელი თივა ლოგინი ეგონა თავისი დედაკაცის ხელით გაშლილი და ნააღერსევი.

— ჰაი დედასა! — შეჰყვირა არტანელმა და კბილები ვააკაწკაწა.

ყარაული თოფნაკრავივით წამოიჭრა ნასიზმრალიდან და რეტ-დას-ტბული, ტყირპჩაიმოსული დრონჭივით მიეგდო ჩამჭრალ ბუხართან.

— ჰაი და ლაფათყურელო აქტივისტო! — შეჰყვეფა კიდევ არტანელმა და ჩოხის უბიდან უბის წიგნი ამოათრია. უღვაშებზედ ნამიანი ხელი გადაისო და წიგნაკი გაშალა.

რეტმორეული გამოფხიზლდა, ლიტრა მონახა და გული გაიგრილა. მერე აფრუტუნდა და დარცხვენილმა თავი დაჰხარა.

— უნდა მაპატიო — წაილულღულა ბოლოს და ბერდენას დააცქერდა ოხრად მივდებულს.

— ტკბილია ძილი, დორბლიანო?!

— ანგრე!

არტანელმა წიგნაკში რაღაც ჩაიწერა, წიგნი დაკეცა და უბეში ჩაიდო.

— უნდა მაპატიო — გაიმეორა ყარაულმა.

— არა იქნებარა, ჯილაგ წამზდარო, კრებას მოვახსენებ და იმან გიზღოს. — დასძინა მოსულმა, ნელა შეტრიალდა, გაშორდა ყარაულს და კვლად კვლებს ჩაჰყვა.

ყარაულმა გაჰხედა მიმავალსა და, ჩაფიქრებული, ხალიჩად გაშლილ, გალურჯებულ ვაზებს დააკვდა.

ნაკვალევის სივიწროვეში ერთხელ კიდევ გადაიჭროლა არტანელის ახმახმა ლანდმა და ნაგუბარზედ დაღვენთილ მზის სხივთა მზგავსად ისიც გაჰჭრა, დაეშო ფერდობზედ, შთაინთქა ნაორთქლში, ნანიაღერალში.

ლაფათყურზედ გადმოდგა მთვარე და ნაადრევი შემოდგომის ნასუსხარმა ქარმა, ყურძნის ტევნებს ღამის თრთიმლი შემოაბერტყა.

თეთრი ვარდივით გაიბარდნა გულგაშლილი სექტემბრის ღამე. დატკბა ყურძენი.

ქარვად იქცა რქაწითელი.

საფერავი გიშრად დამძივდა.

ხარისთვალამ გული გაუძღოს უმაძლარსა.

ბუდეშურმა ნაზად დაჰხაროს ძუძუსკვირტა მარცვალი.

ათაფლდა ველი ნოყიერი. მოვარდა მთიდან სუსხი ცივისა, დააწვა დლით კაშკაშა მზე. ანოყიერდა ალაზნის ველი. გაღხვა მიწა ქატოსავით

გადაფშენილი. ნარიყალი, ნათიხნარი. ლიენრა რომ იგროხებო შაქაშანურები, ჩარეჭა რომ იესება ნაზედაშარი.

თავზედ წამოადგა არტანელი ნათავადართა ნასახლარსა, უგემურად გააკრავუნა კბილები და ცერად გაჰხედა ნაკაცართა ნაქუდურებდაც კონცხზედ რომ იყო წამომდგარი, ამაყად რომ გადაჰყურებდა ერთ დროს — ალაზნის ველსა, კავკასიონის ჭალარასა, შუამთისა, ალავერდისა და წმინდა გიორგის მონასტრებსა, ველებსა და მთას, ზვარსა და ვენახს, ნახნავს და უხნავს, ანეულსა და საგაზაფხულოს.

მდუმარებდა ველი და ოდნავ ისმოდა ალაზნის ნელი, ნანასავით ტკბილად ადუღუნებული ხმა. თითქოს ურმული წვებოდა ველად ნადედასლევანარი, ყვარლულად რომ იცის ჩარაკრავება.

ჩუმად იდგა ლაფათყურელი თავმჯდომარე და მთვარით გადათეთრებულ ველს შეჰყურებდა. მძიმედ სუნთქავდა მისი მკერდი და თვალში ელანდებოდა აჩრდილი საშინელები.

ვიღაც მოსდევდა არტანელსა, ქართლის ნაფიქვნარიდან, ციციანთა დარბაზებიდან, გაუვალი ხეობებიდან და ტყე-ველებიდან. თვალს ეხროკებოდა წარსული, მაგრამ ვიღაც უღმობელი შინც ხატავდა — ხან პავონებიან თავად დავითსა, ხან კნენია მართასა, არტანელისთვის გაშლილი მკერდითა. ხან კნიაზ ზურაბსა და კნიაჟა ქეთევანას. მაგრამ ეს არაფერია, უწყალო მხატვარი უფრო შორს მიდიოდა. უფრო უარესსა ჰხატავდა. უფრო საშინელსა, უფრო შეუწყნარებელსა და წყეულს. ის კობტა რაშზედ შემომჯდარს, წელწერწეტა ჩოხოსან არტანელსა ჰხატავდა — ხოლო უცნობი მესაიდუმლოე, ნიავის პირით გულსაკლავად ჩურჩულებდა — ჰეი მოურავო, ყოჩად შენს ბიჭობასა. ყოჩად შენს ვაჟკაცობასა. ქართლში თავადებს მოურავად ედებო და მათი ბრძანებით შენ საკუთარ ღვიძლს ამათრახებდი სამად დაწნული თასმითა, ეხლა კახეთში კოლექტივს ელოლიავები და თავმჯდომარეობ ხალხსა და აშინებ მას შენი მზაკვრული ხმით. — ასე სისინებდა ეს მართლაც მზაკვარი, ფლიდი და მრეში.

არტანელი ავერანებული გულით სტოვებდა ადგილსა და აწრიალებული ეტანებოდა ხან ნავენახობსა და ხან ნასაკირალსა. კოლექტივის გულში უწყალოდ შეკრილიყო ეჭვიცა და სიყვარულიცა. საქმე სდუღდა არტანელის ხელში და მისი მოძახილი დილიდან საღამომდე შეუწყნარებლივ ეფინებოდა — ხან მარანსა და ხან კალოს, ხან საბძელსა და ხან ბელელს. მოუსვენარი იყო არტანელი და არც სხვა იყო მოსვენებული. დილიდან საღამომდის ისმოდა მინდვრებში შეუწყვეტელი ოობუნა. ჰკიოდა ჩეთაფრი აგულხელადებული და გულგაზვიადებული უხვი მოსავლითა და ქირნახულით საესე ბელლებითა. ეშაირებოდა ნამგალი ნამგალსა და თავდახრილი, თავდამძიმებული თავთუხი, ბაჯადლო ოჭროსტრად ბზინავდა თვალუწვედნელ მინდვრებზედ. ეს იყო სიამაყე კოლექტივისა. თითო

კომლმა ნამუსყაითევი ხორბალი ჩაილიტრიანა ბელელში და კარბანი აივ-
სო ლელევიით რბილი შოთებიითა. გოგოებს სახეები დაუტეწინდათ მაწო-
ნის ქამითა და დულბოდოს სმით. დედაკაცებს გავა დაუტეწინდათ და
ბალღებმა ტყირპი დაჰყარეს, ბაგაში სიარულითა და კინაჩოხე-
ცეკვით.

სოფელი გახარდა და გამრავლდა.

შემოდგომამ უკვე ჩამოჰკრა ხარებსა, მგვრამ ნაკალოვარზედ ჯერ კი-
დედ დაღამებამდის ისმოდა, სალენწი მანქანის რაკარუეკი, ტრაქტორის დგან-
დგარი და საბორბლე თასმის შრიალშრიალი.

ნაბაზრევს ურმებს ახლო მდებარე ქალაქიდან მძიმედ მოჰქონდათ —
ავეჯეული და ფართალი თობებათ, ჩითი და ქსოვილი, შალის საჩოხე,
საქალაქნე გრძელი შოლტები, თუნუქის ფეხები, ახალი აკვანი, კაკილა,
ბურთი და კიდეც სხვა.

ივსებოდა სოფელი დოვლათით და სიხარულითა.

მთვარის ამოსვლასთან ერთად ნაკალოვარზედ გაჩუმებული მანქანის-
მაგივრად მემანქანე ანტიპას ვარმონიკას ქვეციტინი ისმოდა, რომელსაც
ხან გოგოების სიცილხარხარი სცვლიდა და ხან „გუშინ შეიღნი ვურჯა-
ნელნი“-ს დაალაზნებული სიტკბო. მეტი გრძობებით გატაცებული ბრი-
გადირი ანტიპა ყელგადაღელილი და თვალებმილაღული, სწელავდა გარ-
მონს და ტუჩებზე დამკვდარი ღიმილით უმასპინძლდებოდა მარწყვივით
მომწიფებულსა და სააღდგომო გოკივით ჩატროყილ გოგოებს. „ეი დუ-
ბინუშკა უზნემ“ ქვეციტინებდა გარმონი და უცხო მოძახილი სლავიანუ-
რი მინდვრებისა ლარად გაწოლილ ალაზნის ველს ეკონებოდა.

იყო სიუხვე და სითბო.

დილის ცვარი ნაზად ენამებოდა შემოდგომის მოლსა და საბალახოდ
გამოსული ნახირი ნანებვარისა და ნაცოხარის სუნით ავსებდა ტყეში
განართხულ ახოებსა და მინდვრებს. გაავასიებელი, მკერდ-მარღვიანი
და კუნთებმაგარი ბულა გააფთორებული სთხრიდა მიწასა და ვნება აყრი-
ლი ბოღით ღმუღოდა. შეშინებული ახლად დაკოდლი მოზვრები გა-
კვირვებით შესცქეროდნენ გაგიჟებულ მშობელსა და დამშვიდებულნი,
კვლავ განაგრძობდნენ ნოყიერი მდელოს ხვრას. ნაზად მიიბზეოდა ტანი
ქრელა ფურებისა, თაფლა ხარებისა, ნიშა-ნიკორა კამეჩებისა. თეთრად
შეჰფენოდა მოლმოკრიაღებულ ფერდას დუმა დავარდნილი ცხერის
დიდი ფარა და გაღმომდგარიყო ნაპრაღის პირას რქებ დაგრეხილი მეთა-
ური, ბერაკაცივით შემოსილი, მოცანცარე გრძელი წვერითა. პატარა
ციკნებისა და ბატკნების ბლავილი რიყის პირას გაშლილ ბინებში წყა-
როს ჩუხჩუხს უერთდებოდა და ნაიალალარი საქონლის ღმუღითან ერ-
თად ეფინებოდა ტყესა და მინდორს.

არტანელის თვალი შეუპოვრად დაჰყურებდა ყველასა და ყველაფერს.
არ იყო კუთხე, რომ მისი თვალი არ ყოფილიყო. არ იყო ქოხი, რომ არ

შეეხედნა. არტანელი დაძრწოდა ნაყაჩადარივით, რომელიც ^{როგორც} ~~როგორც~~ ^{სამართ-} ~~სამართ-~~ ^{ლიანი.} მისი მოკლე და მკაცრი სიტყვა ცივია, მაგრამ ^{როგორც} ~~როგორც~~ ^{სამართ-} ~~სამართ-~~ ^{ლიანი.} მისი გული სიხარულით ივსება, გაგულიებული დრეკლით სი-
უხვითა. მის თვალეზში ზრუნვა და სიყვარული წვება ^{როგორც} ~~როგორც~~ ^{სამართ-} ~~სამართ-~~ ^{ლიანი.} ცილა ტევანში ანარეკლი ნაგოგირდალისა. დღე უთანაბრდება დღესა და სად არის არტანელის მოსვენება. აქ ჩალაა ასაკრეფი, იქ თივაა სა-
თიბი. აქ ყანაა სამკელი და იქ პური საღეწი. ყველაფერს მოვლა უნდა და საქმეს გაძლოლა.

საქმე საერთო და საზოგადოა.

არტანელი ესაუბრება ბრიგადირებს, კოლმეურნეებს. საქმეს აწეს-
რიგებს. ესაყვედურება ზოგსა და ჰკიცხავს ურჩებს. დღე მიდის გამალე-
ბული რაშვივითა და არტანელის თვალი მუდამ მზად არის, მუდამ ფხი-
ზელია.

მაგრამ...

არის რაღაც გამოუცნობი მის გამოხედვაში. მისი თვალი ნაშაბიამ-
ნარი ყურძნის ფერია და ამ თვალეზში ნაჭურღალივით შეპარულა შიში
თუ მოკრძალება, გაუბედავი გაკიცხვა თუ დანაშაული. ეს გამოხედვაა
რომ კოლექტივის გულში აღვიძებს ეჭვსა და არტანელის გულს ბოღმით
ავსებს.

შორს მიერეკება არტანელს ფიჭვი წარსულისა.

შეიქრა არტანელი ახალში და პატივი სცა მას სოფელმა. ქალაქელმა
ამხანაგებმა საქმე ჩააბარეს თვალის ჩინივითა და სცხვენია ახლა არტა-
ნელს თავისი წარსულისა. მალავს არტანელი ამ წარსულს.

მალავს მაგრამ...

უდიერი ჯალათივით დასისინებს ვიღაც უცნობი არტანელის გარ-
შემო და შეუბოვრად ეჩურჩულება:

— ასე, არტანელო, მოატყუე კოლექტივიცა და პარტიაც. მოატყუე
შენი საყვარელი მეზობლებიცა და პატივემული ამხანაგებიც. არ გეგო-
ნოს შეგრჩეს ციციანთ ნამოურავალო ეს დღე და ეს ბედი. გაგიგებენ
და ბოძხედ გაგაკრავენ. გაგიგებენ და გაგშანთავენ.

არტანელს თვალი უბნელდება. ადამიანს უნდა თავიდან მოიშოროს
წარსული, მაგრამ წარსულს ვინ მოიშორებს. ის რაც იყო, წაუშლელი
სტრიქონივით იწერება წარსულში და მისი ამოშლა შეუძლებელია. იცის,
კარგად იცის არტანელმა ეს, მაგრამ რა ჰქნას.

— სად იპოვი არტანელო გამოსავალს? შავი კედელივით აზღუდულა
შენს წინ შენივე წარსული. მკერდზედ შეგკონებია არტანელო, კნენა
მართას კოცნა და მისი ნალოგინარის სურნელება. რა გარეცხავს შენს
სეინდისსა და გასვრილ სახელსა. წადი, წადი ნამოურავალო, გაშორდი ამ
სოფელს მშვიდათ და წყნარად.

მაგრამ...

როგორ შეუძლიან კაცს მოშორდეს თავის ნაღვიძლარსა. ეს კოლექტივია ახლა მისი ოჯახიცა და კერაც. აქ არის მისგან ნასიყვარულები და ნალოკი ნაყოფი. მისი სიამაყეა ეხლა ეს მაძლარე, ^{მსუქანი სოფელი.} ~~მსუქანი სოფელი.~~

არტანელს სწერენ გაზეთებში. არტანელს ჰხატავენ ჟურნალებში. არტანელს ათავსებენ წითელ დაფაზე და, ჰოი სირცხვილო, დორბლმორეული ღენერლის ნამოურავალო, მისი ღალისა და ხარკის ამკრეფო, მისი ურჩის დამტუჭაველო. ჰოი სირცხვილო, სირცხვილო, რა სასჯელმა უნდა გამოისყიდოს შენი კოდო არტანელო. ვინ უნდა ზღას შენი წარსული. მატყუარა და მრუშო, ფლიდო და ორპირო!

და ღონემიხდილი არტანელი, გულმოთენთილი ეპაექრება ხმალამოლებულ წარსულს. გულს აღზნებული ცეცხლითა სწვავს და დაგავს ამ ვეებერთელა ლოდს და დანაცრებულსა და დაფერფლილს, გულის მიუხედავად და უღრან კუნჭულებში ჰფანტავს. მაგრამ წყლული წარსულისა ასველებს ფერფლსა და კვლავ ლოდად ქცეული, სულს უხუთავს თავის სიმძიმითა და დულაბად ქცეული ავერანებს ნასიკეთარსა და ნასიხარულევს.

— სირცხვილი არტანელო, სირცხვილი ფლიდო! — გაპკივის ზმუკაგორებული ნიავე და გველივით სისინებს, ფერდაზედ გაშლილი, ნაგვიანევი სიმინდის ყანა.

გაუბრის არტანელი ამ მზაკვრულ მოძახილს და ცეცხლივით ედება ხანაეულოდ მინდორში გასულ გუთნეულსა, მარანში დაგროვილ მეზვრეებსა, შინდის საკრეფად გასულ დედაკაცებსა, წისქვილს და ტრაქტორს, გომურს და საბჭელს. ამხნეებს ეს განუწყვეტელი და რიხიანი მოძახილი კოლექტივს და სდულს შრომა განთიადიდან შეღამებამდის. იესება ბელლები პურიითა და დოვლათით, მარანი ღვინითა და არაყით, სხვენი დამარილებული ზორციითა, ყველითა და ერბოთი. შორეული წარსული, ვერანა და ბედდაწყველილი, ნაბუხრალში ეზღაპრებათ ბაღლებსა და მიზუცი პაპა ღინჯად უყვება შვილიშვილებს — ნაყაჩაღარსა და ნათავადარზედ. მისი სიტყვა ხმელი რცხილის რკალმოდებულ აღს უერთდება და ისიც იწვის, იწვის ისე, როგორც თვალზედ უპე დამწვარი ცრემლის ნალარი.

არტანელი არ ეტანება ქალაქსა და სიტყვაზედაც ხელმოკლედ არის. უჯრედის კრებაზედ ორიოდ სიტყვას თუ ამოისვრის, ჰკვიანურსა და დროულს. მაგრამ არ არის საქმე რომ ოჭროდ არ დადნეს არტანელის ხელში. იშვიათად უყურებს არტანელი კაცსა, მაგრამ თუ გაუსწორა თვალი, ვაეკაცურად დაეტაკება მოპირდაპირეს, ფალავნურად გაუყრის საღმისა და ბუმბულივით შეათამაშებს. ყველაფერი იცის არტანელმა და მისი დაკვირვებული თვალი ყველაფერს ჰხედავს.

მაგრამ...

რაც უფრო ყვედდება სოფელი, და ივსება დოვლადით. მათ უფრო ჩუმი და მკაცრი ხდება ლაფათყურელი თავმჯდომარე. აღარ უცინის ახლა წინანდებულად არტანელი. აღარც მომღერლად ვარცა ვერც დროს თავ-მომწონე მოსუფრალი.

ნასამხრეგს თავმოყრილი კოლექტიველები მორიდებით ლაპარაკობენ თავმჯდომარეზედ.

— ყოჩაღი ბიჭია არტანელი, მაგრამა — კახური ტაატით სწნავს აღსა ფილო სიტყვას სიტყვაზედ და მერე სახრით მიწასა ჰქექავს.

ეს „მაგრამ“, არის რომ ატუზულა კოლექტივის გულში და ხან ცხერის ფარასავით მიილალება და ხან ვრიგალივით ჰქუხს. ეს „მაგრამ“ არის რომ ლაფათყურელ აქტივისტებს, გულს უღრღნის და ნასიხარულეე გამარჯვებას რაღაც გამოურკვეველი სიმწარით ავსებს.

— რაღაც უცნაურია მაგის თავსა და ვინ რა იცის — განაგრძობს ფილო კვლავ მიწის ქექით.

ამას ყველა გრძნობს კოლექტივში და გამოუცნობი ექვი ღრუბელივით წვება კახელი გლეხის გულგაშლილ უბეში.

— გაგარეულდა არტანელი და გაგოროზდა — ასე ჰფიქრობს ხალხი.

— არ გვეყადრება, გაგვითავადდა — ასე ჩურჩულებს შხამად მოდებული უქმაყოფილება.

— ვიტყვი, მოვაგროვებ ხალხსა და ყველაფერს ვიტყვი! — ღრიალებს დაკოდილი არტანელი და უყვფს კრიკაკრულ ლანდად ატუზულ შიშს.

— ჩამოგაბრძობენ. გაგასავსავენენ. ბომზედ დაგკიდებენ და თავ-ლაფს დაგასხამენ — ზუზუნებს მზაკვარი და ზუის აუტანელი, შეუჩერებელი ზუილით.

— დღემდის სად იყავი. ეხლა როცა წითელ დაფაზე გამოგვიმეს, და-მკერელიც გიწოდეს, გაზეთებშიაც გაგწერეს, — გვიან ლა არის აღსარება.

დღემდის სად იყავი არტანელო. დღემდის რად ატყუებდი ხალხსა, სოფელსა, კოლექტივსა. სირცხვილი შენ ლაფათყურელო თავმჯდომარე!

ასე წნელივით იგრიხებოდა მზაკრული სიტყვა. ასე შოლტივით ზუ-ოდა არტანელის წინ შიში, სირცხვილი და სიყვარული.



პირველი სხივი შემოდგომის მკებენარა მზისა ნაზად დააღდა ნაწვიმარს და ყურძნის ტვენებზედ დაღვენთილი სუფთა წყლის ნამი, მარგალიტივით ამრჭყვიალდა. დაიბერტყა კალთები კავკასიონის ქედმა და ნისლი გადაპყვა ცისკარსა და ხარი-პარიას. ჰაერში გაიბნა სუნი გამხმარი ჩირისა, ხმელი თივისა და ქვევრებიდან ამოდვრილი თხლე-ნარევი შმორიანი წყლისა. ნელი ტაატით ამოიზიდა ნიკორა კამეჩი გომურიდან და რქებით მზის პირველი სხივი შუაზედ გააპო. ფერდაზედ კუნთებნაწნავი ბულა გამოდგა და ვნებაყრილი ბლავილით გასძახა საწველად ფეხგა-

დგმულ ცურსავსე კრელას. ბღაველი მდელიოზედ აკვირიტებულ შემო-
დგომის მოლსა და ცის დაქლიაეებულ სილურჯეში მიმოიფანტა.

ნაგომურალის სუნშა სიუხვით აავსო სოფელი.

დინჯად ვადმომდგარიყო არტანელი აივანზედ და კოლექტივის კარ-
მიდამოს ნაცადი ოსტატის თვლით ვდმომპყურებდა. ახლად პირდაბა-
ნილი, პატარა სავარცხლის ნატეხით, ნადრევად ჭალარა შერეულ თმას
ივარცხნიდა და თან გომურიდან ამოსულ მოზერებს უალერსებდა —
უხმო, თავმომწონე და იმედიაანი ალერსით. მოზერებიც თითქოს გრძნობ-
დნენ არტანელის მზრუნველურ თვალს. ნელა მიიზრებოდა მათი ჩასუქე-
ბული ვაეა წყაროსკენ და ყელმოღერებული ნიშა-ნიკორა ერთმანეთს
ეჯიბრებოდნენ სილამაზეში.

უფრო შორს ვადაჰხედა არტანელმა ზერებს.

დაზნექილიყვნენ ტოტები ვაზისა ტეენების სიმძიმით. შორიდან ისე
მოსჩანდნენ ტეენები ვაზისა, თითქოს უხილავ ხელს მარგალიტი მიმოე-
ფანტოს ფოთოლ დაფენილ ლურჯ მინდორზედ. ყვითელ ჭარვასავით
ლივლივებდა აკიდობათ ვაბმული თვალუწვდენელი ლარი. ანარეკლი
ამ ჭარვისა თავლივით ადედებდა ჰაერს და თითქოს ვარშემო შაჭრის
მტვერივით ვაფანტულიყო შედედებული და ნოყიერი სიტკბო. ღობის
პირას ჩამწკრივებულ ატმის ხეებზედ სისხლივით შეწითლებულიყო გულ-
ჭრელა ატამი, სავსე სანდომიანი ნექტარითა და ფერიითა. ატმის სიწით-
ლეს თურაშაულის ვაშლი ევაეჭრებოდა, ზოლო ყურძნის სიჭარვეს ნა-
გვიანევი გულაბი, რომელზედაც კაკილებივით დაკიდებულყვენენ სანთე-
ლივით ყვითელი მსხლები. შემოდგომის ვამქვრვალე მზე ერთნაირად
ანებივრებდა თავის სხივებში დაშაჭრულ ლელვსა და ნაგვიანევე ჭანჭურს.
სასუქით ვაპოხილი მიწა და ნაგომურალის სუნი კიდევ უფრო ამძიმებდა
ატმის სურნელებითა და ნაქვევრალი წყლის სუნით ვაეღენთილ ჰაერს.

აივნიდან ჩამოსული არტანელი გზად ჩოხას იკრავდა და მარნისკენ
მიეშურებოდა. მისი გოროზად მოყრილი ტანი, მძლავრი მხარბეჭი, და-
მწვარი თიხის მზგავსი სახის ფერი და ამაყი დიდი კეხიანი ცხვირი ლა-
მაზად შეჰხამებოდნენ ერთმანეთს და ადამიანის ძლიერებასა და შეუპოვ-
რობაზედ ჰლალადებდნენ. ტყუილად არ ეძახდნენ ლაფათყურელები არ-
ტანელს მუხისელს. და მართლაც, როცა არტანელი ბოსტანსა ან ნახნავის
კვალში იდგა, როცა ვამოცდილი გუთნისდგდა, გუთანს მისდგედა, ის,
მიწასთან შეზრდილ ღრმაფესვიან მაღალ მუხასა ჰგავდა თავისი ვაშლილი
მკლავებითა და ვანზედ ვამდგარი მხარბეჭით.

არტანელი მიუახლოვდა მარანსა და ღია კარებთან შეჩერდა.

— თებრო, აქა ხარ? — შესძახა მან მარანში და როცა იქიდან ფაჩუნი
მოესმა, წყნარად დასძინა:

— დედაკაცო, მაქამე რამე, თორემ გული მიმილია შიმშილმა!

მარნის კარებში შუატანის, ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა. მან ოდნავ შემკრთალის, დამონებული თვალებით შეჰხედა ქმარს და დაქანდაკესავით თვალები ახლად დაგვილ და სუფთად მორწყულ ვეებერთელა მარნის ჰიღრმეში გადაიტანა, სადაც სწორი თანრიგითა და სუფთად ელაგა საწურავი მანქანები, ვენახის საპყურებელი ვერმორელის აპარატები, გოგირდის შესაბერი გუდები, სპილენძისა და თიხის თუნგები, თიხი და ბარი, ნაჯახი, წალდი და კიდევ მრავალი სასოფლო-სამეურნეო იარაღი, რომელთა კრიალიცა და სისუფთავეც კაცს თვალს მოსჭრიდა.

— ყოჩად დედაკაცო, ადრე ჩამოსულხარ შინიდან. — მოუწონა არტანელმა თებროს და მილაგებულ მარანს თვალი გააყოლა.

— ყველაფერი დამავეიწყა ამ მარნის დასუფთავება-დალაგებაში და რაღა იქნება. — მორცხვად და ბოდიშით წაილულლულა ქალმა და ახალი პატარძალივით მოკრძალებით აიკრა პირსაფარი ნიკაპის ჩამალვით.

ამ სიტყვებით თებროს კვლავ მარანში შებრუნდა. ფრთხილად გადმოიღო ძველი საწნახელიდან სამფეხა სკამი და ზედ მდებარე შეკრული ბოხჩა. გახსნა ბოხჩა და სუფრას დაუწყო შლა.

სამფეხზედ ჩქარა გაჩნდა ლეღვივით რბილი კახური შოთები, ნივრის მწნილი, კირკაყი ლობიო და ჩარეჭა, ფაფასავით სქელი, წითელი ღვინით სავსე.

მადიანად შეჰხედა არტანელმა სუფრასა და შოთი ვასტეხა. მერე გოლიათივით მოიქნია ყბა და პური მოკბინა.

— შენ რაღას უყურებ დედაკაცო — შესძახა მან, კუთხეში აფორიაქებულ თებროს — მოპატივე გამოგიგზავნო?

— ე გოდორი ველარ მოვადგი ამ წყეულ ქვევრსა და ვადამიყოლია — ჩაილაპარაკა თებროს და, ლოყებწამოწითლებული, სუფრას მიუჯდა.

ერთხანს სუფრა სიჩუმემ წაიღო. ბაასის მაგიერ პირზედ მოყუდებული ჩარეჭის ლუკლუკი გაისმა ჯერ კიდევ მიბნელებულ მარანში. არტანელის სახეს ნისლმა ვადაპკრა, როცა მისი თვალი მისი ახალგაზრდა მეუღლის თვალს შეხვდა. ქალმა ვერ გაუძლო ამ ორჭოფულ, დაბურუსებულ და უცნაურ გამოხედვას. მან მორცხვად დაქხარა თავი და ამოიხზრა.

თებროს ნათლად ჰხედავდა არტანელის უცნაურ ქცევას და გრძნობდა, რომ რაღაც უწყალო და შზაკრული დარდი ღრღნიდა მისი მეგობრის გულს. ხშირად წებოდა მათ შორის უხერხული და აუტანელი სიჩუმე. ხშირად არტანელი ცდილობდა ამ სიჩუმის დარღვევას, ენის მოტრიალებას და გულის გადახსნას, მაგრამ ვერაგი შიში და თრთოლვა კრიჭას უკრავდა და კიდევ უფრო მიუკარებელსა და გულწათხრობილს ზდიდა მას მეუღლის თვალში.

— არა იქნებარა არტანელო, არა იქნება რა... — იკბინებოდა ფიქრი. — ვინ გაპატიებს ვერაგობას და მაცდურობასა. ნურა ეცოდინებარა ნურც თებროსა და ნურც სხვას. საიდუმლოება გულში მოიკაფიქრე გინდა ზიარი და მომიჯნე. თებრო ჰკუიანი დედაკაცია, მაგრამ ~~შინაგანა~~ ~~სხვა~~ ~~სხვა~~ ~~სხვა~~ ~~სხვა~~ დედაკაცი, ექვინია და მეჭორე. ნუ გაუნდობ არტანელო შენს გულს, ნურც შეუღლეს და ნურც შვილს. ნუ დაუტეგ შენს თავს შენივე ხელით ხაფანგსა და ნუ გაიბამ თავს. დაე მარტო შენა გლრღნას შიშმა და სინდისის ცდუნებამ.

საუზმე გათავდა.

გათავდა ჩუმად. უსიტყვოდ. ულაპარაკოდ. ცოლქმარნი თითქოს შესწყრომოდენ ერთმანეთს და ხმას არ იღებდნენ. მარანში თანდათან დნებოდა ღამის ბურუსი და საყვავიდან შემოპარული სვეტი ღლის სინათლისა აფერადებდა ხის დიდრონ კასრებს.

არტანელი შეირხა. თავი ასწია და თებროს მიუბრუნდა.

— წადი, ფირუზას დამიძახე.

ჭალი გავიდა.

არტანელი წამოდგა და აზრმიუცემლად მიეყრდნო ხის რიდეს. ასე იდგა ერთხანს, ვიდრე მარნის კარებში მზარხედ თოფგადაკიდებული ყარაული არ გამოჩნდა.

— თავჯდომარეს გაუმარჯოს, — შესძახა მან და არტანელს ხელი გაუწოდა.

არტანელმა ხელი ჩამოართვა ახლადმოსულსა და მარანში შეიხმო.

— ფირუზ ეტლი უნდა შეება დღესვე და ჭალაქში ჩახვიდე.

— ზვარი ვილას გადავებარო?

— არაფერია, მე მოუვლი.

— მაინც რისთვისაო, რა ამბავია?

— გუშინდელმა წვიმამ და ღრუბელმა კოლექტიველები შეგვაშინა და გადავწყვიტეთ რთველს შეუდგეთ. გვინდა სართელოდ ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები ჩამოვიყვანოთ. შენ რას იტყვი.

ფირუზამ მხრები შეათამაშა და ცას გაჰხედა მარნის კარიდან.

— ჰკუა გიხმარიათ არტანელო. კინამ არ დაგვეტყვა და გაგვიტიალა კარხედ მომდგარი მოსავალი ი ვერანა ღრუბელმა და რალა გვეშველებოდა მაშინ. ყურძენიცი დაჩამიჩნდა და წვენიცი მოაკლდა. ეხლა აღარა ემატებარა მარცვალს არტანელო, ეგ არის რომ თქვენ ახალთაობას მოსდევთ და სხვანაირად ლოცულობთ, თორემა აქამდე დაუკრეფავ ვენახს რა უნდა კახეთში.

არტანელმა მხიარულად გაუღიმა ფირუზას კრიტიკას და წყნარად უპასუხა.

— მართალია, მაგრამ არ დაგავიწყდეს, ამხანაგო, რომ არც ღვინო გჭონიათ წინათ ისეთი, როგორც შარშან კოლექტივს ჰჭონდა.

ფირუზამ იწყინა.

— შე კაი კაცო, არსადა სთქო! — ბულღუნით შეჰყვირა მან და კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ არტანელმა გააწყვეტირა.

— აბა ფირუზ, სჯა-ბაასი საწარმოო თათბირზედ წაგაგზავნა! — ჰხდა კი მოდი ეტლი შეაბი. — აქ არტანელმა უბეში ხელი ჩაიდო და სუფთად დაწერილი და ბეჭედდასმული ქალაქი ამოიღო.

— აი სტუმრების მოსაწვევი ბარათი. ქალაქში ჩვენი შეფები ნახე და ეს ბარათი გადაეცი.

ფირუზამ ბარათი შეატრიალა, მერე ოთხად გაკეცა, ნაბდის ქულის ყურში ჩაიდო და კარში გავიდა.

კოლექტივი შეუდგა მზადებას.

ნაკალოვარზედ გამომზეურდა საწურავი მანქანები, საქაჯავები დიდრონი მუხრუჭებითა და რკინის ფართე სალტეებით, შინდის წიკპლისგან ნაქსოვი ლასტები, ვეება გოდრები, პატარ-პატარა კალათები ყურძნის საყრეფად, კასრები, ნაქაშნურები ხელადები, ხელჩაფები, კოკები და გოგორის ჩაპები.

ქალები შეუდგნენ ყველა ამ უამრავი ქურკლისა და იარაღის რეცხვასა და ხეხვას. ჩქარა მათ მარდ ხელში აღმასივით აპრილდა საწურავი მანქანების ბასრკილიანი ბორბლები. დაიფარა და ბაჯალლო ოქროსავეით აბზინდა სპილენძის ქურკელი, რომელიც განსაკუთრებით ღვინო-მაჭრისთვის ინახება კახეთში. კაცებმა ტანთ გაიძვრეს და ვეება ქვევრების რეცხვას შეუდგნენ. ირეცხებოდა ყველა ჯურისა და ზომის ქვევრები. მარანში ისმოდა კრაზანას ხახუნი ქვევრის ზედაპირზედ და წყლის შაბუნთან ერთად მრეცხავების მზიარული სიმღერა, რომელსაც გრძელი მარანი და დიდრონი ქვევრები თავისებურ ხმოვანებასა და კილოს აძლევდა ამ არაჩვეულებრივ მოძახილს. უჩვევი კაცი შეშინდებოდა ასეთი ჰანგების გაგონებაზე, რადგან ქვევრებში ჩამძვრალი უჩინარი მრეცხავების ხმა, ტემბრშეცვლილი და გაზვიადებული მარანში შექმნილი სიცარიელით, მიწის გულიდან მონადენ ღმუილს უფრო ჰგავდა, ვიდრე მელგარსა და შეუპოვარ კახურ სიმღერას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მიწქვეშა მღერაში ისეთი სინოყიერე, სიუხვე და სიყვარული ღვივოდა, რომ მსმენელის გული უცაბედი სიხარულითა და ნდომით ივსებოდა.

ფარდულებში ურმებს სჩარხავდნენ. ზეთავდნენ ტრაქტორებს, რომლებსთვისაც სათრეველა ოთხბორბლიანი ურმები უნდა მიემათ ყურძნის საზიდად. ასუფთავებდნენ ცხენებსა და სწმენდავდნენ საქონელს,

ერთგულად და ერთსულოვნად სჩქედდა შრომა კოლექტივის ეზოში. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ჟრიაბულითა და სიცილ-ხარხარით ეტანებოდა საქმესა და მათ ხელში საქმე დნებოდა და კიდევ უფრო ავუსლებდა ხასიათწაჭეზებულ კოლექტიველებს.

მწკრივად ჩამომსხდარიყენენ მარნის ჩრდილში პირდაპირიანებული გოგობები და სიცილხარხართა და მასლაათ-საუბართი თუნგებსა ჰხეხავდნენ, ხელჩაფებს აპრიალეზდნენ და ერთმანეთს ეტოვებოდნენ. მათი წვივების სიმკვრივე და დამწვარი კანის წითური ფერის სიხილეს ეტყობოდა ბრწყინვალეებაში და ალის კრთომაში. მათ მცინარ თვალეში მზიარული ქინკა ჩამჯდარიყო და მკერდგადაბარდნილი, სიციცხლითა და სიჯანსაღით სავსე გოგობები, უბრალო თითის დანახვაზედაც კი სიცილით კვდებოდნენ. მუჯღუგუნებით უთქვეფავდნენ ერთმანეთს გვერდებსა და ბუნების მიერ ენება-აყრილნი ერთმანეთს სტკმეტავდნენ. მათი მზიარული ქვივილ-ხივილი და სიცილ-ხარხარი მანანასავით იფრქვევოდა მზით დაყურსულ, დამცხარ ჰაერში და, ვაფანტული მიდამოებში, ხან ტვირთისგან თავდახრილ ვახს ეფინებოდა, ხან კი გადახნულ ანეულეებს. მათი ბუდეშურის მარცვლებივით აკვირტებული გულმკერდი მწყობრი სუნთქვით ჰფეთქავდა და მაყურებლის თვალი გრძნობდა, როგორი სიხარბითა და თავდავიწყებით ისუნთქავდნენ ჯანსაღი ფილტვები ატმის სუნითა და ნაქვევრალი წყლის შმორის სუნით გაელენთილ ჰაერს.

ფანჩატურებში ნახევრად შიშველი მეკასრენი ღვინის დიდ კასრებს ორთქლავდნენ და ახალ სალტეებს უჭიმავდნენ. მათი დამწვარი ზურგი და კუნთებდაყრილი მაგარი მკლავები შესველებულიყო ოფლით და სიბტანხედ ისე ბრწყინავდნენ წვეთები ოფლისა, როგორც აღმასი წითელი ხის ტარში ჩამჯდარი.

კოლექტივის პაპა თორნიკე ღინჯად ჩამომჯდარიყო მარნის კარებში დიდ ქვაზე და ნალელიანი გამოხედვა მარნის სიღრმეში ძველი ქვიტკირის საწნახელის პირზედ დაეზვინა.

— ორივენი დაებერდით და დაეჩაჩანაკდით. — ფიქრობდა თორნიკე და ობზოდებულსა და ალაგალაგ უკვე ხავსმოკიდებულ საწნახელს თვალს არ აშორებდა. — ეჰ სოფელო რაშიგან ხარ. — ბუტბუტებდნენ მოხუცის ტუჩები და თვალს წარსულთა დროთა სურათები ებატებოდა.

ის ნათლად ჰხედავდა, საყვავემდე თავმოყრილს ყურძნით სავსე საწნახელს, თორმეტიოდ ნიფხავ-აკაპიწებულ ვაეკაცს, განსვენებულ ხაზეინს, სავსე ხელადა და შამფურზედ აგებული მწვადები რომ ეჭირა ხოლმე. ტბილად უსმენდა ღარში მჩქეფარე ყურძნის ნოყიერი წვეწის ლუკლუკსა და ქვევრში ჩაღვრილი მაჭრის ჩხრიალს. ის თითქოს გარკვევით ჰხედავდა ამ წუთს, სწორედ იმ ოცდამათხ ფეხს, ამ რამოდენიმე წლის წინ ასე ერთგულად რომ სცეკვავდნენ სავსე საწნახელის თავზედ. ეს იყო თორმეტი წყვილი, კუნთებმაგარი, ბანჯვლიანი ფეხი, რომლებიც თანაბარი რიგრიგობით სრიალებდნენ წვეწსავსე ყურძნის ტევნებში. ფეხებს ეკროდა ყურძნის ჩენჩო ტბილი ლორწოთი და კიდევ უფრო აშავებდა დატროყილი ბიჭების მზით დამწვარ წვივებს. ღვარად მონადენი მწურავების ოფლი საწნახელშივე უერთდებოდა ყურძნის ტბილ წვენს და ისიც

მზიარული ლიკლიკით ღარებში ურმიანებისკენ მიექანებოდა. ღერისაგან შექინელღებული ბიჭები კი თავგამეტებით სძეკავდნენ ყურძენსა და ხარბად დაჰყურებდა თვალი ხაზეინის პირსაცხე ჰვევრებს.

ახლა საწნახელი დადუმებულყო და ძველი პატარაშლივით კუთხეში მიმდგარი, პირჩაშავებული და ობმოდებული, დაღვრემილი დაჰყურებდა სართვლო სამზადისს.

— ახლა მე და შენ აღარ ვარგევართ სოფელს, ჩემო საწნახელო — ფიქრობდა თორნიკე და წირპლიან თვალეზზედ მომდგარ ცრემლებს მალავდა.

— ჰაი, დედასა მტრისასა — ჩურჩულებდა პაპა თორნიკე და ცივად შეჰყურებდა ახლად ვახეხილ და დამავალი მზის უკანასკნელ სხივებზედ აღაპლაპებულ საწურავ მანქანას. ხარბად შეჰყურებდა ფეხმარდ ვაჟაკებს, რომელთა ხელში საყმე ისე იღვედებოდა როგორც თასმა ხარის ტყავისა.

მზიარულად დნებოდა დღე. შრომა მისდევდა მუყაით მზეს. დასავლეთისკენ ტანდახრილი, თავმოკვეთილი გოლიათი, უკანასკნელად ეალერსებოდა ქარვად დაფერილს რქაწითლის ტევანს. ზოლივით გაშლილ ალაზნის ველზედ უცხოდ ნაქარგი ხალი ეფინა და ამ ხალზედ გადაშლილი ნაზად მდინარე ალაზანი თითონა ჰგავდა ერთ დაყურსულს აქარვებულს ყურძნის ტევანს.



ნაშაბიამნარი მზიარული ჭრიამულითა და გოგო-ბიჭების სიცილ-ხარხარით აივსო. ნელა აჭრიალდა ორლობეში ყურძნით გაძეკილი გოდრებით საესე საძნე ურმები. ახრიალდა მარანში საწურავი მანქანა და ცხიმგაკრულ ჰვევრებში ტკბილი ჩადედა.

რთველი დილიდანვე დაიწყო.

საურმეზედ, კაკლის დიდ ჩრდილში, ფეხმოტეხილი თხა უკანასკნელად აბლავლდა და ცვარმოდებული დადასტურმებული ხორცი შამფურებზედ აიგო. სახედარმა სარდაფიდან ღვინო ჩამოიტანა კოკებით. რუში კიტრები, პამიდორი და ნაგვიანევი ყალფუზები ჩაგორდა ჩასაცივებლად. შოთებითა და ქადებით საესე ხურჯინები მწყობრად მილაგდა კაკლის ძირში და აკვანში ატირებულმა ბაღლმა თავისი დიდრონი თვალეზი განცვიფრებით დაამტერა ხეზედ ჩამოკიდებულ ნახევრად ვატყავებულ ცხეარსა და ერთხანს გაჩუმდა. სამფეხზედ წამომდგარ კვამლისგან გამურულ თანგირა ქვაბში მადიანად აწუხრუხდა ჭონსაცხე ყაურმა და ყურძნისაგან გულმოყირჭებულ კოლექტიველებს მოხრაკული ხორცის სუნმა მადა გაუთკეცა. კაკლის ხის ვეებერთელა ტოტები აკიდოებითა და ჩხებით მორთულ ბუმბერაზ ვაზს ჰგავდა, უხვად დასხმულსა და ნოყიერად აქარვებულსა.

მესვეური დინჯად მიუძღოდა რიგებში ჩამდგარ მკრეფეებსა და ჩამორჩენილებს აქეზებდა. პირველი რიგები ზერისა უკვე ჩამოეკრიფნა მარდ ახალგაზრდობასა და ვაზები ახლა ისე ობლადნა და სიწმინდისად გამოიყურებოდნენ, როგორც ნამუს-ახილი ქალწულები.

ლაფათყურელი თავმჯდომარის თვალი დინჯად ზვერავედა ყველაფერს და მისი გამამხნევებელი ხმა ყველგან ისმოდა. არტანელის სახეს დღეს ლანდიც გადასცლოდა და პირზედ ღიმილიც ახატულიყო იმედიანი და თავმოშწონე. ის ამაყად უცქეროდა საურმეზედ ჩამწკრივებულ ყურძნით პირსავსე გოდრებსა და სიხარულით უსმენდა რიგებში აქიკციებულ გოგო-ბიჭების ყივილხივილსა და მზიარულ სიმღერას.

დნებოდა მზე კავკასიონის ყინულებზედ. ცის კამარაში ფრთავაშლილი თვალმარდი ქორი დინჯი, ამაყი სიდიადით დასტრიალებდა თვალუწვდენელ ველს და მსხვერპლს ეძებდა ბუჩქნარებში მიმალულს და კაეზანკდემულს.

მზე წამოწვა და გომბორზედ გადიგრიხა.

შარის პირას კოლექტივის ეტლი გამოჩნდა.

— სტუმრები მოდიან. — შესძახა ფიდომ და მახარობლად მარანში წასულ არტანელისაკენ გაეშურა.

ფირუხამ ეტლი მარნის რიდესთან შეაჩერა.

მოსულები ჩამოხტნენ ეტლიდან, იქვე დაგროვილ ჯგუფს მიესალმნენ და შესახვედრად მარნის კარებში გამოჩენილ არტანელისაკენ მიაშურეს. არტანელმა შორიდანვე სალაში მისცა ამხანაგებს და მზიარულად გაუღიმა.

— დაგვალოდინეთ ამხანაგებო და რალა იქნება! — სიხარულით შესძახა მან და ჩამოსულებს მიესალმა.

სამი მათგანი შეფი — ქარხნის მუშა აღმოჩნდა, მეოთხე კი...

ლაფათყურელი თავმჯდომარე თოფნაკრავივით აიმრიხა.

მეოთხე კი...

— ჩვენი პარტკომის ახალი მდივანი — გააცნეს არტანელს სტუმრებმა უცნობი.

გადთრებულმა არტანელმა ნაძალადევად გაიღიმა, მერე ერთბაშად ასწია თავი და ამრეზილი თვალები მის წინ მდგომ უცნობს დააშტერა. თვალი თვალს შეხებდა და დაბასრული გამოხედვა ხანჯლებივით ეკვეთა გულს. ლაფათყურელმა თავმჯდომარემ თავი დაჰხარა და ფერწასული გაუძღვა სტუმრებს.

კაკლის უხვ ჩრდილში, ბიბინა მოლზედ, სუფრა დაიგო. სადღაც დუ-დუკი აქვითინდა და ანტიპას გარმონიკამაც იპოვა დრო.

სუფრა გაიშალა უხვი და მდიდარი. მწყობრად ჩამწკრივდა საფერავისაგან ფერშეცვლილი ქაშანურის ჩარეჭიანები. ჩარეჭასა და ჩარეჭას შუა შოთები დაიწყო და შოთებსა და შოთებს შუა ყველი თუშური,

კიტრი, მწვანელი, პამიდორი, ხახვი და ნიორი. მოხარშული კრახის ხორცი ზონჩაზედ დალაგდა. ნიორწყალ მოსხმული დედალი ბადიებში ჩაიჭრა. ქადა დაიჭრა და მოსადილეთ ჩამოურიგდა. ჯამები პაწაწა მსუქნითა და ნაკვერჩხლებზედ მწვადის შიშინი გაისმა. კახური სტუმრული საჭურველ მიმავალ ყურძნით გაძეკილ საძენ ურმის ქრიალს შეუერთდა და ველის ქალებს დაჰყვა ქვევით ალაზნისაკენ.

შეფებმა ქარხნიდან საჩუქრები გადმოალაგეს. კოლექტიველები უსმენდნენ რადიოს, სინჯავდნენ წიგნებს. ეგ იყო დანაპირებმა ავტოკარმა დაიგვიანა ცენტრიდან და ანტიპა თვალზედ ცრემლმომდგარი სიბრაზისაგან სულს ძლივს ითქვამდა.

შეჭიფიანებული ახალგაზრდობა გოგოებს ეტმასნებოდა და ლაზღანდარობდა. გულაჩუყებული ფიდო დუღუკის ხმაზე ლეკურს უვლიდა და ქალაქელ სტუმრებს ბალდადურში აბრეშუმით ნაქარგ ხელსახოცს ფეხქვეშ უგებდა.

კოლექტივი მზიარულობდა.

სიცილ-ხარხარი, სიმღერა და მზიარულობა ცეკვა-ზაირში და ტაშისკერაში იფარებოდა. ყველას სახეზედ სიხარულისა და ნეტარების ჯანსალი ღიმილი ახატულიყო და ამ ნოყიერებას ცივგომბორზედ გადაგრეხილი მზე პირმოცინარი გადმოჰყურებდა.

ამ მზიარულების ფერხულში მხოლოდ არტანელი ჩაღამებულიყო და ჩამოდევნილი ქვეშ-ქვეშ გადმოჰყურებდა სუფრას. ათასში ერთხელ მისი შემკრთალი გამოხედვა პარტკომის მდივნის ხედვასა ჰხედებოდა და აფორიაქებული, დაბნეული ისევ წარბშეკრულ ნაოკებში იძირებოდა.

— რა დაგემართა, კაცო, ხმა ამოიღე! — ეჩურჩულებოდა თებრო ქმარსა და მზრუნველი თვალი არტანელის შუბლის ნაოქს არ შორდებოდა სიცილ-ხარხარი და სიმღერა ბრიგადირების ბრძანებამ შესწყვიტა.

სადილი გათავდა.

მკრეფავები ლარში გაებნენ. შეზარხოშებული ვაქკაცები გოდრებს მიადგნენ და გრძელ ურმებს დაუწყეს ტვირთვა. ყურძნითა და ხორციით დამაძლარი ბალღები კაკლის დიდ ჩრდილში მიეყარნენ და მისთვლიმეს. სტუმრებმა დაუკრეფავში ჩაიარეს და საბძელ-მარანი ინახულეს.

ასე მოვიდა ბინდი.

ნასაუზმრალზედ სტუმრები აღარ გაუშვეს და სამასპინძლოთ დაითითოვეს. არტანელმა პარტკომის მდივანი არავეის დაუთმო. მოკრძალებით სთხოვა თებრომ სტუმარს მათ ლარიბ ქოხში ღამის გათევა. სტუმარმა ერთხანს იყოყმანა, მაგრამ შემდეგ დაუთმო არტანელს და თებროს გაჰყვა ღამის სათევად.

— მეც ეხლავე ამოვალ, აქ მოვაგვარებ საქმესა და ეხლავე ამოვალ — აუხსნა სტუმარს არტანელმა და ხელით მარანზედ ანიშნა.

სოფელი მიყუჩდა. ბინდი ჩამოწვა და ღრუბელივით ვარდა. მისწყდა საჭონლის ბლავილი და სიჩუმემ დაისადგურა. არტანელმა კარებები დალუქა და ბინდმოდებულ ვენახს გაჰხედა. ობოლის სევდით შრიანლებდა გაძარცვული ვახის ფოთოლი და ყვიროდა სუბლად გულგამაწყალებელი დატინებითა და უკმეხად ჭოტი.

არტანელი უგულოდ აჰყვა ორლობებს და შინისკენ გასწია. მისი ნაბიჯი ნელი იყო და მძიმე. მისი გამოხედვა დაბურუსებული და უნდო.

— რამ მოგხარა წელში, არტანელო, რამ დაგივსო თვალები და რად ბარბაცებ ნამთვრალევივითა. — შეეკითხა მზაკვარი არტანელს და ორლობეში ჩაისისინა. ღამის სუსხთან ერთად ჩავედა და ჩაინამა.

— იქნება იცანი უცხო სტუმარი და ეხლა შიშობ; ბედშავმა წარსულმა უფსკრულის პირას არ მიგაყენოს და ქვევით არ გადაგახედოს. ნაფიჭვნარი არ დაგანახოს და კნენინა მართას ტკბილი მკერდი არ მოგაგონოს. — გაიმეორა მზაკვარმა და ისევ მიიძალა.

არტანელმა მძიმედ ამოისუნთქა. აზრმიუცემლად გადისო ხელი თმაზე და ქოჩორი შეისწორა.

— ის არის, ის! — იკივლა აზრმა და ხანჯლის წვერივით ეტაკა გულს. არტანელი შეტორტმანდა და თვალები დაჰხუჭა. სწრაფად გაიპო კუმატი ღამე და ხელფეხგაკრული არტანელი ხალხის წინ წარსდგა.

— აი მატყუარა და ფლიდი! — შეჰყვირა ხალხმა და ათასი ხელი ქვას წაეტანა. ათასმა თვალმა გაბასრა არტანელი დამცინავი ღიმილითა და ზიზლით. ათასმა წყევლამ გადაიგრვინა არტანელის თავზე და მეხად დაეცა ნამოურავალს.

— ანგრე! — შეჰყვირა არტანელმა და ხელები გაასავსავა.

ორლობეში იდგა. ფერდსავსე მთვარე ლანდებათ აკრობდა საგნებს და ქანდაკად ქცეულ თავმჯდომარეს ეპაექრებოდა. სადღაც ძუქნა ყმუოდა გაბმითა და მთვარეს უყეფდა.

არტანელის გული სევდით აივსო. მუხლებში სისუსტე იგრძნო და იქვე ჩამოჯდა ლოდზედ. მთვარე წამოიზიდა და ვერცხლივით აავსო საგნები. დაიფერა ბალ-ბუჩქნარები და ფერშეცვლილი პანტის ფოთლები. სადღაც მეურმის ურმული გაისმა და ისევ ჩავედა.

არტანელმა ძალა მოიკრიფა და ეზოში შევიდა. ნაზად შემოეხვია ფეხებში თოლია და ალერსით შეჰყეფა პატრონს. აივანზედ ჭრაქის ალი ტორტმანებდა და უცნობი სტუმრის ლანდს ანათებდა. არტანელი გაყინულივით დააკვდა ლანდს. ლაფათყურელი თავმჯდომარის მღვრია თვალებში ავმა ალმა გაჰკვესა და გადაიარა.

— რამ გაგაშტერა ადამიანო, ამოდი ჩქარა, გელოდებით! — შესძახათებრომ და სტუმარს გაჰხედა.

არტანელი შეაკრთო ძახილმა. დახანჯლულ გულზედ ხელი მოისვა და აივანზედ აფარფატდა.

ვახშამმა უხმოდ ჩაიარა. თებრომ გაშალა ლოგინი და კარებს ღამე გადაულოცა.

სოფელი დადუმდა. მთვარე ღრუბლებში შეიჭრა და აშალა ფრთა.

— სხვა, არტანელო, რას იტყვი ახალსა? — უფრო სიჩუმის დასარღვევად სთქვა სტუმარმა და არტანელს შეჰხედა.

ბოძს მიყრდნობილი მასპინძელი შეკრთა.

— მე რა უნდა ვთქვა, შენ რას იტყვი? — წაიღულულა არტანელმა. სტუმარი წამოდგა და არტანელს მიუახლოვდა. არტანელი უკან დაიწია და ფართოდ გაშლილ თვალის გუგავში შიში ჩააწვა.

— რამ შეგაშინა არტანელო, რა გემართება? — გაიკვირვა სტუმარმა და მობაასეს დააცქერდა.

— მიცანი? — თავისდაუნებურად იკითხა ლაფათყურელმა თავმჯდომარემ.

— მერე რა მოხდა რომ გიცანი!

სამგლოვიარო მღერასავით ჩასწვდა გულისყურს სტუმრის სიტყვები. არ მოატყუა წინათგრძნობამ ლაფათყურელი თავმჯდომარე. მის წინ ძველი ნაცნობი იდგა. ნათავადართავან ჭოხაყრილი ობოლი და ლარიბ-ლატაკი ხედასელი. არტანელმა პირველ დანახვისთანავე იცნო ნამეზობ-ლარი. ეხლა მზაკვარი ახითხითებული ჭინკასავით დააკვდა არტანელსა და გველივით დაჰკბინა.

— გათავდა ლაფათყურელო თავმჯდომარე შენი ამბავი და შენი გმირობა. — დადუმებულმა, სტუმრის ჩაფიქრებულმა სახემ, შიში მოჰგვარა არტანელსა და შიშმა კიდევ კრიჭა შეუკრა.

— მითხარი, ეხლა რას მიპირებ!

— აბა რა უნდა დაგიპირო. იცის პარტიამ შენი წარსული?

— არა.

— კოლექტივმა?

— არც კოლექტივმა.

ხედასელმა მხრები აჰყარა.

— უნდა გეთქო, არტანელო. რაკი არ უთხარი, ეხლა ჩემი ვალია უთხრა.

არტანელი წამოფარფატდა და აიმრიზა.

— არა, არ ეტყვი, — შეჰყვირა მან და ხელები გაასავსავა. მერე ერთ-ბაშად მოდუნდა და ქვაზედ ჩამოჯდა.

— ხედასელო, ჩამაქვავებენ!

— არა.

— ჩამომალჩობენ, დამლუპავენ!

— არა.

— სირცხვილია!

— უნდა გეთქო.

— ხვადასელო, საქმისთვის არა მივინია რა. სოფლის სიკეთემ შამიტაცა. მეც დამაფასეს. შერე კიდევ გვიანდა იყო. სირცხვილს მკლავდა და კრიქას მიკრავდა.

დუმილმა შთანთქა აღსარება.

ხვადასელი დასაძინებლად მოემზადა.

არტანელი ხაფანგში გაბმული მგელივით შეფორიაქდა.

— ხვადასელო, მითხარი მაინც, რას მიპირებ!

— პარტიამ და ხალხმა განსაჯოს.

იყო პასუხი სტუმრისა და ეს პასუხი, პირმოსიპული ყინულივით წამოიტუზა ღამის წყვილიდში.

— ახლა რაღას იტყვი ლაფათყურელო თავმჯდომარე. წამოიშალა კაეშანი შენს წინ და ანიაღვრებული გიქადის გასრესასა და განადგურებას. ხედავ რა დროს დაგადგა მსაჯული თავსა და სად გიწია ცოდომ. მოკვდა შენი სიამაყე არტანელო. ხვალ დილით კოლექტივი სამსჯავროდ გაგიყვანს და როგორც დიდი ბატონის ნამოურავალსა და ნასიყვარულევს, როსკიბი ქალივით სამარცხვინო ბოძზედ ვაგაკრავს. შეგროვდება სოფელი, კოლექტივისა და პარტიის მატყუარას სანახავადა და ჩასაქოლაყად. ზიზლითა და სიძულვილით აივსება გული შენი ერთგული მეგობრისა და ამხანაგებისა. ვილა იტყვის არტანელზედ კაი კაცობასა და ვაეკაცობას. ვილა დააყენებს არტანელს კოლექტივში. შურისძიება წალეკავს შენს ნასიკეთარსა და ნაოფლარს. შენი ქვა-გული ველარ დააოკებს ველარც მტერსა და ველარც მოყვარეს. გაიგებს სოფელიცა და ქვეყანაც შენს ავსა და კარგს. შემოგებხვევა არტანელო ყელზედ კვლავ ნაალერსები ლეჩაჭი კენინა მართასი და გადაგიეთორებს გზას.

გველნაკბენივით წამოიჭრა არტანელი და ეკვეთა ეზოში აბიბინებულ ნამმოკრიალებულ მოლს. ეხლა მის წინ ღრუბელივით მიიშართებოდნენ ტალღა ამღვრეული ფიქრები. ყველა ნაკეთი მისი სხეულისა უცნაურსა და გაურკვევე ცახცახს შეეპყრო. ცეცხლანთებული გამოხედვა ელვად ელვავდა და გული ხანძარ ვალღივებულ თივის ზვინის ლაპლაპს ეპაექრებოდა.

მოთენთილი დაუბრუნდა არტანელი საწოლს, მაგრამ არ მილულა ძილმა ქუთუთოები. მისი ფართედ გახელილი თვალები შიშით აშტერდებოდნენ უმნიშვნელო საგნებსა და სმენა იჭერდა ყველა საიდუმლო შრიალს. მომავალი არტანელს რაღაც გაურკვევე ჯოჯოხეთად ეჩვენებოდა. სიყვარული და პატივისცემა, რომელიც მას შრომამ მიანიჭა, იმდენად ძვირფასი იყო, რომ უბრალო აზრი მისი დაკარგვისა განუზომელი შიშით ავსებდა არტანელის ეჭვიან გულს. ფართედ გახელილ თვალის გუგავში, ერთი სურათი საშინელებისა მეორეს სცვლიდა და სამსჯავრო ბეჭავს რაღაც განუზომელ ტანჯვად ეჩვენებოდა.

მთვარე ღრუბლებში მიიმალა და ბურუს-მოდებულ თევზს ლიბრი აეკრო. სადაც გადაღმა, გულის უფსკრულში, ძალიან შორს, აირმა გაჰკვესა — კუმატ ღამეში ცის ტატნობზედ მოწყვეტევენ მთხრავლის მზგავსად.

შ. შ. შ.

— მოჰკალ!

იკივლა ფიქრმა.

კაცი უხმოდ დაემორჩილა ამ ნაკარნახევს. ის ფრთხილად მიუახლოვდა ხედასელსა და დააკეკრდა.

ახლად ამოვარდნილი მზის სხივი ქედიდან ნახად ესალბუნებოდა ტკბილად მშინარი ვაჟკაცის უღვაშებსა და ნაინატრ ლომილს...

არტანელის ხელში ხანჯალი აპრილდა და აღმასივით გადატყდა ფოლადის ლაპლაპში კონად დაყრილი მზის სხივები. თითებმა გული მოუნახეს მსხვერპლსა და ხანჯლის წვერმა მოვერცხლილი ყანწი მოხაზა.

გაისრილა რკინამ გულსა და ძვლებს შუა. იფეთქა სისხლმა კრილობიდან და შეტლება არტანელის ხელები წითლად. ხედასელმა ძლივს წამოიკენესა და დაკლული ბატკანივით ფეხები შეაკანკალა და ვასქიმა.

გოლიათივით ამოვარდა მზე ცის ტატნობზე და ალენა ღრუბლები. ფრთხილად შემოტრიალდა არტანელი და გაშეშდა. მის წინ მოხუცი თორნიკე იდგა და პირჯვარს იწერდა. დაფინებით დაამტერდა არტანელი თორნიკესა და თითონაც პირჯვარი გადაიწერა. ჩუმად გაუღიმეს არტანელს მოხუცის ტუნებმა, ხოლო თვალეზში ხედასელის მცდელი გამოხედვა ჩააწვა და ხანჯლის წვერივით დაება გულზე. არტანელი მოსწყდა ადგილსა და ტყეს ეკვეთა. გულმიღებული აჰყვა შინდიანებსა და ახოებს, მთის ბორცვებსა და რიყებს. სადაც კი დასდგა არტანელმა ფეხი, ყველგან ხედასელის თვალეზი დაჰხედა. ჩქარა ფოთლები ტყისა სისხლის წვეთებით მოიფინა, ხოლო მინდორ-ველი ძვლებითა და ცოცხალი ადამიანის თვალეზით აიესო. ცა სისხლისფერი ღრუბლებით შემოისალტა და სისხლის წვიმამ აატივტივა ველზედ გაფანტული ადამიანთა მსორი და ჩონჩხი.

და რაც უფრო წინ მიიწევდა არტანელი, რაც უფრო მაღლა აღიოდა მთაზედ, მით უფრო სწრაფად მისდევდა უკან ხედასელის მცდელი თვალეზი და ყურს ხედებოდა სისხლშეფერილი ძვლების წყრიალი. თავზარდაცემული არტანელი ცხედრებით სავსე უფსკრულს დასცქეროდა. კლდის სიმაღლეს მიმდგარი თვალს აშორებდა ქვევით განართხულ თვალუწედომ ნაპრალს და თრთოდა.

გზა აღარ იყო. აყალო მიწა ფეხქვეშ დნებოდა და ნაპრალისკენ იზიდავდა ნაინატრ მსხვერპლს.

უცბად გაიარა ღრუბლის უბე და ნაპრალეზად დახეთქილი კლდის ნაპირები, სამუშაოდ მიმავალი, გუთნისდედის ნალვლიანი მღერით აიესო. ჩქარა მინდორში მზიარულმა ოროველამ დაიგუგუნა. შინდიანში შაშვმა „მნათობი“ № 10.

ცის ნამს შეუვალობა და ნისკარტით დილის ნამი მარჯალიტებზე დაა-
შსხვრია.

ველად გასული კოლექტივის ოროველა გულისყურით მოქმედებდა. არტა-
ნელი ზე-წამოიჭრა და აივანზედ ტკბილად მიძინებულს შეხატა და
შხედა. გულს ლოდი მოსწყდა და სიხარულმა სული მიუღია. აბურძნულ
თმაზედ ხელი გადაისვა და იქვე ჩაიკეცა. სხეულს სიმშვიდე მოედო. ძარ-
ღებში ტკბილად არუხუხდა სისხლი. არტანელმა ხარბად შეისუნთქა ნა-
შემოდგომევის დილის კრიალა ჰაერი. მან სიყვარულით გაჰხედა მიდამოსა
და არე-მარეს. სიამოვნების გასაგრძელებლად თვალები დაჰხუჭა და ასე
დაჰყო ერთ ხანს. თითქოს ეშინოდა სიზმრის ცხადყოფისა. ყური გაფაცი-
ცებით უსმენდა ხვადასელის მწყობრ სუნთქვისა და ყოველივე ამონასუნ-
თქი სიმშვიდეს ჰფენდა დაკოდილსა და დანაღარ გულს.

როგორც დიდი და სასტიკი ავადმყოფობის შემდეგ, ისე ელულებოდა
თვალები არტანელსა და ტანს ტკბილი ზმორება უვლიდა. მას პატარა ბავ-
შევივით უხაროდა ხილვა ყველაფრისა, რასაც კი თვალი ჰხედებოდა და ხელი
ეხებოდა. ფართედ ახელდა თვალსა და მის დაწმენდილ გამოხედვას, მხო-
ლოდ მოღლილ ქუთუთოებზედ დაღვენთილი ტკბილი თვლემა აბურუსებდა.

აზრმიუცემლად ჰგრძნობდა არტანელი, რომ მოხდა რაღაც აუცილე-
ბელი, რამაც გაანთავისუფლა მისი დაკოდილი სხეული საშინელი ტანჯვი-
საგან. მისი გამოხედვა იმედიანად აცქერდებოდა მიძინებული სტუმრის
ჯერ კიდევ დილის ბურუსში გახვეულ ლანდს.

ეხლა მარტო ის აღარ არის მესაიდუმლე თავისი გულისა. აღარ აში-
ნებს არტანელს მზაკვრული ხითხითი თავისი სევინდისისა. გაიწმინდა ადა-
მიანი ცდუნებისაგან.

დაე მოხდეს რასაც ხალხი ისურვებს. ჩააქვავონ თუნდაც არ-
ტანელი, ეხლა აღარას იღარდებს. აღარ აშინებს მას სამსჯავრო და გან-
ჩინება. რაკი საშინელება სიზმარი აღმოჩნდა, მშვიდად შეხვდება ეხლა
ლაფათყურელი თავმჯდომარე მსჯავრს და არავითარი სასჯელი აღარ
შეაკრობს.

ეზოში გამოსული არტანელი ტკბილად ეაღერსება სიამოვნებისა-
გან მოღზედ გაწოლილ თოლისს. იმედიანად უღიმის ორლობეში გამოჩე-
ნილ სოფლის ნაბირსა და პატარა მწყემსებს. ამაყად უყურებს შორს გა-
წოლილ კავკასიონის დათოვლილ ქედსა და ფარდაგივით გულგადაშლილ
აღაზნის ველს. ნელა ივსება იმისი გული იმ სიწყნარითა და სიმშვიდით,
რომელიც მხოლოდ კაეშანკდემულის განთავისუფლებულ გულსა სჩვევია.



რთველი გათავდა. სტუმრები წავიდნენ ძღვნითა და პატივით. სხენები
დამძიმდა ბუდეშურიითა და მწვეანით, მორჩიელი რქაწითლითა, თითათი
და განჯურით. მარნის კოჭები ჯაგნებით მოირთო. მშენებდ შრებოდა ხალ-

ხაზედ დაკიდებული კახური ჩურჩხელა, ტკბილში ამოვლებული ატმის ჩირი და ნიგოზი. თონეში დნებოდა ლელვი და ჩამიჩი. ბეღლებში ივსებოდა ხორბლით, სიმინდითა და ქერით. სხვენში შრებოდა ჩანჩენი ნიორი და ლობიო. კოლექტივმა გადარწყვა საფონდო, გადაჭარბებით ჩააბარა დავალებანი სახელმწიფოს და ქირნახულს დაუწყო გაყოფა. კოლექტიველებმა გადაიჭექეს მხრები და თითებზე ჩამოსთვალეს ნამუშევარი კაცდღეები, შეადარეს ჩანაწერსა და მიირწყეს კუთვნილი. აივსო ტომრები თავთუხითა და მახობელათი. სოფელმა შეზიდა ქირნახული და დედაკაცები ძატყლსა და საჩეჩელას მიუსხდნენ. ავიზვიზდა ბუხარში წიფლის გამზმარი კუნძი.

მოვიდა ზღაპრების დრო.

უბნებს ჩამოურიგდა ქორწილები. ბევრმა პირმარწყვიანმა გოგომ უკანასკნელად გაშალა ლოგინი თავის დედულში და სასიძოებმა გალიბანდები მოსძებნეს. პატარძლები შორცხვად აქიკვიდნენ კოოპერაცივის დარბაზთან და საქმრო ბიჭების დანახვაზედ თვალები მილულეს. „გრძელი სუფრული“ და „გუშინ შეიდნი“ მაღიანად აჰყვა სახლის ბანებსა და ორლობებს. გავიდა ველზედ, გაიშალა ალაზნის ტოტივით და ანოციერდა ნანიადვრალში და ქყანტში. შემოდგომის ცამ პირი მოიხსნა და გადახნულ ანეულებში ბელტები ჩადნა და ჩაიფშენა.

ქოხსამკითხველოები გამოცოცხლდა. წითელ კუთხეში ნაჩუქარი რადიო დაიდგა. ახალგაზრდობა „ჯაყოს ზიზნების“ გმირთა გასამართლებასა და წარმოდგენების დადგმას შეუდგა. დატკბა ჩონგური საფერავივით და შაირი შაირს ურდულივით გადაეტმანსა. ბრივადირი ანტიპას გარმონიკამ ეხლა ფრთა გაშალა და დამარწყველ გოგოებს გული აუღულა.

დღე ბურუსში იცრიცებოდა და ღამე წვებოდა შეუმჩნეველად. აქყანტებული და გუბედამდგარი ორლობეები გაუვალ ლაფში იზილებოდა და აყალო მიწა დამპალი ფოთლის სუნითა და ნესტით ივსებოდა.

წვიმდა.

ფრთხილად მისდევდა არტანელი ორლობესა და სახრით გზას იკვლევდა. ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში მისი ახოვანი ტანი თითქოს კიდევ უფრო დასრულებულიყო. არც სახე და არც გამოხედვა აღარ ამხელდა უცნაურ ლელვას, რომელიც ასე აფიჭრებდა კოლექტივსა და ხალხს. იმ საშინელი ღამის შემდეგ თითქოს სხვა ფიჭრი და სიმშვიდე დაეუფლა არტანელსა და მოსწყდა ქია, გულს რომ ღრღნიდა. შემთხვევამ უშველა კაცს ნებისთნე თუ უნებურ გაენდო თავისი საიდუმლოება სხვისთვის. ამით თითქოს არტანელმა პასუხისმგებლობის ტვირთი მოიხსნა და განაჩენს დაუწყო ცდა.

განაჩენი იგვიანებდა.

ნელა მისდევდა დღე დღეს. კვირა კვირას და არსად არა ისმოდარა იმ საშინელი გაკიცხვისა, რომელიც ასე სტანჯავდა ლაფათყურელი თავ-

მჯდომარის გულს. — ნუთუ გაპატია ხედასელმა, არტანულო? ნუთუ არავის გაუნდო შენი საიდუმლოება, დაგინდო და შეგვიბრალო, დაგინდო და ივაყაყა? — ეს ფიქრი ხშირად იტუზებოდა არტანულის წინ მუცელს. მან შეეშინებინა არ აძლევდა მას. პირიქით, საკმარისი იყო არტანულისთვის ამის გაფიქრება, რომ ძველი ნაცნობი შიში მთელი საშინელებით ახატულიყო კვლავ მის წინ და დაუფლებოდა მისი სხეულის ყველა ნაკვთს.

მას კარგად ახსოვს კიდევ ერთი შემთხვევა. ხედასელმა გამოთხოვებისას ცალკე გაიხმო ლაფათყურელი თავმჯდომარე და დიდხანს ესაუბრა — კოლექტივის მომავალ გეგმებზე, პურისა და ლენინის დამზადების საკითხებზე, მუშაობისა და შრომადღებების განაწილებაზე. წინადლის აღსარებაზედ არა უთქვამსრა პარტკომის მდივანს და არც სიტყვა გადაუკრავს ქარაგმულად. მხოლოდ უჯრედის გაფართოებულ კრებაზე დიდხანს ილაპარაკა ხედასელმა — კლასობრივ მტრებზედ, მავნებლებზედ, კოლექტივის სინიდიისა და პარტიის მათდამი ნდობაზედ. არტანელი გულდასმით უსმენდა პარტკომის მდივანის სიტყვებსა და ცდილობდა იქ თავისი განაჩენი ამოეკითხნა. იმეამად ვერა გაიგორა თავის გულის საკითხავისა. მხოლოდ ერთხელ, როცა გულს კვლავ შიში მოედო, იმ აზრით მონაქროლი, რომ ხედასელმა პატიების გზა აირჩია, როცა ლაფათყურელმა თავმჯდომარემ კვლავ დაჰკარგა სიმშვიდე სულისა და მის გულში მზაკვარი აფორიაქდა, მხოლოდ მაშინ მიუხედა არტანელი პარტკომის მდივანს.

— უნდა გეთქო! — ჩაესმა მას ხედასელის სიტყვები და ამ ორმა სიტყვამ მოქმედების გზა გაუნათა. — ეხლა იცის არტანელმა რა უნდა ჰქნას. იცის როგორ უნდა მოიქცეს, რომ შიშმა და ცდუნებამ კვლავ არ დაიუფლოს ვაყაყის გული.

მთელი ღამე სწერა არტანელმა თავისი განცხადება. ამ განცხადებაში მან მწყობრად გადმოალაგა თავის თავგადასავალი. სენა შეცდომა და პატიება ითხოვა. აუხსნა კოლექტივს თუ გაკირვებამა და ობოლ-ობრობამ როგორ აიძულა არტანელი ბატონის მოურავობისთვის მოეკიდნა ხელი. როგორ ჩაითრია ნათავადარის ოჯახმა ახალგაზრდა ბიჭი, როგორ შემოეხვია ლეჩაქი დიაცის სიყვარულისა მის გულსა და როგორ დაამონა და წაშალა მისი თავმოყვარეობა ვერაგმა ცდუნებამ. მაგრამ, ახალმა ოჯახმა და გულწრფელმა შრომამ წარეცა არტანელის წარსული და თუ კოლექტივი ისურვებს, არტანელი კვლავ მტლად დაედება მას.

ეს განცხადება თებროს გაატანა კოლექტივში, თითონ კი მთებს აჰყვა და ტყეში გადაიკარგა.

ჩუმად გადმოჰყურებდა არტანელი ხელისგულზედ გადაშლილ ალაზნის ველს. გადმოჰყურებდა კოლექტივის შინდერებს, ვენახებს, უბან-უბან ჩამორიგებულ ქვიტკირის სახლებს.

შემოდგომის მოღრუბლული დღე გულს უწყინარი სევდით აცხებდა და თვალეში ჩამჯდარი სიამაყე ეხლა სიყვარულითა და აღერსით აღესილაყო. უყურებდა ლაფათურელი თავმჯდომარე სოფელს და სევდა თანდათან ძლიერდებოდა. გრძობდა არტანუჯის სოფელიც და ეს ველიც მისი სხეულის განუყოფელი ნაწილი იყო. აქ ჩაპლვარა არტანელმა თავისი სიხარულიცა და სიყვარულიც. ჭოფაკივით იღგა მუზისელი სადარაჯოზედ და ცხარე კრუხივით დაჭფარფატებდა საერთო დოვლათსა და საერთო ჭონებას. ეხლა-კი ნიადაგი შეერყა არტანელს ფეხ-ქვეშ და ვინ იცის რა მოხდება. ერთრამეს აშკარად გრძობს ლაფათურელი თავმჯდომარე — ამ ოჯახის ვარეშე მისთვის სხვა გზა დაკეტილია. ნიადაგ-გამოკლილი, ის ძირში მოქრილ მუხას დაემგვანება. აღარა იტნება რა ამ ქვეყნად საინტერესო და მიშხიდველი. აღარა გაახარებს რა არტანელის დაკოდილ გულს და გასმება კაცი ისე, როგორც ფესვებშეკრილი ვაზი. და რაც უფრო უფიქრდება არტანელი, მით უფრო ცხადი ხდება მისთვის განაჩენის შინაარსი. — კოლექტივი უთუოდ გააძევებს არტანელს თავის მიწაწყლიდან და გაუშვებს უდაბნოს ბერივით მლოცავსა და მონაზონივით ცოდვების მომნაჩებელს. ეს აზრი კიდევ უფრო ამწარებს არტანელსა და სევდა ნაღველად იღვსება.

აღერსიანად შეკვერებს ნაცნობ გორაკებსა და აბოებს. ეალურსება ჭებებსა და ნესტისაგან აბუზულ და მასავით დაღონებულ ბელურებს. არასოდეს, არასოდეს არ უგრძენია არტანელს ასეთი სიყვარული მიწისა და მთა-მინდორისა. ის გულდასმით უსმენს მთიდან მონადენ ნაკადის შრიალსა და საათობით უცქერის ბუნებრივ წყალვარდნილებში ბრაზივით აქაფებულ წყლის დღეს. ბორბალივით ტრიალებს მოტბორებული წყალი. ათას ნამსხვრევად იღვწება ჩანჩქერი და სდღუს, ეს დღილი და დაუღალავი სრბოლვა არტანელს ველში გასულ კოლექტივის ოპონასა და ოროველეს ავონებს. ეს სრბოლვა სოფლის დაუღალავი შრომის პანგად ეჩვენება და გული მიიწვეს იქით, სადაც ნასიყვარულევი ანეულები გადაფარცხულა და სადაც ნოყიერი თესლი ივსება შემოდგომის ნაწვიმართა და ნესტით.

კიდევ გავიდა ორიოდ კვირა და კოლექტივის პარტუჯრედი ამ ხანად ორჯერ შეიკრიბა. რაიონიდან ჩამოვიდნენ ამხანაგები და ჰქონდათ სჯა. აქტივი დაღონებული და დარეტიანებული იყო. სოფელი გაირინდა და მიწყნარდა. ბუხრის ზედაპირსა და ცეცხლის ნელ გუზგუზს ათასნაირი ჩურჩული და ქორი აჰყვა. ეს ჩურჩული არტანელის გულში დაბოლმდა და ჩარღეჭა როგორც ფოთოლი შარშანდელი მსხლისა აქყანტებულ ამინდსა და ნაწვიმარ გუბეში.

თავმჯდომარე მოთმინებით ელოდა ხვედრს. მართალია, მეზობლების საიდუმლო გამოხედვა და მტრების ნიშნის მომგებიანი ლიმილი ტუჩებზედ უსიამოვნო ერუანტელს ჰგვრიდა, მაგრამ კეთილი და გამამხნეებე-

ლი ლიმილიც თამაშობდა მრავალი მათგანის პირზედ და ეს იყო რომ იმედს აძლევდა უფსკრულთან მიმდგარ არტანელსა. ლაფათყურელი თავმჯდომარე ხაფანგში გაბმული დათვივით ბორჯაყედან დასაწყობებული მოლოდინითა და გაურკვევი მომავლით უმწეოდ შემსჭრებულსა დასაქვანებულს შემოდგომის ცინგლიან ღღეს. სიტყვა-ძვირი კიდევ უფრო უსიტყვო გახდა და შუბლზედ ნაოქი აიკეცა მაუწყებელი ადამიანის ბოლმისა და ჭირვარამისა. კოლექტივში ჩასვლისას მოკლე განკარგულებებს აძლევდა მუშაობის სათადარიგოთ და მერე ან დანესტიანებული ტყის ახოვებში იკარგებოდა, ანდა, ოთახში ჩაკეტილი, თებროს ებაასებოდა თავის ჭირსა და ვარამზედ.

დაღონებული ქალი ყოველმხრივ ცდილობდა ამხანაგური რჩევითა და კვიანური სიტყვა-პასუხით იმედი დაეთესნა წონასწორობა დაკარგულის ადამიანის გულში. თებრო გრძნობდა როგორ ინგრეოდა წლობით აღმართული ზღუდე კოლქმართა შორის. ქალის მიმხედარს სადა ჩვილ ბუნებას არც ის გამოეპარა, თუ როგორ დაიწმინდა არტანელის თვალეზი და როგორ გაქჭრა ორჭოფული და მცდელი გამოხედვა ლაფათყურელი თავმჯდომარისა. არც არტანელისთვის და არც თებროსთვის არარად ღირდა ამჟამად ყველა ის ეჭვი და მითქმა-მოთქმა, რომელსაც უხილავი მტერი ასეთი დაკინებული ხელოვნებით ქსოვდა. ეხლა ორივე ამბის ვათავეების დაჩქარებას უფრო ლამობდა, რადგან მხოლოდ კოლექტივის გადაწყვეტილება თუ გაჟფანტავდა ლაფათყურელი თავმჯდომარის ქობის რიდესთან დაბუდებულ ეჭვსა და ჭირს.

ამ ფიქრებით მიიწევდა წინ არტანელი და ალაფებულ გზას სახრით იკვლევდა.

წვიმდა.

წვიმის ნელ ცრას შორიდან მონადენი ნაგუმბათარი ზარის ნაღვლიანი ხმა უერთდებოდა. ეს კოლექტივის საერთო კრების მოწვევის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო.

პატარა კლუბის დარბაზი ძლივს იტევდა ზღვად დაგროვილ ხალხსა და მთელი დარბაზი ისე გაჰყვდილიყო, რომ განი აღარსად დაიდებოდა. ჩიბუხისა და გამოუსვლელი წიკოს სუნით გაელენთილ პაერს დასველებული ქალამნისა და ნიერის სუნი უერთდებოდა. გრძელი სკამების რიგზედ ჯგუფჯგუფად ჩამომჯდარი ახალგაზრდობა ოხუნჯობდა და ლაზლანდარობდა. ბერიკაცობა მასლაათობდა და ბაასობდა. დედაკაცობა ვიშვიშებდა და თავსა და ხელებს ატაატებდა.

მთელი კოლექტივი აქ მოგროვილიყო. აქ იყვნენ ტურისუბნელებიცა და ჩუმთხვევლებიც. დაღელაანიცა და არსენაშვილებიც. ახალი პატაროძლები მეზობელ სოფლებიდან ახალ მეგობრებს ესჯაბაასებოდნენ. დაუთხოვარი გოგოები ერთმანეთს სჩქმეტავდნენ მეტის ყინითა და ვაგაკის მკერდს თუ იგრძნობდნენ უცაბედათ სივიწროვეში, დამფთრხალი მტრე-

დებივით უკან იხევდნენ. მათი ეივილ-ხივილი და სიცილ-ხარბარი, სიცილ-ხლითა და სიხარულით ავსებდა მთელ კრებულს და დამძიმებული ჰაერი დამწვარი ხორცის სურნელებითა და მიწის სინოყიერუნს, თევზულდამხვევი სუნით იტღენებოდა. მოხუცები წყველით აჩუმდნენ, მისკანსკანს კოგობიჭობასა და უმადურად უყუფდნენ „უსირცხვილო“ ახალგაზრდობასა და მასთან შეყრის ბედს.

კოლექტივის აქტივი წინა რიგებში ჩამომჯდარიყო. მათი ჩაფიქრებული გამოხედვა მხნედ გადაჰყურებდა უკანა რიგებში მოკალათებულს მხიარულ ახალგაზრდობას. აქ იყვნენ სოფლის ნამგალსა და ბარში გამოცდილი სახელოვანი მუშები. მათი სიღარბაისლე და სიღინჯე, ამყური ქედმალლობა და რიდი უცნაური ჰარმონიით ეთანხმებოდა მათსავე სიტლანქესა და სიმძიმეს. მათ თვალებში ღრმად ჩაწოლილიყო ფართედ გაჭრილი კვალი გუთნისა და მზისგან გამაშწვარი პირის კანი, გადახნული ანეუღივით გადაღადრული.

სცენაზედ წითელ ნარმა-გადაფარებულს გრძელი მაგიდის გადაღმა დროშებით შემკული ლენინის ბიუსტი და ამხ. სტალინის სურათი მოსჩანდა. ბელადის გამოხედვა საქმიანი სითბოთი დაჰყურებდა დარბაზში შეგროვილ კრებულს და თავისი შორეული არსებობით ამხნეებდა მებრძოლთა გულს.

კრება ვალდებულებათა შესრულების განხილვით დაიწყო. თავმჯდომარემ მომხსენებლად არტანელი დაასახელა. მუხისელის გამოჩენამ სცენაზედ ერთბაში ჩოჩქოლი ასტეხა ხალხში.

— ამხანაგებო — დაიწყო ლაფათყურელმა თავმჯდომარემ. — არც ერთი ვალდებულება და დავალება არ მოუცია პარტიასა და მთავრობას ჩვენი კოლექტივისთვის ისეთი, რომ ჩვენს კოლექტივს ეს დავალება და ვალდებულება, რასაკვირველია, პირნათლად და გადაჭარბებით არ შეესრულებინოს. — აქ არტანელმა ხმას აუწია და ლარივით გამართა. ხმაური მიწყდა და დარბაზში დუმილი გამეფდა. ლაფათყურელი თავმჯდომარე მშვიდათ მოუყვა კრებულს კოლექტივის მუშაობაზე, გეგმების გადაჭარბებით შესრულებაზე, კოლექტივის წევრების ცხოვრების სიკეთესა და ლარიბი კაცის ცხოვრების გაუმჯობესებაზე.

არტანელის ბოლო სიტყვები ტაშმა და მხიარულმა კრიამულმა დაჰფარა. არტანელის შემდეგ ილაპარაკეს დამკერელმა მუშებმაც და ბრიგადირებმაც. ლევანა ჯანიაშვილმა კრების ყურადღება კაცდღეების განაწილების ზოგიერთ შეცდომებზედ გადაიტანა. ფირუზა ლალიაშვილი ვაზის მოვლასა და ყანების მარგვლის საკითხზედ შეჩერდა. შაქრო ძამუკაშვილი საქონლის საკვებზედ და ანეულების ხარისხზედ მოჰყვა. მარო ბოტკოველმა საბავშვო ბაგის ხელმძღვანელობასა და კოოპერატივის გამგეობას შეუტია. მათ სიტყვებში გამხმარი თივისა, სასუქისა და შემოდგომის ნესტით გალხობილი და დაბუჯუჯებული მარცელის სურნელება კრთო-

და. მათ ხუმრობაში გულუბრყვილო ეშმაკობა და მიაშირება სიტყვათა ხელოვნობა ილესებოდა, რომელსაც მთელი კრებული ჯანსიღი და თიერადიწყებული სიცილ-ხარხართა და მოსწრებული ანდაზებით უპასუხებდა.

ამ საქმიანმა სჯამ და კრებულის მხიარულმა განწყობებმა ლაფათყურელი თავმჯდომარეც აიყოლია. წუთით არტანელმა მიიფიქრა ის ზღუდე, რომელიც უკვე კარგახანია უხმოდ, მაგრამ აშკარად აღმართულიყო მასა და კოლექტივს შორის. ნავთის ქრატებით ოდნავ განათებული სახეების მომღიმარმა სილუეტებმა, მხიარულმა სიტყვა-პასუხმა და ცხარე კამათმა, არტანელი თავისი ბუნების ღვიძლ მორევში გადაისროლა. გულს კაეშანი მოსწყვიტა და მთელი არსება რაღაც გამოუცნობი სიხარულით აღატყინა.

ამ უტკბესი სულის სიმშვიდის ნექტარით თვრებოდა არტანელი, როცა მის ყურს კრების თავმჯდომარის დაბობებული ხმა ჩასწვდა.

— მიმდინარე საკითხებში, ამხანაგებო, არტანელის განცხადების განხილვა გვაქვს დაწესებული. რას იტყვით ამაზედ?!

— განვიხილოთ. იგრიალა ხალხმა და უცბად მიყუჩდა — მიყუჩდა როგორც ჭარიშხლის წინ გაზატხულის მშინანი დღე.

კრების მდივანმა განცხადების კითხვა დაიწყო. ასოებჩათვლით კითხულობდა გამოუცდელი მწიგნობარი ლაფათყურელი თავმჯდომარის თავგადასავალს. გარკვევით ისმოდა მისი აბორძიკებული ხმა იდუმალებით მოკულ დარბაზში და არტანელის მითრთოლვარე გულს ბურანში ჰხვევდა.

როცა მდივანმა განცხადება მოათავა, ხალხში დრტვინვა და ქოთქოთი გაისმა. არტანელმა თავი დააზარა და კიდევ უფრო ჩაიძირა თვალწინ გაწოლილ სქელ ბურუსში. ეხლა მას აღარა ესმოდარა, ან თუ ესმოდა, ესმოდა როგორც უცხოს, როგორც უბრალო მაცურებელს.

კრებული სდღღდა და ქოთქოთებდა. სიმკაცრეს მოყვარული ახალგაზრდობა არტანელის კოლექტივიდან გაძევებას მოითხოვდა. დარბაისელი ბერიკაცობა დანაშაულს ეერა ჰხედავდა. თავმჯდომარე კი აღელვებულ ხალხს აწყენარებდა და ღონემიზილი ხელებს უმწეოდ ასავსავებდა.

არტანელი აზრმოუცემლად გაპყურებდა დარბაზს, თვალეებში ღიბრა აპკროდა და *ყურთასმენა შემოპკლებოდა. სცენაზე ასული მოლაპარაკე მეზობლები სიზმარში ნახულ აჩრდილებად ეჩვენებოდა, ხოლო დარბაზი გავარვარებულ თონედ.

როგორც იყო ხალხი დაწყენარდა. თავმჯდომარეც კოლექტივის აქტივისაგან შემოსული წინადადება წასაკითხად მდივანს გადასცა.

კრება დადუმდა და გაილურსა.

უცბად...

არტანელის თვალწინ ბურუსი გაირღვა და მას მკაფიოდ ჩასწვდა ყურში კრების მდივნის ჩამოკენქილი ხმა:

...არტანელი თავისი წარსულის დაფარვისათვის და მით პარტიისა და კოლექტივის შეცდომაში შეყვანისათვის მოხსნილი იქნას ლაფათყურის თავმჯდომარის თანამდებობიდან და ~~შამყარაძის~~ დამკერვლის სახელი...

არტანელი მუხნაკრავივით ზე წამოიჭრა და წაბარბაცებული ისევ სკამზე დაეშვა. ეხლა დარბაზი თოვლივით გათეთრდა და გულს შმაგი სევდა მოაწვა.

— გათავდა არტანელო შენი სიკეთეცა და კაიკაცობაც. ეხლა ქუროღივით უნდა ვახვიდე, არტანელო, ბნელ ღამეში, რომ მეზობლებმა არა ნახონ დღის სინათლეზე შენი ვაჟკაცობა. მოკვდა არტანელო ამავიცა და შრომაც ამ ყანა-ვენახში ჩათესილი. მოკვდა სიკეთე შენი ხელით ნაამაგარი და ნათეს-მოვლილი.

კრება შეირხა და ისევ დადუმდა.

მდივანმა განაგრძო.

და...

კვლავ მოხვდა არტანელის ყურს ნაწყვეტი ცალკე სიტყვებისა.

...საქმის სათანადო სიმძლევზე დაყენებისთვის, თავდადებული შრომისა და უანგარო გამრჯელობისთვის ამხანაგი არტანელი დატოვებული იყოს ლაფათყურის კოლექტივის წევრად და მიეცეს მას საშუალება გაასკეცებული მუყაითობითა და თავდადებული შრომით გამოასწოროს სამარცხვინო შეცდომა.....

უკანასკნელი სიტყვები ტაშმა დაჰფარა. კრებული მზიარულად აფორიაქდა და თავმჯდომარემ წინადადებას კენჭი უყარა. ტყე ხელებისა აიზიდა დარბაზში და ჰაერი შეირხა. გამოფხიზლებულმა არტანელმა შეპხედა ხელების ზღვას და იმედიანად გაიღიმა.

— მაშ არ გათავებულა არტანელო შენი ამბავი. კიდევ მოიხვეჭ სახელს, კიდევ ჩასდგები პირველთა რიგებში.

ვაჟკაცის ლაწვზედ ობოლი ცრემლი ჩამოგორდა და ქრატის სინათლეზე მარგალიტივით აბრწყვეილდა.

— მე, ამხანაგებო, არ დაეინდობ ჯანსა და მტლად დავედები ჩვენს კოლექტივის — წაილულლულა არტანელმა და მორცხვად დაჰხარა თავი.

დარბაზი ახმურდა, თავმჯდომარემ კრება დახურა და კლუბის დარაჯმა ქრატებს დაუწყო ქრობა. ხალხი მზიარული გივილ-ზივილით დაეშვა კიბეზედ და შემოდგომის ნაწვიმარ ღამის ნესტში გაიფანტა.

არტანელი ჩამორჩა უბნელებს და გორაკზედ მუხასთან შეჩერდა.

წვიმდა.

შემოდგომის ატირებული ღამე სინოყვირით ავსებდა მიწას და ვალხობილი ნიადავი დამპალი ვაზის ფოთლებისა და ლერწის სუნით ავსებდა ჰაერს. არტანელი ხარბად სუნთქავდა ამ დაჯონილსა და მშობლიურ ჰა-

ერს. მისი განზედ გამდგარი ფეხები აყალო მიწის ვალხობილ ზედაპირს ისე მიჰკროდა, თითქოს ის და მიწა, ის და ფეხ-გამდგარი კოცაყი მუხა ერთი ოსტატის ნახელოვნები ჭანდაკება ყოფილიყოს გამშახტველი ძლიერებისა და სინოყიერისა. წვიმდა.

საღლაც მღეროდა მხნე ბრიგადირის გარმონიკა და საღლაც ჭოხში ახალგაზრდა გოგო-ბიჭები ლეკურს უვლიდნენ.

სოფ. იყალთო

1933 წ.

შემოდგომა



ირაკლი აბაშიძე

ბ უ რ თ ი

(ძველი იმერეთი)

გიორგობა დღეს გავარდა ბურთი, გაჰკრეს და გასცდა საყდრის გაღაფანს გაუდგა გზებში გუნდი და გუნდი, გაჰყვა და სცემდენ დაულალავად.

ზეცაში კუბრი ავარდა ბევრი, ბოლი და ბული იდგა ყურუმი;
მოიჭრენ ბარში მთიული დევნი ბაშლიყით რუხად პირდახურულნი.

ჭაერში ბურთი ბრუნავდა კენტი. იჩრდილი ფრენდა — კენტი ზმანება პირაქით ფიცხი ბარული სცემდა, პირიქით ზანტმა დაჰკრეს სვანებმა.

ქალაზე შეჰკრეს ბურთი და მაშინ დატოვეს ქულზე დაბა კაცებმა,
— როგორ იქნება ბარისთვის მთაში დაკარგვა ბურთის და გატაცება.

ქალაზე შეჰკრეს იგი და მალე აგორდა მორგვი, ბრბო და რკალები,
შვილები ოხრად ღმულოდენ მამებს, იწეწებოდენ გზებზე ქალები.

გველივით მკლავში ჩაბლუჯა სვანმა, შხარას სიმაგრით და სიმკაცრეთი
და როგორც ჯოგნი მდინარეს სვამენ — თავს დახვეოდენ ბარის კაცები.

გორაზე დადგენ მღევრები ჩქარი, დახურეს შეჰკრეს ყველა ბილიკი
სცემდა პირაქეთ დამხდური ჯარი იტყორცნებოდა ბურთი პირიქით.

ველში გაიგდეს მთების ვერძებმა, წყალზე მტურავენს ამცნეს წინარე:
მოგვაქვს, ან გახლით თევზის კერძებად, ან გაიტანეთ ბურთი მდინარეს.

მღევრებს გადუჭრეს გზები სვანებმა, მიჰყვენ წინაპრის ნახმარ მაგალითს
უკან კივილი, ხმა და ბრძანება: — კანჭი ვისა აქვს მთავართ-მთავარი!

— ვაჰა, წაიღეს, ბარის ლაფდასხმა „ვაყა მეჭოთნე“ სვანმა ინება
მღევრად გაჰქუსლა ქოსა ხარაზმა, დადგა ხარი და ლანძღვა-გინება.

გალმა მევრელი გლეჯდა ლაგამებს ცხენს და უშენდა, ცემდა თვალებში
— „ხელში ჩამიგდეთ ბურთი, ვაჰამე — ეძებონ შემდეგ ნაოღალევი“

მაგრამ უყელეს ბარის ქორებმა, შეპკრეს, შეიძრენ ცაში ქორება /
 უკან მოიგდო ბურთი მორევემა, დაბას დაბრუნდა განმეორებით.

დადგენ იხარეს, — როგორ გადარჩენ: კილვას, ლაფსა და ქაჯიქოცელეს
 ბარის ქალებმა ჩაპკრეს ქამანჩებს, გზებში ხედებოდენ ძლევა მოსილებს.

სვანეთს შეთვალა ქოსა ხარაზმა: — მდევნი არა ვართ აქაც ცოტანი
 ისე დაგიგდეთ მგონი ხელახლა ველარ გამოწვას „ვაყამ“ ქოთანი.



შარვლებს ქალები ახლად კერაედენ, ვმირებს ჩააცვეს ახალ-ახლები
 ძველებს არშია შერჩათ პერანგებს, ველში ეყარენ ჩაბალახები.

ალექსანდრე კუთათელი

ალისმერთი

ალისმერეთში ცეცხლი წარმართი
კიაფობს ცაზე გამოსახული.
უკვე მალლა ვართ მთაზე ასული,
ქშენით ავიღეთ დიდი აღმართი.

მზის ამოსვლამდე მივალთ ნაბდებით
ჩვენ საირმეზე ორი საათი,
დგას შემოდგომის ტყით და კალთებით
მთა ჭარვისფერი და გოლიათი.

წყავისა — წვერზე იდგა რიყრაყი
და ჭრიაშული ათას ფრინველის,
მე დავინახე გასაკვირველი
მთა დაბუჭებული როგორც მირაყი.

ბრწყინავს თოვლისგან გორა მალალი
როგორც სვანეთის უშბა, უშკული...
ზედ ვილაც ყვირის ამომავალი
და ახველებენ ხევში უფსკრულნი

იქ, წითელ-ხევში იყო ასინა —
წინათ — დიდედა. ტყე — სარკოია,
სადემეტრაო ვაზით ავსილი,
სად გლები მიწას გადაპყოლია.

აყალო მიწით იდგენ ქურები,
ჭაჭის არაყი, როხის ამბოხი...
შორს ბნელე-მთაში ყეფდენ ტურები
და კორის-წყალთან ბეუტავდა ქოხი.

ვის დაეძებდენ იმ ღამით ნეტავ
ტირიფის ახლოს, ჩირალდნით, ტივით,
კორა ჩავიდა წყალში სვეტივით
თუ თმაგაშლილი ტირის დემატრა?..



ჩემში იღვიძებს წარსულის ძალით
აღისმერეთში ახლა ეს მითი.
გასაკვირია: როს „კორის-წყალი“
„სადემეტრაო“ — სიტყვები გესმით?!

ჩანს „კაკასხიდი“ — „ბოლოკოური“
და ჩვილ ბავშვივით მე მიხარია.
მთის მყუდროებას დავუგდე ყური:
რა იღუმალი ხმები გარბიან!

ჩანს ურთხმელათა ხშირი ტევრები,
ხენი უხავსნიც — კვინცხა ხიოჭი.
გამოუწვდიათ კუნძი წვერები,
ხავსი ნაზარდი — როგორც იონჯა.

შვენოდათ ჩიტებს ფერადი ჯუბე,
იდგა უძირო, გულის მკოდავი,
ძელქვა და წიფლის მთაში სიჩუმე,
ბოზი კაკუნი ბოლზე კოდარის.

გამოუჭროლა ალაღმა,
წაიღო მაღალ მთაზედა,
სახრე ვტყორცნე და დაღამა
სისხლი კოდარამ ქვაზედა.

ჯოხს მიჰდობილი ჭყივის კოდარა.
თავს დასობილი ტკივა მახათი.
ვით ძგერდა გული, ნეტავ გენახათ
და ფართქალეზდა მუჭში პატარა.

ნისკარტზე მკვდარი ეკიდა ჭია
და გავიფიქრე: ეგრე რად არი?
რად არ იფარავს ძლიერი ჩიას,
სუსტსა ქმნილებას უფრო მაგარი?!

რა სათქმელია ჩიტის არჩივი
და მის შესახებ უკმი ქართული!
მინახავს მთაში ბრძოლა არწივის
და მეხის ლახვრით ხე გაფატრულა.



ცხრება ცხოვრება, მთებიც ზის ყუჩი,
წიფლის წაბლს ხეკენ ჩხიკვნი, მერე კი —
ზამთრის ჭირნახულს ჰყრიან ხის ღრუში,
როგორც გლეხები აღისმერეთის.

აღისმერეთში დასახლებულა
გძელიძეების ორმოცი კომლი,
ივსება მათი მარანი, ხულა
ნადური შრომის ჯაფით და ოფლით.

ბრწყინავს თოვლისგან გორა-მაღალი,
როგორც სევანეთის უშმა, უშკული...
ზედ ვილაც ყვირის ამომავალი,
და ახველებენ ხევში უფსკრულნი.

უკვე მოვიდა მთაში მხედარი
და თან მოჰყვება მას თანამგზავრი.
ხის ტაძრის ახლოს გლეხებს ეხედავდი,
ცაცხეს დაკიდული დარეკეს ზარი.

შეგროვდა ხალხი და გაღავენში
იდგა გლეხების გოთგოთი, ომი,
ჭუთაისიდან იყო სევანიძე —
ინსტრუქტორია თემალმასკომის.

გახსნა გძელიძემ — ძველ პარტიზანმა
კრება, სიტყვებზე თქვა საგაზეთო.
გვამცნო სევანიძემ მოსვლის მიზანი:
აქაც კოლექტივს დავაარსებთო!

მას უპასუხეს: „დაარსდეს უნდა
აღისმერეთშიც... კოლექტიური...
ამას ვამბობდით ლატაკნი მუღამ,
შევიმუშავეთ ჩვენ ექვსდღიური.“

მაგრამ უთხარით მთავრობას რომა
შეგვიმსუბუქოს გადასახადი.
ძნელია მთაში ჯაფა და შრომა,
მწირია მიწა ასჯერ ნაცადი.



გვაძლევს ყურძენში გროშს ორიოდეს
ახალციხელი ჩვენ ჩაღვადარი,
აღისფერ ვაშლით უწონით გოდრებს,
ღრამის ფასს გვაძლევს ის ყოფამკვდარი!”

გრძელიძეების დღეს ვართ სტუმარი.
გვათბობს მუგუზლით სავსე ბუხარი.
ზის მასპინძლობა რომ უხარია
სევერიანე ტკბილმოუბარი.

გაჭკვართლულ სვეტზე მისია თოდი —
ამ სოფლის საბჭოს თავმჯდომარისა.
სამოქალაქო ომში ნაწრთობი
და მოტანილი მთაში ბარიდან.

ტყაპუნებს კეცზე ცოლის ხელები.
თვლემდა ბაბუა ბოლში გართული.
შემოიტანეს სუფრა ქართული:
არაყი, კომში და ჩურჩხელები.

ქადართან კრაქით მოხადეს /ჭური,
მაჭარით სავსე ციცქა, სალხინო,
დოქით მოქონდათ სხედასხვა ჯურის
აღისმერეთის მომთავო ღვინო.

მე ვუდღეგრძელე სევერიანეს
ორი მე. კალთით ყავდა დიდედას.
გასაძიებლად ჩანს დაინანეს:
მოხუცის მუხლზე ტიტინებს ვხედავ.

გულმოყვამთბარნი ერჩიან ბუქნას.
მსურს მათ ქორწილზე ვიყო მაყარი,
აღისმერეთელს მუხლი მაგარი
თუ არ გამოყვა მიწას რა უქნას?

დახვეული აქვს გლახს წელზე თოკი,
 ბოლო მობმული ხეზე, პალოზე.
 მთის ქვიან კალთას უტევენ თოხით,
 ნაპრალებე შიშით არ კანკალობენ.



გლახის ნაოფლარს ვკამდით ამგვარი
 ჯაფით და შრომით აკრეფილს მთაში
 და მაკვირვებდა სტუმართმოყვარე
 მე მთიელების სიმხნე და მაშინ
 მივხვდი დროებამ რად ვერ აყარა
 მათი სახლკარი, ვენახი, ყანა.

ფქვილს ცრიდენ ცერზე შემდგარ მერდინით.
 როკავს საცერი, როგორც დაური.
 ალისფერ ღვინოს ასხამს მერქიფე.
 წინ შებრაწული ძევს ინდაური.

გვასმევს თამადა ღვინოს ძალათი.
 დილით მოხადეს ქურს ისევ ორგო.
 ცოლიკოურით ავსებული მომცა კალათი,
 საცოლესავით მიცინოდა მასპინძლის ვოგო.

გამომიწოდა ქურზე დახრილმა
 მან საამური ხრიკა — ორშიმთო,
 ჯოხი შეინდისა ქონდა გაყრილი,
 ზედ მათრობელი დგას ოხშივარი.

ვარლამ რუსაძე

ს უ რ ა თ ე ბ ი

1. ნინოშვილი

თოვდა. ჰკიოდა ჭარი აშარი,
გურიის სოფლებს მძაფრად უტევდა,
ქოხებს გარს ერტყა ყინულთ ჯაგშანი
და მწუხარება ღამეს უთევდა.
თოვლს თვალში ესო ღამე, ვით შუბი,
ქოხში ეგნატე იჯდა კერასთან
ფერმკრთალი მისი მალალი შუბლი
აბალ ცხოვრების სახეს კვერავდა.
არ ჰქონდა ჭრაქი; ცეცხლს ჩალის ღერით
ანთებდა; ჰკლავდა ქლეჭი და სევდა:
და იგი მაინც, დამღრალი ხელით,
ჭარიშხლით სავსე სტრიქონებს სწერდა!

2. კამო

ტფილისის თავზე ეკიდა ღამე
და ეხვევოდა ყელზე ნიავი.
მტკვარი ზვირთს სცემდა მეტეხის ხრამებს —
მუნჯი მოწამე მისი სიავის.
მთაწმინდა იდგა, როგორც ანგალი,
და გაშლილ ქალაქს გასცქერდა კლდიდან.
ქაბუკი მთვარე, ოქროს ნამგალით,
დადიოდა და ვარსკვლავებს მკიდა.
ქალაქს ეძინა, ხმაურის შშობელს,
თავზე სიზმარი აწვა გრძნეული...
და კამო ჩუმად მიჰყავდა შოფერს,
ციხით მეთედ გამოქცეული!

3. ჯორჯიაშვილი



ქართული
 ენციკლოპედია

მზე თუმც სხივთა ჩქერს აჩქრიალებდა,
 სასახლის ქუჩას ჩრდილი ებურა,
 და სიო წყნარად აშრიალებდა
 ხეივანს, გაშლილს ქოლგისებურად.
 მტკვრის შორეული სუსტი ხმაური
 უერთდებოდა ტრამვაის ბგერას,
 და ქუჩა, სავსე სიუცნაურით,
 ზრდიდა ღელვასა და გულის ძგერას.
 მიჰქროდა ეტლი თვალთაფეთებით...
 გაჩნდა არსენა ყუმბარით ხელში;
 იფეთქა ცეცხლმა და ნაფლეთებად
 შესტყორცნა ზეცას მტარვალის ლეში!



კონსტანტინე გამსახურდია

მთვარის მობაცემა^{*)}

XIX. შოშიების გამო მოჩხუბარნი

ახლა ლუკაიას ხულასაკენ გაემართა ბაბუა ტარიელ.

კარებზე დატანგული ბოქლომი ეკიდა.

და სწორედ ამ ბოქლომმა გაახელა ბაბუა ტარიელ. მის დანახვაზე უარესად შემოენთო გულზე ბრაზი. თავათაც არ იცოდა: რა უფრო აბრაზებდა მას, ამ ბოქლომის შეხედვა, თუ „ლუკაიას გადაკარგვა?“ მუხლები აუკანკალდა ბაბუა ტარიელს. ახლოს მივიდა ბოქლომთან, ხელები მოსჭიდა და იგრძნო ერთბაშად: თუ არ ეს ბოქლომი, უთუოდ ძირს დახვედებოდა მისი უზარმაზარი, დევეური სხეული. გულამღვრეული მისდგომოდა ბაბუა ტარიელ ლუკაიას ხულას დაგმანულ კარებს. საშინელი მარტოობა შეიძნო ამ წუთში. და მისი ფიქრი კვლავ იმ „უხანო ლუკაიასკენ“ ჰქროდა.

მთელი ოჯახი დააქცია ლუკაიამ „ვილაც მამაძაღლის არღანის“ ქორწილის გამო. და მოაგონდა მოხუცს დამსხვრეული კოცები, ქანური კარდალი, ღორების მიერ დაგლეჯილი ტომრები (და ტომრებს ვინ იყიდის აწი ამ სიმძვირეში, ან სად იშოვნი ახალ დროში ძველებურ ტომრებს?). იმძლავრა ბრაზმა ბაბუა ტარიელის გულში და როგორც ხანძარი ქარიან ღამეში ჯერ სარდაფს მოედება, აქიდან პირველ სართულს გაანადგურებს და მერმე ნელნელა აჰყვება ცეცხლი კვამლით გაბურულ შენობას, ისევე აჰყვა ბრაზი ბაბუა ტარიელის სხეულს. ჯერ მუხლები დაუსუსტდა. მერმე მუცელზე ეძგრა, იქიდან გულზე შემოენთო — (და გული სუსტი ჰქონდა ბაბუა ტარიელს, მიტომაც უსივდებოდა ფეხები) და მერმე თავში აუვარდა ბრაზი, იგი სავსებით გაბრუებული იდგა, ეს იყო მხოლოდ ცივი ბოქლომის ხელის შევლება საამოდ ეჩვენებოდა ამ წუთში მოხუცს. და ხელის გულიდან გადმონაყონმა მცირედმა სიგრილემ გაახალისა ოდნავ ბაბუა ტარიელ და ახლა სავსებით ახალმა აზრმა იელვა მის თავში: ჭა-

^{*)} იხ. „მნათობი“ № 9.

ლაქში წავიდოდა როგორმე ნახუცარი, მოსძებნიდა სადღე ლუკაია ლაბახუსა, გადაამსხვრევდა შინდის ყავარჯენს, ყინულივით გადაამსხვრევდა თავზე.

ერეკუნული

მაგრამ მყისვე დაუფიქრდა ბაბუა ტარიელ (უანაფორიანისაბოდეს გასულა ეზოდან) და თავისივე ლანდი დაინახა ჭალაქისაკენ მიმავალი. მიდის ქუჩაზე ანაფორიანი მღვდელი, უმზერენ ყოველი მზრიდან მოკეთენი და მეშურნენი. ზოგს გაუჟვირდება: მღვდელი რომ კიდევ დადის ქუჩაზე, ზოგს ეწყინება, მღვდელი რად ვერ დაახრჩვესო კიდევ? ერთიც ენახოთ „მღვდელი წვერცამეტავ“, დაიძაბა რომელიღაც კვიმატმა. რა ქნას მაშინ შეურაცყოფილმა მოხუცმა? წინად კიდევ ყოფნიდა ჯანი და ნერვები ბაბუა ტარიელს, ახლა? სადღაა ან ჯანი, ან სულის მხნეობა? გადაიფიქრა ეს ამბავი ბაბუა ტარიელმა და უცებ ლუკაიას ხმა შემოესმა.

შავ ძაღლს უჯავრდებოდა ლუკაია.

არ ელოდა ამ ამბავს ბაბუა ტარიელ.

გაიხედა და მართლაც ეგერ სდგას ლუკაია.

მოიკრიფა ნახუცარმა ღონე და პირდაპირ ლუკაიასკენ გაემართა კიდევაც.

უყურებს: არ სჯერა, ლუკაია რომ მოსულა.

უყურებს: ლანდია თუ ლუკაია?

ლუკაიაც შესცქერის, ველარ იცნო მღვდელი. იფიქრა ალბად კომკავ-შირლების ოინიაო. მღვდლების გაბამბულება სჩვევიათ ბიჭებს, მოაგონდა: ნილაბიანი კაცი ღმერთის მაგიერად ავტომობილში მჯდარი. ზიზღმორეულმა ზურგი შეაქცია ამ მოჩვენებას: საკუთარ ეზოშიაც არ აყენებნო მღვდელს, ის არამზადები. ეს გაიფიქრა და ალვის ხეზე მოფარფატე შოშიებს დაუწყო ცქერა.

მთლად არეულაო ეს ოჯახქორი, გაიაზრა ბაბუა ტარიელმა და ფეხაკრფვით მიუახლოვდა ლუკაიას.

„რას უყურებ შე ლენჩო?“

დასჩხავლა ნახუცარმა.

„შოშიები მოსულან“, ამბობდა ლუკაია (ჯერაც ვერ მოესწრო მიბრუნება).

„მერმე შენ რას უყურებ?“

ხმაზე შეიცნო ლუკაიამ ვინც იყო. მიუბრუნდა. ალბად გადარეულაო იფიქრა და სიცილი ველარ შეიკავა მჭვარტლით შემურულ მღვდლის და ნახვისას. მხოლოდ წამწამები, მწითური წამწამები შერჩენოდა ბაბუა ტარიელს დაუმჭვარტლელი.

ისევ ისა სჯობს, რომ ჭკუათამყოფელსავით ველაპარაკოო შერყეულს. ასე ფიქრობდა ღიმორეული ლუკაია.

ისინი რაღაცას უამბობნო ერთმანეთს. უბასუხა ბაბუა ტარიელს.

— „რას უამბობენ შე გადარეულო?“

განაგონი ჰქონდა ლუკაია ლაბახუას: გადარეულს ქუთაისის ციხეში გადარეულად ეჩვენებო, ამიტომ მშვიდად უპასუხა ასე:

— „იმას, რაც მზის ქვეყანაში გაუგონიათო.

— „რა გაუგონიათ მერმე მზის ქვეყანაში?“ — ჩაბყინდა მღვდელი. ასევე მშვიდი პასუხი გასცა ლუკაიამ:

— ის რასაც ჩვენში არ ამბობენო.

— „რა იცი რომ მზის ქვეყნიდან მოსულან ეგ შოშიები შე ლენჩო?“

— „აბა რამ გააშავა ასე, დიი!..“

— „დიი... გავიგონეო? გაცხარდა ბაბუა ტარიელ.

— დიიი და ზაპრმარო. — მიახალა.

წინად ამგვარი დიალოგი დიახაც უყვარდა ბაბუა ტარიელს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა კარგ გუნებაზე იდგა. და არეულ ლუკაიას ერთი-ტინი საამურად უღიტივებდა მის მოღუნებულ გონებას. ახლა კი გაცოფებული იყო, ამიტომაც შეაწყვეტინა სიტყვა. ლუკაია ფეხით ნარბენი სჩანდა, სახელოთი იხოცავდა წარბებზე მოზღვავებულ ოფლს, თანაც იჭედნურად იცინოდა და ამ სიცილმა გააცოფა ნახუცარი. ლუკაიას ისედაც დატრეცილი პელერინი ბირკათი გავსილიყო, ზურგზე ეტყობოდა პელერინას მწვანეზე წოლილიყო ლუკაია. ეს რომ შენიშნა კიდევ უფრო აენთო.

„სად გადიკარგე შე ლენჩო ამდენ ხანს? საქონელი მშიერი დააგდე, ძაღლმა ჭანური გასტეხა, ქათმებმა სამზადი აიკლეს, ღორებს ქერი შეუჭამიათ და წერილად ჩამოსთვალა ბაბუამ ლუკაიას აქ არყოფნის დროს მომზადარი ზარალი.

ახლა კი მიხედა ლუკაია, რომ მღვდელი ჯერაც სრულ ჭკუაზე იყო, მაგრამ კილოს შეცვლა აღარ ინდომა.

„სად ვიქნებოდი? სად ვიყავი? სად ვიქნებოდი?.. დიი!!! თვალები უფახურებდა, ენა უბორძიკებდა ლუკაიას. სად ვიყავი და ქვირითს ვითვლიდი რიყეზე“.

„მერმე რამდენი ყოფილა შე გადარეულო?“

„იმდენი, რამდენიც კენჭია“.

„მაშ კენჭი რამდენი ყოფილა, შე აფრაკო?“

„ხუთჯერ მეტი, ვიდრე ვარსკვლავი“.

შესაძლოა კიდევ გაგრძელებულიყო ასეთი რამ, მაგრამ აქ ლუკაიამ თავათ შესწყვიტა დიალოგი, ისევე ალვის ხისკენ მიბრუნდა და შოშიებს დაუწყო ცქერა.

შე არად მაგდებს და შოშიებისაკენ იქციაო პირი? გაცოფდა მაშინ ბაბუა ტარიელი, მოუქნია ლუკაიას შინდის ყავარჯენი და ესროლა. პელერინის ბალთებმა იპატივეს ლუკაიას შიშველი ფეხები (თორემ წვივებს დაამტვრევდა შინდის ჯოხი), ლუკაიამაც იმარჯვა, ოღნავ ზეახტომა

შოახერხა და ისევ დაეარდა მიწაზე. შინდის ყავარჯენი ტერფების ქუსლზე მოხვდა.

„ვამ დედაო“, წამოიძახა და ფეხის ტერფზე იტაცა ხელელები, მაგრამ რა შენიშნა ნახუცარი კიდევ მოდისო, წამოვარდა და მოკვდავად მიკვლანობდა ლუკაია ლაბახუა...

ბაბუა ტარიელს გულზე შემოეყარა, ჩემმა თვალებმა არ გნახოსო მიაძახა და იქვე წაიქცა მღვდელი. ასე რომ დაშამ თავათ ვერ ზიდა, მეზობლები შეჰყარა, ორმა კაცმა ძლივს გადაიტანა ნაბადზე მისი უხარმაზარი სხეული.

XX. ჰრისტეს მიერ ჩაგვინი ლუკაია ლაბახუა

უცხოთავანი უცხოთავანს უცხოობისა თვისის გამო ნათესავად მოჰკიდებოდა.

ჩემი დანვე.

თამარი არლანის ქორწილის პირველსავე ღამეს ავად გახდა.

მეორე დღეს კაროლინამ და თარაშია ოჩამჩირის მატარებლით ჩამოიყვანეს. კაროლინა ამტკიცებდა: ჯვარის დაკარგვის გამო გახდაო ავად ზაფრისაგან. სხვათა შორის ჯინჭრის ციებაც აღმოუჩნდა. დაშა უარზე იყო. ერთი კვირის წინად ვხედავდი სასთუმალთან იღოო, მერმე თვალითაც არ მინახავსო. დაშამ ჯერ კიდევ კბეზე ამომავალთ წვრილად უამბო ყოველივე. თათიას მყივანა ხველა შეეყარაო, ბაბუა ტარიელმა ლუკაიას შინდის ჯოხი ესროლაო, ლუკაია გაიქცაო. არც ის დაუმალავს დაშას, ბაბუა ტარიელს გულის ფრიალმა რომ წამოუარა. ეს ყოველივე თამარის უგუნებობას ზედ დაერთო.

თავის ოთახში შესვლის უმალ თარაშისა და კაროლინას ხელიდან თავი გაინთავისუფლა, კომოდს მიეარდა წამსვე. ისეთის სისწრაფით აღებდა თამარი უჯრებს, თითქოს ხანძარი გაჩენილა და ბარჯის ამოლაგება ეტკარებო.

კაროლინამ თათიას ოთახს მიაშურა.

თარაში ღია ფანჯარასთან იდგა, ნალვლიანად შესცქეროდა ყვავილ-შემოცლილ ვაშლის ხეს, მღუმარე ხილნარს. რაღაც საოცარი მოწყენა დაეუფლა ფუტკრების მოდუნებულ პუტუნის გამგონეს.

თამარი აღებდა, კეტავდა, ისევ აღებდა უჯრებს, გამოჰქონდა ზანდუკები, სკივრები, ხელჩემოდნები. იჩიჩნებოდა. ეძებდა. ეძებდა ამაოდ თავის ჯვარს.

ახლა ტანისამოსები გადმოალაგა, ყუთები გამოიღო, საცვლები ამოალაგა, მერმე ყოველივე ღია დასტოვა, უკანასკნელად ხელში მოხვედრილი ნივთები ხელიდან გაუცვივდა. ზედწამოიჭრა, თვალებზე ხელები აი-

ფარა, მზრები აუტოკდა საბრალოდ, „ვაა დედაო“ და გულ-
ამოსკენილი ქვითინით დაეცა თავის საწოლზე.

შემცხადებულსაკით იძახოდა: დედა დედაო, თითქოს ამ წუთში შე-
იტყო, რომ აღარა ჰყავსო დედა. თარაში მთლად გაფითრებული ადგა
თავზე, ფრთხილად, მზრუნველობით სავსე ხელით თავზე ეფერებოდა, სი-
ტყვას ეძებდა სანუგეშოს, ვერ კი იპოვნა. ხედავდა: ეს ნივთის დაკარგვის
გამო მოგვრილი მწუხარება როდი იყო, არამედ უღროოდ დაობლებული
ქალწულის მიერ ხანგრძლივი და მდუმარე გლოვის განცხადება. და ეს
„დედა, დედა“, ისე საბრალოდ, ისე უმწეო მეორდებოდა თამარის ტირილ-
ში, რომ თარაში ემზავრს მთელი სხეული დაერღვა ამ სიტყვების გამგონეს

კაროლინა დაფეთებული შემოვარდა, დაშას დაუძახა. უბრძანა: კა-
რები გადაეკეტა ირგვლივ. იცოდა: ჯვარის დაკარგვის ამბავიც რომ გაე-
გო ხუცესს უარესად გახელდებოდა.

უსხდნენ სასთუმალთან თარაში და კაროლინა თამარს. აშოშმინებ-
დნენ, ანუგეშებდნენ: უთუოდ ლუკაია იპოვნიდაო, თავის „წმინდანების
ზანღუკში“ ჩაჰკეტავდაო, განა შარშანაც ასე არა ჰქნაო ლუკაიამ, როცა
მას პირსაბანზე ეპოვნა თამარის ჯვარი.

თამარს მართლაც ენიშნა ეს ამბავი, ოდნავი იმედი ჩაესახა გულში,
კრემლები შეაშრა თვალეზზე, კაროლინამ ცივი ტილო დაადვა შუბლზე.

თარაში ემზავრს შენიშნული ჰქონდა ჯვარს რომ ატარებდა თამარი,
მაგრამ როცა კაროლინამ განუმარტა, ეს ის ჯვარიო, ჯახანას სურათზე
რომ გამოსახულიაო, დაენანა ძველი ქართული ოჭრომქედლობის იშვია-
თი ნახელოვნარი, არ კი გაუმხილა ეს თამარს და გულის გარედ ეუბნება:

„იცი თამარ, ეს შენ ცუდად გახასიათებს, ოქროს ჯვარის გამო ამდენს
რომ სტირი, რა ვატირებს შე ქალო, პატარა თათია ხომ არა ხარ? შენ
თუ მორწმუნე ხარ თამარ, ჯვარი იმიტომ კი არ უნდა გიყვარდეს, რომ
იგი ძვირფასი იყო, ჯვარი სიმბოლოა რწმენისა და სხვა არაფერი“.

თამარს კაროლინა გამოესარჩლა.

საოცარიო, ამბობდა კაროლინა, ჩვენს ახლოს დიდხანს ყოფნის გამო
საგნები ისე გვეთვისებია, თითქოს სხეულის ჩვენის ნაწილი ხდებიაო,
ლხენათა და მწუხარებათა ჩვენთა თანზიარი.

თამარს შერცხვა, კრემლები მოიწმინდა და ეს წაილულლულა: „შარ-
შანაც ასე მომივიდა, ამბობდა თამარი, შე და ხერიპსი ტფილისს მივდიო-
დით, ჯვარი შინ დამეიწყებოდა. ხერიპს რომ მეორე მატარებლით შინ
არ დავებრუნებინე უთუოდ მოგვედებოდიო, დასძინა თამარმა.

კაროლინა დარწმუნებული იყო: ლუკაიას მოძებნა გამოარკვევდა ყო-
ველივეს. თუმცაო, ამბობდა კაროლინა, ლუკაია კიდევაც რომ მოიძებნოს,
ვინ მოიყვანსო. ხერიპსი აქ არ არისო. ასეთი გაქცევის შემდეგ ლუკაია
მთელი კვირაობით სალდაც გადაკარგულიაო. თქვენ რომ ნახავდეთ უცი-

ლოდ წამოგყვებათო ლუკაია, ესეც არ იყოს, თამარის ავადმყოფობას რომ გაიგებს, თავათ მოირბენსო.

„ქი მაგრამ სად იქნება ვითომ ლუკაია?“ იკითხა ექიმმა.

„ღმერთმა იცის სად დაბორილობს ასეთ დროს, ჩვენდამაწყობების ტყეა ინგურისკენ, იქ ტყისკაცივით დააბოტებს, ხმამალა გალობით და ღიღინით იკლებს იქაურობას. ხან დუქნებში შეათრევენ, სამადლოდ აქმევენ რამეს და ალაპარაკებენ, ძველ ამბებს მოაყოლებენ, ახუმრებენ და დასცინიან. თუ არა და შესაძლოა, სასანიასთან იყოს, ბაზრის ბოლოს მწვანე სახლი რომაა, ყოფილი ფოსტისა, იმის გასწვრივ პატარა დაფეხვილი ჭოხია. იქ წინად სანთლების სახელოსნო იყო, ახლა არ ვიცი რას აკეთებს ის სასანია. თუ იქ ვერ ნახოთ, იქვე მახლობლად ძველი სამკედლო უნდა იყოს, ზოსიმეას სამკედლურს იკითხავთ. ის მკედელი მისი ძმაცაცა.“

თარაშ შინ წასვლას ეჩქარებოდა, ტფილისიდან სასწრაფო ფოსტა მოგივიდაო აცნობეს სადგურზე, თავისი უკანასკნელი შრომის ერთი ნაწილი უნდა გადაეგზავნა, მაინც ადგა, ქალებს დაუბარა: მე ლუკაიას საძებნად მივდივარო, თუ სადმე ვნახე, უთუოდ აქ მოგვეგრიტო.

დიდხანს დაყვილობდა ბაზარში თარაშ ემხეარ, სახარაზოების, თონეების, სამკედლურების, დუქნების ღია კარებში იხედებოდა, ქუჩის კუთხეებთან მოგროვილ ხალხს ათვალეირებდა, მაგრამ ლუკაია არსად არა სჩანდა. კითხვაკითხვით მიავნო სანთლის სახელოსნოს. მოხუცი სასანია შინ არ აღმოჩნდა. ერთმა დალეულმა დედაკაცმა გამოიხედა.

ორიოდე საათის წინად აქ იყოო, ამბობდა დედაკაცი. აქშინებული, სახეარეული მოვარდაო, ჩემი კაცი იკითხაო, რადგან ვერა ნახა, დამდულრულსავით გაბრუნდა; ხელში ჯოხი ეჭირა, ცალ ფეხს ძლივს მითრევედა. სიტყვა ვერ დავტყუე, ისე გამეჭკაო.

დედაბერმა თავაზიანად შეიპატიჟა თარაშში, იგი თვალგაბრწყინებული შესტყუროდა პირგაპარსულ, მშვენიერ, ჩოხიან ვაჟკაცს.

ემჩნეოდა: ძლიერ გაოცებული იყო ასეთი ჩინებული ვაჟკაცი ლუკაიას საძებრად რად წამოსულიყო. ცნობისმოყვარეობისაგან აღგზნებული იყო. უნდოდა ეკითხნა: თუ რა იყო მისი ლუკაია, ან რად დასჭირებოდა მას ეს ღვთისა და კაცისაგან მოძულებული ადამიანი?

„დაბრძანდით ჩემი ბატონი, უთხრა დალეულმა დედაკაცმა და კერის პირად გდებულ ჯარგვალზე მიუთითა თარაშს. შეატყო თარაშმა: ღია-სახლისმა არ იცოდა რა მოერთმია, რა მოემოქმედნა, რითი ეცა პატივი. ამიტომაც მთვარეულსავით დაბორილობდა ფაცხაში.“

„ერთი მიბძანეთ, ბატონო, ეუბნება თარაშ: „ეს უბედური ლუკაია სადაურია, ან შერვაშიძეების სახლში ვინ ჩამოთესლა?“

„ეჰ, რა მოგახსენოთ ჩემი ბატონი, — კვნესოდა დედაბერი, მისი ვინაობა დანამდვილებით არავინ იცის. თავათ ლუკაიას ვერაფერს დააცდევ-

მოსცდენოდა. ფეხით გასვლა შეუძლებელი სჩანდა. ბონდი ყურამდის კიდევ იყო მცირე მანძილი ფეხით გასატოპავი. თარწმისა გაიხსნა. წყალი წელამდის მისწვდა. ბონდზე ავიდა. მავთული დაშვებულ იყო. უკანასკნელ წყალდიდობას ბურჯის თავიც დაეზიანებინა, ახლა ბონდი ძირს დაწეულიყო, ბონდი ძლიერ ქანაობდა, — მდინარეს შკერდზე ეხუტებოდა ძირს ჩამოშვებული. შუამდის მივიდა თარაში, ბონდი საშინლად ქანაობდა, თარაშს თავი დაუბრუნებდა, უკუიქცა და ისევ ბონდის ყურეში დადგა, უმცროს ძმას ენგურისას გადახედა გრიალით მომქშინავს. მზეს მთის ვალმა გადაესწრო, თალხი ფერებით შემოსილიყო მღვმარე სათანჯოს ციხე.

სთვლემდნენ სიმიდის ჯეჯილები, საიდგანლაც ვარხეების ყიპყიპი მოდიოდა და ენგურის შტოების გასწვრივ ბაყაყების ქორალური მოთქმა და ვიწვიში ისმოდა. თარაშ ემხვარმა არ იცოდა რა ექნა. მას არ უყვარდა გზიდან გაბრუნება. წასულიყო ისევე ქალაქში, ეტლი ან ცხენი ეშოვნა, ამალამ ვერ მიაღწევდა დადიანისეულ წისქვილამდის. იცოდა: ღამით არც ისე იოლია ენგურზე ფონის მოძებნა. ეს გაიფიქრა და ქილისქუდიან ბიჭს მოჰკრა თვალი ბონდისკენ მომავალს.

ქილისქუდიანი კამეჩზე იჯდა, მოიმღეროდა, ზანტად უტლაშუნებდა სახრეს მარტაფად მომავალ კამეჩს.

შეეხვეწა თარაშ ემხვარ მეკამეჩეს, იმ მეორეზე შემსვიო. ბიჭს არ ეგონა ასეთი კარგად ჩაცმული კაცი კამეჩზე თუ შეჯდებოდა. რა დარწმუნდა: არა ხუმრობსო, ჩამოხტა და იმევე კამეჩზე შესვა თარაში, რომელზეც თავათ იჯდა, ხოლო თვითონ მეორეზე გადაჯდა.

სავსებით დასველებული გავიდა თარაშ ემხვარ ვალმა. იგი ასე ფიქრობდა: მეკამეჩემ ვერ შეარჩიავ ფონი. კამეჩს რქებამდის მისწვდა წყალი, ხოლო ჩოხიანს წელამდის. შესცივდა თარაშს, სახე გაულურჯდა.

ეჩქარებოდა დადიანისეულ წისქვილამდის მიღწევა. მეკამეჩემ ხელით მიუთითა ორი წუთის სავალიაო, იმ გორაკს ვალმა პატარა ჯაგნარია, ჯაგნარს გადახვალ, ახოს ვაივლი და მერმე პატარა თხემლნარის უბეში წისქვილიო, დადიას წისქვილი.

ჯაგნარიც გადაიარა თარაშ ემხვარმა და ახოც, მაგრამ თხემლნარი ჯერ არსად სჩანდა. იარა ბარდიან ეწერში, ორ სამ ადგილას კიდევ დაუსველდა ფეხი, რადგან ენგურის განაშტოები კიდევ სამიოდე შეხვდა გზადაგზა, ქაობი, ქოქი და ძეძვები...

ღამდებოდა, როცა წისქვილის სახურავიდან ამომავალი კვამლი შენიშნა. შარაგზას ასცდა წისქვილისაკენ მიმავალს, წუმპეში ჩაიფლო მრავალგზის.

უშველებელი, მწვანე ბაყაყები ხტუნვით მიუძლოდნენ წინ, მერმე ერთობლივად ისკუბებდნენ. მდორე გუბეში იხედებოდა: ციების, შმორის და სინესტის სუნი ესმოდა მის ნესტოებს.

მაყვალნართან შედგა თარაში. ზანტად მოსრიდებდა მახკისფერი გველი. თარაში დააკერდა მოხატულ ფორეჯებს. როგორის ღიღის ოსტატობით მოეჭარგა ბუნებას მხატვარს ამ გასაოცარმა ცხატვარმა! ან რა ქვიანი, ჯიშინი თავი აქვს. ლაპლაპა თვალში და მოძრაობა?

არც ერთი ცხოველი არ მოძრაობს უფროდ და უფეხოდ, გველის მეტი, არც ერთი ცხოველი! როგორ ამპარტავნად უჭირავს გველს თავი! მის შეხედვისგან სიცივე ჩამოსთოვს კაცის გულში. იგი წყალივით მოძრაობს, უხმოდ დაღის, უჩინარი და იღუმალი.

შეეფეთები, შეკროები და შეგზურდება რადგან იგი მუდამ ხმალივით შემართულია, შემოგცქერის ლამესავით ბნელი და ფიქრსავით მიულწეველი.

შემოგხედავს და გაგაერეოლებს. იგი ერთად ერთია პირუტყვთა შორის, სიხუმით თავზარდამცემი.

თარაშმა ვზა განაგრძო ისევ იმ გველის გამო დაფიქრებულმა. ერთი მტკაველის სიმალღეზე აეწია თავი იმ საოცარ მცურავს. უხმოდ შესრიალდა ძეძვებში და უცნაურმა ერთოლამ აიტანა თარაში, თითქოს პირველად შეხვდაო ამ ქვეწარმავალს.

ახლა მან იგრძნო მის სხეულს ციება მოსდებოდა. მუხლი დაუძძიმდა, წელი ეტკინა, საფეთქლებიდან ოფლი მოიწმინდა. და ტბორების კიდევებთან ნაციები ხეები იდგნენ ნახევრად ჩამობნელებულ არეში, ვიშვიშებდნენ ბაყაყები ტბებში, ხეებზე და ბილიკის პირებთან ჩასაფრულნი. ტურების კვილი მოდიოდა მახლობელ სერიდან...

ჯერ კიდევ არ დაბნელებულიყო სავსებით და ეგზომ გაბედულად ჩხაოდენ ტურები, ასე ეგონა თარაშს: საცაა სააშკაროზედ გამოვიდოდა რომელიმე მათგანი და მის ცხვირწინ დაიწყებდა კვილს.

ცა იღრუბლებოდა, მთვარე არსად სჩანდა, სიბნელეს მოეცვა ველი და თვალებგამოლამებული ჭოჭიანი გარემო. უსიამო სიცივის ერთანტელი უვლიდა თარაშს, ერთოლას გვრიდა მის სხეულს დასველებული წაღების ჭყაუნნი და ცივი სამოსის სხეულზე გაკარება. და დაეუფლა მის სულს ის უკურნებელი სევდა, ოდიშის ჭაობიანი ველები, ბაყაყების ყიყინი და ტურების ღნავილი რომ მოჰგვრის ზოლმე კაცის გულს... გაიხარა უცებ როცა ისლის სახურავიდან ამომავალ კვამლს მოჰკრა თვალი და მართხვლა წისქვილის მელანქოლიური ღუღუნნი შეიცნო.

წისქვილში შესულმა ასეთ სურათს შეასწრო: ღუჯაია ლაბახუა სკამლოგინზე გაწოლილიყო და მეწისქვილე ზოსიმია ოშოშის ადებდა ფეხზე.

(ოშოშია სამკურნალო ბალახია, ჭრილობის, ნაღრძობის და ნაბევის წამალი). ზოსიმია დაფეთებული ზეწამოიჭრა უცხო კაცს რა მოჰკრა თვალი. ღუჯაიამ ფეხზე ადგომა დააპირა თარაშის დანახვაზე, იგი აენტო, გაოცდა, ენის ბორძიკი აუვარდა, აღარ იცოდა რა ეთქვა, რა მოემო-

ქმედნა. მას ასე ეგონა ან ნახუცარი მომკვდარა, ან რაღაც დიდი უბედურება მომხდარათ ქვეყანად.

თარაშმა დაამშვიდა, არწმუნებდა: სანადიროდ გამოსვლა ენგურისაკენ, შემომალამდა და წისქვილში შემოვიარეთ. აქ წისქვილში შენ თუ აქ განახავდიო. თარაშმა თვალი მოავლო წისქვილს. საუკუნის მკვარტლით, ფქვილით და მტვერით გავესილიყო იქაურობა. ზოსიმიამ გარედ გავიდა და მცირე ხნის შემდეგ დადუმდა წისქვილი. უზარმაზარი გელაზები სდუმდნენ, სდუმდნენ ოფოფივით ცხვირნისკარტა სარეკელები. სკივრები და ალატები ფქვილითა და მტვერით იყო გათხუნული. ზოსიმიას ხმა არ გაუღია, კერასთან დაგდებულ ჯარგვალზე დაჯდა, შემდეგ კერის წინ დაოთხდა და შიმქრალ ნალვერდლებს დაუწყა ბერვა.

მოეწონა თარაშ ემხვარს ეს დიდი მყუდროება, ადამიანის და ცეცხლის სიახლოეს, ამ ქაობების, ბაყაყების და ციების საუფლოში დამყარებული.

ასე ფიქრობდა: ამ წისქვილში სიამოვნებით ვიცხოვრებო, ღვთისა და კაცისაგან მოძულეებულ ზოსიმიას გვერდით.

და ზოსიმიას კრინტი არ დაუძრავს მის შემოსვლის შემდეგ, იგი ვალახულ ძალსავით დაცუცულიყო ცეცხლთან, ცალკერძ სამფეხა სკამი იდგა, ცალკერძ დაბალი ჯარგვალი, საკუთარ ქუსლებზე დაყუნცული შეპყურებდა ცეცხლს და ისე ვართულიყო ფიქრში, თითქოს ვერც თარაშს ამჩნევსო და ველარც ლუკიას. და შავი ფეხები ჰქონდა ზოსიმიას, გედის ფეხის დარი. ნაოჭებიანი და გამხმარი. წვირე ჩაღეგოდა ტყიურის ქანგებსავით წაზრდილ ფრჩხილებში.

ნადვის ქალი კერის პირად ხრჩოლავდა. აღმოდებულ ნადვის ნელსურნელებით სტკებოდა თარაში. ისევ მიმოავლო თვალი წისქვილს. წყლის ქმულილი მოდიოდა შორიდან და ბაყაყების ყიპყიპი, ხანაც ამ ხმას ტურების კნავილი შეენაცვლებოდა. ისევ ზოსიმიას მარტობისათვის დაფიქრდა თარაში და მისმა გონებამ ზამთრის სურათი წარმოიდგინა წისქვილში ცხოვრებისა: ლანჭრობა, უგზობა, გაუვალი ქაობები, უკაცრიელი ველები და მარტობა ადამიანების კიდევან. მშვიერი მგლების ყმულილი და გრივალის ღმულილი. იჯდა თავმოდრეკილი თარაში, ხელები მუხლის თავებზე შემოველო და შესცქეროდა ამ დალეულ, გაბურძვენილსა და საცოდავ ზოსიმიას.

იგი არც ისე ქალარა იყო, მაგრამ ფქვილისა და მტვერისაგან გამურული. მტუტისფერი მოსჩანდა საცხებით. პატარა, სათნო სახე ჰქონდა, სწორი, რომაული ცხვირი, პატარა წითელი ტუჩები, წაბლისფერი, გრძელი წამწამები, ხუჭუტა შევერცხლილი თმაწვერი. არც ერთი ნაოჭი არ ემჩნეოდა მის სახეს.

უცნაური თვალები ჰქონდა ზოსიმიას. მოყვითანო თვალის გუგაში ორი ფოლაქის დარი შავი თვალი. საოცარი სიმშვიდე და თავმოდრეკი-

ლება სუფევდა ლაწევების ირგვლივ. სიბერეში გადაყოლილი უმჯანკოება გადაჭრავდა მთელ სახეს მისას და სოროდან გამოსულ წყვესველ ფრთხილად იჭვრიტებოდა იგი, ასე იტყოდით: თვალის ცემიკს დაწვრივს.

თარაშ ემხვარს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: ადამიანის ტანისამოსი უნდა დაეთვალეირებინა უწინარეს ყოვლისა. ვერც კი გაერკვია თარაშ ემხვარს: როგორი სამოსი ეცვა ზოსიმიას? ჩოხა არ უნდა ყოფილიყო ეს წილამურებიანი, ბალთებშემოცვეთილი მოსასხამი. ეტყობოდა: ნასხვისარი უნდა ყოფილიყო იგი.

შარვალი ეცვა ზოსიმიას ათასგზის აქრელებული და დაკონკილი, მთლად გაყვითლებული პერანგის ამხანაგი გამოკრთოდა, მუხლის თავებთან ჭრელი ნაჭრებით დაკონკილიყო ათასგზის და ეს შარვალი უკანნიდან რომ დაგენახათ, შარვალი კი არა, მჭედლის საბერვალი გეგონებოდათ. თავზე განიერი, ქვიშის ფერი ქუდი ეხურა, სწორედ ისეთი, როგორსაც მეგრელები და აბხაზები ატარებდნენ საქართველოში და დომინიკანელი ბერები იტალიაში. ნელნელა იღვოდა ცეცხლი. უკანასკნელ მუგუზლებს ფრთხილად, მორიდებულად წაჰკრა ფეხი ზოსიმიამ, ირგვლივ მიმოიხედა და რა შენიშნა შეშა გამოლულაო, ადგა და ისევ გავიდა გარედ-თარაშს იამა ზოსიმიას გასვლა და ლუკაია ლაბაზუსა შეეკითხა:

„მუნჯი ხომ არაა ეს ზოსიმია?“

მუნჯი არ არისო ზოსიმია, მაგრამ საერთოდ არავის ელაპარაკებოა ჩემს მეტს. ზოგნი ამბობენ: ალი შეხვედრიაო ინგურში, იმის შემდეგ მიუტოვებიაო ლაპარაკი. საერთოდ ლაპარაკს ერიდებოა და ასე ფიქრში წასული ზისო ზოსიმია დღენიადაგ, — ამბობდა ლუკაია ხმადაბლა.

ზოსიმიას დაავგიანდა წისქვილში შემობრუნება, თარაშმა იდროვა და გამოჰკითხა ლუკაიას თამარის ჯვარის ამბავი. ლუკაია გაოცდა, როცა ასეთი რამ გაიგონა. ვეუბნებოდიო მაგ უბედურს, ჩემთვის მოებარებინაო ჯვარი, ახლა ჯვარი დაჰკარგაო, საყვარელმა დედამ უანდერძაო სიკვდილის წინ.

„გუშინდელ დღესავით მახსოვს, სული ხდებოდა ცხონებულს, მე თუ გიყვარდე ეს ჯვარი არც არავის აჩუქო, არც დაჰკარგო, მაგრამ ჯვარიც დაეკარგეთ შურიგე, ჯვარიც დაეკარგეთ და ღმერთიც“.

სჩივოდა ლუკაია. ესა სთქვა და ორივე ზელი თავზე შემოიკრა სკამლოგინზე ზეზეურად წამოწოლილმა.

ჩემი გაზრდილია ი ბლარტი, განაგრძობდა ჩივილს ლუკაია, მე არაფერს მიჯერებსო. ლუკაიამ პატარა თათია მოიკითხა, მერმე კაროლინა ახსენა, ღვთის ქალიაო კაროლინა, ასე ამბობდა და მერმე მღვდელი მოიგონა.

შეწუხებული იყო ლუკაია, მე თავათ ვხედავდი როგორ წაიქცაო მღვდელი, ვაი თუ რამე დაუშავდაო ჩემი მიზეზით ბერიკაცს. კინალამ გამოვბრუნდიო, ისე შემეცოდაო მღვდელი.

თარაშს ყოველივე განაგონი ჰქონდა დაშასგან, თუ როგორ ისროლა ყავარჯენი ნახუცარმა ლუკიას და მერმე როგორ შეუწუხდა თვითონვე გული, ისიც არ დაუმალავს დაშას, კოჭებში რომ იტყუებოდა და ხელები და შემდეგ კოჭლობდა და ისე გარბოდა. ლუკიას ხელგრძელობამ გააოცა იგი.

მეო, ამბობდა ლუკია, თამარის და თათიას უნახავად ორ დღეს რომ გავძლო, ესეც ბევრი იქნებო. თარაში ემუდარებოდა: ამალამ წავიდეთო, რადგან თამარი ცუდად არისო, ეს რომ გაიგონა ლუკიამ წამოდგომა დააპირა, ფეხი კი მტკივაო, მაგრამ მაინც წამოვივლო, ესაა მხოლოდ, ამ ქაობებში ბედაურიც ვერ გაივლისო და ქაობებიც რომ გავიაროთ, ბონდი გაფუჭებულია და უმთვარო ღამეში ქაჯი ვერ გადავო ინგურზე.

„შენ როგორ მოხვედი მტკივანი ფეხით?“ შეეკითხა თარაში.

ზუგდიდის ბოლოს წისკვილისაკენ მომავალი მურმეები ვნახე და იმათ წამოვეყვიო.

XXI. „ანგელოზთბატონი“

დილა გათენდებო, „ლეთის იმედით“, ფეხი ძალიან მტკივაო, მაინც წამოგყვებითო უთენია. ასე ამბობდა ლუკია. ამის შემდეგ ისევ ჯვარის ამბავს მოუბრუნდა იგი, განუზომლად სწუხდა: თამარს რომ ჯვარი დაჰკარგოდა. ეს ცუდი ნიშანიოა ასკენიდა.

თარაშ ისევ ზოსიმიას ამბავს მოუბრუნდა. ლუკიას არეულ ბოდვისაგან მაინც გამოარკვია: ზოსიმიამ კერბთაყვანისმცემელ აბხაზთა მოგვი ყოფილიყო, გრდემლზე მლოცველთა ქურუმი. პირველ ხანებში იგი ნამალევედ ეწეოდა ამ კულტს. მკედლობდა, თანაც გულმოდგინედ ეწეოდა თავის რიტუალს. შეილობილად მიუღია ზოსიმიას ვინმე ესვანჯიას ბიჭი... ესვანჯია კომკავშირში ჩაწერილიყო იდუმალ და გაეთქვა ზოსიმიას საიდუმლოება. მერმე დაუკეტეს თურმე სამკედლური. აიყარაო ადამიანებზე ზოსიმიამ გული და ამ შორეულ წისკვილის მოვლა იკისრაო. შეიძულაო ზოსიმიამ კაცთა მოდგმა და არავის სთვლისო დალაპარაკების ღირსად. მეც მეპატიეებო ზოსიმიამ, ამბობდა ლუკია, მეც მინდაო სოფელს გავეცალოო, მაგრამ თამარის გათხოვებას ვუტდიო. მეო არაფერს ვთხოვო აწი ღმერთს, მაგრამ ერთი უკანასკნელი სათხოვარი მექნებო — სიკვდილი.

ამ ნაუბრიდან ისიც გამოარკვია თარაშ ემხვარმა: გველი ჰყოლია თურმე ზოსიმიას ამ წისკვილში „ანგელოზთბატონს“ უძახისო. გველების შემლოცველი ყოფილა ზოსიმიამ და ჭვეწარმავალთა გულის მესაიდუმლე. „რას აჭმევს მერმე იმ გველს ზოსიმიამ?“



შეეკითხა ლუკაიას თარაშ ემხვარ.

„სუ, არ ახსენო ის უსახელო!“

ეუბნება ჩურჩულით ლუკაია. „რა უნდა აქამოს აქამოს ჩემს, რძეს ასმევს თუ სადმე იშოვნა“. ამბობდა ლუკაია.

მეგროვეები ჩამოივლიან და თითო კიკა რძეს ვინ არ დაუტოვებს. ამასობაში ზოსიმიაც შემოვიდა. კერის პირად შეშა დაჰყარა, მერმე ისევე იჭვე დაუცქდა, სადაც წელან იყო. ზანტად იღებდა ახლადდაბეთქილ ნაჭრებს და უკეთებდა ცეცხლში. წისქვილში სრული მყურდროება იდგა. თარაში მონუსხულსავეთ შესცქეროდა ზოსიმის და ესმოდა, თუ როგორ საბრალოდ წივოდა ცეცხლში კოპიტის შეშა. და ეს წივილი ისე გრძელი და გულსგამწვრილებელი იყო, თარაშმა ველარ აიტანა ამ წივილით გააბილი ღუმილი, ჯერ იყო და დაახველა, შემდეგ ამისა, ასეთი კითხვა მისცა ლუკაიას:

„ვისი ყოფილა ეს წისქვილი ლუკაია?“

„დადიანისეული შურიგე“.

„ახლა ვისია?“

„კოლექტივისააო, — ამბობდა ლუკაია.

„ვინ დააყენა მერმე ზოსიმია ამ წისქვილში?“

„სოფელმა“.

თარაში დადუმდა და ლუკაიამ განაგრძო:

„დიღხანს მშვიერი დადიოდა ზოსიმია, მერმე შეეცოდათ და მეწისქვილედ დააყენეს“.

ზოსიმია იჯა და ცეცხლს უყურებდა, თითქოს მას საცხებით არ ეხებოდა ეს ამბავი. მისი ფერმკრთალი სახე მთლად გაწითლებულიყო ცეცხლის აღმურისაგან. ფანჯუნერი, ხშირი წარბები ჩამოფხატოდა და ისე მოღუშული იჯდა, უთუოდ იტყოდით: თვით ამ მადლიან ცეცხლსაც დაშლურებიანო.

მცირე ხნის ღუმილის შემდეგ ლუკაიას ეუბნება ზოსიმია მეგრულად: ბიჭო, ადეჭი და იქ ცოტა თხის რძე დარჩაო ქოთანში, სტუმარს მიართვიო, შენი ნახელავი იამებაო.

თარაშს გაეცინა, „ბიჭოს“ რომ უწოდებდა ზოსიმია ლუკაიას. და ისე უთხრა ზოსიმია ლუკაიას, კისერიც არ მიულრეჯია მისკენ. შემდეგ ამისა, ადგა და ფქვილის ტომრების ყორეს გადაღმა დაწვა.

თარაში ვააოცა ზოსიმის უკა/ებლობამ. ზოსიმის ერთხელაც არ შეუხედავს მისთვის, ისე ადგა და დასაძინებლად გაემართა.

ლუკაიამ წამოიწია, თარაში არ ანებებდა, თუმცა ძალიან შიოდა. ლუკაიამ მაინც თავისი არ დაიშალა, წამოდგა, სასთუმალთან მიგდებულ თოხის ტარს ხელი წამოაეღო და კოჭლობით გაემართა კუთხისაკენ. კედელზე მიჭედელ პატარა კარადიდან რძის ქოთანი გადმოიღო. ქოთანში

ერთადერთი ხის კოვზი ეგდო მთლად გარუჯული. თავათ ამბროსო ლუკაიამ და ხელში მისცა თარაშ ემხვარს კოვზიცა და რძეც.

თარაშმა ქოთანნი გამოართვა და როცა პირველი კვებულები მიჰქონდა, ასეთმა აზრმა იელვა მის თავში:

ვინ იცის, ეგებ ამავე ქოთნიდან აქმევედესო ზოსიმიამ რძეს თავის გველსაც. ლამის არ იყო გული აურიამ ამ საოცარმა ფიქრმა. მერმე ინუგეშა თავი: ეს ქრისტიანული ცრუმორწმუნეობაა, თორემ გველიც ისეთივე წმინდა არსებაა, როგორც ყოველი სულდგმული. გული მოიცა ამრიგად და უსიტყვოდ დაუწყო ხერება ცივსა და უსიამო თხის რძეს.

ისევ წამოდგა ლუკაია, ტომრების გადაღმა დაბოროილობდა დიდხანს, მერმე ხენგშით გამოათრია დანჯღრეული სკამლოგინი, ცეცხლის პირს დაუდგა თარაშს, ცხერის ტყავი მოუტანა და ერთიც გაზინთული მუთაქა.

დაწეწიო ევედრებოდა, თანაც ფეხზე ვახდა მოუნდომა. თარაშს არ უყვარდა როცა ვინმე ფეხსაცმელს ხდიდა. არც ახლა დაანება ეს ლუკაიას და დიდის ვაივაგლახით თვითვე გაიხადა აზიური წაღები. ვიდრე შდის თარაში ჩოხისა და ახალოხის ღილებს შეიხსნიდა, მას უკვე ესმოდა ლუკაიას ხერინვა, ხოლო ტომრების გადაღმა დანაგაყრილ ცხოველსავით ბროტინებდა ზოსიმიამ.

ჩოხა გაიხადა, ახალოხის ღილები შეიხსნა და ისე წამოწვა ლოგინზე. დიდხანს შესცქეროდა თარაშ ემხვარ თუ როგორ ილეოდა სოხანეში ჩაჭობილი ნაძვის ჭალი, იგი ნელნელა იესებოდა, ცოტა ხანს კიდევ ბეჭტავდა. უკანასკნელად აფარფატდა ალი და მერმე მიეფინა წისქვილს თვალშეუვლები სიბნელე. ჩაფერფლილიყო უკანასკნელი ღველფიც. ახლა გამურულ ფანჯრიდან გაიხედა თარაშ ემხვარმა და გაეხარდა, როცა მთვარეს თვალი მოჰკრა, მოთეთრო ცაზე გამოსულს. დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა თარაშ ემხვარ. ამ სიბნელის, ამ წისქვილის, ლუკაიას, ზოსიმიას და მის საწოლთან დარჩენილ რძის ქოთანის გამო.

ეწინოდა: დილით ადრე ამდგარს, ფეხი არ ეკრა და არ დაემსხვრია ბედშავი ზოსიმიას ქოთანი. უნდოდა ამდგარიყო, ქოთანი თაროზე დაედგა, მაგრამ დაეზარა. თავის ტკივილმა უმატა თარაშს და როგორც კი კერაზე ცეცხლი ჩაჰკრა, ერგოლა შეუდგა წელში და მუხლები დაუმძიმდა. ზმორებას მოუხშირა. წამოიხურა თავზე ტყაბუჭი, ცხერის სუნი იგრძნო უსიამო. ისევ გადიხადა, ფეხზე შესცივდა და ინანა: რად გაიხადეო ფეხზე და მერე მთელი სხეული აიტანა ცახცახმა. იმძლავრა თავის ტკივილმა. ლიპი და სლიპი ეჩვენა გაჭონილი მუთაქა, ხელის გული დაიდო თავქვეშ და ახლა გრძნობდა საშინელ ხმაურს სისხლისას. გული აჩქარებულად უცემდა და ასე ეგონა: წელთან გაეკვეთა თითქოს მისი სხეული ვილაცას.

ხელფეხი უსივდებოდა, უცივდებოდა, ხანაც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს საწოლი ირყეოდა, ქანაობდა, ან წყალს მიჰქონდა აჩქარებულს

მისი სხეულიც და მთელი გარემო. ორივე ხელი გამოიღო ^{ტურების} ტყავიდან, პირქვე დაემხო და კიდებზე წააგლო ხელები ^{საწოლზე}. ვერც ამან უშველა. მჩატელ მოეჩვენა მეწისქვილის უზარმაზარი ტყაპუჭი. ეს ლა ენატრებოდა: ვინმე მოსულაიყო და მძიმე ^{ტყავის} მძიმე, ღველფივით ცხელი საბანი დაეხურა მისთვის.

უცახცახებდა, უტოკავდა მთელი სხეული. ლოგინზე ვეღარ იმაგრებდა თავს. კბილები ისე უკაწკაწებდა, როგორც უმწეო ბრაზისაგან დატყვევებულ შაშვს სჩვევია ხოლმე, როცა მას ხელს ახლებს ვინმე. მაგრად გაეხვია ტყაპუჭში, ცოტაოდენი ოფლი გამოუვიდა და ჩასთვლიმა.

კარგად ვერ გაერკვია თარაშ ემხეარ: კატების საშინელმა ჩხაველმა გამოაღვიძა იგი, თუ მთვარის ქაბჯახა სინათლემ. ზედ ცხვირპირზე უნათებდა სარკმელიდან შემოსული მთვარის შუქი თარაშს. წისქვილში საშინელი ღნავილი ისმოდა, კატების ღნავილი...

თავდაპირველად ერთი ღნაოდა ხანგრძლივად. ახლი მეორე გაეხმაურა. მერმე ჩხაველი მოესმა: მალე ესეც მისწყდა.

მიაყურა: ტურების კივილი შემოესმა. სულ ახლოს, წისქვილის ოლეში ღნაოდნენ ტურები, მაგრამ სჩანდა: მარტოოდენ ტურები არ უნდა ყოფილიყვნენ. ბოხი, ჩახლუჩილი ხმით ბლავოდნენ ფოცხვერები. ვერ კი გაერჩია თარაშს: ერთად იყვნენ ეს ტურები და ფოცხვერები თუ ცალცალკე. ეს იყო მხოლოდ ცხადზე უცხადესი: ტურების წერილ ხმაში ესმოდა მათი ბოხი ხორხოცი და ბლავილი. თარაშმა გვერდი იცვალა, უზომოდ იამა, ამ ტყიურ გარემოცვაში რომ იწვა, ამ მყუდრო წისქვილში. სწორედ იმავე წუთში ტურები დადუმდნენ და ისევ კატებმა განაგრძეს კნავილი.

ერთერთი ხანგრძლივად ღმუოდა. ეს უკვე აღარ ჰგავდა კატის კნავილს. უცებ ძუ კატის მჭახე ხმა გაისმა, თითქოს ნარმის ნაქერი გაფხრიწესო. ისევ ღმუილი ატყდა და კვლავ შეიბნენ იგი, ვინაც ღმუოდა და ვინაც ჩხაოდა.

ძუ და ხვალი გააფთოებული ებრძოდნენ ურთიერთს სიბნელეში. მყუდროება ჩამოვარდა წისქვილში. ბოლოს საესებით ნელი ლიკლიკი ნოისმა წყლისა და მერმე შიშინის, სისინის მინაგვარი ხმა და მთვარის შუქზე შენიშნა თარაშმა: რამოდენიმე ვიროთხამ გაიშლიგინა სწორედ იმ ადგილას, სადაც გადამწვარი მუგუზლები ეყარა.

ღაწინაურდა ერთი, სულ ახლოს მოვიდა საწოლთან. გარკვევით ხედავდა თარაშში: ნამგალსავეით მოდრეკილ კუდს უშველებელ ვიროთხისას. რალაც ზიზლის მომგვრელი რამ ეჩვენა მას ამ გასიპული ცხოველის კუდი. ისეთი სლიპი და უსიამო, როგორც მლამიობის ფრთები (თუ ვინმეს ავიყვანია ხელში მლამიობი).

იმ ადგილამდის მიცუნცულდა ვიროთხა, სადაც რძის ქოთახი დააეიწყდა თარაშს, მერმე გაბრუნდა, დაიწრიპინა და გაუჩინარდა.



დასცქეროდა თარაში იმავე ადგილს, ვირთხის მიერ გადახარბენს. რამოდენიმე ვირთხა გამორბრდა მისკენ და იქიდან, სადაც განაწილებული მუგუზლები ეყარა, ვაისმა საწყალობელი წრიპინი, სისინის და შიშინი, ისეთი როგორსაც გამოსცემს ხოლმე გამხმარი ჩალა, როცა ნოემბრის ქარი გაუვლის ცივი და საზარი. დიდხანს ისმოდა ეს ჩალისებური, ამაზრზენი შიშინი და მერმე ისეთი სისინი გაიგონა თარაშ ემხვარმა, როგორც მამალ ბატს სჩვევია ხოლმე, როცა ბავშვები ხელს ახლებენ ჭუკებს.

და ადგა ამ დღეში შიში და თარაშ ემხვარს ესმოდა თუ როგორ ხმაურობდა სისხლი, მუთაქაზე მდებარე ყურში.

კიდევ შემოესმა ამგვარი სისინი და გულის-წამლები წრიპინი ვირთხისა. მერმე დადუმდა ირგვლივ ყოველივე. თითქოს რაღაცამ ნელა, სულ ნელა დაისტვინაო, წყლის ლასლასი იყო თუ ჩალის შარიშური? ეს ვერ გაარჩია. დინახა მხოლოდ: სარკმელიდან შემოკრილ შუქზე თუ როგორ წამოვიდა მის საწოლისაკენ უშველებელი გველი. იგი მთელი წყრთის სიმაღლეზე წამოწეულიყო მიწიდან და მოდიოდა მისკენ კისერგაშეშებული და სისინებდა ისე, როგორც ნოემბრის ამაზრზენი ქარი ჩალაში გავლებული.

თავი წამოსწია თარაშმა და მოეჩვენა ისე დაელო პირი ამ პირუტყვს, თითქოს იქედნურად იცინის და ისე მოდისო.

მშვიდად, უხმოდ და მდორედ მოემართებოდა გველი, თითქოს იდუმალეხას შეუსხამსო ხორცი და ნელი სისინი მოუძლოდა წინ ამ მშვენიერს, მონატულ ცხოველს, ცივი, ამაზრზენი და შეშხარავი. ისევ ჩამოვარდა სიჩუმე და თარაშ ემხვარს ესმოდა თუ როგორ სცვივოდა სხვენიდან წისქვილის მქვარტლი. გაუნძრევლად იწვა. თარაშმა იგრძნო: დაპატარავდა მისი სხეული ცხვრის ტყაპუქში გამოხვეული და შეიცნო იმ წუთში გველის სუნი, რომელიც თავის სუნს წააგავს ოდნავ.

თარაშ ტანზე გაუხდელად იწვა ლოვინზე ახალოხის ამარად, ამიტომაც ახალოხის ჯიბისაკენ გააპარა ხელი და ბრაუნინგის საკეტი გადასწია ცერით. მიხედა: ვერას უშველიდა რევოლვერი. ამაოდ ეძია ასანთი ისევ ამოილო ჯიბიდან ხელი და იწვა ასე გულგრილად და შესცქეროდა თუ როგორ მოდიოდა მისკენ ეს საშინელი, ზანტი მცურავი.

კრინტიც არ დაუძრავს თარაშ ემხვარს და მოემზადა მყისვე სიკვდილისათვის, რადგან ხედავდა: პირდაპირ მისკენ მოდიოდა ქვეწარმავალი და ვერაფერი უშველიდა მას ამ სიბნელეში. უკვე აღარ სისინებდა იგი. არც სხვაგვარ ხმას იღებდა შრიალის მაგვარს და ეს უხმო, წყლისებრი მდინარეება ტალღისებრ მოძრავი გველის სხეულისა, მომეტებულ შიშსა და ძრწოლას ჰგვრიდა საწოლზე განაბულს. ასე ფეხბარეფით და უხმოდ მოდისო აღბად სიკვდილი ამ უცნაურ მიწაზე და მისი ფიქრი თამარს მისწვდა ამ მძიმე წუთებში.

ბედისწერა ყოფილაო ჩემი, თამარის შეხვედრაც და მისი ჯვარის დაკარგვაც და იამა საყვარლისაგან სასიკვდილოდ წარგზავნა.

ჭირის ოფლი გამოუვიდა მთელს სხეულში და ეჩვენებოდა თავს რომ თამარის ნებისამებრ ეღირსებოდა მას სიკვდილი თავის გამწარებულ სიკბატუკეში მრავალგზის ნანატრი. დედა მოაგონდა მარტოხელად ოქტომში მყოფი, მამა საცოდავი, შუბლგაჩეხილი, საფრანგეთის ცივ მიწაში გდებული, ერამხუტ ემხვარ თვალწინ წარმოუდგა ბედისწერასავეით გაფითრებული.

გაიხედა და გველი უკვე აღარსად სჩანდა. საოცარმა ყოუანტელმა დაუარა, როცა გაიფიქრა, აღზად საწოლზე ამოძვრაო კიდევაც. განაგონი ჰქონდა: ბეწვიანსა და ბანჯგველიანს ერიდებოო გველი.

ამიტომაც მთელს ტანზე შემოიხვია ცხვრის ტყავი, თანაც საოცრად უკანკალებდა სხეული, სლიპი და ცივი რამ არსად წამომედოსო. სრული ღუმილი დამყარებულყო წისქვილში, შრიალი რამ უეცარი შემოესმა. მიაყურა და დარწმუნდა: ეს ღარიდან გადმონათონი წყალი შრიალებდა წისქვილის იატაკის ქვეშ. და მერმე კიდევ შემოესმა მცირედი სისინი მაგრამ არა სკამლოგინზე, არმედ სკამლოგინის ქვეშ და მაშინ გაბედულად ასწია თავი, ძირს დაიხედა და დაინახა თუ როგორ ჩაპყო ქოთანში ქვეწარმავალმა თავი და შიგ ჩარჩენილ თბის რძეს დაუწყო სვრება.

XXVII. ლირიული ინბეკმეცო

ხომ არ მოგეწყინა ჩემო მკითხველო?

მეც თავათ მოწყენამ ამაღებრან კალამი და ვინძლო ჩემმა მოწყენამ შენი გააჭარვოს.

ათასზე მეტი ღამეა ვზივარ, ვზივარ და ვითხრობ განთიადიდან განთიადამდის.

თამაშითა და ბრძოლით ვწერ, ჩემი გმირების თამაშისა და ბრძოლის ამბავს.

და ღამეები მიჰქრიან როგორც ნაბლით დაჭედილი ბედაურები.

სავსებით მარტო ვარ ამ წუთშიაც. მთვარე სამთვარიოში ჩასულა უკვე და მესმის თუ როგორ ღუღუნებს ჩემი ბინის ელექტრომრიცხველი — ეს ინდუსტრიის ცისფერი შტრელი.

მესმის თუ როგორ სუნთქავენ, ლაპარაკობენ და მოძრაობენ ჩემივე გმირები ჩემში და განვიცდი უმძიმეს ორსულობას შემოქმედებისას.

ვღელავ და ვძრწი მათ მაგივრად. მათ მაგივრად ვფიქრობ და ვდარდობ და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბლით დაჭედილი ბედაურები.

ჯერ მეც არ ვიცი მათ რა მოუვათ. თამარ შერვაშიძე რომელს შეიყვარებს... არზაყან ზვამბაიას, თუ თარაშ ემხვარს?

ან არზაყანის გული ვის მიენდობა? სათნო დაბუღის თუ თანამარ შერვაშიძეს? ტარიელ შერვაშიძე და კაც ზეამბაია როგორ შეეთვისებიან ახალ დროს? ან ის ბედდამწვარი ლუკაია ლაბაბუა როგორ დახსრტკლუმ ცხოვრების ეტლს?

ან გვანჯ აფაქიძე რას მოიმოქმედებს, გვანჯ აფაქიძე — „ქრისტეს ფეხის მკენეტელი?“

ვზივარ, ამ სტრიქონებს ვწერ და ღამეები მიჰქრიათ, როგორც ნაბლით დაჭედილი ბედაურები.....

მკლავი მომექანცა, მეტკინა წელი, ვზივარ და მიინც ვწერ, რადგან ჩემი სული ჩემ სხეულზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

შევდგები.

ჩემს ხელნაწერს ვათვალიერებ.

გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნოების საშოში უთარილოდ წარმოშეებულ ფანტასტიურ პიეროგლიფებს.

შევსცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია: მე მათ შორის უნდა ამოვიკითხო მეთქი ჩემი გმირების უცნაური ბედი.

ა ნ ი, ნამგლისთვის მიუმსგავსებია მიწის მოყვარულ ქართველ ხალხს (ამიტომაც შეურქმევიათ „გეორგოს“ ძველ ბერძნებს ჩვენთვის).

ბ ა ნ ი, ყელმოდერუბულ სურებს, დოქებს და ჭინჭილებს არა ჰგავს?

გ ა ნ ი, ლაგვინებს და ჭურებს (ღვინის მოყვარული ხალხის მონაგონია უთუოდ).

ღ, ყ, ლ, დ, წათებს, წერაქვებს და ჩაქუჩებს — ეს მელითონეთა და რვალის ხუროთა მიერ მონაგონია.

ენის,
სანძს,
ხარის,
ნარის,
ვინის,
ფარის,
წილის,

ქარის კლერტოები ლეკურებს, ხმლებს, სატევრებს, წათებს და ხელ-შუბებს მაგონებს.

აჰა, მოდიან ღეროვანი ასოების ლეგეონები. ისინი ხან ლელივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით მოგმართებიან ამპარტავნად ზეადმართულნი.

და ამ მ-ს, ქ, ჯ-ს, პაწია მარყუტები ვაზინადმი სიყვარულის ანარეკლია (ამ დიონისურ ქვეყანაში წარმოშობილი).

კლერტო რაესი მონადირე ტომის ტრფიალს გამოხატავს, ირმებისა და ჯიხვების რქებისადმი ტრფიალს.

ეს თავმოდრეკილი დონები, ლანები, ლასები ჩვენს გუთნებს, აჩაჩებს და კავეებს მაგონებს.

ხოლო ინი, ინი პირწავარდნილი ნალია ცხენისა. ვეწიკეს უკებ, ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი მესობოტამიიდან ოფიფაჟიფიფიქოთ წამოსულს. განუსაზღვრელად მახარებს მათი მზერა და მათი დაწერა და ამიტომაც მოკლილ ბაღლსავით ვეთამაშები ქართულ ასოებს, და განზრახული მაქვს უთუოდ დავწერო ანბანთა ჭება მე ხელმეორედ. სწორედ ამ ასოების მზერისას ხშიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა.

და მე მაგონდება ბნელი ღამე ატლანტიის ოკეანეზე განცდილი ოდესლაც.

ზღვა ჯერ წყნარი იყო, ნამრუდის ფერი. არა, ლილისფერი, აჰ, ლილისფერი კი არა, ნავთგარეულ წყლისა ფერისა. უცებ იელვა და გაფხრიწა ცა ელვათკრთომამ. ადგნენ ზვირთები, აბიბინდნენ და აიჭორჩნენ. ნელის ლაშლაშით შემოფრტყნენ მყის ჭვინტს გემისას. ისევ დადუმდა ოკეანე თვალშეუვლები.

ისევ გაუსვა ქარმა ქორისფრთა და დააწინა ტალღა ლელივით. ისევ აბორგდნენ, ახმაურდნენ შალი ტალღები, შემოესიენ, შეილეწნენ გემის კიდევებს.

და შეუბღვირა ლევა ზეცამ ზღვას ფერგადასულს. ცა ისევ გასკრა ელვათაკრთომამ (ლეკურსა ჰგავდა მარჯვედ მოქნეულს).

არ ვიცი, ღამემ, შემოჭნევამ ცეცხლის ლეკურის რა ჩასჩურჩულეს დადუმებულ ზღვას. აზვავდა ტალღა, მას მეორე გამოეკიდა და ყოველმხრიდან წამოვიდნენ ლეგეონები და გაიმართა ტრიამელ ზღვაზე თავაწყვეტილი ტალღათ ჯირითი.

როგორც გაზულტქებული ველური ტახები, ტყეში შეჰქმნიან ნავარდს უცნაურს, ზეახტებიან გახურებულნი და შერჩებიან თამაშის დროს მუხის ტანს ეშვით, წამოვიდოდნენ ისევ ტალღები, ზეახტებოდნენ გემს გაქანებულს, თავათ ნამცვრევად გადაქცეულნი.

კვლავ მოგვესიენ ბობოქარი ტალღები თქეშით. ზმუოდა ზღვა და ცას სხეპავდა ელვის ლეკური. ქაოსს გაეხსნა ეეშაპის ხახა და ურჩხულების ბობოქარი ლეგეონები მოლაშლაშებდნენ მორეკილნი წყალთ უდაბნოდან. აიმღვრა ცა და ზღვა უფრო აფორიაქდა და ტალღა ტალღას შეაწყდა ბნელში და ურჩხულებად ქცეულნი ზვირთნი ადგნენ, შეასხეს ტვინი მრუმე ცას.

და ასე.

როცა მე მეგონა მკლავი შესდგაო, როცა ვფიქრობდი დამეშრიტა გონების ძალი და ფანტაზიას ჩემსას ფრთენი შეეკვეცაო, ენა ქართული ეს უფსკრული თვალშეუდგამი ისევ აზღვავდა, ისევ ადგა ამ ჩემს ცხელ სისხლში და წამოვიდნენ სახეები ტალღების დარად. მერმე აზვავდა სის-

ხლი ჩემი და მოქანცული, მღორე გონება თითქოს უფრო დასხებავო ვლვის ლეკურმა.

მოვსდექ და ისევ შევეუბნე ამ უფსკერო ზღვას ^{ბრავო ბრავო ბრავო} და გახელებულს და კვლავ მომინდა დავსწერო წერილად შექება დიდებულისა ქართულისა ენისაჲ.

ისევე ვზივარ განთიადიდან განთიადამდის და ლამეები მიჰქრიან როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები.....

გარედ კი ლულუნებს ელექტრომრიცხველი — ეს ინდუსტრიის ცისფერი მტრელი.

XXIII. ცაშხარჩიელი

არზაყან რესტორან „ოდიშში“ იჯდა.

ჯერაც არ შელამებულყო, ელსანათები ბუტყავდნენ ოდნავ. არზაყან ძლივს არჩედა სუფრების ირგვლივ დამსხდართა სახეებს. რესტორანში ჭიქების წკრიალი ისმოდა და ხმადაბალი საუბარი, ზოგი ქართულად ლაპარაკობდა, ზოგი მეგრულად, ზოგი აფხაზურად და ზოგიც სვანურად. იმ სუფრიდან, სადაც სვანურად ლაპარაკობდნენ, ხმაბალი, ზორხისმიერი ზორხოცი გაისმოდა. ვიღაც მაღალი, ახმახი კაცი ხარხარებდა, და ეს ხარხარი ისეთი დიდი გახარების ნიშანი იყო, რომ იგი უნებლიედ აღიზიანებდა გულშემოყრილ არზაყანს.

თამარის ავადმყოფობის ამბავი ოქტომში გაეგონა თურმე ყურმოკვრით. შუალამეს ცხენი შეეკაზმა და ზუგდიდს ჩამობრუნდა. ძაბულის მიაკითხა, შემდეგ შერვაშიძეების ეზოში შეიპარა; ლუკაიას ხელა დაკეტილი დაუხვდა.

ახლა აქ იჯდა დარდიანი, ზედიზედ სკლიდა ჭიქას, ეგების ღვინოს გაექარვებინა მწუხარება. ერთი რამ კი დასცდა ძაბულის: თამარს დღეისეული ჯვარი დაჰქარვიაო, ჯავრისაგან ავად გამხდარაო. უკუნებოდ ვეებოდა ძაბული და აღარც ჩაჰკითხა, მოერიდა: იქვენულობის გრძობა არ გამოეწვია.

იჯდა და სვამდა..

ღვინო უსიამო ეჩვენა, მაინც ასხამდა. ჭიქას ჭიქაზე სკლიდა. მოისაზრა: ბარათი დაეტოვებინა თამარისათვის, წერილობით მაინც ემცნოთ არზაყანისთვის, თუ რა მოუვიდა თამარს.

ბლოკნოტი და ფანქარი ამოიღო, წერა დაიწყო. რამოდენიმე სიტყვა დასწერა: თავათაც ვერ ამჩნევდა ნაწერს.

ზეიხებდა:

ელექტროს სანათი საკმაო შუქს არ იძლეოდა. ვიღაც თავზე წამოადგა. მსახური შეიცნო. შეეშინდა მას არ ამოეკითხნა ნაწერი.

ელდანაცემი შეეკითხა:

„სინათლე რატომ არა გაქვთ ამხანაგო?“

ქარხნები ჯერაც მუშაობენ, ელენერგია მათ ველარ სწვდებო. ლულ-
ლულეზდა მსახური.

და გაჰყვა არზაყანის ფიქრი ნაჩქარევად დაწერის დაწერის და
გულის დარდი შეუმსუბუქდა, როცა გრძნობა ეგზომ გულახდილად გა-
დაიჭანა ქალაქის ნაქერზე (ხომ არავეს ხორციელს არ გაანდობდა იგი
თავის იღუმალ ზრახვას).

აეტორს განზრახ არ მოჰყავს ამ ადგილას არზაყანის წერილის დედა-
ნი, რადგან იგი ძალიან ცუდი ქართულით იყო დაწერილი. თავათ არზა-
ყანმაც არ იცოდა, თუ ვისი ხელით უნდა გაეგზავნა ეს ბარათი, არც ის:
გაუგზავნიდა თუ არა ამ წერილს, მაგრამ მაინც იჯდა და სწერდა.

მეო, განგებამ დაშაჯაო, სწერდა არზაყან, რომ სწორედ შენი კლას-
სის, შენი წოდების სისხლის ნაშიერი შემეფარდათ, აბა რა მაქვსო მე სა-
ერთო თავადის ქალთან, ისეთ ქალთან, მეოცე საუკუნოში ჯვარის მად-
ლი და ხატის ძალი რომა სჯერაო, მაგრამ სიყვარული მართლაც ბრმა
ყოფილაო, და მე შენმა სიყვარულმა დამაბრმავაო. და ჯერაც არ მცოდ-
ნიაო, მტრის სიყვარული თუ შესაძლებელი ყოფილაო, არც ის გამიგო-
ნიაო, სიყვარული თუ სიმშაგე აღმოჩნდებოდაო. რაც შეეხება ჯვარს,
ის ჯვარი მე მაქვსო, შენ არაფერი იღარდო და ხუთმეტ აგვისტოს ტფი-
ლისს თუ წავალთ, თან ჩამოგიტანო.

ამასა და სხვა ამგვარს სწერდა შრავალს არზაყან ზვამბაია თავის გაუ-
რანდავი ქართულით; და მე თქვენ ვარწმუნებთ, ჩემო მკითხველო, ეს
ბარათი ისეთივე გულისმომკვლელი და მშვენიერი იყო, როგორც რამინის
წერილი ვისისადმი და გინდაც რომეოს მიეწეროს ჯულიეტასთვის. საქმე
ასეა: სიყვარულის სიმძიმის ყოველი კაცი თანაბრად განიცდის, მაგრამ
ნაგრძნობის ოსტატურად გამოთქმაა მუდამ მთავარი. მე რომ შევშველე-
ბოდი არზაყანს, ეს არ ივარგებდა, რადგან არავინ დაიჯერებდა მაშინ
გულწრფელობას მისას. ხოლო სიწრფელის კიდევან ნაგულისხმევის ქა-
ლალზე გადატანა, სავეებით ამაოა და მცდარი ოცნება.

ბარათი ჯერაც არ დაესრულებინა არზაყანს, როცა ეოლტაეი მოემე-
ტათ ელნათურებს და რესტორანში ხმაურობამ იმატა.

სუფრის ბოლოს ვილაც ჩოხიანი მოხუცი იჯდა და ჩონგურს უქრავდა.
დაბალი, დაბალი ხმით ლღინებდა ბერიკაცი და რამოდენიმე შეზარხოშე-
ბული ახალგაზრდა მღეროდა ასევე ხმადაბლა.

და არზაყანის მზერა გასწერივ მჯდარ ტყირპიან, ჯუჯა კაცის სახეს
შერჩა. არზაყანს ეცნაურა იგი. ტყირპიანი პილპილივით გაწითლებული
იყო, აღერსიანად უღიმოდა, არზაყანმა თვალი აარიდა, თავი ჩალუნა,
დანაწერს დააქერდა, უკვე თავათაც არ მოეწონა თავის ნაწერი, მაინც
დაკეცა და მაგიდაზე დასდო. თავი ზეაილო თუ არა, შენიშნა: ტყირპიანი
მისკენ მობარბაცებდა. არზაყანმა შუბლი შეიკმუხვნა, მაგრამ ტყირპიანი

ჯიქურ მისკენ მოემართებოდა. მჭეჯნავი ფიქრი აეკვირბა არზაყანს: სად ენახა ეს კაცი? ვერ კი მოეგონა ეგზომ ნაცნობი სახე.

„უკაცრავად ვარ ბატონო“ (სიტყვა „ბატონო“ არზაყანს) — ჩაიღულღულა მთვრალმა, სკამის ცალკიდებზე ჩაიოჯდა, არზაყან დაკვირვებულად ათვალეირებდა მის უდროვოდ დამკვნიარ სახეს, დაბალს, გადაზნექილ შუბლს. ცხვირის ცალ ნესტოზე მოწითანო მეჭეჭი ამოსვლიდა შინდის კურკის ოდენა, ხოლო მეორე ნესტოდან ვიდრე საფეთქლამდის ტყლაპისფერი ტყირპი გადაჰკვროდა. უსაზნოდ იცინოდა ტყირპიანი, თავვის კბილისებრ წაწვეტებულ, თეთრ ლოჯებს აჩენდა.

„უკაცრავად, მე კარგად არ მახსოვს სად გამიცანით პირველად?“ შეეკითხა არზაყან და სუფრაზე გდებული წერილი ხელში აიღო (თითქოს შეეშინდა, მთვრალ კაცს არ დაეწყო — ამ ბარათის კითხვა).

„როგორ არ გახსოვთ, მართლა არ გახსოვთ?“

ამბობს ტყირპიანი, თანაც იცინის, თავვის კბილისებრ თეთრ ლოჯებს აჩენს.

არზაყანი თავს უჭნევს.

„ნუ თუ მართლა არ გახსოვთ?“

არზაყან მოთმინებისაგან გამოვიდა.

„არ მავსოვს, მერმე რა რომ არ მახსოვს!“

„როგორ არ გახსოვს პარიკი რომ გაგიკეთეთ, მათხოვრის პარიკი. ყაჩაღების დასაჭერად რომ მიდიოდით.“

„აა, სიხარულიძე!“ წამოიძახა არზაყანმა, სახე გაუბრწინდა და მოავონდა სოხუმელი დალაქი, მოხუცებული მარჩიელისა და მათხოვრის ნიღაბით რომ შეუბურვა სახე აჭანდარის ყაჩაღების შეპყრობის წინაღულს.

„მე მას შემდეგ არ მინახავხართ, რა ჰქენით ნეტავი, დაიჭირეთ ის ყაჩაღები?“

არზაყანს გაეცინა. ორი წლის აღრინდელ ამბავს ახლა რომ ეკითხებოდა ეს ტყირპიანი დალაქი.

თანხმობის ნიშნად თავი დაჰქნია და ღიმი შეიკავა. მსახურს შესთხოვა ჭიქა მოეტანა.

მთვრალმა დალაქმა საესე ჭიქა ხელში აიღო მიუპატივებლად, კიდევ შეეხეწა ეამზნა მისთვის, თუ როგორ დაიჭირა არზაყანმა აჭანდარელი ყაჩაღები.

და საესებით უხალისოდ დაუწყო არზაყანმა ამ ამბის თხრობა:

„პოლიტსამმართველო სამი წლის განმავლობაში სდევდა მათ. მთელი რაიონი აიკლეს იმ არამზადებმა, ორმოციოდე მილიციონერი შემოაკვდათ. სამჯერ ალყა შემოვარტყით, ტყვიამფრქვევები დავდგით გორებზე, მაგრამ სამივეჯერ წრე გაარღიეს და უსაშინელესი ცეცხლის გრიგალში

ვაუჩინარდნენ. ხალხში ათასგვარი ხმა დადიოდა მათი მეთაურის გამო, ამბობდნენ: ჯაღო აქვსო და ამიტომაც ტყვია არ ეკარებაო.

საქმის მომქმემა, ერთმა დედაბერმა მე შემატყობინა, რომ ეკლესიის მნათესთან დაედოთ ამ ყაჩაღებს ბინა. ერთხელ მათ მეთაურს ცუდი სიზმარი ენახა. ახირებულა თურმე: მარჩიელი მომიყვანეთო. მეც ავდგე გულდაუთს ჩამოველ, მაგრამ ისეთი დალაქი ვერ ვიპოვნე, პარიკების გაკეთება რომ შესძლებოდა, ის იყო თქვენთან ამოვედი“.

ესა სთქვა არზაყანმა და ღვინო მოსვა და დალაქსაც დაუსხა.
„მერმე, მერმე?“ შეკითხა დალაქი, ხელმეორედ აივსო ჭიქა და დასცალა.

„მერმე და აქანდარაში ავედი პირნალაბიანი; მილციონერების რაზმი წაეიყვანე, მახლობლად ჩავასაფრე, ტყვიამფრქვევები დაედგი სახლის გარშემო. ნაშულამევეს დედაკაცმა მთაზე ამიყვანა. მეთაურს არ ეძინა. ძლიერ შეეშფოთებინა სიზმარს.“

მართლაც მარჩიელი ვეგონე. დაწვრილებით მიაშპო ტახტზე წამოწოლილმა წინალამინდელი სიზმარი.

„სიზმარი ისე მენიშნა, სიკვდილი არ აგცდება მეთქი“.
ეს ვუთხარი და მაუზურის ტყვია ვახალე პირში. ვიდრე მეორე ოთახში მძინარენი წამოსცვივდებოდნენ, ჩვენი ბიჭებიც მომეშველნენ, ორი დანარჩენიც გავთოკეთ“.

ამის თქმა მოასწრო არზაყანმა და შემდეგი ჭიქის დაღვევისას უეცარმა აზრმა გაუარა. თამარისადმი მინაწერი ბარათი აიღო, ნაჯუწყებად აქცია, საფერულზე დაჰყარა, ასანთი ამოიღო და ცეცხლი წაუქიდა.

„ახლა რას აპირებთ?“
შეეკითხა მომლიმარე დალაქი.
„ახლაც ასეთივე სამქე მაქვს, პარიკი უნდა გამიკეთო. საქმე ისაა, იქ სადაც ახლა მივდივარ, ყველანი მიცნობენ. სახე ისე უნდა დამონიღაბო, არავინ მიცნოს, თორემ ძლიერ სახიფათოა“.

„ხვალ მოდი სახელოსნოში, ისეთ ნიღაბს გაგიკეთებ, ჭაჯმაც ვერ გიცნოს“.

„ხვალ მივდივარ, ახლავე წამოგყვები“.
ტყირპიანი შეეყოყმანდა, ღვინის სმა არ ჰქონდა მოთავებული.
არზაყან ამ ახალი აზრის სიხალისემ აიტანა. ახლა კი იამა, შემთხვევამ თუ ბედმა მოულოდნელად რომ გადაჰკიდა ამ ტყირპიან დალაქს. იცოდა შარვაშიძეების ოჯახში ყველა ცრუმორწმუნე იყო ხერისპის გარდა, ყველა, მღვდელიც, თამარიც და კაროლინაც. თუ ლუკაია მობრუნებული იქნებოდა ამასობაში, მით უკეთესი. ერთი ბოთლი კიდევ დალიეს და დალაქის სახელოსნოს მიაშურეს.



გრილი ბორიო ჰქონდა, ზაფხულის საამური თქორა-მტკიცობა, მაინც სცხელოდა შერვაშიძეების ეზოში შემოსულ პარიკიანს „მარჩიელს“ არზაყან ზეამბაიას. ზიზღსა და-სიკცეს ჰგვრიდა სხვისეული თმაწვერი. და წვერები ისეთი გრძელი და მოყვითანო ჰქონდა, როგორც ლუკაია ლაბაზუას. ძველმანები და ძონძები ემოსა ტანზე, გრძელი ყავარჯენი ეჭირა ხელში, ამიტომაც გულიმედიანად უახლოვდებოდა ტარიელ შერვაშიძის სახლს.

თამარის ფანჯრიდან სინათლე გამოკრთოდა. თივის ზეინებიდან წკავ-წკავით გამოსცვივდნენ ძაღლები. არზაყან შედრკა, ბარე ცხრა ძაღლი უტევედა ყოველი მხრიდან. თუთის ხეს მიეყრდნო ზურგით, იგერიებდა მყეფარებს და ძროხასავით ზმუოდა.

„რომელი ხარ?“ დასკვივლა აივნიდან გადმომდგარმა ტარიელ შერვაშიძემ. არზაყან გაუგებარ სიტყვებს ლულულუღებდა. ტარიელი შეაშფოთა ამ გაუგებარმა ზმულიმა. პანიური ყვირილი მორთო: ლუკაია, ლუკაიაო. ბოლოს ხელტუკით შეიარაღებული ლუკაიაც გამოძვრა თავის ხელიდან. მოდიოდა, მოკელანობდა, მოჭაქანებდა ბნელში.

ლუკაია ძლიერ გაახარა მარჩიელ მათხოვრის მოსვლამ. ხელაში შეიყვანა, კერის პირად დასვა. დაათვალიერა. „ძველი კაი დრო“ მოაგონა ლუკაიას ამ „სათნო მოხუცის“ მოსვლამ.

სად წავიდნენო, ძველი მკითხავეები, მწირები, მოკალმასე ბერები, მარჩიელები, გველის მგეშავეები და მესაზანდრები? ახლა ყველანი სიბნელეში ვზივართო სჩივოდა ლუკაია. ეჭიმები სოკოსავით მომრავლდნენო, მუწუკიდან თელვამის გამოდენისა და საფალარათო ზეთის გამოწერის მეტი არაფერი იციანო. ციება რომ ციებაა, იმასაც ვერ არჩენენო ეჭიმები.

არზაყანს კამათელი ჰქონდა ენის კლიტესთან ამოდებული და ასე ლულულუღებდა უკავშირო და გაუგებარ სიტყვებს... ცრუმორწმუნე ლუკაია აღტაცებული იყო: „ღმერთმა ყოვლის შემძღემ“ მცხოვანი ენაარეული მწირი რომ წარმოგზავნა შერვაშიძეების ოჯახში, რათა თამარის ჯვარის დაკარგვის ანბავი აეხსნა და განეკურნა თამარი. ასე ყოფილაო წესი საკვირველისა, იგი მოულოდნელად ეწვევაო მორწმუნეს მწუხრისას. და გულმოდგინედ ფიქრობდა ამ „სათნო მოხუცის“ შემყურე ლუკაია სერობათა იღუმალ სტუმრებისა და ბნელის მომთხრობ წინასწარმეტყველთა გულმისნობისათვის.

ჭრაქი აანთო ლუკაიამ, პირტვე დამხობილ კოთხოზე შემოდგა და მისან მათხოვარს შეავლო თვალი. იგი წვიმისაგან ვაზუზულიყო, სველი ჩაბალახის ბალთიდან მოყვითანო წვერი და მოუჩანდა. შუბლშეჭმუხენილი იყო მათხოვარი და ტკბილ საუბარსაც ვერ გაეფანტა სახისა მისის სიკუშტე.

მარჩიელი მოვიდაო!

ყველას ახარა ეს ამბავი ტარიელ შერვაშიძემ. მასაც ლუკაიაზე ნაკლებად არ უხაროდა ძველი დროის გზაბნეულ მერცხლებს შემთბრუნება. შერვაშიძეების კარზე ხომ დღედაღამ ზიშხიმებდა მგრუნდუნდუნდუნდუნ, შემლოცველი, გამომლოცველი, ლენჩი, მონაზონი, მწირი და მოხეტიალე მესაზანდრე.

გული საგულეში აღარ დაეცა. რას აყოვნებდა ის შლევგი ლუკაია მარჩიელისათვის თამარის ჩვენებას? ამიტომაც ასტეხა ძაბილი უკანა აივანზე გადმომდგარმა. ლუკაიას ხმოვა არ ესმოდა, მღვდელს ფეხის დასველების ეშინოდა.

არ იქნა და ვერ მოიშალა სიჯიუტე ამ ღეთისგან წყეულმა ლუკაიამ. უკანასკნელი გაქცევის შემდეგ მთლად გადაირიო ლუკაია. ეს გაიფიქრა და კიდევაც დასწყვილა: ლუკაიააააა!..

ისედაც აფორიაქებული ძაღლები მთლად გადაირიო მოხუცის ყიყინმა... არზაყანს გუნებაში გაეცინა როცა კიბეზე კენესით ამომავალს ხელი შეაშველა მას ნახუცარმა.

„კეთილი იყოს შენი შემოსვლა ჩემს ოჯახში ღეთის მიერ წარმოგზავნილო მწირო“.

შეშთაგება პათეთიური და ალერსიანი სიტყვა ტარიელ შერვაშიძემ მარჩიელს. არზაყან განზრახ წაბარბაცდა უკანასკნელ საფეხურზე და მარჯვენა ფეხი გასდრია განზე, დაფაფურდა, თითქოს წაქცევას ლამობსო. ბაბუა ტარიელ თუმცა თავათაც ძლივს იდგა ფეხზე, მაგრამ მაინც წამოშველა. ამ სიბნელეში მკლავში ვერ წაავლო ხელი. თეძოს თავზე წაეპოტინა და სწორედ მაშინ არზაყანის მაუზერის სახელურს მოხვდა მისი ხელი (ძონძები ემოსა არზაყანს საკუთარ ტანისამოსის ზემოდ. ამიტომაც ვერ გაერჩია ნახუცარს თუ რა მოხვდა ხელში).

„ეს რა მოგსვლია მამაშვილობას?“

„ეს თეძოს ძვალი ამომიგდეს უშჯულოებმა, მამაო“. წაილულღღლა ცრუმარჩიელმა. ტარიელ შერვაშიძე დ ლუკაია ლაბაბუა პირდაპირ დაატკბო ამ ამბავმა. საკუთარი თვალით რა იხილეს „კიდევ ერთი მსხვერპლი რელიგიური დევნისა“.

„ნეტარ იყავ შენ, რამეთუ გდევნონ ჩემის სახელით. ესეც დაწერილ არს შეილო ჩემო“, — ეუბნება ბაბუა ტარიელ მარჩიელს.

ცოტა ხანს კიდევ ესაუბრა ბაბუა ტარიელ სტუმარს დერეფანში, თავის ოთახში შეყვანა მოუნდომა, მაგრამ ელექტრო გამჭრალყო შემთხვევით, ხოლო ერთადერთი ლამა ავადმყოფი თამარის ოთახში გაეტანა დაშას.

კიდევ ერთხელ დასწყვილა ბაბუა ტარიელმა ბოლშევიკები და მათი ჭარხნები.

ქარხნებს ზედმეტი დატვირთვა აქვთ, ამიტომაც წვენ სიბნელეში უნდა ვისხდეთო. ქარხანა და ელექტრონი ეშმაკის მოგონილიყო. სწავლა ხუცესი. სადაც ქარხანა, ელექტრონი და მატარებელი გაჩნდნენ, უშუალოდ ბაც სწორედ იქ იდგამსო ფეხს.

თამარის ოთახში შესვლას საერთოდ ერიდებოდა მღვდელი, აბხაზე-რი წესისამებრ, რადგან ქალი, შეილიც რომ იყოს ღვიძლი, მაინც ქალია აბხაზის თვალში.

კიდევ ერთი მიზეზიც იყო: ბაბუა ტარიელმა იცოდა: იმწუთში თარაშ ემზეარ იჯდა იმ ოთახში. მას ეს არ მოსწონდა, მაგრამ ითმენდა. მალე-ლი გულისწყრომის დასამოწმებლად მასთან პირისპირ შეხვედრას ერიდებოდა. არზაყანს გული აუჩქროლდა როცა მწოლარე თამარს შეავლო თვალი. ნიშადურის სპირტის და ნაფტალინის სუნი იდგა ოთახში, ხოლო თამარის საწოლს როს გაუსწორდა, მაგარი პარფუმის სურნელება შეიცნო სტუმარმა... ლამბის უსუსური და ყვითელი შუქი ლიცლიცებდა. თამარის დაგრაგნილი ხშირი ნაწნავეები ბალიშზე ელაგა უწესრიგოდ. არზაყან აენტო ამის შემხედვარე. ფერმიღეული ეჩვენა თეთრ ბალიშზე მწოლარე თამარის სახე. მას აროდეს ენახა მწოლარე თამარი და ამიტომაც ვერ მოსწევიტა თვალი ამ სანახაობას.

ლუკაიამ სკამი მიართვა მარჩიელს და პიანინოს კიდესთან დასვა.

შობრუნდა არზაყან, უკან მოიხედა. პიანინოს მეორე კიდესთან თარაშ ემზეარი შენიშნა. იგი კაროლინას გვერდით იჯდა და მასზე ნაკლებ ინტერესს იჩენდა მარჩიელისადმი. კაროლინა ცქმეტავდა, კისკისებდა, გერმანულად ეჩურჩულებოდა თარაშ ემზეარს რაღაცას, ხანაც მარჩიელს ესიტყვებოდა დამტკრეული რუსულით. რუსული არ ვიცოი ანიშნა მარჩიელმა ლუკაიას და ლუკაიამაც ქართულად განაცხადა ყველას ვასაგონად: ჩვენმა მწირმა რუსული არ იცისო.

ამ ამბაემა დააშოშმანა კაროლინა. იგი თარაშ ემზეართან ლაღობას შეჰყვია, ხოლო ლუკაია განაგრძობდა დაკითხვას. თამარსაც იამა მარჩიელის მოსვლა. მაგრამ მას თავი სტკივოდა, ამიტომაც ლაპარაკს გაურბოდა. ასე რომ ლუკაია ეწეოდა მის მაგივრად მესიტყვეობას.

არზაყანს სველი ჩაბალახი წარბებამდის ჩამოეთხატა. წელში მოდრეკილი იჯდა, როგორც ეს ბერების წესია, წარამარა ხვნეშოდა, ცხვირიდან ითქვამდა სულს და გაცივებულ კამეჩსავეით შრიშინებდა. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად თამარისკენ აპარებდა მზერას. და როცა მოუსვენრად მზარგავ აეამდმყოფს საბანი ოდნავ გადაუხდებოდა, რძისფერ გულმკერდის ვლვარებას უჭვრეტდა:

ოჰ, რა ბედნიერად ეჩვენებოდა მას ამ წუთში თარაშ ემზეარ, მას ხომ შეეძლო თუნდაც ყოველ საღამოს ამ ოთახში უპარკოდაც შემოსვლა, თამარის სასთუმალთან ჯდომა და მისთვის მზერა. და ვინ იცის განა მარტო მზერა?..

იქვენულობის უფსკრულმა დააღო მის წინაშე საშინელი ჩხა. ამ წუთში მზად იყო არზაყან, უკან გამოსდგომოდა თავის დედის გაზრდილს და თუთების ხეივანშივე მოეკლა იგი, ცოფიან ძაღლსავეთ მოეკლა იღუმალა და აზვავდა არზაყან ზვამბაიას გულში ურთიერთში, ვღრღვეუღვეუ მშება, შური და იქვენულობა. მთელი სხეული უთრთოდა, წელში მოიდრიკა უარესად, როგორც დიდი ნახტომისთვის განმზადილი ცხოველი.

არზაყანს გულის ჯიბეში ჰქონდა თამარის ჯვარი, თარაშ ემზეარ რომ აქ არ დახვედროდა, გადაწყვეტილი ჰქონდა ლუკაიასათვის გადაეცა ჯვარი, ლუკაია იმას ღვთის სასწაულად ჩასთვლიდა. ახლა კი, ახლა შურისგებით იყო აღსავესე. და ამ დროს, დაიწყო საუბარი შაქარბაგიანმა ლუკაია ლაბახუამ.

კეთილო მწირო, ამბობდა ლუკაია მეგრულად, ჩვენ ავადმყოფს ჯვარი მოპარესო, საყვარელი დედის ნაჩუქარი, გამოვულოცეთო, შეველოცეთო, ძილისპირული უმღერაო ძიძამ და შოუნანა ჩონგურზე შეწყობილი. ილორში ვიყავიო ჩემი ფეხით, სამი თვის ციკანი შევეწირეთ ილორის წმინდა გიორგის, მაგრამ ღვთაების ნებას ჩვენ ვინ განგვიცხადებსო. კეთილო მწირო, ეგებ შენ გვაუწყოო, რა თვალი ეცაო ჩვენს ავადმყოფს, უემური ხომ არ შეყრიო, მაენე თვალი ხომ არ სცემიაო ოსეოფის მოსვლისას, ბალახის სული, ან მიწის სული ხომ არ აყოლიაო? რისგან არისო მისი ავადობა, მიწისაგან, მზისაგან თუ მთვარისაგანო?

და მოჰყვა ლუკაია ლაბახუა თავისებურ ბნელ მეტყველებას. არზაყანმა ვერც კი გაართვა თავი მის როშვას. გულჯავრიანი იყო, ამიტომაც არ ეცინებოდა. იღუშებოდა და სდუმდა.

და რომ გამოცდაზე მოუშვადებლად მოსული შევირდი თავის აზრის პირდაპირ გამოთქმას გაურბის და კეთილ მასწავლებლის კითხვებს ბრმად აჰყვება ხოლმე, ხან დადებით კითხვებს უარყოფითად უპასუხებს, ხანაც უარყოფითად დასმულს დადებითად, ისე ჩვენი ცრუმარჩიელი უსუსურად ლულულულებდა: თქვენს ავადმყოფს არც უემური შეყრიო, არც მიწიდან აყოლილს, არც ფოთლისგან მოყოლილს, მისთვის არ უენიაო, არც მზეს, არც მთვარეს, არც წყალს. არც თვალი სცემიაო, ღმერთი გულნაწყენად შექმნილაო მისგან, საყვარელი დედის მიერ ნაჩუქარი ჯვარი ამადაც დაჰკარგვიაო და სამაგიეროდ ავადმყოფმა თმა უნდა მოიჭრასო ილორს შესწიროსო თვისი ნაწნავები.

თამარ შერვაშიძე გველნაკბენივით წამოიჭრა. მოხუც მარჩიელს შეაშტერდა. მოხუცმა თავი ძირს დახარა და დადუმდა. და ეს დუმილი შეიკნო თამარმა, როგორც ვარდაუვალი განაჩენი ბედისწერისა.

თამარის მღელვარე ხმამ თარაშისა და კაროლინას ყურადღება მიიპყრო. თარაშ ემზეარმა მის წინაშე მდებარე ყურნალის თვალიერება განავრძო. სისულელეეაო გერმანულად წასჩურჩულა კაროლინას.

თარაშ ემზვარის ნათქვამი თამარმაც გაიგო, მაგრამ ამ სიტყვამ ვერ გასჭრა მაინც.

ცრუმარჩიელი ადგა და მღუმარედ გაქცვა ლუკაია ლაბანუას, თამარი კედლისაკენ მიბრუნდა და დაფიქრდა. თავის უმწიველ მოსწონობის ხანმოკლე მანძილს თვალი ვადაავლო.

მართლაც და რისთვის უნდა ყოფილიყო ღმერთი გულნაწყენად მის მიმართ? მას ხომ ჯერაც არ შეედეგა ფეხი ამ ცხოვრებაში და ჭუაც არ გაუსრესია უმართებულოდ. შზრუნველი ძმის ხელში მას არ დასჭირვებია ცხოვრებისათვის მძიმე ჭიდილის ატანა. ამ საოცარი მოხუცის მოსვლა, ჯვარის დაკარგვის ამგვარი ახსნა, იდუმალი შიშით ავსებდა მის სულს.

ლუკაია გულმოდგინედ ებლაუჭებოდა ცრუმარჩიელს, თუმცა თავით კოჭლობდა, მაგრამ მწირი მაინც ეცოდებოდა.

თამარის ოთახში ნახულმა გული აუშლერია არზაყანს, უკვე ვეღარ იტანდა ლუკაიას ქრიტინს, უნდოდა გასცლოდა, მაგრამ ლუკაია ვახშმად ეპატიჟებოდა, თანაც ჰპირდებოდა:

წმინდანების ზანდუქს გაჩვენებო, ძველმანებს გაჩუქებო საზამთროთ, ერთი ხატიც დაჰპირდა სახსოვრად.

არზაყანს გული უდუღდა, მაინც ღიმი მოჰგვარა ამ ამბებმა. განგანზე იხედებოდა, გაქცევას ლამობდა, მაგრამ ძაღლების ეშინოდა. უკვე ხულასთან შიალწიეს, მაჯაგანით გაალო ლუკაიამ მოქლონი, ხულაში შევიდა და ჭრაქის ძებნა დაიწყო. არზაყანის ბედად კომიტების ხეივნიდან ღობის ლიწინი მოისმა, ძაღლებმა იხუვლეს და იქითკენ გაემართნენ. არზაყანმა ღია დარჩენილი კარები გამოსწია. რაზა გადააჭკეტა და ხილნარისაკენ მოჰკურცხლა.

ალარა სწვიმდა, მაგრამ ცა ბნელი ღრუბლებით იგრაგნებოდა, ვაშლნარში რაღაც გაურკვეველი და საამური სუნი შეიქნო არზაყანმა. მთვარე წამიერად გამოიჭვრეტდა, ცალ თვალს შეაეღებდა ხეების თალხ სილუეტებს, პალმების ბანჯგვლიან თათებს, მერმე ისევ ამოეფარებოდა გაცვეთილ ნაბადსავით დაკონკილ ღრუბლებს.

სამიოდუე პალმა სპექტაბილის შენიშნა არზაყანმა. ეს პალმები რქებიან მღვეებს წააგავდნენ ამ სიბნელეში... ახლად-მოცელილი თივის ბულულს შიავნო არზაყანმა პირალმა წამოწვა, ცას შეაჩერდა. მწიფე თამბაქოსფერი ტალები ეტყობოდა ცას მთვარის ირგვლივ. ბაღში სრული მყუდროება იყო. რომელიღაც ჩიტუნა უსტვენდა აკაციების გადაღმა. შორიდან, ძლიერ შორიდან მარტოხელა ძაღლის ყეფა მოისმოდა კანტი კუნტი. და ეს ყეფა ისეთი გულისმომკვლელი ეჩვენა არზაყანს. იწვა ყურს უგდებდა თვალმიღებული და ძაღლის ხმა განუსაზღვრელი სევდით ავსებდა მის სულს.

ცოტა ხანს სრული დუმილი დამყარდა ირგვლივ, არზაყანმა თვალი მიღლულა და მოაგონდა სწორედ ამგვარად დანიღაბებული აქანდარასკენ

რომ მიდიოდა... ეჰ, მაშინ, როგორ ბედნიერი ყოფილა თურმე არზაყან ზვამბაია, პარტიისათვის, სახელისათვის ბრძოლით ალტყინებული. რა მოუვიდა არზაყან ზვამბაიას? დიაცისადმი სიყვარულმა ყველაფერი დაიჯაბნა იგი. აყვედრის არზაყან საკუთარ თავს, ხედავს თუ არა, ხედავს, მაგრამ უღონოა არზაყან და წვეს ამ თივის ბულბულზე გულშეღონებული პირადმა. თითქო გული საგულეს აღარ ეგულებო, თითქოს სიმამაცე ვასცლოდეს და მუხლის ძალაც და ამ თივაზე გამოთილი არზაყან ზვამბაია როდი იყოს, არამედ მართლაც მოხეტიალე, ბერიკაცი და მარჩიელი.

თვალი დახუჭა და მიენდო შინაგან მზერას — ფიქრობდა თამარისათვის, თარაშ ემხვარისა და დღევანდელი ავანტიურისათვის. რა მოულოდნელად განიზრახა და შეასრულა ეს ყოველივე! წერილი დაეტოვებინა? ჯვარის ამბავი ემცნო თამარისათვის? არა, კარგი ჰქნა, ის წერილი ცეცხლში რომ დასწვა. თამარი და თარაში ერთადყოფნისაგან დასტკბნენ და...

არა, არასოდეს, დეე, იტანჯოს, დეე თმები შეიკრიჭოს, თარაშ ემხვარის ფილაში ეს ხომ მცირედი გესლის წვეთი მაინც იქნება. თარაშ ემხვარს თმაშეკრევილი ქალები სძაგს, დეე, დეე!!

ისევ აყეფდა მარტოხელა ძაღლი, მერმე დადუმდა და მცირე ხნის შემდეგ ყმული მორთო. გულისწამლები ეჩვენა არზაყან ზვამბაიას ეს ყმული. თითქოს უცნაურ ბედისწერის მაცნე არისო. შეძრწუნდა არზაყან, როგორ დაძაბუნდა ნაცადი რევოლუციონერი! ისიც კომუნისტი! ძაღლის ყეფამ შეაკრთო მისი გული? ტყვიამფრქვევების არ შეშინებია არზაყან ზვამბაიას, აბაზი ყაჩაღების ტყვიისთვის რამდენჯერ მიუშვერია მკერდი და ახლა?..

მართლაც და ამ თეთრმა წვერებმა ხომ არ დააბერეს ლომგულოვანი ვაეკაცი? და მოაგონდა თარაშ ემხვარის სიტყვები, უსულო საგნები ბუნებაში არ არსებობენო რომ ამტკიცებდა. საგანი განსულოვნებული ნივთიან და ასეთ ნივთებს უცილო ზეგაველენა აქეთო ჩვენ სხეულზე.

მოიხსნა ბებრის თეთრი პარკი, მოიძრო წვერები და ულვაშები, მიწაზე დაანარცხა: გაიხადა ძონძები. ზეწამოიჭრა.

მაუზერს ნესტი შეკპარვოდა, ბუდიდან ამოაძრო, ცხვირსახოცით გასწმინდა, დახედა და მტკიცე ნაბიჯით გაემართა თამარის ფანჯრისაკენ. ფანჯარა გაეღოთ ნაწვიმარზე სუფთა პაერის შემოსაშვებად. კედელს აეტმასნა და ყური მიუგდო: კანტი-კუნტად მოდიოდა მამაკაცის ხმა. ფეხაკრეფით მიუახლოვდა ვაშლის ხეს. ხელი წააელო. წვიმის წვეთები დაეცა თავკისერზე. მერმე აზიური ჩექმები გაიხადა და აცოცდა ხეზე.

და ხედავს არზაყან თამარის ნაწნავებს ბალიშზე გადაგდებულს, თამარის სახე კი არ მოსჩანს. კაროლინა წასულა. თარაშ ემხვარს სავარძელი მიუწვია თამარის საწოლისაკენ, სასთუმალთან უზის და ხმადამლა ესაუბრება. უკავშირო სიტყვები, ხანაც სიტყვის ნაწყვეტები მოესმის, არზაყანს, მაგრამ ვერ გაუგია: რის გამო საუბრობენ?

არზაყან სმენად და მზერად გადაიქცა და ხედავს: ემზვარმა ამოიღო თამარის თეთრი, თეთრი ხელი, ხელში დაიჭირა და ხელის ზურგზე ხელს უსვამს. არზაყანს თავიდან ტერფამდის დაუარა უსიამოვნო ვიქტორიანი, თვალთ დაუბნელდა.

გაიხედა, თამარის ხელი ისევ გაჰქრა. ემზვარ ისევ იმავე სავარძელში ზის და იცინის. ისევ იელვა არზაყანის თვალის წინაშე მშვენიერმა თეთრმა ხელმა, უყურებს: ემზვარ ისევ სავარძელში ზის და ხელები სავარძლის ზურგისთვის შემოუხევევია პირუკმოდ.

უცებ წამოიწია თარაშ ემზვარი, თამარის საწოლისაკენ გადაიხნიჭა. არზაყან ათრთოლდა და ცალი ხელი მაუზერისაკენ წაიღო, მაგრამ ისევ შენიშნა: თარაშ ემზვარ მაშინაღურად გაიმართა წელში და ზურგით მიეხალა სავარძლის ზურგს. არზაყანს გაშიშვლებული მაუზერი ხელში შერჩა. იგი ვაშლის ზის ტანს მიეყრდნო და მარჯვენა ხელით საკეტი გადასწია და რევოლვერი შემართა. ისევ გადაიხარა თარაშ ემზვარ საწოლისაკენ და ახლა თვალი აუჭრელდა არზაყანს, საშინელი გულისცემა აუტყდა და როცა თვალთაგან ბინდი გადაეყარა, იგი ხედავს ამაზრზენ სურათს: თარაშ ემზვარმა ბავშვივით ხელში აიტატა პერანგსამარა თამარი და მუხლებზე დაიწვინა, და კოცნის მის ნაწნავებს, თავი გადაუხნიჭა და ტუჩებს უნდა მისწვდეს. „შენ სხვა გაყვარს და მე რად მკოცნი?“ ეს სიტყვები მისწვდა არზაყანის სმენას.

„ვინ სხვა თამარ, რას ამბობ გენაცვალე?“ ეს უთხრა თარაშმა და არზაყანმა ვერ გაიგონა: თამარმა რომ უპასუხა: „კაროლინაო“. კიდევ ერთი წუთი და რევოლვერი დაიგრიალეზდა, მაგრამ არზაყანმა ისევ შეიკავა თავი, თამარი გაუსხლტა ხელიდან ვაჟს და ოთახიდან გაეარდა. ბნელოდა თემშარაზე.

თარაშ ემზვარ ნელი, დარდიანი ნაბიჯით მიდიოდა, ლანდსავით მიჰყვებოდა არზაყანი უკან. გაუსაბნავე ურმების ჭრიალი მოისმოდა კანტი კუნტად. ხანაც მამლების რულისმომგვრელი ყვილი. და არზაყან ზვამბაია ისე არია რამოდენიმე წუთის წინად ნანახმა, ისე მოთენთოდა ძარღვები, მას უკვე სულიერი ენერგია არა ყოფნიდა წამოწეოდა თავის მეტოქეს და „გავსწორდეთო“ შეეძახა.

და მამლები ისე ჰყივოდნენ, თითქოს სიზმარში მოესმისო ეს ყვილი არზაყანს და მის წინაშე მიმავალი ლანდიც თავათ სიზმარი ყოფილიყო ცხადად მოარული.

ხანდახან სხეული უღალატებს ამობოქრებულ სულს, ისიც მოხდება, რომ სხეული მოუღალავია და გულმაგარი. მაგრამ სული სიზმარსავით გაეპარება სხეულს და გაიტრუნება.

ასე მოუვიდა ამ ღამით არზაყანსაც.

თარაშ ემზვარმა ვიწრო შუკაში შეუხვია, პატარა მუხნარი გადაიარა, ძველებური ხის ქიშკარი გააღო. სუროთი შემოსილ კოშკის გვერდით ახალი, ფიჭვის სახლი იყო მიშენებული, ორთვალიანი პატარა სახლი!

ეზოში და ყვავილნარში ჩქამი არ ისმოდა. არზაყან გაოცდა ასეთი სახლი და ამგვარი ძველებური კოშკი აროდეს ენახა დაბაში. არზაყანმა გაიგონა, თუ როგორ დარაზა კარი თარაშმა, დიდხანს, დიდხანს იდგა არზაყან ზვამბაია უშველებელ ცაცხვის ლანდს მოფარებული. ხერხისებური ქონგურები კოშკისა ისე იხატებოდნენ მტრედის ფერ ცაზე, თითქოს გიშრის აქურებით მოუხატავთო.

„მართლაც და რად უთხრა თამარმა შენ სხვა გიყვარსო?.. ფიქრობდა არზაყან.

ეგებ კაროლინა? და იმედის ნატამალი აკიანთდა მის გულში.

ულიმლამოდ ილევდა უმთვარო ღამე. ლანდები ეყრებოდნენ ხეების კოტურებს, ნისლი წვებოდა მახლობელ მუხნარის ქეჩოზე. და მუხნარი ისეთი ბნელი იყო, როგორც კაცის მკვლელის გულამღვრეული ზრახვა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



მის. ლერმონტოვი

თარგმანი ვივი გაჩეჩილაძისა

პოეტის სიკვდილი

შურისძიება, ხელმწიფეო, შურისძიება!
შენს ფერხთა წინაშე დავეცემა:
იყავ სამართლიანი და დასაჯე ბოროტი მკვლელი,
რომ იმ სასჯელმა გვიან მოსულ საუკუნეებს
და შეილი-შვილებს მოაგონოს სამსჯავრო,
რომ დაინახონ ბოროტებმა იქ მაგალითი.

მოკვდა პოეტი! — მარადი ტყვეა
ახლა მგოსანი სიკვდილის შავის,
გულს შური შერჩა და მიძიმე ტყვია,
დაბლა დაჰხარა ამაყმა თავი!
ვერ აიტანა სირცხვილის აზრი,
წერილმან კორებმა დღე შეუმოკლეს,
ბრბოს წინააღმდეგ კვლავ აღსდგა მკაცრი,
აღსდგა, ვით წინათ მარტოდ... და მოკლეს
მოკლეს!.. ვის უნდა ამაო ჭება,
ვილას დასჭირდეს ქვითინი ჩვენი,
და სადღა არის აქ გამართლება? —
შესრულდა ბედის ეს განაჩენი!
თქვენ არ იყავით, რომ ნიჭი ფართო
თქვენგან მარადის იყო დევნილი
და გაღვივებამ დიდხანს გაგართოთ
ხანძარის, ოღნავ გამოჩენილის?
მაშ, გაიხარეთ... — ვერ აიტანა
მგოსანმა ტანჯვა უკანასკნელი
ნაზი გვირგვინი დაჰკნა და თანაც
ჩაჰქრა გენია, როგორც სანთელი

მკვლელმა გულგრილათ გაზომა თვალით
ღიადი მსხვერპლი... ხსნა აღარ არი:
ცარიელ გულში არ ღვას კანკალი,
არ აათრთოლებს ხელს იარადი.

განა ვინ არის? შორი ქვეყნებით
 მსგავსად უამრავ უცხო ლტოლვილთა
 გადმოხვეწილი იღბალის ნებით
 ბედის საძებრად ჩვენთან მოვიდა
 და არ გააჩნდა იმ თავხედს ძველი
 ჩვენი წესების, ენის რიდება,
 მან არ დაზოგა ჩვენი ღიდება,
 ვერ იგრძნო წუთის გაბედითება,
 ვერ იგრძნო ვისზედ ამართა ხელი!

ის მოკლულია — და საფლავმა წაიღო ბნელმა
 და, ვით მგოსანმა უცნაურმა და საყვარელმა,
 მან დაასრულა ცხოვრება თვისი,
 ისიც განგმირა უღმობელის მტარვალის ხელმა
 იმ მგოსნის მსგავსად, ვისიც ჭება სთქვა მარადისი.
 ენებიანი და ლალი გული რისთვის დასთმო მან
 და შურიანი ვიწრო ბრბოსთვის რატომ დასტოვა
 განცხრომისა და მეგობრობის შშვიდი ნუგეში? —
 ცილის მწამებელთ რატომ მისცა თავისი ხელი,
 რათ დაიჯერა მან ალერსი სიფლიდის მცველი
 ბაღის, რომელიც მან შეიცნო სიკაბუტეში?..
 და ჩამოხსნილი გვირგვინის ნაცვლად —
 ეკლის გვირგვინი, დადაფნული, მას მოუნახეს:
 მაგრამ ეკლები სჩხვლეტდნენ და მკაცრად
 აიარებდნენ პოეტის სახეს.

უკანასკნელნი მოიწამლენ მისი წამები
 ავი ჩურჩულით დამკინავე ჩუმი ყბედების.
 და მოკვდა იგი — შურისგებით განაწამები
 და სინანულით გაცრუებულ დიდ იმედების.
 სიკვდილმა მღერა გაანადგურა
 მარადი ძილით და გაყუჩებით;
 ვიწრო ბინა აქვს აწ მას სადგურათ
 და დაკეტილი აქვს მას ტუჩები.

თქვენ კი, ამაყო შთამომავალნო
 ცნობილ სიფლიდით განთქმულ მამების,
 დაჩაგრულ გვართა ნამსხვერველებზე ქუსლით მავალნო
 თქვენი მონური გათამამებით!
 თქვენ, ხარბი ბრბოით შეკრებილნო ტაბტის გარშემო
 ჯალათნო ნიჭის, ღიდების და თავისუფლების!

თქვენთვის სამსჯავრო და სიმართლე აღარ არსებობს,
 კანონის ჩრდილ ქვეშ შეფარულნი არ იღუპებით...
 მაგრამ არსებობს სხვა სამსჯავრო, ღვთის სამართალი,
 არის მსაჯული, რომელიც იცდის,
 რომლის წინაშე ოქროს ჩხრიალს ვერ გამართავენ,
 მან ხალხის ფიქრი და საქმენი წინასწარ იცის.
 მაშინ ფლიდური ავი სიტყვა თქვენ ველარ გიხსნით
 მხოლოდ ამოდ თავს გააწვალებთ,
 და ვერასოდეს მოირეცხავთ მაგ შავი სისხლით
 მგოსნის მართალი სისხლის ნაკვალევს!

28 იანვარი 1837 წ.

ხ ა ნ ჯ ა ლ ი

ჩემო ხანჯალო, ფოლადისავე, მიყვარხარ მეტად
 შენ, ჩემო ცივო მეგობარო და მოელვარევე,
 ქართველმა ჩუმი შურის გეზით შენ გამოგქედა,
 ლალმა ჩერქეზმა მოგიმზადა ომი მღელვარე.

ძვირფასის ხელი იყო შენი შემომწირველი,
 განშორების ეამს რომ მაჩუქა გასულსა სოფლად,
 და არ დასტოვა შენზედ სისხლმა კვალი პირველი,
 არამედ ცრემლის მარგალიტი დაგორდა ობლად.

შავი თვალები შემაჩერდნენ ფარულად მაშინ,
 თვალები სავსე სევდიანი იღუმალეებით,
 და, ვით ფოლადი მოცახცახე ცეცხლის ელვაში
 ხან ჩაჰქრებოდნენ, ხან ბრწყინავდნენ შავი თვალები.

ჩემი მღუმარე სიყვარულის ხარ შენ ნიშანი
 და მაგალითად შენში მყოფობს მგზავრისთვის აზრი:
 არ შევიცვლები, თუ კი სულ მთლად არ წავეშალე,
 და შენებრ, შენებრ, მეგობარო, დავრჩები ბასრი.

1837

თქმულება ნიბელუნგებზე*)

კონსტანტინე ზიზინაძის თარგმანი

ავენტურა პირველი

კრიმჰილდეს სიზმარი

საკვირველ ამბებს გადმოგვცემს
გარდასულ დროთა საგები:
გაბედულ გმირებს ჰქონიათ
მხნეობა თუ რა საქები,
რა ცრემლები და ვოდება,
რა საზეიმო კრებანი,
გულად რაინდთა ბრძოლებზე
ისმინეთ საოცრებანი.

ბურგუნდიაში ჰყვარდა
ასული კეთილშობილი;
ქვეყნად იმაზე ლამაზი
არ იქნებოდა შობილი.
იწოდებოდა კრიმჰილდეთ
ეს ჭაღბატონი რჩეული.
მრავალმა გმირმა შესწირა
მას სიცოცხლე და სხეული.

იქ სიყვარული მისდამი
არავის ერცხვინებოდა.
არა ჰკიცხავდნენ იმას, ვინც
მისის ტრფიალით დნებოდა.
ლამაზი იყო უზომოდ

*) „თქმულება ნიბელუნგებზე“, გერმანული ეპოსი, გადმოთარგმნილია შილიანად და იბეჭდება უკვე სახელგამის გამოცემით, პოემა შეიცავს 20.000 სტრიქონ ლექსს. ვბეჭდავთ სანიმუშოდ თარგმანის ერთ თავს.

და ტურფა ზნეთა მჩენარი,
ყველა ქალების თვალი და
იმათი დამაშვენარი.



მას სამი მეფე უვლიდა,
უამრავ განძთა მქონენი:
მხნე გუნტერი და გერნოტი,
რაინდნი თავმომწონენი,
და გიზელჰერი, ჰაბუკი,
მათებრვე მტერთა მზარავი.
იგი და იყო იმათი,
ისინი მისი მფარავი.

იყენენ წყნარნი და მდაბალნი,
თან უმაღლესის გვარისა;
დასახელება უმძიმდათ
გმირების, მათის დარისა.
ერქვა ბურგული ქვეყანას,
რომლისაც იყენენ მცველები.
შემდეგ მათ ეტყულს უჩვენეს
ამბები საკვირველები.

რაინის ვორმსში ცხოვრობდა
ეს სამი მეფე დიადი.
ბერი რაინდი ჰყვანდა მათ
მარდი და გულით ზვიადი,
მუდამ მეფეთა წინაშე
მცნობელი თვისის ვალისა,
ვიდრე მოსპობდა შუღლი მათ
ორის თავადის ქალისა.

იმის დედას ერქვა უტა
და დანკრატი მამას მისას,
რომელმანაც თავის შვილებს
დაუტოვა სიკვდილისას
უმდიდრესი სამემკვიდრო.
ის უბადლო იყო გმირი:
ჰაბუკობის დროსვე ყველგან
სასახელო გახდა გმირი.

ეს სამი ძმა — სამი მეფე,
როგორც უკვე იყო თქმული,
მაღალისა იყვნენ სულის,
მდიდარი და ძალმორკმული.
ქვეშევრდომად ჰყევანდნენ იმათ
ვაჟკაცები, გმირთა დარნი,
უდიდესის ძალისანი
და ბრძოლაში უშიშარნი.



იყო ჰაგენ ტრონიელი
იმათ შორის, გულით რკინით,
ძმა იმისი, მარდი დანკვარტ,
და მეტცელი ორტეინი.
მარკგრაფები ორივენი —
ეკევარტ და გერე ქველი.
აღსაყვანი ფოლკერ მათთან,
მედგარი და უძლეველი.

მზარეულთა უხუცესი
იყო რუმოლდ, შემძლე მკლავით,
ზინდოლდი და ჰუნოლდ — მათაც
ლიდი ჰქონდათ საზრუნავი —
წესს იცავდნენ მეფეთ კარზე,
ღრმა პატივის გამომსახველს.
ბევრი იყო კიდევ გმირი,
აქ ვერ ვიტყვი ყველას სახელს.

დანკვარტი იყო მარშალი,
დამაშვენარი სეფისა,
მისი ძმისწული ორტეინ
იყო მესუფრე მეფისა
რჩეული ზინდოლდ მწუდე იყო,
ჰუნოლდი — ხაზინადარი;
მზრუნველი მეფის კარისთვის
მათი არ სჩანდა სადარი.

კარის პატივი იმათგან,
მხნეობა მათი გმირული,
მათი მაღალი ღირსება,
კაცობა პირდაპირული,

რასაც ისინი იჩენდნენ
თავიანთ ღღეთა დენითა,
მთლად და ნამღვილად არ ითქმის
აწ ალარავის ენითა.



ერთხელ ძილში ნაზ კრიმპილდეს,
პატივდებულს ეგზომ დიდად,
ეზმანა, რომ ის შავარდენს
ლამაზსა და მკაცრსა ზრდიდა.
დაინაზა თავის თვალით:
მას ჰკორტნიდა ორბი ორი
არასოდეს მის გულს წყენა
არ უგრძენია მისი სწორი.

დედას უამბო კრიმპილდემ
სიზმარი ძილში ნახული,
მან მნიშვნელობა აუხსნა
ამგვარად გამოსახული:
„ეს შავარდენი შენი, სჩანს,
არის ჰაბუკი ჰებული.
დაილუპება, თუ ღვთისგან
არ იქმნა შეწყენარებული“.
„ჩემო დედაე, ეს ჰაბუკზე
რა ვისმინე შენგან თქმული?
მე არასდროს არ მსურს მივსცე
სატრფიალოდ რაინდს გული.
სიკვდილამდე მინდა დავრჩე
ლამაზი და ასე მშვიდი,
რათა კაცის სიყვარულით
არ ვიგემო წყენა დიდი“.

„ნუ უარპყოფ მას გადაჭრით“,
დედამ ასულს მისცა რჩევა,
„თუ არ გინდა სიხარულის
ქვეყანაზე შენთვის ღვევა.
ეს მოხდება, ოდეს არ გყავს
მამაკაცი გულის ტოლი.
მზნე რაინდი მოგცეს ღმერთმა,
შენც იქნები კარგი ცოლი“.

— „ამის გამო ნურას ვიტყვით,
საყვარელო ჩემო დედავ,
ზოგიერთის ჭალის ბედზე
აშკარად და ნათლად ვხედავ.
რომ საყვარულს ცხოვრებაში
ენაცვლება ტანჯვა ავი.
მსურს ორივეს განვერიდო,
ავაშორო ხიფათს თავი“.



კრიმპილდეს გულში საყვარულს
კვალი არ დაუჩენია.
ისე გავიდნენ იმისთვის
ბევრი ძვირფასი დღენია,
რომ საჭმროდ მოსაწონარის
მცნობი არ იყო სულისა,
ვიდრე არ გახდა მეუღლე
რაინდის ღირსეულისა.

ეს იყო ის შავარდენი,
რომელიც მან სიზმრად ნახა,
ხოლო სიზმარს დედა-მისმა
მნიშვნელობა მისცა გლაზა.
მის ნათესავთ მოკვლა მისი
დაუფასდათ სისხლის წყაროდ:
ერთის გამო გახდა ბევრი
სატირლად და სამწუხაროდ.



ზოლა ლომთათიძე

ღ ღ ი უ რ ი *

18 დეკემბერი, ხუთშაბათი.

ეჰ, მოგვედღე უნდა, ეს რა თქმა უნდა არაფერია, მე ისიც მიკვირს აქნამდე როგორ მოვალწიე. იყო დრო, როცა დარწმუნებული ვიყავ, მეოცდასამე გაზაფხულს ვერ შევხვდებოდი. ახლა კი მეოცდამეცხრემდეც მივხვდები. ეს არაფერია, „ეტო ჩეპუხა“, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვოდა ლეონტი კვაჭანტირაძე... მარა მე შეურაცხყოფას მაყენებს ამ მყრალი ოფლისგან სიკვდილი — არიან კლექიანები, კედებიან, მაგრამ რა წყნარად, რა სუფთად, რა ლამაზად. მე კი ამ ოფლში უნდა ვცურავდე... ოჰ, რა აუტანელი რამ ირის, რა სიბინძურეა, მეტის მეტია, ეს უსამართლობაა!..

იყო ცილია... რა თქმა უნდა ყველაფერი დაუფარე ჩემი ჯანმრთელობის შესახებ, რომ სუნი არ სცემოდა, საცვლები გამოვიცვალე... ფული, როგორც იქნა, მოვაგროვეო, მითხრა მან და ეხლა ჩქარა, 31 დეკემბერს გავწევ ბავშვთან გურიასიო.

მე ამდენ ხანს ვაძალებდი მას წასვლას წერილებით თუ სიტყვიერად, ვებრძოდი, მაგრამ როცა მან გადაწყვეტილი თქვა, მეწყინა — მემძიმა მისი მოშორება. სანამ ის იქ მივა და მერმე პეტერბურგში დაბრუნებას მოახერხებს, ვინ იცის, ჩვენ საით გადაგვისვრიან, რა მომივა კერძოდ მე... ბავშვის ნახვა კი ისე მინდა, ისე მენატრება ამ უბედური არსების დანახვა... რა მოელის ამ ობოლს?... მამა არ ჰყავს, დედაც ავთომყოფი, რომელიც შეიძლება ერთ ღამეს გათავდეს... რა ეშველება მას? რა დააშავა?... ჩემი დანაშაულის მსხვერპლია საცოდავი, უმწეო ბავშვი... ეჰ, ერთი მანახა მაინც.

დღეს მივიღე ბუბლიჩები, ფორთოხლები, ვაშლები და საცვლები ცილიასგან. ვცდილობ დიდხანს არ დავწვე, მეშინია ოფლის, მაგრამ მცივა, მინებზე, შიგნით თითო გოჯი ყინვაა, კამერაში ისეთივე სი-

*) იხ. „მნათობი“ № 7—8.

ცივეა ახლა, როგორც იქნება სოხუმში მინდვრად. ვაეკაროდან კიდევ არავითარი წერილი არ არის. კარგი ამბები არ არის იქ. ეს ტბადია, თორემ ასე როგორ დაურუვდებოდენ ეს წვერ-ძაღვები... უფლებფუნჯური კვირის ვადა გვაქვს განჩინების გასასაჩივრებლად, მერმე ~~კვამლიძე~~ ~~მეჩხედუძე~~

მივიღე მ-სგან ღია ბარათი — დახატულია მოსკოვის ბარიკადები. მწერს, „გამაგრდით, თქვენცენ არის ისტორია... сознание исполненного долга“. ჩვენცენ არის კიდევ გამარჯვების ღმერთი, ჩემო მეგობარო მ...

ვისაც ქრისტიანობის გავრცელების ეშინოდა, იმისთვის ქრისტეს დასჯა იურიდიული დანაშაული კი არა, ვეებერთელა პოლიტიკური შეცდომა იყო. ამ უდავო ქეშმარიტების გამხელა საშიში არ არის ჩვენთვის, ვინაიდან იმათ, ვინც ასეთ შეცდომას ჩადის, ამაში ვერ დაარწმუნებ. და ამიტომ გავიმარჯვებთ ჩვენ.

პროკურორის გაუგზავნე ცარიელი კონვერტი, წარწერით: „სახსოვრად“. დღეს კიდევ დამიბრუნა უკან ჩემი წერილი ბროდსკის მიმართ ნიენი ნოვგოროდის სატუსალოში — ტუსალებს შორის მიწერ მოწერა აკრძალულია. ბროდსკისგან კი გადმომცა წერილი ამავე პროკურორმა, ხან აკრძალულია, ხან არა. ეს არის ვწვები კიდევ, თორმეტი საათია, დღეს დოქტორის შესახებ არავის შეუწყუხებია — ალბათ ამასაც წაიყრუებენ.

14 დეკემბერი, პარასკევი.

მტერმაც ნუ გამოსცადოს წუხანდელისთანა ღამე. ვცურავდი მყრალ წყალში, ვიხჩვებოდი. მიმეღულეობდა თუ არა თვალი, როგორც კოკიდან ისე ასხამდა ტანიდან ოფლი და იმ წუთსავე ყინულივით ცივდებოდა. გავიღვიძებდი, ოფლი მეთხოვოდა. გადავწყვიტე, აღარ დამეძინა, იემდგარიყავ, მაგრამ პატარა ხანს შემდეგ ისევ იძულებული ვავბდი დავწოლილიყავ, მომერია ძილი. და ისევ ოფლი, ისევ წამება. ხან კი გიჟური სიზმრები პარიზის ბარიკადებზე ვიდექი გათენებამდე, ნაპოლენ მესამე უთითებდა მსახურებს ხელს ჩემზე და იძლეოდა ბრძანებას. იმას ესროლეთ, მოჰკალით ის და ყველაფერი გათავდებავო. მიმიხნებდენ, მესროდენ, დამაცილებდენ, მე კი ვიდექი მაღალ ბარიკადაზე და არ ვინძრეოდი. გამომეღვიძებოდა — ოფლში, მყრალ ოფლში ვცურავდი... თუ ასე გაგრძელდა ეს...

დღეს შემოვიდა ექიმი, ეს ხარი და გამიცინა, თითქოს არაფერი არ იცის. გამაბღვეინა ტანზე და გამსინჯა.

— ფილტვები ქვესავით მაგარი გაქვთ, მითხრა მან, გული... გულს არაფერი ტკივა... ნერვებია მხოლოდ... აი ბრომს გამოგიგზავნით და დღეში ორ-ორი კოვზი მიიღეთ.

— ბრომს ვერ მივიღებ — გული მაქვს სუსტი. ეშმაკურად ვუთხარი მე.

— ოჰ, ეს არაფერი, ეს ძალიან ცოტა დოზია... ის კი დაავიწყდა ერთი წუთის წინეთ რომ მითხრა არაფერი არ გტკივაო.

— ეჭიშო, ოფლი მომაშორეთ რამე-ნაირად, მეტი არაფერი მინდა.

— ოფლი კარგია, ოფლს განგებ იწვევენ სნეულეზი, მითხრა მან და გაიცინა.

— თქვენ ეჭიში ხართ, თუ ყასაბი? დავეკითხე მე და ურთიან აკვან-კალდი... იმან საჭიროდ დაინახა საჩქაროდ გასულიყო გარეთ... კატორჯ-ნიკი — ალბათ იფიჭრა მან — არც კი დაერიდება ბევრს ადამიანს!... ერთი ორი სილა შერჩება კიდევც!..

წავიდა. მე კი აბანოში წავედი. იქ გადმომცეს ქართული ყურნალები, ძველი, მარა ჩემთვის ახალი იყო — ქუთათური „ციცქარი“ და „ახალი ჭვეყანა“.

ცილიასაგან დღეს არავითარი წერილი არ არის. რა მეშველება, როცა ის წავა, ასე მგონია იმის მეტი ადამიანი აღარ არის ჭვეყანაზე, რომელსაც მე ვაინტერესებ.

ქალების განყოფილებიდან მივიღე წერილი. ო ლ ლ ა კ ა ლ ი ნ ს კ ა ი ა (კურსისტკა) გაგიყებულა და ფსიხიატრულ საავთმყოფოში გაუგზავნიათ. ჩვენების ჩამორთმევის დროს დაუბნევიათ საცოდავი (უნახეს ოთახში ს. რ-ბის სტამბა), რის გამო ერთი ვიღაც დაუტყერიათ. ამას ისეთი გავლენა მოუხთენია მაზე, რომ დათხოვია ჭამას, კითხვას, სეირნობას. ამხანაგები, რა თქმა უნდა ამხნევებდენ, არავინ არ ეკვიანობდა არც მასთან, არც უიმისოდ, ყველამ იცოდა, რომ გამოუცდელივით დაემართა. მეც ამას წინეთ მიეწერე ამის შესახებ წერილი და პირდაპირ გამოვთქვი ჩემი აზრი, რომ ის ოდნავადაც არ დაცემულა ჩემ თვალში, რომ ამას არავითარი ყურადღება არ უნდა მიაქციოს და სხ... და ბოლოს ისე შეუპყრია სინიღისის ტანჯვას, რომ აშკარად გაგიყებულა. საქმელი უარყო და ბოლოს ი მი ი ტ ო მ, რომ ამხანაგები საწამლავს ჩამიყრიდენო. ყველას გაურბოდა თურმე (აქაური ციხის საავთმყოფოში იწვა, ყელის ჭლეტი აქვს). დედას მისწერა თურმე წერილი — ამხანაგებმა სიკვდილი მომისაჯეს და ხვალ მომკლავენ, მაგრამ იცოდე, რომ მე ჯაშუში არ ვარ, პარტიისათვის არ მიღალატნიაო და სხ... ძალიან ამიშალა ნერვები ამ ცნობამ. მაინც ქალების განყოფილებაში ნერვებ-სუსტი ადამიანისთვის ძნელია. ყოველნაირ სისულელეზე აცხადებენ ობსტრუქციას და ყვირილით აწუხებენ ყველაფერს. ამ ერთი კვირის წინეთ სრული ორი დღე და ღამე ყვიროდენ (ფაქტია, ორი დღე ღამე). სცემდენ კარებზე, სკამებზე, გაიყვენ რიგებათ, როცა ერთი რიგი დაიღლებოდა, მეორე დაიწყებდა. ეს იმიტომ რომ ერთმა ქალიშვილმა „პომოშნიკს“ შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამო ის სამი დღით კარცერში დაამწყვდიეს, რომელიც ბოლომდე გაატარა კიდევ, ობსტრუქციის პასუხად კი ქალების განყოფილებაში გამოაცხადეს სამხედრო წესები და, რა თქმა უნდა, დაწყნარდენ. ამას კიდევ აქვს საბუთი. ამას წინეთ კი მ ო რ ო ზ ო ვ ი ს ქ ა ლ მ ა შემოკრა ებაში „ნაღზირატელნიცას“. ისიც მიამბანეს კარცერში, ატყდა ობსტრუქ-

ცია, რომელსაც მხარი დაუჭირეს მამაკაცებმაც, რის შედეგითაც იყო 15 დღით საომარ წესების შემოღება ჩვენ განყოფილებაში — ერთი ამხანაგი დასკრეს კიდევ სალდათებმა ფანჯარასთან მისვლისთვის. ჩვენს კლასშიც იყო კი, რა თქმა უნდა, შეწყდა.

დღეს ვკითხულობ ბაირონის ტრაგედიებს, თუ არ ვიცი რა დავარქვა.

რვა საათია. რა მეშინია, როცა ძილი მომეპარება... ცილიას დღესაც მივწერე — კარგად ვარ, მშვენიერად მეძინა, მადაც კარგი მქონდა და სხვადასხვა მეთქი. ისედაც მატყობს, რომ კარგათ არ ვარ, მე კიდევ რათ შევეაწუხებ...

მესამე დღეა სასეირნოდ არ გავსულვარ.

15 დეკემბერი, შაბათი.

დღეს დილას გადმომცეს მ-ს წერილი, თუმცა თარიღი არ აქვს, მაგრამ ეტყობა ჩვენი საქმის გათავებამდეა გამოგზავნილი და ვზაში (კანცელარიაში) დაბნეული.

როცა ავღეჭი თავი დამიბრუვდა და იძულებული გავხდი ისევ ჩამოვმჯდარიყავ, — ვატყობ, რამდენიმე დღე კიდევ და ლოგინს ველარ მოვშორდები.

თორმეტ საათზე მნახა ცილიამ, პარასკევს, 21-ს მიემგზავრება გურიაში, ბავშვთან. ვინ იცის რა დაემართება, შეიძლება დაატუსალონ — იქ ხომ არც კანონი არსებობს (ეს არსად არ არსებობს რუსეთში) და არც მისი ნასახი. იქ არსებობს ტოლმანოვი. ეჰ, როდის, ან სად ვნახავ მერმე ცილიას? ვინ იცის საით გადამიძახებს ან მთაერობა, ან ჩემი ჯანმრთელობა. შემომპარა დღევანდელი „ტოვარიში“ და წერილი, სასეირნოდ არ წავსულვარ არც დღეს. სხომინდელზე უფრო მეტათ მახველებს დღეს.

12 საათი... ძილი მინდა და დაწოლას ვერ ვბედავ, ოფლი... აი წუნკალი ოფლი!..

16 დეკემბერი, კვირა.

გადმომცეს ცილიას წერილი — მიჯავრდება, ვატყობ ავად ხარ, ეს კი არ შეიძლება, როგორც შენ დაწვები, მე წელი მომწყდება, გული გამიძყდება, განწირულება შემიპყრობსო.

მე კი ისევ ისე ვარ. ხუთ დღეში ცილია წავა და შემდეგ ვნახავ, რას პქვია მარტობა. აქნამდე კვირაში ორ-სამ ჯერ კიდევ ვნახულობდი მახლობელ ადამიანს, ვერთობოდი, ვმშვიდდებოდი, სულით ვისვენებდი. აწი კი სანამდი.

Один я. Ни друга, ни брата,
Ни сестры мне близкого нет...

თითქოს მარტო ახლა, ეს მგონი მთელ ჩემი სიცოცხლის ცხრა მეათედში ასე იყო.

სასეირნოდ არც დღეს გავსულვარ. სიცივე — 23 გრადუსი უდრის. გაუძელი ჩემო ფილტვებო, თუ ვარგინარ... ნეტავი რა უფროსი ვიქნებიოგის მეფურნეებს“, აღბათ ახლა გათავებული უნდა იყოს საჭმე.

დღეს ლოგინში წავიკითხე შემდეგი პიესები: პ შ ი ბ ი შ ე ე ს კ ი ს — Вечная сказка, პ ო ლ გ ე ი ზ ე ს — Мария из Магдалина, კ ა მ ი ლ ლ ე მ უ ნ ი ე ს — Мертвец, руки да Глаза, которые видели, ყველა კარგია, მაგრამ ეს უკანასკნელი (Глаза, кот.) მარგალიტია, შ ნ ი ც ლ ე რ ი ს — Зеленый попугай სისულელეა უდიდებულესი, ბ ი ე რ ნ ს ტ ე რ ნ ე ბ ი ე რ ნ ს ტ რ ი ს — Свыше наших сил, პირველი და მეორე ნაწილი, გვარიანია. საზოგადოთ ეს კარგი გამოცემებია, ეგრეთწოდებული „Универсальная библиотека“-ს გამოცემანი, პატარა წიგნაკებად, კითხულობ მსუბუქად, ენა კარგია და სხ. ამავე გამოცემის წიგნაკები წავიკითხე ამას წინეთ — პ შ ი ბ ი შ ე ე ს კ ი ს — Снег, ნიჭიერად დაწერილი სისულელე, პ ა უ ბ ტ მ ა ნ ი ს — Эльга, შ ნ ი ც ლ ე რ ი ს — Сказка, მისივე — Смерть, მისივე — Сумрачные думы, ფ ი ბ ი ხ ი ს — Бабья деревня. თითოეული წიგნაკი ღირს ორი შაური.

17 დეკემბერი, ორშაბათი.

დღეს ცილიამ გამომიგზავნა ყველა საკატორღო მორთულობა, თუ დამანებეს ტარება. ზეალ ვნახავ ცილიას, ზუთშაბათს კიდევ, პარასკევს დილას კი ცილია გასწევს.

ჯანმრთელობა ჩვეულებრივია. არც დღეს მისეირნია. როცა მე თუთუნის არ მინდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მშიშე ავად ვარ. ახლა კი, მგონი, ორი კვირა იქნება, რაც ერთი პაპიროზიც არ მომიწევია. ცილიას კი, რომ დავუმტკიცო, თუ როგორ ვუფრთხილდები თავს, მიეწერე — თუთუნის ვეთხოვი, დღითი დღე ვუკელი პაპიროსების რიცხვს და ახლა დღეში სამიოდე პაპიროზს თუ მოვწევ, იმასაც მალე დავანებებ თავს მეთქი. ცილია სიხარულით, როგორც ამბობენ, ცას წვდება, მილოცავს, მაქებს. უხარია — თუთუნის გკლავდა შენ, სხვა არაფრით არ იყავი ავადო, მითხრა. ახლა კი მე მგონია, თუთუნის შეძქლება არის პირველი ნიშანი იმისა, რომ „აქ ცუდი ნიშნები ჩანს, აღარ უნდა ძიება“.

დღეს, დაწოლილს, წამომეპარა ერთი კითხვა: რამდენ კაცს დასწევას გულს ჩემი სიკვდილი ჩემს „ამხანაგებში“ მეთქი. ერთ ხანს არ მინდოდა ამაზე ფიქრი, მაგრამ დაბოლოს შემიპყრო. მივედი იმ დასკვნამდე, რომ მთელ საქართველოში, ჩემ პარტიულ ამხანაგებში დასწევას გულს ჩემი სიკვდილი 3-ს თუ 4 კაცს, დიდი გაჭირვებით გამოვნახე ეს რიცხვი და ესეც იმდენად საეჭვოა ჩემთვის, რომ იმათ არ ვიხსენიებ აქ, რომ ვინმემ, თუ ეს დღიური ოდესმე ხელში ჩაუვარდა, არ გადაიხარხაროს.

— რატო არის რომ მე ამხანაგები არ მყავს? როცა დაეფიქრდი ამ კითხვაზე, გამოდგა შემდეგი. იმიტომ, რომ ანაგებ ჩვენში არ არის არ ჰყავს ამხანაგები. ამ გაქუცული ინტრიგანების ბრბოს არ შეუძლია ამხანაგობა. ამ შურიტა და სიბინძურით გაელენთილ სხეულებს ვერ შეუძლიათ ამ გრძნობის სისპეტაკემდე ამალღება. ეს მე ყოველთვის ვსურვი და ვაძლავლობოვებით; მაგრამ საესებით დავრწუნდი, როცა ჩემი კანდიდატურა წამოაყენეს სახელმწიფო დუმაში. მე რა თქმა უნდა არ შევეჯიბრებოვარ არც კაკის, არც კარლო ჩხეიძეს, არც გრიშა ლორთქიფანიძეს, არც ნოე რამიშვილს, მახარაძეს, რომელიც მებრძოდა მე (ვამბობ არა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ იმიტომ რომ იმას მიპირდაპირებდენ მე), მე უშოვე ცენზი გურიაში, მე რომ შურიანი კაცი ვყოფილიყავი იმისთვის იმდენს არ ვიზრუნებდი, იმდენ რისკს (დიახ, რისკს, ეს იციან!) არ გავწევდი. მე შემძლია ვთქვა, რომ მე ერთი დღე დამეგვიანებია „შემთხვევით“ ის დაკარგავდა კანონიერ ვადას, ვეჭილობის შესადგენად. ამნაირად, გურიიდან გავედით „ვიბორჩიკებათ“ მე და მახარაძე, მე მივიღე ერთი შავი, მან ორი. ქუთაისის გუბერნიაში ამნაირად, პარტიის დასახელებულ კანდიდატებიდან გავიდენ: კაკი წერეთელი, გრიშა ლორთქიფანიძე, გერასიმე მახარაძე, მე, გავიდა კიდევ ბუდუ მდივანი, მაგრამ მისი „ბალშევიკობის“ გამო იმაზე არც კი დასმულა ლაპარაკი.

კავკასიის საოლქო კომიტეტმა ქუთაისისთვის დაასახელა შემდეგი კანდიდატები: კაკი, გერასიმე მ-ძე, გრ. ლორ-ძე, მე. თუ რომელიმეს იმ სამში მთავრობა წაართმევდა უფლებას, იმის ალაგს ვიჭერდი მე. ძალიან გამაბრაზა საოლქო კ-ტის დადგენილებამ, მ-ძეს რომ გრიშაზე მისცეს უპირატესობა. ეს იყო ცხადი გაქელვა ყოველივე სამართლიანობის გრძნობის. აქედან მე ჩემ შესახებაც იმ დასკვნამდე მივედი და დღესაც ასე ვფიქრობ, რომ მე და მახარაძეს შორის არავითარი გამსხვავება არ არის, ორივე ერთნაირათ არ ვვარგვართ. აქ კი არა თუ მც, არამედ გრიშაზე წინაც დააყენეს ის, რა თქმა უნდა უსამართლოდ.

ეს დადგენილება უნდა გაერჩია ქუთაისის გუბერნიის ორგანიზაციების კონფერენციას და საბოლოო განაჩენი გამოეტანა. დელეგატებში ყრუ მუშაობა, ფურჩული ატყდა, მეც დელეგატი ვიყავი, მაგრამ მერიდებოდენ. დანიშნეს კ-ცია საჭილაოში. მე წავედი ხონიდან და რამდენიმე კიდევ. ღამე გავათიე ხონში, დილას ადრე მივიღე, სულ ერთია მეთქი, იქიდანაც მოდიოდენ ადგილობრივი დელეგატები. დილას, როცა საჭილას მიუახლოვდით, კონფერენცია გადაეტანათ გურიაში (ს-ში კაზაკები ჩაეყენებიათ). გვეწიეთ სამტრედიაში, ვერ მიუხსნარით მატარებელს, საჯახებოში პარომამდე წავედით ეტლით, მერმე ფეხით, ვუცადეთ საქონლის მატარებელს, ჩვენ ჯინაზე სალამოს ოთხ საათამდე არც ის გამოჩნდა. ნიკოთში მივედით სალამოს, ბევრი გურული დელეგატი სამტრედიაში და „მნათობი“ № 10.

რჩენილი, ჩვენ შემდეგ საღამოს მატარებლით მოვიდნენ, როცა კენჭის ყრა გათავებულყო. ჩვენ გავვაჯენეს კენჭის ყრის შედეგი — ექვამ მიიღო 45 ხმა (ყველა), გრიშამ 45 (ყველა) — ეს ძალიან კარგი — მახარაძემ 23 თეთრი, 22 შავი, მე 22 თეთრი, 23 შავი, ერთი სტრუქტურის ხმით მეტი, კარგად არ მახსოვს რამდენი იღებდა მონაწილეობას. რა თქმა უნდა — ეს ყველამ იცოდა — ჩვენმა დაგვიანებამ ჩემი გაშავება გამოიწვია, მაგრამ ეს არაფერი.

ერთხმით დადგენილი იყო, რომ თუ გრიშას ამოშლიდნენ — ეს იკვი იყო — მე ვიყავი მესამე ატცილებელი კანდიდატი. უკვე დაღამებული იყო როცა რამდენიმე ამხანაგთან ერთად წავვედი დასაძინებლად. იქ ბევრი სასაცილო ამბები გავიგე, ისინი, რომლებიც ჩემთან ერთად სწავლობდნენ სკოლაში, რა თქმა უნდა უმეტესი ნაწილი, მომდგა თურმე და მიწასთან გამასწორა, იმ დროინდელი ამბები გაიხსენა თურმე, როცა ერთად ვსწავლობდით ჩემ დასახასიათებლად რვა, ცხრა წლის შემდეგ. ყველაზე მეტად ყვიროდა გამსახურდია, მისთანები ბევრნი გამოჩნდნენ. მოსენიძე, რომელიც შავრაზმულ ჭადაგებას ეწვეოდა ერთ დროს ხიდისთავში და რომელსაც ვებრძოდი მე, ის სულ გაცოფებული იყო და სხ. და სხ.

გამტკრებული შემხვედნენ გურული დელეგატი გლეხები — კაცო, მეასედი თუა მართალი, რაც თქვეს შენზე, მიკვირს მიწამ რაფერ გზიდაო. რა თქმა უნდა, გაშავებამ იმ მოტივით, რომ მე არა-პარტიული და უზნეო კაცი ვარ, ძალიან მომწყვეტა წელი. ჩემი ჯანი და ღონე, ჩემი დედ-მამა, ნათესაეები, ჩემი პირადი გრძნობები, ყველაფერი მე უარყვავი (აბა დამიმტკიცონ, რომ აგრე არ არის ეს!), მე არც ერთხელ გულში არ დამბადებია ან დამადლება, ან ამპარტავენება, მე პარტია მიყვარს იმიტომ რომ არ შემიძლია არ მიყვარდეს, მე მას ვეკუთვნი, ერთი პირადული მომინახონ, აბა, ჩემ პარტიულ ცხოვრებაში, ერთი ნაბიჯი დაასახელონ ისეთი, რომელიც პირად სურვილებისთვის ყოფილიყოს გადადგმული, პარტიის საზარალოდ ჯამაგირში დადგომა და ამით საქმის შეკვეცა, ალაგის ძებნა და იმიტომ პარტიული მუშაობის დატოვება ერთ ალაგას და მეორე ალაგას გადასვლა. უკანასკნელ ორ წელს, მე, ჩემი ცოლი და ბავშვი, ვცხოვრობდით თვეში ოცდაათი მანეთით, რომელსაც პარტია გვაძლევდა, სამაგიეროდ, მე ვეკუთვნოდი პარტიას საფასვრით, ახლაც ვეკუთვნი, მუდამ მისი ვიქნები. აი ვკვდები მე ახლა, ქალი ავადმყოფი მყავს, თუ არ მოკვდები, კატორღაში მივდივარ ხომ მაინც, რა რჩება ჩემ ცოლშივლს, ვინ დაარჩენს, ვინ შეინახავს... პირველად ჩემ სიკოცხლეში იმ ღამეს ვიგრძენი უმადურობის სიმწვავე და დილას დიდხანს ვერ ავდგეტი, ერთიან დავარდნილი ვიყავი, როგორც ამბობენ. რა თქმა უნდა, ეს მიაწერეს ჩემ შურიანობას. დილასვე ქუთაისიდან ჩამოსულიყო ერთი ამხანაგი, რომელსაც მოეტანა ამბავი (ფაქტი) გენერალ გუბერნატორმა

გ რ. ლ—ძეს წაართვა საარჩევნო უფლება, რადგანაც სამართალში არის მიცემული და პროკურორი დაეძებსო. ცხადია, მე ვიყავი აუცილებელი კანდიდატი. მაგრამ მე ამის შესახებ არაერთი ცნობა არ მქონდა. მეორე დღეს კი იყო არჩევნები. დაღამდა. ღამე ისევ უწყობილოდ მიმდინარეობდა. გათენდა. დილის ათ საათზე, როცა ქუთაისის მატარებელი უკვე წასული იყო, უცებ გადმომცეს ტელეგრამა — საჩქაროდ ამოდი, კენჭი უნდა იყაროვო. მივხვდი, რაში იყო საქმე. გადავწყვიტე არ წავსულიყავი, არც ტელეგრამა გამეგზავნა, მაგრამ შემდეგ არ ვიცი, რათ უცებ მივწერე ტელეგრამა — დამიდგით ყუთი მეთქი. ის ტელეგრამა, რომელიც მე მივიღე ჩემთვის გამოგზავნა სამსონ მურვანიძეს, გურულ „ვიბორჩიკს“. არ ანებებდნენ თურმე, მან იცის, ხვალ დილას ამოვაო, მაგრამ მას გაეგო, რომ ხრიკი ეწყობოდა და შუა-ღამეზე ტელეგრამა გამოგზავნა. ქუთაისში ჩემს ოპოზიციას თვით ამრჩევლებში დაეწყო მუშაობა, ყველაფერი სისაძაგლე მომხაზვიეს თურმე თავზე და მეორე დღეს, საღამოს, რაჭველი ამრჩევლები დიდი ცნობის მოყვარეობით მათვალისწინებდნენ და სიცილით მეუბნებოდნენ — კაცო, მართლა ისეთი ხომ არ ხარო.

იმ დღეს დაიბადა ქუთაისში ბინძური ხმა ჩემ შესახებ, თითქოს მე საროსკიპოში ვყოფილიყო მოსამსახურედ, „ვიზიბალით“, ახლაც არ ვიცი, რა არის ეს. ვინ დამარწმუნებს მე, რომ ეს ხმა ჩემ პარტიულ „ამხანაგებისგან“ არ გამოვიდა პირველად. ამ ხმამ მე ამასწრო პეტერბურგში და ამან მომწყვიტა წელი კიდევ — მცოდნოდა, ასე იმოქმედებდა ჩემზე ეს ყოველად ცრუ, ყოველად უაზრო ხმა, არ წავიდოდი, რა თქმა უნდა, რუსეთში.

უფ!.. გამიჭირდა წერა, ხვალამდი.

18 დეკემბერი, სამშაბათი.

მართლა, როცა არჩევნები იწყებოდა, მოსენ ნინიძემ ქუთაისიდან მოსწერა თავის ძმას ასკანაში, ქუთაისის კომიტეტმა დაადგინა, რომ მე, მოსენ ნინიძე, ამირჩიონ ამრჩევლად გურიაში, გადაეცი ეს დადგენილება „მაქაურ ძირითად ორგანიზაციას“, უთხარი ს. თ — ძეს, რომ აგრე მოიქცენ აუცილებლად, ვინაიდან ეს არა ჩემი, არამედ „პარტიის“ სურვილიაო. შემდეგ წერილში ეწერა ოჯახური ამბები, მიზეზი, თუ რათ დაავიანა პლაში ეყიდა და სხვა. ეს წერილი გადასცა მოსეს ძმამ ს. თ — ძეს, ამ უკანასკნელმა კი მე გადმომცა. ჯერ გავკვირდი, რომ ქ — სის კომიტეტი ასეთ დადგენილების სისრულეში მოყვანას აპირებს მოსეს საშუალებით, მერმე მოსე სწერს არა გურიის კ — ტს, არამედ თავის ძმას, ს. თ — ძის გადასაცემათ. იმ წუთშივე შევეცითებ ქ. კ — ტს: მართლა დაადგინეთ ეს თუ არა მეთქი. არაფერი მაგეთი არ ვიციო ჩვენო, მივიღე პასუხი. ეს წერილი, სხვათა შორის, საკმაოა, რომ მოსეს მუცლის

ტკივილი გაიგოს კაცმა და ამასთან ისიც, თუ რა გზით უკეთეს ამ ყმაწვილს სიარული... და აი ასეთები ამიყაყანდნენ და ამათ წრიდან გამოვიდა — მწამს — პირველად ის ბინძური ხმა, თითქოს მე პროსტრატელებს სახლში ვყოფილიყო სუტენერად...

ავედი პეტერბურგში. და როცა აქ ერთმა ანონიმურმა წერილმა დამანახა, რომ ჩემ შესახებ ეს ხმა მთელმა დღემაც იცოდა, იმ წუთსაცვე დავოწმუნდი, რომ მე ველარ გავიშართებოდი, რომ ჩემი კარიერა გათავებული იყო. და პირველად ავედი თუ არა ტრიბუნაზე, გადავიხედე თუ არა იქიდან და დავინახე დაკვირვებული, მოლიმარე თვალები, მომართული ჩემკენ, ყველაფერი გადამაგიწყდა; უცებ გამიბრინა გულში, რა იქნება, რომ ვინმემ წამომძახოს ახლა ეს მეთქი და მე თვითონ არ მახსოვს, რა წამოვროშე. შემდეგ რამდენი ქალი შემხედავდა, ან კაცი, ყველა ამაზე ფიქრობდა მეგონა და თან ვიცოდი, რომ ამ სიტუაცისთან ბრძოლა ჩემთვის შეუძლებელი იყო. საჯაროდ არავინ მეტყოდა და ისე ებრძოლე უხილავს, ასთავიან პიდრას.

აი ასეთი ჯორი დაიბადა ჩემს პარტიულ ამხანაგებში. რატომ მემტერებიან, არ ვიცი. მართალია, მე ვიცი ხშირად მწვავე სიტყვების ხმარა, მაგრამ სიშორით არაოდეს ეს არ მომდის, არც შერთ. არც დიდხანს დამამახსოვნდება ვინმეს მიერ მოყენებული შეურაცხყოფა, და ჩემი მხრით, მე მოსენინიძესაც კი სამართლიანად ვექცევი, პარტიაში საჭირო და გამოსადეგი კაცია ის. შრომის მოყვარე და მუყაითი. მე ისეთების რიცხვს არ ვეკუთვნი, რომლებიც პირადი ინტერესების გამო სხვის ღირსებას ამცირებენ. რამდენია ჩვენ წრეში, რომ შეეძლოს, ნოე რამიშვილს ამდენხანს პარტიიდან გამორიცხავდა, ეს იმიტომ, რომ იმან არ იცის მოფერება და მიდგომ-მოდგომა, მოუხეშავი კაცია, გულქვა.

რაც მომივიდა მე არჩევნების დროს, იგივე დაემართებოდა თითოეულ ჩემს ოპონენტთაგანს, რომ ვინიცობაა ჩემს ალაგზე დარჩენილიყო. ეს იმიტომ, რომ ინტრიგანების ბრბოა ეგრეთწოდებული პარტიული ამხანაგები და არა სხვა რაიმე. ამხანაგები ისე მყავს მე, მათ ერთ გახსენებაზე ვისვენებ სულით, ისინი მართლა ამხანაგებია, მე ვუყვარვარ და არავითარი ჭეენა აზრი ამ სიყვარულში არ ურევია.

დღეს ენაზე ძელივით სქელი სიტყვ მაწევს, არავითარი გემო არ არის, ვერ ვისადილე, ვერც ჩაი დავლიე.

ცილიამ მნახა. შემომხედა თუ არა, გაფითრდა და თითქმის ყვირილით მომაშურა — რავა მომკედარხარ, რას გაეხარო! და თვალისგან წაქსდა ცრემლები. ისე ავშფოთდი, რომ მინდოდა მიმეტოცებია, კამერაში წავსულიყავი... შეიმაგრა თავი. მე დავამშვიდე — ნამძინარევი ვარ, დღისით რომ დამეძინება, განა არ იცი ასე ცუდი სახე ამყვება მეთქი. ცდილობს ეჭიმი მომიყვანოს ქალაქიდან, თუ ნებართვა აიღო, მაგრამ, ვინ იცის, აქ ხომ ტუსადის მორჩენა არ უნდათ.

შაბათს ღამით მიღის ცილუსია შინ. შემომპარა ვაჭარი და წერილი, სასაცილო წერილი-დღიური, აი მისი ნაწყვეტები: „შაბათი. ოპ, როგორ მიყვარხარ ჩემო ბედნიერება, როგორ გიყვარებ მინდა, ეკონოშენი თვალეზი... დღეს მაინც განსაკუთრებით მიყვარხარ... კადავეცემ ქსენიას იმ ორ, შენ მიერ უკან დაბრუნებულ წიგნაკებს, იმათზე შენი სახელია შენი ხელით დაწერილი, ოპ, რამდენჯერ ვაკოცე იმას და მერმე შევინახე — დავმალე... გესმის? ან გძინავს ეგების ახლა, ღამის ორი საათია, იძინე გენაცვალე, სიცოცხლე, ღვთაებავ, იძინე...“

ორ შაბათი. რა გითხრა იმაზე მეტი, რომ მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ. რა მეშველება როცა წავალ“...

და ასე ვეებერთელა ჭალადი საესეა მხოლოდ ასეთი სიტყვებით, არც ერთი ახალი ამბავი, არაფერი!..

... Увы, утешится жена!

სალტიკოვი (მეორე დუმის ს.-დ. ფ-ციის წევრი) დაუჭერიით გუშინ თუ გუშინწინ პეტერბურგში და ახლა „კრესტში“ განისვენებს. რა ოხრობა უნდოდა ამ ოხერს პეტერბურგში. წინდაწინვე შემიძლია მიფულაო, თუ რვა წელი არა, ხუთი წლის კატორღა მაინც აუცილებლად ამნაირად, ჩვენ ვარდა, მთავრობის ხელშია კიდევ „გასასამართლებელი“ ორი — სალტიკოვი და ჯიდელიოვი (ესეც „კრესტში“ ზის).

19 დეკემბერი, ოთხშაბათი.

ყოველ სიკეთეს თავის ტკივილიც დავმატა. ვიყავი სასეირნოდ, მაგრამ კინალამ გავიყინე სიცივით. ვლებულობ ქინაქინას დღეში ორჯერ. ცილიამ გამომიგზავნა, ჯერ არაფერი ნიშნები ჩანს. მივიღე ცილიას წერილი ორშაბათიდან — ღია ბარათით, რომლებზედაც დაბატულია იარო შენკოს ცნობილი სურათი — „Всюду жизнь“.

20 დეკემბერი, ხუთშაბათი.

იყო ცილია. არ მიღის სანამ საავადმყოფოში არ დამაწვევენ. ხვალ გამსინჯავს ეილაც მედიცინის დოქტორი, ნებართვა უკვე აღებულია. ასე ჰგონიათ ფილტვების „დაბაჩინება“ შესაძლებელია. ბევრი ვეჩხუბე ცილიას, გასწი, ნუ გადადებ მეთქი, მაგრამ ატირდა და თავი დავანებე...

მე კი მივდივარ სულ უკან და უკან. წუხელის თავი საშინლად მტკივოდა, მაგრამ ოფლი რომ ამეცილებია, გადავწყვიტე გათენებამდე მეკითხა. დაწექი, ვინაიდან ვერც სიარული შევიძელ, ვერც დამჯდარი ყოფნა, ცხრის ნახევარზე. დავიწყე ამფიტეატროვის რომანი „Восьмидесятники“. მეორე ნაწილის — Крах души, კითხვა და დილის 5 საათამდე გადავიკითხე (ღმერთმა იცის როგორი იყო ეს კითხვა). შემდეგ დავისვენე, მიმძინებოდა და შენი მტერია, არა თუ მე, თვით ბალიში, ლები, საბანი, ყველაფერი გაქვითილი იყო ოფლით. რა მცივოდა და ვერ ვიძვროდი კი... აი, სიკვდილიც ასეთი მხედება, ისე ტკბილი, საამური, როგორც სიცოცხლე... ვაშა, ბედო! ვაშა!

მომივიდა ვაშლები, კამფეტები, ფორთოხლები ცილიასგან, ბლომად გეახელი, თუმცა ვიცი, რომ ამალამ ყველაფერი ერთიორად გადაამზდება.

21 დეკემბერი, პარასკევი.

მნახა ექიმმა, ვილაც „ზნამენიტოსტი“ უნდა იყოს ^{ერქენულსი} სატრუსელუს ექიმი ისე იდგა იმის წინაშე, როგორც უბრალო ჯარისკაცი გენერლის წინაშე გაჩერდება ხოლმე. დიდხანს გაგრძელდა ჩემი ვასინჯვა. რა თქმა უნდა, რომ ფილტვები ცოტათი შერყეულია და როგორც რიგი და წესია დაუმატა: ეს არაფერია, ამდენად თითქმის ყველას ტკივა ფილტვები, არაფერია!.. გამომიწერა წამლები, ერთი ტიაკოლია ვიცი, ეს ხომ ქლექიანებისთვის არის გამოგონილი. ცოტა ღვინის სმის ნებაც მომცა. საავადმყოფოში გადასვლა არ მიჩნია — აქ ჯობია ათასწილათო — წამოცდა, იქ დაგაგდებენ ტუბერკულოზიანების ბარაკში და... აღარ გაათავა.

კანტორის წინ, კარებთან, როცა ექიმთან მივეყვდი, იდგა ცილია, ფერმკრთალი. მივუახლოვდი თუ არა, გამაჩერეს, გაუღეს მას კარი, გაუშვეს გარედ, მოხურეს ისევ და მერმე მითხრეს ახლა წამოდიო. საშინლად მეწყინა.

— რომ ცოტათი მაინც მჯეროდეს თქვენში ადამიანის არსებობა, მაშინ გეტყოდით რამეს ამ საქციელზე, ახლა კი, როცა ვიცი რომ თქვენ „ტიურემშიკები“ ხართ მხოლოდ, რა უნდა ვითხრათ.

აფიცურმა ჩაიკენიტა ბაგე, მაგრამ არაფერი არ მითხრა.

სალამის მიცემა მოვასწარი მხოლოდ. საწყალი ცილია! რა მივე იმდენი მას, რომ ჩემი გულისთვის ამდენს ტანჯვა-დამცირებას იტანს.

ღღეს სეირნობაზე ვილაცამ ინატრა: ნეტავი ადამიანი უკვდავი იყოსო. მეორემ შენიშნა — სიცოცხლეს მხოლოდ იმიტომ აქვს ფასი, რომ სიკვდილი არსებობსო. უკვდავება რომც იყოს, მე არ მინდავო.

მ ა ხ რ ა ძ ე მ ხუმრობათ გადააქცია ეს — მადლობა ღმერთს, რომ მომაკვდავი ვართ, თორემ, ვინ იცის, უკვდავი რომ ეყოფილიყავით, სასამართლო ხუთი წლის კატორღის მავიერ, ხუთასი მილიონი წლის კატორღას მოგვისჯიდაო. ატყდა სიცილი. ამ ხუთასი მილიონი წლის კატორღამ ისე შეგვაშინა, რომ აღარავენ არ დარჩენილა უკვდავების მომხრე ჩვენში.

მართლა და რა იქნებოდა, სასამართლო წაიკითხავდა ასეთ განჩინებას: Признав смягчающие вину обстоятельства, сослать в каторжные работы на 500 мил. лет.

ბევრი ვიცინეთ ამ სისულელეზე.

... იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, რომელიც მუდამ უკვდავებაზე ოცნებობდა. შეუსრულდა თუ არა მას ოცდარვა წელი, ეს კაცი მოკვდა. არავის არ გაუგია მისი სიკვდილი და არც ის, რომ ის, მომაკვდავი, მუდამ უკვდავებას ეპოტიალებოდა და რამდენად მალა ასწავდა თავს, იმდენად მიწისკენ ეზიდებოდენ მას მიწიერნი. მოკვდა ის, არავი-

თარი ნიშანი, რომ ის უკვდავებას ეძებდა, არ დარჩა. ეს ნიშნები/ჩაყლაპეს ნათესავეებმა, რომელთაც შიოდათ, საზოგადოებამ, რომელსაც ასეთი აცუბის ჭამა უყვარს და სხვ. და სხვ. იგი ჭე იყო ტირილი და ჩვეულებრივად ვიყავით ლზინში...

ქინამ ერთიან გამაბრუა.

22 დეკემბერი, შაბათი.

დღეს მნახა ცილიამ. ისევ ცრემლები. დამინახა თუ არა, იმის თვალებიდან ცრემლებმა შადრევანივით იჩქეფა... ეჭიმს უთქვამს მისთვის „მარცხენა ფილტვის ვერხუშკები“ სტკივაო. აქნამდე თურმე ეჭვადაც არ მოსდიოდა ცილიას ჩემი ფილტვებით ავადმყოფობა. საცოდავი, რა მწარედ ტიროდა. მე დაუწყე დარიგება — ტირილი არ ვარგა, ცილია, სნეულს გული გაუტყდება მეთქი. და სიცილით დაუწყე რალაც ამბავი. დღეს კიდევ საცვლები გამომიგზავნა — აღარ ეტევა ჩემ გალიაში ქონება. გამომიგზავნა შემწვარი იხვი, ფორთოხლები, ვაშლები, ძეხვები, ერბო და, რა ვიცი, კიდევ რა. იხვის ერთი ბარკალი გეახელი, ხვალიდან ღვინის სმასაც დაეიწყებ, დღეში ორ რიუმკას...

არ წავალ, სანამ არ მორჩებიო, — გადაჭრით მითხრა ცილიამ. რა უნდა უთხრა? იცის, ჭლეტი მჭირს და დარწმუნებულია, რომ მოვრჩები, ისიც კატორღაში. აი ასეთია, როცა ადამიანს არ სურს დაიჯეროს რამ... ერთი დამანახა ჩემი ცილია სამ-ოთხ წელიწადს შემდეგ ჩემი სიკვდილისა!

Увы, утешится жена!

ორი დღე კიდევ და, გათენდება შობა! ეჰ, რა მხიარულად გავატარე შარშან შობა-ახალი წელი! ალბათ გამოსათავი იყო. ყველაფერი გათავდა... წერაც კი არ შემიძლია, ისე მტკივა გვერდები, მწვავს რალაც...

სიკვდილი! სიკვდილი! ამასაც მალე ენახავ!

(დასასრული)



ნ. ბუხარინი *)

პოეზია, პოეტიკა და პოეტური შემოქმედების ამოცანები სსრკ-ში

IV. თანამედროვენი

საბჭოთა პოეზიის განვითარებამ უკვე ცხადყო მისი ისეთი თვისებები, რომლებიც არ შეიძლება ეპოქის დიდ მონაპოვრად არ მივიჩნიოთ. კაპიტალისტური მატაზმის, დედაბრული წუწუნის, ჰიპერტროფირებული და ავადმყოფური ეროტიკის, პესიმისტური თავაშვებულობისა და ცინიზმის, ან ხორსტ ვესელის მსგავს პოეტ „რასისტების“ ვულგარული ჰინთვის ფონზე — გამოდის მხნე პოეზია, ღრმად ხალისიანი და ოპტიმისტური, რომელიც თავისი საფუძვლებით დაკავშირებულია მილიონთა ძლევამოსილ მარშთან და ახალი ქვეყნის უდიდეს მშენებლობას, შემოქმედებითს გაქანებას და ბრძოლას გამოხატავს. აქ არაა არც მისტიკური ბურუსი, არც ბრმათა პოეზია, არც თავის თავის დამკარგველი პიროვნების ტრაგიკული მარტოობა, არც ინდივიდუალიზმის გამოუვალი სევდა, არც უსავნო ანარქიული ბუნტარობა. აქ არაა მძღარი მეშანების გულდამწვინებულობა, რომელნიც ფაფუკი ხელით ეალერსებიან ადამიანებსა და ნივთებს, არაა ბუდუარისა და სასტუმრო ოთახის კამერული ზიზილაპიპილები; აქ არაა ზოოლოგიური შოვინიზმის აღვირაბსნილი გააფთრება, დამონების გაშვებულ პიმნები და ოჭროს კერპისადმი ხობა. ჩვენს საბჭოთა პოეზიას ჰყავს თავისი გმირები, აქვს თავისი თემატიკა; იგი უკვე იქცა ახალი ქვეყნის იდეოლოგიურ რეფლექსად. იმ ქვეყნისა, რომელიც წინ მიიწევს ძლევამოსილი სამოქალაქო ომის, დიადი კლასობრივი ბრძოლების გზით, უამრავი კუნთებისა და ნერვების, გონებისა, გრძნობათა და ვნებათა უზარმაზარი შრომითი დაძაბვით — მიიწევს ახალი, სოციალისტური კულტურის სულ უფრო და უფრო ნაკედი ფორმებისკენ.

*) იხ. „მნათობი“ № 9.

რასაკერველია, პოეტური შემოქმედების ჩამოყალიბების პროცესი ჩვენს ქვეყანაში სრულიადაც არ გულისხმობდა ახალი ტექნიკისა და ახალი ფორმების, აგრეთვე პოეტური ოსტატობის, ექსტაზისა და დაბადებას. ფრიად სხვადასხვანაირი ფორმით განვითარებული კლასობრივი ბრძოლა თავის გამოხატულებას ჰპოებდა ამ სფეროშიაც; რეალურ მანვილთა ელარუნს ესატყვისებოდა იდეოლოგიურ მახვილთა ჯახანი. განმტკიცებისა და აღიარებისათვის მებრძოლ მრავალრიცხოვან დაჯგუფებებს თავისი სოციოლოგიური ეკვივალენტი ჰქონდათ, თუმცა ფორმისა და შინაარსის კავშირი აქ აუცილებლად ბევრად უფრო რთულია: იმიტომ რომ ახალი კლასი და ახალი ეპოქა, ყირამალა აყენებენ წინანდელ სოციალურ პირამიდს, მაგრამ არ სპობდენ ძველს ენასა და მისი განვითარების კანონებს: შეცვლის პროცესი აქ არ შეიძლება, არსებითად ისეთივე რადიკალური იყოს, როგორადაც საწარმოო ურთიერთობათა და პოლიტიკური ზედნაშენის შეცვლის პროცესი. იმიტომ შინაარსობრივი მომენტების (თემატიკის) შეცვლა არ იმყოფება და არც შეიძლება იმყოფებოდეს ზუსტ პროპორციაში ხელოვნების ფორმალური მომენტების შეცვლასთან.

ისტორიული უსამართლობა იქნება ჩვენ რომ გვერდი ავუხვიოთ იმ პირველ პროლეტარულ პოეტებს, რომელნიც, აღიზარდენ რა რევოლუციამდელი მრისხანე გარემოში, პირველებმა დაიჭირეს პოზიციები ჩვენი ლიტერატურის ასპარეზზე. ეს იყო დეკლარაციული პოეტური ჰეროიკის — აბსტრაქტული ჰეროიკის დრო. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ კირილოვის „რკინის მესია“ ახლაც ისე და, შეიძლება ითქვას, უფრო მაგრადაც მეტყველებს, ვიდრე რევოლუციის ქარიშხლიანი გაზაფხულის წლებში. „Кухница“-ს პოეტების უგულვებელყოფა არ შეიძლება, „როგორც მენდელსონი უგულვებელყოფდა სპინოზას“, თუმცა ისინი სპინოზები არ ყოფილან პოეზიის ბანაკში. იდეოლოგიურად ეს ხამდეილი რევოლუციის ხმა იყო და ისიც ისეთი ხმა, რომელიც გარკვეულ ტექნიკურ სიმაღლეზედაც იდგა. იგი უმღეროდა თითქმის კოსმიურ გადატრიალებას; მან რევოლუციის უნივერსალიზაცია, ურბანისტულ-ინდუსტრიალური სახეების უნივერსალიზაცია მოახდინა; და სწორედ ამ აბსტრაქტული უნივერსალიზაციით იყო იგი ცალმხრივი და შინაარსობრივად ღარიბი. მაგრამ ამ ისტორიულად ცალმხრივ ფორმაში იგი გამოხატავდა რევოლუციის მძლავრ აფეთქებას.

მათი აკოვსკის უდიდესი გავლენის ქვეშ აღიზარდა „კომკავშირული პოეტების“ მთელი პლეადა, რომელთა შორის ერთი პირველი ადგილთაგანი ეკუთვნის ა. ბეზიმენსკის, სრულიადაც შემთხვევითი როლია ამ პოეტის პოპულარობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. რა არის ამ პოპულარობის საფუძველი, ე. ი. საფუძველი მკითხველთა ფართო მასასთან შესატყვისობის, კონტაქტისა? ბეზიმენსკიმ გამოიხატა თვალ-

საჩინო თემატიკა: მას გამოყავდა ახალი ადამიანები („Петр Сморodin“); ხანდახან იგი მნიშვნელოვან განზოგადებამდის ამაღლდებოდა ხოლმე („Комсомолия“); იგი პოეზიად აქცევდა მოულოდნელად ახალს („Партбилет“). მისი სახეები კამერულ-ლირიკულ-საბრძოლველ-სასი-მღერო კილოს მკაცრ კონტრასტს წარმოადგენდა. მთავრობისაგან მან ისწავლა რევოლუციური პროზაიზმებისა და ყოველდღიური წერილმანე-ბის ხელახალი გადადნობა და პოეტურ სიმღერად გამოქვედვა. იგი კომ-კავშირელთა ახალი მოდემის უეჭველი პოეტური საყვირი იყო და გა-მობატავდა კომუნისტური ახალგაზრდობის მაშინ ჯერ კიდევ დაუნაწევ-რებელ სტიქიონს, მის მებრძოლურ გაბედულებას. ეს უპირველეს ყოვე-ლისა „მსუბუქი კავალერიის“ პოეტია — ბრძოლასა და შრო-მასში. მაგრამ იგი შედრკა, როდესაც საკირო შეიქმნა სალიტერატურო ფრონტის მძიმე არტილერია, როდესაც ცხოვრება გართულდა, როდესაც საკირო შეიქმნა ინტენსიური გაზომვა, დიდი სიღრმე, მეტი მრავალფეროვანება, სირთულე და პოეტური გამოთქმის ოსტატობა. მას დაახლოებით იგივე დაემართა, რაც დ. ბედნის: მან ვერ მოახერხა გადასულიყო უფრო რთულ ამოცანებზე და ამიტომ ელემენტარული გახდა. „მოდველება“ იწყო და მის წინაშე აღიმართა იმის საშიშროება, რომ გადიქცეს მორიგი ლოზუნგების უბრალო გამრითმველ გადამმღერებ-ლად, დაპარგოს შემოქმედების პოეტური შინა და ღაზათი.

უფრო ცხოველი და ღრმა აღმოჩნდა უდროოდ დაკარგული ე. ბაგ-რიცკი. მას დიდი იდეოლოგიური მარცხები ჰქონდა:

Мы — ржавые листья

На ржавых дубах...

.....

Потопают ли нас трубы молодые,

Взойдут ли над нами созвездия чужие —

Мы — ржавых дубов облетевший уют...

მაგრამ ეს მისთვის ტიპური არ არის. იგი გვხიბლავს თავისი თემატიკის სიფართოვით, გაბედულობითა და თავისი შემოქმედების რალაც კულ-ტურული რომანტიზმით, გრძნობის სიღრმით, რომელშიაც ბევრი აზრი, ელვარება, სახოვნობა, ნარნარი ლექსია:

А ветер как гвквет,

Как мимо просвнщет,

Как днвнет барашком

Под звонкое днвнце,

Чтоб гвозди звенели,

Чтоб мачта гудела.

ამ დიდ რომანტიკოსს სამოქალაქო ომის პეროიკა ძალიან ეხერხე-ბოდა და ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა თა-

ვის დროს ცდილობდა ჩაეხშო განსვენებული პოეტის ამ სიმათა/ ელერა.
 „Дума про Опанаса“ დიდხანს დარჩება: იგი მწვავეა, ეს „ფიქრი“;
 მისი დაძაბული დრამატიზმი, მისი სახეები და ლექსები მწვავენი სისა-
 დავე მას დიდ კულტურულ მთლიანობად აქცევს.

სამოქალაქო ომის რომანტიკოსს წარმოადგენს უმთავრესად აგრეთვე
 მ. სვეტლოვი. „ნების“ დასაწყისში მან დიდი სულიერი და იდეო-
 ლოგიური კრიზისი განიცადა, რამაც მის შემოქმედებაზედაც მოახდინა
 ვაეღენა („Николаю Кузнецову“, „Колька“), მაგრამ მერე გამო-
 სწორდა და გადამეტებული თავდაჯერებულობაც კი გამოიჩინა: იგი თა-
 ვის თავს აყენებდა, — არც მეტი, არც ნაკლები — პუ შკინისა და
 ტოლსტოის რიგში („Мы с тобою, родная, устали как будто“).
 ტიპიურია სვეტლოვის პოეზიისათვის „Двое“:

Они улеглись у костра своего,
 Бессильно раскинув тела,
 И пуля, пройдя сквозь висок одного,
 В затылок другому вошла.
 Их руки, обнявшие пулемет,
 Который она стерегла.
 Не вьюга, ни снег, превратившийся в лед,
 Никак оторвать не могли...
 Тогда к мертвецам подошел офицер,
 И грубо их за руки взял,
 Он, взглядом своим проверяя прицел,
 Отдать пулемет приказал.
 Но мертвые лица не сводит испуг,
 радость уснула на них.
 И холодно стало третьему вдруг
 От жуткого счастья двоих.

ყველაზე მეტი წარმატება ერგო სვეტლოვის „გრენადას“, რომელსაც
 ოდნავ ხელოვნური სიუჟეტი აქვს. სვეტლოვი აშკარად ჰბაძავს პეი-
 ნეს როგორც მის ირონიულ, ისე რომანტიულ ასპექტში. იგი ჰბაძავს მას
 სახეებითაცა და სიტყვიერ ინსტრუმენტობაშიც: დიდი გერმანელი პო-
 ეტის ცდაზე დაყრდნობით იგი ცდილობს აიღოს უბრალო, ზოგჯერ გა-
 ცვეთილი სიტყვებიც კი, მაგრამ მოგვეცეს ისეთ სახეებსა და სიტყვიერ
 კონტექსტში, რომ თითოეული მათგანი სხვანაირად აფლერდეს. რასაკვირ-
 ველია, ეს სრულიადაც საბუთს არ გვაძლევს მ. სვეტლოვი „რომან-
 ტიზმის უკანასკნელ მეფეს“ დავადართო, როგორც ამას ზოგიერთი გადა-
 მეტებულად აღფრთოვანებული კრიტიკოსი სჩადიოდა: იგი, როგორადაც
 ბევრი სხვა პოეტი, ჯერ კიდევ პროვინციალურია; მისი გონებრივი პო-
 რიზონტის სიმაღლე და სიმაღლე მისი ოსტატობისა, ვერაფრად ვერ შე-
 ედრება „სიმღერათა წიგნის“ შემოქმედის ანალოგიურ თვისებებს. და

მიუხედავად ამისა, — იგი კარგი საბჭოთა პოეტი-რომანტიკოსია, რომელსაც შეუძლია ბევრი რამ მოგვეცეს, თუ იმ უშავებელს

იმავე თაობის „ლირიკოსთა“ სამეული — ჟარკოვი-უტკინი, უშაკოვი — ფრიად სხვადასხვაფეროვანია, თუმცა მათსავე აერთიანებენ ხოლმე. მათ შორის, ჩვენის აზრით, — ყველაზე კულტუროსანი (ყოველგვარი გაგებით) და თანაც ყველაზე ნიჭიერი — უშაკოვია. ეს არის პოეტი ფაქიზი ნიუნსებისა, ღრმად მგრძნობიარე და ფიქრიანი, რომელსაც ნაზი და სათუთი სახეები აქვს. ინდუსტრიულ, მანქანურ, „ბენზინის“ თემებსაც იგი იძლევა ათასგვარ ასოციაციათა გადახლართვით, რომლებიც თემის შინაგან ლოგიკაზე ძალადობას არ ახდენენ და მკითხველს პარადოქსული შედარებითა და მეტაფორებით თავს არ აბეზრებენ.

Весна.

Сидящие села.

Малиновки со всех сторон,

Перелетел за частокол

Черешен розовый трезвои.

Но в синих снах

И в сонной сини

И в нежной аблучной пурге

Возможно ль мыслить

О бензине

Как не о друге,

О враге?

ჟაროვი და უტკინი, სამწუხაროდ, დაავადებული არიან თავის თავზე უდიდესი შეყვარებულობით და გადამეტებული პოეტური კეუსიზმუბუქით, რაიც სიმჩატედ იქცევა ხოლმე. ჟაროვს ერთგვარი ნიჭი გააჩნია, მაგრამ არ ჩანს საკმარისი შრომა, რომელშიაც საბოლოო სისადავე რთული შემოქმედებითი პროცესის შედეგია. აქედან ხანდახან გამომდინარეობს მყვირალა დეკლამაციურობა:

Я — делегат небесной рати

И от весеннего Песа.

Я — солнце — нынче председатель

И на земле, и в облаках!

აქედანვე გამომდინარეობს ერთგვარი ლოზუნგური ელემენტარობა, რომელიც ფრიად და ფრიად ნაკლებად არის გართულებული პოეტური სახეებით:

Упорством

вооружены

На фабрике и в шахте,

Мы

во-военному должны

Всегда

Стоять на вахте!

ან:

Скоро червищем
Вздуюм пожар!



ქართული

კინკრავი

და, მიუხედავად ამისა, უმართებულო იქნება, რვეს რომ ეს „კომკავ-შირელი“ პოეტი „უარვეყოთ“. მან ერთერთმა პირველთაგანმა წამოაყენა ლირიკის პრობლემა. თემატიკურად მან თავი დააღწია პურიტანულ წარმოდგენათა ვიწრო ფარგლებს; მისი მზიური მზიარულება, რვეოლუციური ახალგაზრდობის სიმღერები, გაზაფხულის სისხლის დუდილის დაუცხრომლობა, სოფლად და ქალაქთა განაპირა უბნებში რვეოლუციური გარმონის ჭყვიტინი, მისი პოეტური სიტყვის სასიმღერო კილო — ყველაფერი ეს დიდი რამ განძია, რომელიც უნდა გაიზარდოს.

თუ ქაროვი — საბჭოთა პოეზიის მზიარული კილოა, მიზნედილი იოსებ უტკინი — ეს უკვე გარმონი კი არა, გიტარაა. მას ხელოვნური ეესტი აქვს, შეიძლება გარკვეული შინაგანი გულისტკივილიც, რაც რალაცნაირი ძაფებით ესენინისკენაც კი ეზიდებოდენ მას:

Есть ужас бездорожья
И в нем — конец коню.
И я тебя, Сережа,
Ни какля не вижу.

უტკინს მეტი ფიქრიანობა ეტყობა; იგი უფრო ნაკლებად მარტივია, ვიდრე ქაროვი. იგი უფრო მეტს მუშაობს სახეებზე; მისი პოეტური სიტყვა სასიმღეროა და მისი პოეზია სვედის ბურუსით არის მოცული. მაგრამ მასაც აქვს გულუბრყვილო გამარტივება და ზერელობა როგორც შინაარსის, ისე ფორმისა. განა გულუბრყვილობა არაა „ლამაზს ქალს“ მიჰმართავდე ამნაირი სენტენციებით:

Женскою нежностью томима,
Не богатых.
Не красивых,
Назови твоим любимым
Вонна трудолюбивых.

საიდან გამოტყვერა ასეთი „ფილოსოფია?“ რატომ არიან ყველა: „არა მდიდარნი“ — მახინჯები? რანაირად შეიძლება გავლენა მოვახდინოთ ლამაზ ქალზე ასეთი არგუმენტებით? ვინ არის ნამდვილად ეს ტურფა? რატომ უნდა იარსებონ შრომამ და სილამაზემ ცალკეულად? და ა. შ.

ან ფორმა:

Года летят, как зябкие синицы.
Как конь летят из-вод плетей..

რატომ ეძახის პოეტი ჭინჭრაქებს მცივანებს, როდესაც ისინი ნამდვილად უდიდესი ყინვების ამტანი არიან? რატომ „დაფრინავს ჭინჭრაქა

მათრახდაკრული ცხენივით“, როდესაც იგი ნამდვილად დასუარფატებს მცირე-მცირე მანძილებზე? ეს საზე აშკარად უუარგისო მრუფიჭრებელი, რითმისთვის ყურმოთრეულია. ასეთი სამწუხარო პოეტური „შეცდომილებანი“, პოეტური ენის ლაპსუსები ბლომად შეგვხვდება პოეტს, რომელსაც, როგორადაც უაროვსაც, განსაკუთრებით შეეფერება წარუდგინოთ პოეტური კულტურის ამალეების მოთხოვნა.

პოეტ „კომკავშირელ“ ახალგაზრდებს შორის ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ბორის კორნილოვი. მას აქვს პოეტური სახისა და რიტმის ნაქედობა, მძიმე პოეტური ნაბიჯი, ელვარება, ნაჯერობა მეტაფორისა და ნამდვილი გრძნობიარობა. ღარიბი კაცის შეილისშეილის კლასობრივი სიძულვილი, იმ ღარიბისა, რომელიც ფეხქვეშ ჩაპვარდნოდა „ლიბიან და ვინელია ბატონს“, ჩამოყალიბდა ასეთ მძაფრ სტრიქონებად:

Эту злобу внука,
Независть волчью
Дед поднимает в моей крови,
На пустом животе ползая за сволочью:
— Божескую милость себеб[е] яви...

.....
Я ее, густую, страшной весней вылью
На поля тяжелые,
В черный хлеб и квас,
Чтобы встал с колен он,
Весь покрытый вылью,
Нерадивый дед мой
Корнилов Тарас.

მას „გვირისტნაკერი“ მსოფლმხედველობა აქვს და გამარჯვების რწმენის სალი კლდე. თითონ „მეც“ კი, რომ გაქრება, თავის „სიცოცხლის განგრძობას“ კპოებს („Продолжение жизни“) ადამიანთა და საქმეთა ახალ წყებაში. რკინის ნაბიჯების ხმაური ასახულია სიტყვობრივი მასების დანაფენებში:

Врага окружая огнем и кольцом,
Медлительны танки, как слизни,
Идут коммунисты, несем лицом, —
Мое продолжение жизни.

.....
Я вижу вдаль горизонты земли,
Комбайны, качаясь, по краю,
Ко мне, задыхаясь, идут...
Подожли, —
Тогда я совсем умираю...

კორნილოვის განსაკუთრებით ეხერხება უარყოფითი ტიპების ხატვა, კულაეებისა, მტრების მხეცური გაბოროტების აწერა; აქ მისი პა-

ლიტრა ფერადოვანია და ქრელი, მოხაზვა ფართო და გაბეჭდილი, სახე-
 გბი ჭანდაკისებური და მეტყველია („Семейный совет“ „Семейца“).
 „Триполье“-ს ზოგიერთი ადგილი დიდ ძალოვნობას აღწევს. აი, კულა-
 კის შვილი შაშანებს ეზიდება:

ქართული
 პიუზიონები

Сдвинул на ухо шапку,
 Осторожен и ловок.
 Свое в телегу охотку
 Маслянистых винтовок.

აი, კულაკთა „ღმერთი“ ჩვეულებრივ ცხოვრებაში:

Халал сахар в привуку
 И в поту
 И в жару
 Ел гусиную гузку
 Золотую
 В жиру.

აი, სამოქალაქო ომის აღი:

И уже начинались пожары в Триполье
 Огненные вставали, пыхтя, пестухи,
 Старика уползали черными в подполье,
 В сено
 Часто чихая от едкой трухи.

ასეთი ფერადოვანი ადგილები ბლომადაა ამ პოემაში, რომლის რიტ-
 მიკა მძიმე სტროფებიდან გადადის ლექსის ცხენოსნურ თქარათქორზე,
 ცხენისთვის დასტვენით, ნაღების განაპერწყლებით, როგორც ეს ბაგ-
 რიცკისა და სელვინსკის აქვთ.

ამ თავში მოხსენებული პოეტებით განისაზღვრება, ასეთისე, იმ პოე-
 ტური შემოქმედების ნაკადი, რომელიც კომკავშირულ-პარტიული წრიდან
 მომდინარეობს და ყველაზე უმკიდროესად არის დაკავშირებული მასე-
 ბის ცხოვრებასთან. მაგრამ ეს ავტორები პოეტური შემოქმედების ხერხე-
 ბით უახლოესად ენათესავენებიან რამდენიმე ფრიად დიდი ყალიბის პოე-
 ტებს, — რომელთაც მათზე გადაწყვეტი გავლენა აქვთ. ჩვენ ვლაპარა-
 კობთ ბორის პასტერნაკზე, ნ. ტიხონოვზე, ი. სელ-
 ვინსკიზე და ნაწილობრივად ნ. ა. ასეიევზე. ტყუილად კი არ
 წერდა თავის თავზე ე. ბაგრიცკი:

А в походной сумке
 Спички и табак.
 Тихонов,
 Сельвинский,
 Пастернак.

ეს შესანიშნავი პოეტური ინდივიდუალობანი არიან და საჭიროა თი-
 თოეულ მათგანზე ცალკე შეჩერდეთ.

ბორის პასტერნაკი — ის პოეტია, რომელიც ყველაზე მეტად არის დაშორებული დღიურ ქირვარაშს, ამ სიტყვის ფართო გაგებითაც კი. ეს არის პოეტი — მონღოლური ძველი ინტელიგენციისა, რომელიც საბჭოთა ინტელიგენციად იქცა. იგი უემქვალად იწყნარებს კრეფულუციას, მაგრამ იგი შორსაა ეპოქის თავისებური ტენიციზმისაგან, ბრძოლის ხმაურისაგან, ბრძოლის ყიფინისაგან. ძველი ქვეყანა მან უკუაგდო (ან, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, გაწყვიტა მასთან კავშირი) ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის დროს შეგნებულად დადგა „ბარიერების ზემოთ“. სისხლიანი ზოცვა-ვლეტა, ბურჟუაზიული მსოფლიოს ჩარჩობა მას ღრმად ეზიზღებოდა და იგი „მოსწყდა“, მოშორდა ამ ქვეყანას, ჩემწყვედა ინდივიდუალურ განცდათა სადაფოვან ნაქუქში, სათუთი და ნაწი განცდების, დაქრილი და ადვილად დასაკოდი სულის ფაქიში ფართხალის ნაქუქში. ეს არის ნიმუში ჭალწულეზბრივი, თავისში კარჩაკეტილი, ლაბორატორიული ოსტატობის, სიტყვიერი ფორმისათვის დაუღალავი და გულმოდგინე მუშაობისა, რომელშიაც მასალას წარმოადგენენ „მემკვიდრეობის“ საუნჯენი, ღრმად პიროვნული და ამიტომ ძალაუნებურად შევიწროებული ასოციაციები და სულეერ განცდათა ხლართები.

В кашня, ладонью заслонясь,
Сквозь фортку клавию детворе:
Каков, жиме у нас,
Тысячелетие на дворе?
Кто тронку к двери проторил,
К дыре, засыпанной крушой,
Пока я с Байроном курил,
Пока я шел с Эдгаром По?

პასტერნაკი თეორიულადაც ამართლებს ამნაირ პოეზიას. აი, მაგალითად, „პოეზიის განმარტება“:

Это — круто налившийся свист,
Это — щелканье сдавленных льдинок,
Это — ночь, леденящая лист,
Это — двух соловьев поединок.

ან კიდევ ამაზე მზაფრად ლექსში „к Брюсову“:

Что мне сказать? Что Брюсова горька
Широко разбежавшая участь?

Что солному гражданскому стиху
Вы первый настели в город дверь открыли,
Что ветер смел с гражданства шелуху,
И мы на перья разорвали крылья?

და, ბოლოს, განმზოგადებელი ადგილი („Другу“):

Напрасно в дни великого совета,
Где высшей страсти отданы места,
Оставлена вакансия поэта:
Она опасна, если не пуста.

მე მგონია, საჭირო როდია აქ არსებითად შევეცამათოთ პრეტს ამნა-
ირი კონცეპციის გამო. რანი იქნებოდენ ბერძნის დიდი ტრაგედიკოსები
„მაღალ ვნებათა“ გარეშე? რა მოუვიდოდა არისტოფანს? რაწაფილად იქნე-
ბოდა შესაძლებელი შექსპირი? ან ჰეინე? ან ფუფუნდოქსიკორო-
ნი, ეს „ლორდი — კარბონარი?“

პასტერნაკის ბედნიერება ისაა, რომ იგი სრულიადაც არ არის
თანმიმდევარი. ბრიუსოვისადმი ეპისტოლეს შემდეგ იგი ბევრად
მშვენიერ პანეგირიკს, ლარისა რეისნირის ხსოვნისადმი მიძღვნილს.
იგი უმღერის „გაგიკებულ“ 1905 წელს ლექსთა მთელ სერიაში. იგი სწერს
„Лейтенант Шмидт“-ს, „9 Января“-ს და ყველაფერი ეს შეიცავს ნამ-
დვილი პოეზიის მაღალღირსეულ სტროფებს. მან მოგვცა ლენინის, რე-
ლიეფური სახე:

Я помню, говорю его
Пронзл мне искрами загревон,
Как шорох молния шаровой.
Все встали с мест, глазами втуне
Обшаривая крайний стол,
Как вдруг он вырос на трибуне
И вырос раньше, чем вошел.
Он проскользнул неследимо
Сквозь строй препятствий и подмог,
Как этот в комнату без дыма
Грозы влетающий комок.
Тогда раздался гул овалей
Как облегчение, как разряд
Ядра, не властного не рваться
В колыбе поддержек и преград...

და მიუხედავად ამისა, მის რევოლუციურ ლექსებშიაც კი, რევოლუ-
ციურში თავისი იდეური შინაარსით, მოიპოება ამ შინაარსისადმი მთელი
რიგი მიდგომანი სრულიად მოულოდნელი და ხშირად ვიწრო ინდივი-
დუალური ასოციაციების გზით. პასტერნაკი ორიგინალურია. ესაა
მისი ძლიერება და იმავე დროს მისი სისუსტე. ეს მისი ძლიერებაა,
რადგან იგი განუზომლად შორსაა შაბლონისაგან, ტრაფარეტობისგან, გა-
რთომული პროზისაგან. ეს მისი სისუსტეა, რადგანაც ეს მისი ორი-
გინალობა ეგოცენტრიზმში გადადის და მაშინ მისი სახეები გაუგებარი
ხდება; მაშინ მისი სულთქმაშეკრული რიტმის ფართხალი და მისი უნა-
ზესი სიტყვიერი ინსტრუმენტირების ხვეულები, რაკი ერთგვარ საზღვარს
ვასცილდება, იქცევა გაუგებარ სახეთა შეხამებად, — იმდენად იგინი სუ-
ბიექტური და ინტიმურად ფაქიზნი არიან. მას უამრავი მშვენიერი მე-
ტაფორა მოეპოება და მისი პოეზიის სუნთქვა სურნელოვანია და მაკოც-
ხლებელი: აი, ბალი, „დასველებული, მოწვეთებული მილიონობით ცისფე-
რი ცრემლით“; აი, ნავი, რომელიც ნაპირს უახლოვდება:

Пекло, и берег был высок.
С подливаемой лодки цепь упала
Змеей гремучей в песок,
Гремучей ржавчиной — в кушабу.



აი, დროის შეგრძნობა: „„ГОД сгорел на керосине залетевшей в лампу мошкой“. აი, „Степь“.

Как были те выходы в степь хороши!
Безбрежная степь, как маршала,
Вадихает ковыль, шуршат мураши,
И плавают плач камариный.

აი, წვიმის სურათი „Душная Ночь“-ში: „Лишь пыль глотала дождь-в иллюзиях“. შესანიშნავია აგრეთვე „Сушки с запахом рогожи“ და ტოტეზდაშეებული ტირიფები, „что целуют ключицы“ („Сложь весла“), და „пахнет сырой резедой горизонт“ („Сестра моя — жизнь...“) და ასობით სხვა სახე. მაგრამ რას ნიშნავს „Возвращение“-ში:

Чтоб шелкала с кольца
Клесты по канцелярии
И тучи в огурцах
С отчаянья стрелялись?

აბ „Наша гроза“-ში:

В эмали — луч. Его лазурь,
Когда бы забля — соскоблила.
Но даже зябляк не спешит
Страхнуть алмазный хмель с души.

ასო „Ц“ თამაში პირველ ნიმუშში და ასეთივე თამაში „Л“ და „ნ“-სი მეორე მაგალითში, შეერთებულა იმ სახეებთან, რომელნიც ისეთ ასო-ციაციებთან არიან დაკავშირებულნი, რომელნიც „განსაზოგადოებულ შეგნებისთვის“ მიუწვდომელი არიან. ეს უკვე რთული სიმარტივის კანონების დარღვევაა. ასეთია ბოროის პასტერნაკი, ჩვენი დროის ლექსის ერთი უშესანიშნავესი ოსტატი, რომელსაც თავისი შემოქმედების ძაფზე აუცვამს არა მარტო მრავალი ლირიკული მარგალიტი, არამედ რომელმაც ღრმა გულწრფელობით გამსჭვალული მთელი რიგი რევოლუციური ნაწარმოები მოგვცა.

ი. სელვინსკი — ეს ერთგვარი ანტიპოდია ბ. პასტერნაკისა. იგი დიდი პოეტური ბგერის პოეტია, მიიღტვის ფართო გზების, მასობრივი სცენების ტრამალებსკენ, სადაც ისმის ყვირილი, სადაც ცხენებს დააჭენებენ, სადაც თავზეხელაღებული სიმღერა გაისმის, სადაც მტერი მტერს ებრძვის, სადაც ცოცხალი ცხოვრება სჩქეფს და სადაც ისტორია ზელს თავის მაგარ ცოშს.

... Голос мастерство слишком бедно,
Чтобы дышать ураганом эпохи...



საქართველოს
მწერალთა კავშირი

ეუბნება იგი ერთ მხარეს. მეორეს კი:

А вы зовете: на горло песне!
Будь ассенизатор, будь водолив — де!
Да в этой схеме столько же поэзии,
Сколько авиации в нефте.

.....

მისი ლოზუნგია:

Бросьте товарищи! шире глазейте!

ეს სავესებით მართალია. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ პოეტი (კრიტიკის გავლენითაც) ყოველთვის როდი ასრულებს საკუთარ დირექტივს და დიდი ტილოებისათვის მუშაობის ძალიან საგულისხმო ცდებს გართმული საქარბნო კედლავზეთით სცვლის. სელვინსკის მშვენიერი სიმღერა აქვს, რომელიც ეყრდნობა ხალხურ სიმღერას ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. მისი ფართო გაქანება, რიტმის მოქნილობა ძალიან კარგია: ეს მისი სიმღერა მართლაც წყალივით მომდინარეობს.

რევოლუციური ფლოტი ზარბაზანს ისვრის (მიბაძევა ძველი სიმღერისა:

„Как по морю, морю синему“):

Ну-ка, душьте, боевые корабли,
Эх, товарищи-братишки корабли,
Так чтоб окуни под камнями загребли,
Рыбы-окуни под камнями загребли.

ან სიმღერა: „Заночуй, милочек“, სადაც „конница-буденница“.

Кония напувала
Со двора с'езжала,
Со двора с'езжа-ба-ла да
Саблями бреччала;
Саблями бряцала,
Песней величала —
Коники за домки
Цокали сначала.

სელვინსკი ეყრდნობა სიმღერას, სხვადასხვა დიალექტს, გულისხმიერად მუშაობს სიტყვაზე, მის ბგერითსა და მნიშვნელობითს მხარეზე. თავისი „Улялавщина“-ს და „Командарм“-ის სახით მან მოგვცა მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი, რომელნიც მტკიცედ შევლენ ჩვენი პოეზიის ისტორიაში, როგორც მისი ერთერთი უდიდესი მიღწევათაგანი. მაგრამ ჩვენის ფიქრით ახლა, როდესაც მაიაკოვსკის სტილის „აგიტკის“ დრო უკვე წავიდა, პოეტი ტყუილად ამოივრებს ამ „აგიტკის“ როლს

თავის შემოქმედებაში. მას აქ აშკარად ევიწროება. როდესაც „Электро-
заводская газета“-ში იგი გვიწერს:

И снова жужжат за огнями огни,
И труд владеется на труд,
Словно в гортани налет ангины, —
В печи на шарнирах круг, —

ერქონესული
ბიზნესი

ან როდესაც ჭარხნის ქალთა შესახებ ვკითხულობთ:

Во-первых, подумайте женщины:
Полторы тысячи женщин,
Звонких как бубенчики,
Гордых, как Ченчи —

ეს ყალბად მოისმის, დამაჯერებელი ვერ არის და, გვაპატიოს ავ-
ტორმა, ოდნავ სასაცილოცაა; სასაცილოა, ვინაიდან თვალში გეცემათ
ის, რომ აქ საქარხნო გაზეთის პროკრუსტეს საწოლში, რომელსაც აუცი-
ლებლად თავისი სპეციფიკა აქვს, ცდილობენ ხელოვნურად ჩასუკედონ გა-
დამეტებით ფართო ასოციაციები, გადაკერით ნათქვამები და სახეები.
ს ე ლ ვ ი ნ ს კ ი — უქველად რევოლუციური, ძალიან დიდი, ნამდვილი
და ამასთან ერთად კულტურული ოსტატია ლექსისა.

ბ. ტ ი ხ ო ნ ო ვ ი საინტერესოა სხვადასხვა თვალსაზრისით: იგი შეუ-
პოვრად აფართოებს თემათა არეს, იჭრება საბჭოთა კავშირის უშორეუ-
ლეს კუთხეებში, პოეტურ ბრუნვაში ითრევს კავკასურ, შუააზიურსა და
სხვა ეროვნულ მოტივებს. იგი შეუპოვრად მუშაობს ლექსის ფორმის-
თვის და სამუდამოდ დარჩება მეხსიერებაში მისი მშვენიერი ბალადები;
იგი ღრმად უფიქრდება მსოფლმხედველობის საფუძვლებს, განუყრელად
აკავშირებს ინტელექტსა და ემოციას პოეტურ მთლიანობად... ეს, უწი-
ნარეს ყოვლისა, — „ჰქულიანი პოეტია“.

ბ. ტ ი ხ ო ნ ო ვ ი ს „თორმეტი ბალადა“ შეიცავს თავისში უზარმაზარ
და თავშეკავებულ, მკაცრ ვნებას. ეს ვაგაკტური და თავდაჯერებული
რომანტიკაა, რომელშიაც პოეტი თითქოს ლაგამს სდებს აქეთ-იქით გა-
ფანტვისაკენ მიმსწრაფ ტრაგიკულსა და ექსპრესიულ აკორდებს; იგი
უმორჩილებს მას ერთს აზრს, რომელიც მუსიკალური ნაწარმოების ლეიტ-
მოტივივით გაისმის.

სამხედრო მოვალეობის პეროიკა „Баллада о синем пакете“, იმ
პაკეტისა, რომელიც მოტანილია ჩამოვარდნილი თვითმფრინავით:

С размаху земля навстречу бьет.
Путая ноги, сбежался народ,
Сказал с землею набитым ртом:
— Сначала пакет — нога потом.

ფრიალ ძლიერია „Баллада об отпуском солдате“, სადაც მო-
ცემულია ბრძოლის შესანიშნავი სურათი:



ქართველთა
წიგნების კავშირი

„Пулемет задыхался, хрипел, бил,
И с флангов летел трезвон,
Одннадцать раз в атаку ходил
Отчаянный батальон...
Под ногами утренних лип
Уложили стодвадцать в ряд,
И табак от крови прилип
К рукам усталых солдат.“

„Махно“-ს ეტყობა პეშენის „Песни западных славян“-ის დიდი გავლენა:

Понатешился батька посевцем,
Дарит ветер он красным доломаном
И уходит обратно к королевцам,
К синеусым молдавским банам.

„Смерть бойца“ და „Баллада о гвоздях“ დარჩება ტიხონოვის შემოქმედების ერთერთ საუკეთესო ნიმუშად, ხოლო ამ უკანასკნელი ბალადის ბოლო სტრიქონები —

Гвозди б делать из этих людей,
Крепче б не было в мире гвоздей —

უკვე მტკიცე ისტორიულ აფორიზმად იქცევა.

ბ. ტიხონოვის აქვს გაბედული და ორიგინალური შედარებები, სიტყვათა, ბგერათა და აზრთა ლამაზი ნაჭარგი:

Пить чай, развлясь осторожно,
Так, чтобы маузер лег не под бок

(„Люди Ширана“).

ან:

Их окружает дьявольская ночь
Забитых мест и черных суеверий,
Трахионных глаз, проклятий за углом.

(„Весна в Дейнау“).

„ადგილობრივი კოლორიტი“ მოცემულია მოულოდნელი სახის სა-
შუალებით:

И трактор встал стальной утробой.
Как некий слон среди чарджуйских дмий

(იქვე).

ან ტფილისის შესახებ:

То хвастал пышной тканью,
Или зурной хвалебной,
То падал в серной бане
Снопом воды целебной,
Сбегая с головы
Прокипяченной дрожью
На каменные швы
У моего подножья.

ტიხონოვის „პოემები“ ყოველთვის ღრმა არის; მაგრამ სურვილი შინაგანი შინაარსის გამომჟღავნებისა, ცხოვრების უღრმეს ნაკადულთა ამოღებისა პოეტური თასით, ხანდახან ტიხონოვს იქამდის მიიყვანს ზოლმე, რომ სიტყვათა და სახეთა ნაქარგი ძალიან ხრეშინიერად, კოორდინატებით იქარგება: ცხადია, პოეტს ეშინია ძალიან გარეგნული იყოს, ბანალობაში ჩავარდეს და ხანდახან სცილდება ზოგადნიშნულის ფარგლებს და, თავის მხრით, არღვევს „რთული სიმარტივის“ კანონებს.

ნ. ასევე — ყველაზე ორთოდოქსული „მაიაკოვსკელია“, ლექსის ფორმის მუშაკი, დაულალავი პოეტ-აგიტატორი, ძალიან დღიურ მოჭირბოროტე, ძალიან „აქტუალური“ და ამასთანავე — მიუხედავად თავისი თეორიული გამოლაშქრებებისა — დიდი პოეტური კულტურის პოეტიკ. იგი განსაკუთრებით თავისებურია თავისი მოთხოვნებით:

Нет,
не найти вам
другого ритма,
Кроме того,
что режет, как бритва,
Не зазвучит вам
другая песня —
Эта пойся
и в уши бейся

(„Боевая тревога“).

იგი ფრიად და ფრიად შორსაა „წმინდა ლირიკისაგან“:

Если есть еще
о чем
писать стихи
в стародавней
деревенской соня —
Лишь
о победителе стихий,
человеке
на фортауне!

მაგრამ ამ პოეტის უეჭველ ნიჭიერებას ავიწროვებს მისი თეორიული ორიენტაცია. იგი ვერ ამჩნევს, რომ მაიაკოვსკის ახლა აღარ შეუძლია დაგვაკმაყოფილოს; რომ „აგიტკა“ ახლა ნამეტნავად ელემენტარულია; რომ უფრო მეტი მრავალფეროვნება გვესაჭიროება, მეტი განზოგადება; რომ იზრდება მონუმენტალური პოეტური ფერწერის მოთხოვნილება; რომ გზა გაუხსნეს ლირიკის ყოველ წყაროს და რომ თითონ აქტუალობის ცნებაც ამჟამად სხვანაირი ხდება. ამიტომ, როდესაც, ახლა კითხულობ, მაგალითად, „Им“-ს (რევოლუციის მტრებს) —

Ваше орудие —
 м.л.и.н.и.т.,
 п.а.н.и.к.а
 и п.р.о.в.о.к.а.ц.и.я;
 Наше —
 у.в.е.р.е.н.н.о.с.т.,
 л.е.н.н.и.ц.и.з.м.,
 г.р.а.м.о.т.а,
 э.л.е.к.т.р.и.ф.и.к.а.ц.и.я, —



ეს ძალიან მშრალ, ძალიან გაზეთურ, პოეტურად არაღამაჯერებლად ჯვეჩენება.

მოვიხსენიოთ კიდევ ნიჭიერი ლუგოვსკოი და პროკოფიევი და ფრიად ფერადოვანი, „შინაგნოვანი“, განსაკუთრებით დიდ პოეტურ შესაძლებლობათა პატრონი პ. ვასილიევი, რომელიც საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს პოეზიაში, თუკი მან მოახერხა და შემოითალა მესაკუთრული ველურობის წვეტიანი ქიმები და საბოლოოდ მოადგა სოციალისტურ ნაპირებს.

საბჭოთა პოეზია სრულიადაც არ ამოიწურება მარტოოდენ რუსულ ენაზე დაწერილით. შეიძლება რევოლუციის ყველაზე საგულისხმო მონაპოვარს წარმოადგენდეს მხატვრული შემოქმედების დარგში სწორედ ეროვნულ ლიტერატურათა აყვავება, მთელ რიგ ნიჭიერ ადამიანთა გამოჩენა; ჩვენი დიადი ქვეყანა ყველგან იფინება უამრავი პოეტური ყვაულით. ისეთი სახელები, როგორიცაა ტიჩინა და სოსიურა უკრაინაში, იანკა კუპალა ბელორუსიაში, აკოფაკოფიონი სომხეთში, საქართველოს ჩინებული პოეტები, აზერბეიჯანის, უზბეკისტანისა და სხვა კუთხეების ახალი პოეტები, სპარსელი პოეტი-ემიგრანტის ლახუტის პოეტური შემოქმედების გაფურჩქვნა — ყველაფერი ეს უზარმაზარი კულტურული რიგის მოვლენებია, რომლებსაც ჯერჯერობით სავსებით და უკლებლივ ვერ აღვნიშნავთ. პოეზია არარუსულ ენებზე ახლა უკვე დანაწონი როდილაა რუსული საბჭოთა პოეზიისა. იგი უდიდესი დამოუკიდებელი ძალაა, საერთო საკავშირო პოეზიის შესანიშნავი ნაწილი, შედლებული მიმართულების ერთიანობით, შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული. იგი ცალკე უნდა გააშუქონ ცალკეულმავე ამხანაგებმა, რომელთაც შესატყვისი ენები იციან. ეს — მნიშვნელოვანი ამოცანა, აუცილებელი ამოცანაა. უამისოდ ჩვენ ვერ დავინახავთ ჩვენი საბჭოთა პოეზიის მთელ სახეს.

მაშ ასე, ჩვენი პლუსები ცხადია. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პოეზია მაინცდამაინც ეპოქას კვალდაკვალ მისდევს? სრულიადაც არა. ჩვენ აქ უსათუოდ უნდა აღვნიშნოთ ის „ჩამორჩენა“, რაზედაც ამჟამად ასე ბევრსა და ასე დაეინებით ლაპარაკობენ.

V. ისტორიული კოჟი, პოეტური შემოქმედების დონე ს. ს. რ. კ.-ში და პოეზიის ამოცანები

ეკსპონენტი

როდესაც ჩვენ ამჟამად ვაყენებთ ჩვენი პოეზიის ამოცანების საკითხს, იძულებული ვართ დავიწყოთ ჩვენი ეპოქის თვით-შეგნების პრობლემატიკით. ჩვენ ხომ ახლა სრულიად განსაკუთრებულ დროში ვცხოვრობთ. ჩვენ, ს. ს. რ. კ. — მთელი მსოფლიოს მაღალი კოჟი ვართ, მომავალი კაცობრიობის ტანი. საჭიროა ამას მივხედეთ, ჩავუფიქრდეთ და ვიგრძნოთ ეს. ჩვენ ვიყურებით ათასეულ წლებში. დედამიწის ყველა კუთხეს აღწევს ჩვენი დიადი იდეა. ჩვენ დიად გონებათა და გულთა დეკლარაციაში, ოცნებურ წარმოდგენაში როდი ვცხოვრობთ. ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც რეალური ძალა, რეალურთა შორის ურეალურესი ძალა. პოტენციურად — ჩვენ ყველაფერი ვართ. ჩვენ მემკვიდრენი ვართ ათასეული წლებისა, საუკუნეთა მთელი კულტურისა. ჩვენ განმგრძობნი ვართ იმ მებრძოლთა ასეული თაობების ბრძოლისა, რომელნიც ცდილობდნენ ერთხელ და სამუდამოდ გადაეგდოთ ექსპლოატაციის უღელი. ჩვენ მოწინავე, სახელოვანი მუშათა არმია ვართ, ქვეყნის გარდამქმნელნი, შრისხანე ჯარი, რომელიც ახალი ბრძოლებისთვის ემზადება. ჩვენ განხორციელება ვართ ისტორიული გონებისა, მსოფლიო ისტორიის ძირითადი ძღვევამოსილი, მამობრავებელი ძალა. ადამიანის ნების და მოქმედების ყველაზე მაღალ ქედებზე ჩვენ ვაშენებთ და ვიბრძვივით, ვიტანჯვით და ვიმარჯვებთ. კოლოსალურია და თვალუწვდენელი ჩვენი ამოცანები და გაუგონრად უზარმაზარია ჩვენი ისტორიული პასუხისმგებლობა.

და, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ჩვენი პოეტური შემოქმედების დონეს. და თუ ასე შევხედავთ, დავინახავთ, რომ უკიდურესად ჩამოვრჩენილვართ; ჩვენ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ ახალი პოეტური კულტურის მსოფლიო-ისტორიულ გზაზე. განა ის პოეტური მასალა, რომელიც ჩვენი პოეზიის საგანძურში მოიპოება, ფერმკრთალი და უბერი არაა ცხოვრების გიგანტურ შინაარსთან შედარებით? განა ჩვენ თუნდაც სულ ოდნავ მაინც გამოვხატავთ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ძველი კულტურის დიდ კოლაპსს? განა ჩვენებური პოეტებისთვის ცხრაკლიტულში არაა მომწყვდეული ისტორიის მისნური წიგნი? განა ჩვენივე საკუთარი ისტორია, უკანასკნელი წლების ისტორია აღსახულია მთელი მისი მრავალფეროვანებით, გმირული ყოველდღიურობითა და ყოველდღიური გმირობით, ათასგვარ და ათასფერ პრობლემათა, მტანჯველი ვანცდების, შემოქმედების სიხარულის, კოლიზიებისა და გადაწყვეტათა ცოცხალი დიალექტიკით? განა ჩვენმა პოეტებმა საკმარისად შეითვისეს ყველა დროის და ხალხთა ძველი ოსტატობის შესანიშნავი მემკვიდრეობა, რომლის მიღების მანდატიც მისცა

მათ, ახლა თავის შვილებს, ძლივამოსილმა პროლეტარიატმა არა და არა! ჯერ კიდევ სასტიკი, უკულტურო პროვინცია მეფობს ჩვენში, ჩვენი პოეზია ჯერ კიდევ არ ამალღებულა ჩვენნი ეპოქის მთელი აზრის გაგებადის. იგი ჯერ კიდევ ეწევა „მედიკინადა“, თუ სად დგას იგი. იგი ჯერ კიდევ ვერ ხედავს იმ „მსოფლიოს სახურავს“, იმ „პამირებს“, რომლებზედაც სწერდა ბრიუსოვი და რომლებიც ახლა უკვე „აღმოჩენილი“ არიან. საქმე, პოეტისათვის სრულიადაც ხომ ის არ არის, რომ შევძლოთ ჩვენი სიტყვებით ვთქვათ გაზეთის სტატია, ან გამოვიჩინოთ პოლიტკოდნის ის მინიმუმი, რომელიც ახლა ძალიან მაღალი შეიქმნა. საქმე ისაა, რომ ვიცოდეთ სიგანითაცა და სიღრმითაც, ვიგრძნოთ, მოვაგწიფოთ, გავაფორმოთ. მაგრამ საამისოდ სახეები და საზოგადოდ მხატვრული საშუალებანი აღარა გვეყოფნის. ეს საშუალებანი არა გვაქვს იმიტომ რომ საშინლად დაბალია, ამოცანებთან შედარებით, ჩვენი პოეტური კულტურის მთელი დონე, როგორც შინაარსობრივად, ისე „ფორმალური“ მხრით. რომელი ჩვენებური პოეტი გრძნობს ეპოქას ისე, რომ მის გონების თვალს ეხატებოდეს დიდი, მსოფლიო ტილო? რომელი ჩვენი პოეტთაგანი გრძნობს ბოლომდის ჩვენს ისტორიულ ადგილს თანამედროვე ისტორიის ცხოველ ნაკადში? ასეთი პოეტები ჯერ არა გვეყვანან. ჩვენ აქამდის ჯერ კიდევ ვერ ამალღებულვართ. ჩვენ ჩაეჭიდებივართ ნაჭრებსა და ნაქუწებს, რომლებშიაც მთელი გვევლინება მხოლოდ როგორც დეკლარაცია. არც თუ ვინმე აყენებს ამოცანას მთელი შისი სიფართოვით. რასაკვირველია, აბსურდი იქნება, ამის დაუყოვნებლივ და მთლიანად შესრულების მოთხოვნა რომ წამოვავყენოთ. აქ საქმე ეს როდია. საქმე ისაა, რომ სისტემატიურად ვამალღებდეთ პოეტური თვითშეგნების დონეს. ეს არის ამოცანა, რომელიც პოეტისთვის მოითხოვს არა მარტო წარსულისა და აწმყოს ფაქტების შესწავლას, არამედ პოეტურად მათი გამოხატვის შესწავლასაც.

ამასთან უახლოესად არის დაკავშირებული მეორე საკითხიც, საკითხი პოეზიის სინთეზიურ აღნაგობისა, მონუმენტალური შემოქმედებისა. ამას მოითხოვს ამჟამად და სწორედ ამჟამად ჩვენი ეპოქა. ჩვენ რომ თვალი გავადევნოთ ჩვენი ეპოქის ევოლუციას, სულ ადვილად შევამჩნევთ, რომ ვიღებთ რა კრიტიკრიუმად პოეტურ ნაწარმოებთა ტიპს, ჩვენ გვაქვს ამ ევოლუციის სამი დიდი პერიოდი.

პირველი პერიოდი: ესაა ახალი ლოზუნგების დრო, ბრძოლის თავდაპირველი სიახლე, ყველა ჭვეყნის მშრომელთაღმი ცხოვრების ახალი პრინციპების გამოცხადება, ახალი ეპოქის დასაწყისი. პოეზიაში დეკლარაციულობა, უფართოესი აზროვნებრივი გაქანება, კოსმიზმიც კი. მაგრამ ყველაფერი ეს — სიბხლი და ხორცი არაა. ეს უფრო პოეტური სქემაა. ეს

პოეზია მეტწილად გმირულ-აბსტრაქტულია, რამდენადაც საზოგადოდ შეიძლება აბსტრაქტულ პოეზიაზე ვილაპარაკოთ.

მეორე პერიოდი. ციებცხელებიანი საქმიანი მუშაობა, მშენებლობა. დროება მოითხოვს კონკრეტულ ცოდნასა და უნარს, უდიდესი კულტურის უფლებას, წვრილმანებისადმი ყურადღებას, იმ მცირედის კულტურას, რომლისაგანაც შედგება დიადი, მოითხოვს სპეციალიზაციას. პოეტური შემოქმედების დარგში — ადგილი აქვს ცხოვრების დანაწევრებულად აღსახვისაკენ გადამწყვეტ მიტრიალებას.

„За каждой мелочью революцию мировую найти“ — ასე ჩამოაყალიბა სათანადო ამოცანა ა. ბეზიმენსკიმ. „კოსმიზმი“, „მსოფლიო სახკომსაბჭოები“ და ა. შ. შეცვალა ემპირიკის დანაწევრებულად ჩვენებამ. პოეზია შევიდა წინა პერიოდის დიალექტიკური უარყოფის ფაზისში. უნივერსალიზმი თავის საწინააღმდეგო რადმე იქცა: დანაწევრებული კონკრეტული, მთელის ნაწილები, ანალიზი — შემოქმედების დომინირებული ტიპი გახდა.

მესამე პერიოდი — ეს არის პერიოდი, რომელშიაც ახლა შევდივართ. ჩვენი ცხოვრება უზარმაზრად გაიზარდა და გართულდა. წარმოების ტექნიკის დაუფლების ამოცანები ჯერ არ გადაგვიწყვეტია, მაგრამ ბევრი რამ უკვე გაკეთებულია. არაჩვეულებრივად გაიზარდა კულტურული მოთხოვნილებები, ინტერესები განუზომლად მრავალფეროვანი შექმნა. ყველაფრის ცოდნის წყურვილი, წყურვილი განვაზოგადოთ, ახალი საფუძვლით ავმალდეთ პროცესის მთლიანობის შეგნებამდის — უდიდესია. აქედან მომდინარეობს სინთეზური პოეზიის და საზოგადოდ სინთეზური ლიტერატურის მოთხოვნილება. ეს არის პერიოდი განმაზოგადებელი პოეზიის ფაზისში შესვლისა, რომელშიაც ეპოქას იძლევიან არა მთლიანის ნაკუწებად, არამედ, შეძლებისამებრ, ყველა მის კავშირის და შუალედებით. ეს ამოსავალი წერტილისადმი უბრალო დაბრუნება როდია; ეს არაა პოეტური დეკლარაციული სტემატიზმისადმი დაბრუნება, არამედ სინთეზია, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ჩატარებული ანალიტიკური მუშაობის საფუძველზე. რასაკვირველია, არ შეიძლება შემოხსენებული დანაწილება მისი აბსოლუტური აზრით გავიგოთ. თითოეული პერიოდის შინაარსი სრულიადაც არ ამოიწურებოდა შემოხსენებული თვისებებით; ამის მტკიცება უბრალო უგუნურება და ფაქტების ელემენტარული უცოდინარობა იწინებოდა. კერძოდ, კონკრეტული ტიპის ამოცანები ჩვენში სრულიადაც არ არის ამოწურული. მაგრამ პოეტური შემოქმედების დიდი მრავალფეროვანების მიუხედავად მაინც გამოიყოფა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ტენდენცია. აი, სწორედ ამ ტენდენციებზე გვაქვს ლაპარაკი. მაშასადამე, აქედან აუცილებლად უნდა გამოვიტანოთ მეორე დასკვნა (ჩვენი პირველი დასკვნა შეეხებოდა იმას, რომ აუცილებელია პოეტური შეგნება

ავამაღლოთ ეპოქის დონემდის და პროვინციალიზმის ლიკვიდაცია მოვახდინოთ): საჭიროა განვაგრძოთ კონკრეტული და ერთეულბრივის ჩამოყალიბება, მაგრამ უნდა გადავდიოდეთ პოეტურ განზოგადებაზე და ვიხედოდეთ ერთეულბრივისა და კონკრეტულის მიხედვით საყოველთაო, უხვ და დანაწევრებულ მთელზე.

აქ ჩვენს წინაშე დგება შემდგომი საკითხი, სახელდობრ საკითხი — პოეტური მასალის მრავალფეროვანებისა და მთლიანობისა.

ოდესღაც კ. მარქსი, როცა გესლიანად დასცინოდა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას, სწერდა: ეს არის უმორალურესი მეცნიერებათაგანი; მისი იდეალია — „ასკეტი“, მაგრამ მევახშე ძუნწი, და ასკეტი, მაგრამ მწარმოებელი მონაო“. „მისი მთავარი დოგმატი, — სწერდა მარქსი, — ეს არის განდევნილობა, ცხოვრებაზე და ყოველგვარ ადამიანურ მოთხოვნილებაზე ხელისაღება. რაც უფრო ნაკლებსა სქამ, სვამ, წიგნებს ყიდულობ; რაც უფრო იშვიათად დაიარები თეატრში, ბალებზე, კაფეში; რაც უფრო ნაკლებად აზროვნობ, გიყვარს, თეორეტიკოსობ, იმლერი, ხატავ, თევზაობ და სხვა, მით უფრო მეტს იზოგავ, მით უფრო მეტად იზრდება შენი სიმდიდრე, რომელსაც ვერ შესჭამს ვერც ჩრჩილი, ვერც ჟანგი — იზრდება შენი კაპიტალი“.

ეს გესლიანი დახასიათება ცხადყოფს მარქსის დადებითს შეხედულებასაც. მარქსისტული კომუნიზმი მიზნად ისახავს ადამიანის მოთხოვნილებათა მრავალფეროვნად განვითარებასაც. ეს არის ორიენტაცია სრულფასოვან, ყოველმხრივად განვითარებულ ადამიანზე და არა საბრალობელ, ცალმხრივ, ამათუიმ მხრით კატასტზე. სიყვარული, თეორეტიკოსობა, ხატვა, აზროვნობა, თევზაობა, — მარქსმა, უეჭველია, განგებ ჩამოთვალა ერთად ასეთი არათანზომადი სიდიდეები, — არა თუ „შეცოდება“ არ არის: ყველაფერი ეს — მშვენიერი ფუნქციებია ცოცხალი და მომქმედი ადამიანისა, რომლისათვისაც შრომაც კი „უპირველეს სასიცოცხლო მოთხოვნილებად“ იქცევა. ამისაკენ მივდივართ. მივდივართ და უზარმაზარი სიმწელებების დაძლევა გვიხდება, მივდივართ ბრძოლით, მაგრამ მაინც მივდივართ. აქედან გამომდინარეობს სავსებით გარკვეული დასკვნა: პოეტური შემოქმედების მასალას შეიძლება და უნდა წარმოადგენდეს კიდევ ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვანებით. ერთიანობა მაში კი არ მდგომარეობს, რომ ყველანი მლერიან ხან ქარხლის, ხან „ცოცხალი ადამიანის“, ხან სოფლად კლასობრივი ბრძოლის, ხან პარტიბლეთის სიმლერას. ერთიანობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გვიჩვენონ მხოლოდ იდეალური ტიპები და მხოლოდ „ბოროტნი“; იმაში კი არა, რომ მოსპონ — ჭალალზე — ყოველგვარი წინააღმდეგობა და უბედურე-

ბანი. ერთიანობას წარმოადგენს ერთიანი ასპექტი, სოციალისტური მშენებლობის ასპექტი. ცხოვრების მთელი ნაირნაირობა და სიუხვე, ყოველგვარი ტდაგედია და კონფლიქტები, რყევანი, დამპყრველობა, ტანდენციითა ბრძოლა — ყველაფერი ეს უნდა შედიოდეს, ურთიერთმისადა, პოეტურ შემოქმედებაში. მაგრამ მოუცველს ვერავენ მოიცავს. ადამიანები სხვადასხვა მხრიდან უდგებიან პრობლემას, ვიდრე საკმარისად ფართო განზოგადებანი არ გამოუნახავთ. ამიტომ უფნურებაა „აკრძალვითი“ ლონისძიებანი. თუ, მაგალითად, „ცოცხალი ადამიანის“ დახატვის კონცეპცია ცალმხრივი იყო, აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ასეთი დახატვა იმასთან დაკავშირებით, რომ „კრიტიკის ფრონტზე“ ხელმძღვანელობა შეიცვალა, ბორტს იქით უნდა მოვისროლოთ და ფაქტიურად ავკრძალოთ.

მაშასადამე, შესამე დასკვნაა: პოეტური შემოქმედების მასალას უნდა წარმოადგენდეს ჩვენი შესანიშნავი ეპოქის მთელი მრავალფეროვანება, ყველა თავისი წინააღმდეგობით; ერთიანობას უნდა მივალწიოთ იმ თვალსაზრისის შემწეობით, რომლითაც დამუშავებულა ეს პოეტური მასალა და არა თითონ მასალის გაერთიანებით; ეს თვალსაზრისი არის პროლეტარიატის ძლევამოსილი ბრძოლის თვალსაზრისი.

რაკი ეს ასეა, — ხოლო ეს უსათუოდ ასეა, — ცხადი ხდება, შემდგომი საკითხის გადაწყვეტაც, საკითხისა, ფორმის ერთიანობისა და მრავალფეროვანების შესახებ. ფორმისა და შინაარსის ზოგადი პრობლემატკა ჩვენ უკვე გადაწყვეტეთ ჩვენი მოხსენების პირველ ნაწილში; ჩვენ აქ ცხადვყავით ერთი მხრით — ფორმისა და შინაარსის თანაფარდობა, მეორე მხრით კი — მათი დიალექტიკური ერთიანობა. ამ შემთხვევაში საჭმე ეხება ფორმის ერთიანობასა და მრავალფეროვანებას. ადვილი მისახვედრია, რომ თუ ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა პოეტური მასალის მრავალფეროვანება — ფორმისა და შინაარსის დაკავშირებულობის გამო — აუცილებელი ხდება პოეტური ფორმის მრავალფეროვანებაც. ელევგისა და სამხედრო სიმღერის რიტმკა არ შეიძლება ერთნაირი იყოს სწორედ იმიტომ, რომ სახის ბგერითი მხარე იმავე დროს მის შინაარსობრივ — ემოციურ მხარესაც წარმოადგენს. მაგრამ თუ ჩვენ შესაწყნარებლად და სასურველადაკი მიგვაჩნია პოეტური მასალის უდიდესი მრავალფეროვანება და, ამის გამო, პოეტური ფორმის უდიდესი მრავალფეროვანებაც, მაშ ამ შემთხვევაში რალა წარმოადგენს გამაერთიანებელ, ფორმაჩამომყალიბებელ მომენტს? მართლაც და, თუ გვაქვს ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, მასალის ერთიანობას (მრავალფეროვან ერთიანობას) უნდა ესატყვისებოდეს ფორმის ერთიანობაც (მრავალფეროვანი

მთლიანობა). ამ კითხვის პასუხი ასეთია: ამ მრავალფეროვანების ერთიანობას იძლევა სტილის ერთიანობა ანუ ერთიანობა მეთოდისა.

ამნაირად, ჩვენ გამოგვაქვს მეოთხე დასკვნა: პუბლიცისტურ მოქმედების ფორმას უნდა წარმოადგენდეს მისი ფრიად მრავალფეროვანი ფორმები, გაერთიანებულნი სოციალისტური რეალიზმის დიდი სტილით ანუ მეთოდით.

მაგრამ აქ ჩვენ ვუახლოვდებით სწორედ სოციალისტური რეალიზმის პრობლემას, რომელიც საჭიროა ცალკე და რაოდენადმე დაწვრილებით განვიხილოთ.

უწინარეს ყოვლისა ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა დავაყენოთ საკითხი მეთოდისა პოეტურ შემოქმედებასა და სტილში. ჩვენ გგვონია, რომ ყოველ შემთხვევაში მოცემულ არეში ისინი ერთმანეთს ემთხვევიან. ავიღოთ რამდენიმე მაგალითი. თუ ლოგიკური აზროვნების დარგში ავიღებთ, მაგალითად, ო. კონტის პოზიტივიზმს, მას ხელოვნებაში ესატყვისება ე. ზოლას ნატურალიზმი. კონტის პოზიტივიზმი — ეს მეთოდია და, თუ გნებავთ, იმავე დროს მეცნიერულ-ფილოსოფიური სისტემა. ე. ზოლას ნატურალიზმი ესთეტიკური ინტერპრეტაცია, ხელოვნების ენაზე პოზიტივიზმის მეცნიერულ-ფილოსოფიური მეთოდოლოგიის გადატანაა. ხელოვნებისთვის ეს იყო მეთოდის ცვლიდან შემოქმედებითი მუშაობის თითონ პროცესში იგი იძლევა მის მათემატიკურ რეგულაციურ იდეებს) და სტილსაც. ვინაიდან შინაარსშიაც, ფორმაშიაც, მთლიანშიაც, ე. ი. მათს ერთიანობაშიაც, ეს მეთოდი, ქვევდებოდა რა, ლიტერატურულად ნივთიერდებოდა გამზადებულ ნაწარმოებში, იქცეოდა შინაარსიან ფორმაჩამოყალიბებულ კონსტრუქციულ პრინციპად. გამზადებულ ნაწარმოებში (და ნაწარმოებებში) მეთოდის ერთიანობა იქცევა სტილის მთლიანობად. რამდენადაც პოეტი მუშაობს გარკვეული მეთოდის შემწეობით, იგი სათანადოდ არჩევს მასალას (რადგან მას არასოდეს არ შეუძლია მოიცვას ყველაფერი სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, იგი ყოველთვის მაინც „ამოირჩევს“ და „გადაარჩევს“); იგი ირჩევს სახეებს, სიტყვებს, ბგერებს, რიტმს, რომლებიც ერთ პოეტურ მთელად შედუღდება ზოლზე, — ძალიან რთული კანონების მიხედვით ერთი ითრევს თავისკენ მეორეს. მაგრამ როდესაც ნაწარმოები მზადაა, მისი კონსტრუქციული პრინციპები — მისი „გაჭვავებული“ მეთოდი, ანუ სხვა სიტყვებით, მეთოდი — პოულობს თავის სხვადაყოფნას ამ ნაწარმოების კონსტრუქციაში. როდესაც ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ნაწარმოებნი, გაერთიანებულნი ზოგადი კონსტრუქციული პრინციპებით, ე. ი. გვაქვს ხელოვნებაში გარკვეული მიმდინარეობა, ამ შემთხვევაში მიმდი-

ნარეობა პოეზიაში, — ეს ყველაზე მეტად ზოგადი (ჩვენ ხაზს ვუსვამთ: ყველაზე მეტად ზოგადი, მაგრამ სრულიადაც არა ყველა) კონსტრუქტიული პრინციპები დამახასიათებელია ამ მიმდინარეობისთვის: სწორედ ეს არის სტილი ამ მნიშვნელობით.

ჩვენ მაგალითად მოვიყვანეთ ზოლა. შეიძლება დაგვესახელებინა აგრეთვე ჩვენებური, რუსული სიმბოლიზმი. მის ფილოსოფიურ, ე. ი. ზოგად აზროვნებრივ, ინტელექტუალურ ორიენტაციას წარმოადგენდა თავისებური მისტიკური იდეალიზმი, კანტის შეზავება ვლადიმერ სოლოვიოვთან. პოეზიაში ამას ესატყვისებოდა სიმბოლიზმი. მისტიკური იდეალიზმი იმპეციენიურ მისტიკურ არსს ეძიებდა მოვლენათა სამყაროს და საზოგადოდ რეალურ სამყაროს იქით. სიმბოლიზმი, როგორც მეთოდი, პოეზიის დარგში ამ რეგულატიული იდეის გადატანას ნიშნავდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ სინამდვილიდან უნდა გავეყთებინათ იმაქვეყნური ნიშნები. ეს, თავის მხრით, სახეთა, მხედველობითი, მუსიკალური სახეების ისეთ შერჩევას, ისეთი ლოგიკური და ემოციური კომპონენტების შერჩევას ნიშნავდა, რომლებიც შეეფერებოდნენ ამ იდეოლოგიურ მოთხოვნას. მაგრამ რაკი ასეთი სამუშაო ჩატარდა, რაკი ამ საფუძველზე აღმოცენდა პოეტური მიმდინარეობა, მეთოდი ჩამოყალიბდა, როგორც სტილი — აღმოცენდა სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული მოვლენა: სიმბოლიზმის პოეზია ფაქტად იქცა.

დავუბრუნდეთ ახლა სოციალისტური რეალიზმის საკითხს. მის ფილოსოფიურ წარნამძღვარს წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმი. ამ თვალსაზრისით, სოციალისტური რეალიზმი არის განსაკუთრებული მეთოდი ხელოვნებაში, შესატყვისი დიალექტიკური მატერიალიზმისა, მისი გადატანა ხელოვნების დარგში (ფრჩხილებში უნდა აღვნიშნოთ, რომ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს, თითქოს თითოეული კარგი პოეტი ჯერ კარგი ფილოსოფოსი უნდა გახდეს; კაჭმირი აქ ბევრად უფრო რთულია, მაგრამ ეს ცალკე საკითხია). რას ნიშნავს ეს? რა არის სოციალისტური რეალიზმი? რა არის მისი განსაკუთრებული თვისებები? რითი განსხვავდება იგი რეალიზმისგან საზოგადოდ?

მეცნიერების დიალექტიკური მატერიალიზმისგან განსხვავებით, სოციალისტური რეალიზმი არ შეიძლება მიზნად ისახავდეს ისეთ ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის არსებულ განსხვავებათა რაობიდან. მოხსენების პირველ თავში მოცემულ ანალიზიდან ცხადია, რომ მაგალითად, ბუნების აწერის დროს, სოციალისტურ რეალიზმს არ შეუძლია მიზნად დაისახოს აუცილებლად იაზროვნოს ელექტრონებით, სინათლისა და სითბოს ტალღებით, შუქით და სხვა, — წინააღმდეგ ბეგრებისა, ფერებისა და სხვა უშუალოდ შეგრძობადი მომენტებისა; როდესაც იგი საზოგადოებას გვიხატავს, მას

არ შეუძლია ამოცანად დაისახოს ის, რომ საქმე ჰქონდეს ღირებულების, ბაზისის და ზედნაშენის და სხვა კატეგორიებთან; მას უწინარეს ყოვლისა, შეგრძნობად სახეებთან აქვს საქმე და ინტელექტუალური მამოძრავებელი კი გარკვეულ ემოციურ იერს ღებულობენ. უამისოდ არაა — ხელისუფლება და კერძოდ პოეზია. მაგრამ რეალიზმი საზოგადოდ და სოციალისტური რეალიზმი, კერძოდ, როგორც მეთოდი, — მტერია ყოველგვარი იმაქვეყნურობისა, მისტიკისა, იდეალიზმის ყოველგვარი სხვა სახისა. ეს არის მისი მთავარი და გარკვეული ნიშნულობა.

„Omnis determinatio est negatio“ — „ყოველი განსაზღვრა არის უარყოფა“ — იტყოდა მოხუცი სპინოზა. რეალიზმის უარყოფითი განსაზღვრა ის არის, რომ იგი — იდეალიზმი არაა, მისტიკა არ არის, მაგრამ ეს უარყოფითი განსაზღვრა იმავე დროს მისი დადებითი განსაზღვრაც არის. ეს ნიშნავს, რომ გამოსახვის მასალას წარმოადგენს გრძნობადი რეალობა და მისი მოძრაობა და არა მისი ფიქტიური სუბლიმატები, ნამდვილი გრძნობანი და ვნებანი, ნამდვილი ისტორია და არა ათასგვარი „მსოფლიო სულის“ ვარიანტები. ამასთან შეფარდებით, აქ ფორმალური მომენტებიც სხვანაირი იქნება, ვიდრე, ვთქვათ, სიმბოლიზმში. აქ სახეთა ერთობილობა, სიტყვიერი ინსტრუმენტირება ემსახურება სრულიადაც არა იმაქვეყნურის გამოვლინების პრინციპს, არამედ სინამდვილისა და გრძნობის რეალურ მოძრაობათა უცხადესად რეპროდუქტირებას. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ რეალიზმი ფორმის თვალსაზრისით — გამორიცხავს მეტაფორებს, მათ შორის გასულიერებასაც. ყველაფერი, რაც აძლიერებს გრძნობად ზეგავლენას, შედის და შეიძლება შედიოდეს პოეტურ სიტყვარის შემადგენლობაში, ვინაიდან იგი შეიცნობა, როგორც მეტაფორა. „და თერგი ხტოდა, როგორც ძუ ვეფხვი“ — არ ეწინააღმდეგება რეალიზმს, როგორადაც არ ეწინააღმდეგება რეალიზმს უკულმა მეტაფორა, ცოცხალზე მკვდარის ვადმოტანა: „იგი იწვა, როგორც ფენა“.

რითი განსხვავდება სოციალისტური რეალიზმი, რეალიზმისგან საზოგადოდ? იგი განსხვავდება, უწინარეს ყოვლისა, ხელოვნების მასალით. ჩვენ არა ერთხელ გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ფორმისა და შინაარსის ერთიანობა არ გამორიცხავს მათს პირისპირობას. ჯერ კიდევ ტრედიაკოვსკი სწერდა: „პოეზიაში ორი რამ უნდა შევამჩნიოთ. პირველი: მატერია ანუ საქმე, რომელსაცა პიიტი განიზრახავს წერად. მეორე: ვერსიფიკაცია, ე. ი. ლექსთა შეთხზვის წესი“ *). უბრალო რეალიზმისაგან სოციალისტური რეა-

*) Новый и краткий способ к сложению российских стихов с определениями до сего подлежащих званий. Через Василия Тредиаковского, С.-Петербургския Императорския Академии Наук Секретара“. Сб. мат. для ист. Имп. Ак. Наук в XVIII. изд. А. Куняк, часть I. С. 1865.

ლიზში იმით განიჩხევა, რომ ყურადღების ცენტრში იგი უკვე აღადგინებს სოციალიზმის მშენებლობის, პროლეტარიატის ბრძოლის, ახალი ადამიანისა და თანადროულობის დიადი ისტორიული პროცესის ყველა მრავალნაირ და ურთულეს „კავშირებისა და შუალედოვანი გამჭვირვალის“ ამასთანავე ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ პოეტურ ერთიანობაში თანაარსებობენ აგრეთვე ინტელექტუალური, ემოციური და ნებისყოფითი მომენტები და ქმნიან ერთიან განუყოფლობას. განსაზღვრული წარმართველი შეფასებითი მომენტები, კლასობრივი ნიშნულობა, მიზანმიმართულებულობა — ყოველგვარ ნაწარმოებში მოიპოვება, თუგინდ ძალიან შეუმჩნეველი და სუბლიმირებული ფორმით. პროლეტარიატის გამარჯვების თვალსაზრისი, რასაკვირველია, სოციალისტური რეალიზმის მთელი შემოქმედების კონსტიტუტიური ნიშნულობაა, მისი „საზოგადოებრივი შინაარსია“.

მაგრამ მართო ეს განსხვავება? იქნებ კიდევ არსებობს მეთოდოლოგიური, მაშასადამე, სტილებრივი თავისებურებანი სოციალისტური რეალიზმისა, რომლებიც განასხვავებენ მას ბურჟუაზიული რეალიზმი-საგან?

რასაკვირველია, ასეთი მომენტები არის.

ეს მომენტები უახლოესად დაკავშირებული არიან მასალის შინაარსთან და ნებისყოფური ხასიათის მიზანსწრაფვასთან, რომელსაც პროლეტარიატის კლასობრივი პოზიცია გვიკარნახებს. ჩამოყალიბებაში მყოფ სოციალისტურ საზოგადოებაში თანდათან ჰქრება განსხვავება ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის; იბადება ახალი ტიპის ადამიანი, რომლის ინტელექტი და ნებისყოფა გაორებული არაა: იგი ნამდვილად შეიცნობს მსოფლიოს, რომ შეცვალოს იგი; აქ წარსულში რჩება ჰერეტიკი, ობიექტურის უბრალოდ და ისე გამოხატვა, რომ არ გაარკვიონ მოძრაობის ტენდენცია, წარსულში რჩება საგნობრივი ქვეყნის პრაქტიკული შეცვლისთვის ორიენტაციის უჭონლობა. ამიტომ სოციალისტური რეალიზმი არ შეიძლება იდგეს ზოლას ნატურალიზმის ნიადაგზე, რომელიც წინადადებას იძლეოდა სინამდვილე დაგვეხატა „telle, q'uelle est“ („ისეთად, როგორიც ის არის“) და სხვა არაფერი. მას აგრეთვე არ შეუძლია მიიღოს მეორე მისი ლოზუნგიც: „L'imagination n'a plus d'emploi“ („წარმოსახვა აღარ გვესაჭიროება“). სოციალისტურმა რეალიზმმა უნდა გაჰბედოს და უნდა „იოცნებოს“ კიდევ. იოცნებოს განვითარების რეალურ ტენდენციებზე დაყრდნობით.

ამასთან დაკავშირებითვე დგას რევოლუციური რომანტიკის საკითხი. თუკი სოციალისტური რეალიზმი განიჩხევა თავისი აქტიობით, თავის მოქმედინობით; თუკი იგი შიშველ ფოტოგრაფიას არ იძლევა; თუკი იგი ბრძოლისა და ვნებათა მთელ სამყაროს აპროექტირებს მომავლისაკენ; თუკი გმირული საწყისი მას ისტორიის ტახტზე აჰყავს,

მაშინ რევოლუციური რომანტიკა მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ჩვეულებრივად რომანტიზმს უპირისპირებენ რეალიზმს. ეს იმიტომ რომ რომანტიზმი მეტწილად დაკავშირებული იყო მეტაფიზიკურ სფეროებში და „იმა ქვეყნებში“ იდეალისტურ ფრენასთან. მწერალისა და მშვენიერის“ ამაღლებულ ემოციას საგნობრივი მსოფლიოს იქით მიჰყავდა ისინი. ეს ასე იყო, მეორე მხრით, იმიტომ რომ რეალიზმი გამოხატავდა ვიწროსა და ჰერეტიკოს, ეგრეთწოდებულ „ობიექტივიზმს“. ვიწროს — იმიტომ რომ ვერ გამოავლენდა მომავლისკენ წაშვებულ ტენდენციებს. ჰერეტიკოს — იმიტომ რომ სჯერდებოდა მხოლოდ არსებული კონსტანციას, თუმცა, რასაკვირველია, არა მისი „წმინდა სახით“. ჩვენს პირობებში რომანტიზმი, უწინარეს ყოვლისა დაკავშირებული ჰერეტიკოსთან, ორიენტირებულია სრულიად არა მეტაფიზიკური ცისკენ, არამედ დედამიწისკენ ყოველგვარი მისი გაგებით: ორიენტირებულია მტერზე გამარჯვებისათვის, ბუნებაზე გამარჯვებისთვის. მეორე მხრით, სოციალისტური რეალიზმი არსებულის უბრალო კონსტანცია როდია, არამედ ხელს სჭიდებს რა აწმყოში განვითარების ძაფს, მიჰყავს იგი მომავლისკენ და მიჰყავს აქტიურად. იმიტომ რომანტიზმის დაპირისპირება სოციალისტური რეალიზმისადმი — ყოველგვარ აზრს არის მოკლებული.

ძველი რეალიზმი ერთგვარად ანტილირიკული იყო. იმავე დროს ძველი ლირიკაც — ერთგვარად ანტირეალისტური იყო. სოციალისტურ რეალიზმს არ შეიძლება ადამიანისადმი ორიენტირება არ ჰქონდეს. საბოლოო ანგარიშში სოციალიზმი არის ახალ ადამიანურ კვალიფიკაციათა დაბადება, სულიერი შინაარსის გამდიდრება, მრავალმხრივობის განვითარება, ლიკვიდაცია კლასებად, ვიწრო პროფესიებად, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებად დაფლეთილი ადამიანების დაჩაგრულობისა. ამ დაბადებაში მყოფი ადამიანის ემოციების მთელი არე, „ახალი ეროტიკის“ (თუ ასე შეიძლება ითქვას) ჩათვლით — ეს არის სოციალისტური ხელოვნების არე. ლირიკა სოციალისტურ რეალიზმთან კონფლიქტში როდი იმყოფება. ეინაიდან ეს არის არა ანტირეალისტური ლირიკა. იმაქვეყნური სამყაროს მძებნელი, არამედ იგი პოეტური ვაფორმებაა მშობიარობაში მყოფი სოციალისტური ადამიანის სულიერი მოძრაობებისა. სოციალისტური რეალიზმი ანტილირიკული არაა.

აქ შეიძლება დაისვას კიდევ ერთი მომიჯნავე კითხვა: სოციალისტური რეალიზმი ანტილირიკული არაა, მაგრამ იგი ანტიინდივიდუალისტური ა. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი არ გვიჩვენებდეს და არ ზრდიდეს მას. სოციალიზმი, როგორც ცნობილია, ნიშნავს პიროვნების გაფურჩქვნას. მისი შინაარსის გამდიდრებას, მისი, როგორც პიროვნების, თვითშეგნების ზრდას. მაგრამ აქ ინდივიდუალობის ზრდა

სრულიადაც არ არის ზრდა ინდივიდუალიზმისა, ა. ი. იმისა, რაც ადამიანებს სთიშავს. პირიქით, კოლექტიური დაკავშირებულობის გრძნობა სოციალიზმის ერთერთი მნიშვნელოვანი თვისებათაგანია და მისი პოეტიზირებული ფორმა აუცილებლად უნდა დაეტყოს სოციალისტური რეალიზმის სტილებრივ თავისებურებასაც. ამნაირად, სოციალისტური რეალიზმი ანტიინდივიდუალისტურია.

ჩვეულებრივი აზრით გაგებულ ძველ რეალიზმს ეწინააღმდეგება ისეთი ტიპის პოეტური ნაწარმოებები, რომელშიაც მოცემულია ეპოქა მისი ყველაზე ზოგადი და უნივერსალური განსაზღვრით და ეს განსაზღვრები ჩამოყალიბებულია კონკრეტულ-ამსტრაქტულ სახეებად, საზღვრითი განზოგადების, და იმავე დროს უზარმაზარ შინაგან სიმდიდრის სახეებად. ასეთია, მაგალითად, ვიოტეს „ფაუსტი“. ფორმით ეს სრულიად არ არის კონკრეტული ისტორიული პროცესის გამოხატულება, არამედ გამოხატულებაა ადამიანის სულის ბრძოლისა. და იმავე დროს, „ფაუსტი“ — ეს არის თავის თავის განმამტკიცებელი ბურჟუაზიის ეპოქის ფილოსოფიურ-პოეტური კონცეპცია. პოეზიის მეორე ანალოგიური ტიპი, სხვა ყალიბისა, გვაქვს, მაგალითად, ე. ვერჰარნის „რიერაის“ სახით, რომელშიაც მოცემულია „სიმბოლური“ ქალაქი „Oppidomagne“, სადაც სოციალისტური რევოლუცია ჩაღდება. მე მგონია, ისეთი ტიპის პოეზია, როგორიცაა „ფაუსტი“, სხვა შინაარსით და, მაშასადამე, აგრეთვე სხვა ფორმით, მაგრამ განზოგადების საზღვრითობის შენარჩუნებით, უეჭველად შედის სოციალისტური რეალიზმის შემადგენლობაში და სოციალიზმის პოეტური შემოქმედების ფრიად მონუმენტალურ ფორმას ჰქმნის.

ასეთია სოციალისტური რეალიზმის ძირითად თვისებათა ძირითადი თავისებურებანი. მაშასადამე, ჩვენ აქ გამოგვაქვს მეხუთე დასკვნა, სახელდობრ: სოციალისტური რეალიზმი არის სოციალისტური პოეზიის პოეტური შემოქმედების მეთოდი და სტილი; იგი გვიხატავს ნამდვილ მსოფლიოს და ადამიანთა გრძნობების სამყაროს; მისი სტილი განსხვავდება ბურჟუაზიული რეალიზმის სტილისაგან თავისი პოეტური გამოსახვის ობიექტთა შინაარსით და თავისი სტილებრივი თავისებურებით.

ახლა აუცილებლად საჭიროა ცოტა უკან მივბრუნდეთ. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ პოეტური შემოქმედების მასალას უნდა წარმოადგენდეს ეპოქის მთელი მრავალფეროვანება, სადაც ერთიანობა მიიღწევა სოციალიზმის თვალსაზრისის შემწეობით. ჩვენ დავინახეთ, რომ პოეტური შემოქმედების ფორმებად შეიძლება გამოვიყენოთ ფრიად მრავალფეროვანი ფორმები, სადაც ერთიანობას ერთიანი სტილი იძლევა. აქ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს სტილი წარმოადგენს მასალას-

თან განუყრელ ერთიანობას. ასე იბადება სოციალისტური რეა-
ლიზმის პოეზია.

ჩვენი დაეინახეთ, რომ ჩვენი პოეზიის განვითარება, კულტურის სა-
ზოგადოდ ჩვენი პოეტური კულტურის უზრუნველყრად
ამაღლებას. უნდა პირდაპირ ითქვას: ჩვენი პოეზია ხანდახან — და
სწორედ ჩვენთან ყველაზე მეტად ახლო მდგომ ადამიანების პოეზია —
ელემენტარულია. მნიშვნელოვანი ნაწარმოების ერთერთ ნიშნეულობას
კი წარმოადგენს იმ ასოციაციებისა და გრძნობების, აზრებისა და გადა-
კვრითი ნათქვამების სიუხვე, რომლებსაც იგი აღვიძებს. თქვენ რომ აი-
ლოთ და ჩვენი პოეტების მთელი რიგი ნაწარმოებნი შეადაროთ იმავე
ვერპარსს, დაინახავთ, თუ რაოდენი აზრი, ხშირად ფილოსოფიურიც
კი, რამდენი პრობლემები, შედარებები, სახეები, რაოდენი კულტურა
აქვს ამ უკანასკნელს. ჩვენში ხომ ვარითმული ლოზუნგი ხშირად პოე-
ზიად მიაჩნიათ! აქ შეიძლება მაიაკოვსკი დაიმოწმონ. მაგრამ ხანი-
ერობის დაღი ერთგვარად მასაც ამჩნევია: ვინაიდან ცხოვრება არაჩვეუ-
ლებრივად გართულდა და საჭიროა წინსვლა. კულტურა, კულტურა და
ერთხელ კიდევ კულტურა! დროა გადაჭრით ბოლო მოვუღოთ ჯგუფობ-
რივ ორომტრიალსა და ბოჰემურობას. უნდა გვახსოვდეს, რომ ნამდვილად
დიდი ოსტატები, „მსუბუქი სუნთქვის“ ადამიანებიც კი, როგორც იყო
პუშკინი, ჩვენი შესანიშნავი გენიოსი, ვითომ „უზრუნველი“ და „ზე-
რელე“; ნამდვილად მუშაკი იყო, ერუდიტი და თავისი დროის კულტუ-
რის მწვერვალში იყო მოქცეული. სიბრიყვე იქნება ყველა პოეტს რომ
მოვთხოვოთ, რომ ისინი უეჭველად ჩინებული ფილოსოფოსები და კრი-
ტიკოსები იყვნენ. შემთხვევითი როდია, რომ ზოგი პოეტი ხდება, ზოგი
კიდევ ფილოსოფოსი. აკადემიკოსი პავლოვის უკანასკნელი
ნაშრომები გეიხსნის ამ მოვლენის ფიზიოლოგიურ მხარეს. მაგრამ აქე-
დან არ გამომდინარეობს, რომ უკუვავდოთ იმის მოთხოვნა, რათა გადა-
ჭრით მთელ ფრონტზე ავამაღლოთ პოეტების საერთო კულ-
ტურა და პოეტური კულტურა. ახლანდელ დონეზე დარჩენა
შეუძლებელია. ისინი კი, ვისაც სურს ნამდვილად შექმნას „ლიტე-
რატურის მაგნიტოსტროები“, უნდა შეიარაღდნენ ხელოვნებისადმი მოწი-
წებითი დამოკიდებულებით და ყველაფერი გააკეთონ, რომ მსოფლიო
კულტურის ყველა საგანძურში თავს ბატონ-პატრონად გრძნობდნენ.

უნდა გავებედოთ!

(დასასრული)



გიორგი ნატროშვილი

ნიკო ლორთქიფანიძე

პროსპერ მერიმეს თქმით კაცისმკვლელობით და სქესობრივ ანარქიზ-
მით სახელგანთქმულ დონ-ჟუანის საფლავის ქვაზე თვით განსვენებულის
ანდერძით შემდეგი ეპიტაფია ამოსკრეს: აქ განისვენებს უსაზიზღრესი
ადამიანი, რომელსაც ოდესმე ქვეყნად უცხოვრიაო. ადამიანების და სა-
ზოგადოებრივი კლასების „ბედ-იღბალი“ ძლიერ ჰგავს ერთი-მეორეს.
სსეთივე ეპიტაფიაა ფეოდალურ კლასისათვის „ყამთა სიამე“ და მრისხანე
ბატონი“. და ამ ეპიტაფიის ავტორი არის თვით განსვენებულ კლასის
იდეური შთამომავლობის წარმომადგენელი. ნ. ლორთქიფანიძის ამ მოთხ-
რობებში ნაჩვენებია ფეოდალიზმი იმ დროს, როდესაც ჯერ არ დანგრეუ-
ლიყო მისი ბუდეები, ეს არის ბნელი დრო საშუალო საუკუნეების, მუდ-
მივი წიწვო-გლეჯის, ადამიანებით ვაჭრობის და ფარ-ხმალის ჰეგემონიის
ეპოქა. საუკუნეების მანძილზე საქართველო დაყოფილი იყო ცალკე ფეო-
დალებს შორის. ქართლს, კახეთს, იმერეთს, ოდიშს, სამცხე-საათაბეგოს
ცალკე მეფენი განაგებდნენ. ებრძოდნენ ერთი-მეორეს არა მარტო ეს „სა-
ხელმწიფოები“, არამედ თითოეულ მათგანის შიგნით მყოფი თავადებიც.
რა თქმა უნდა, მთელი ეს ომები გლეხების ზურგზე ჭდადიოდა. საუკუ-
ნეთა განმავლობაში მათ შინაური და გარეული მტრები ტყავს აძრობდნენ,
ზოცავდნენ და სცარცვავდნენ, ამავე დროს მართლმადიდებელი ეკლესია მათ
სათნობასა და მოთმინებას ურჩევდა. რელიგიაც მათ საწამებლად იყო
მოგონილი, სამართალიც, მათ აბსოლიუტურ უფლებობას ჭადაგებდნენ
ვახტანგ მე-4-ს და ბექა აღბულა ათაბეგების კოდექსებიც. აი ეს ეპოქა
დახატა ნიკო ლორთქიფანიძემ. განა ცოტა რამ დაწერილა ჩვენს ლიტე-
რატურაში ფეოდალიზმის შესახებ? იყვნენ მწერლები, რომელთაც სცადეს
გაელაშხებიათ ეს ბინძური ეპოქა, მათ უნდოდათ მგლები ანგელოსებათ
გამოეყვანათ; ნიკო ლორთქიფანიძეს უფრო თავისებური და სხვაგვარი
პოზიცია ეჭირა.

ნიკო ლორთქიფანიძემ გრძელი სამწერლო გზა გაიარა. დღემდე ის
იყო უკანასკნელი ჰეშმარიტი მემკვიდრე ფეოდალურ ლიტერატურისა.

ნიკო ლორთქიფანიძის „ნანგრევთა სურნელების“ ყდაზე არის/სურათი ქალისა ქართული ნაციონალური ტანსაცმელით, იქვე შორს მოსჩანს მწვანე მთები და ციხეკოშკი, მთის ფერდზე სოფელია, ისტორიული კოშკით. და რაც მთავარია ამ სურათში — ეს არის შთაბეჭდილება ფეოდალურ სიძველის, ნანგრევთა მყუდროების, აქ შეგრძნობილია გარდასვლის კოლორიტი, ისტორიულ ნაშთების მელანქოლია.

მწერალი სცდილობს დახატოს ქართული რაინდობის სახე. მაგრამ ეს რაინდები არიან ისტორიის მიცვალებულნი, მათ საფლავზე საუკუნეებია გადაფარებული, რამდენიმე თაობის სიარულმა უკვე წაშალა მათი ნაკვალევი. ამ თემის დასამუშავებლად მწერალს უნდა პქონდეს ისტორიკოსის ერუდიცია და ნიკო ლორთქიფანიძეც შესანიშნავი მცოდნეა ამ წოდების ყოფა-ცხოვრების და მორალის. ნ. ლორთქიფანიძის ისტორიული ქრონიკები კლასიკურ სიმალდემდეა აყვანილი. ეს მით უმეტეს აღსანიშნავია, რომ ისტორიის მხატვრული მოთხრობა ყოველთვის სახიფათოა, უნდა დაიცვა სუნთქვა ძველი ეპოქისა, ამის ვარჯიშზე მწერალს დაემართება ისეთივე მარცხი, როგორც ეს დაემართა რჩეულიშვილს, რომლის რომანში მე-12 საუკუნის ცხოვრებიდან თოფების ხშირი სროლაა გამართული, თოფის წაშალი კი მე-14 საუკუნეში გამოიგონეს. ისტორიული მოთხრობა პირველ რიგში აუცილებლად უნდა იცავდეს ეპოქის სოციალ-ეკონომიურ ძალთა ვითარების სწორ გაგებას.

ლორთქიფანიძის მთავარი ღირსება ის არის, რომ ისტორიულ ქრონიკებში ის რჩება სოციოლოგიურ მხატვრად, ლორთქიფანიძემ დახატა ფეოდალიზმის სოციალური წყობილება, ფეოდალიზმის შენობა, მან ისიც გვიჩვენა, რომ ამ შენობის ქვედა-სართულებში და სარდაფებში ცხოვრობენ ყმები, იმათი ცხოვრება კენესა და წამებაა. როგორია ავტორის დამოკიდებულება ამ ეპოქისადმი. ობიექტიურად ეს „პრისხანე ბატონი“ არის მკაცრი კრიტიკა ფეოდალიზმისა შიგნიდან, ესაა ზურგიდან მახვილის ჩაღვრა და იმის გამანადგურებელი დაცინვა. რაც ყველაზე უფრო მეტად გიყვარს ქვეყანაზე. მწერლის სინანული ამ წყობილებისადმი მაინც ჩანს იმდენად არა „გამთა სიამეში“ და „პრისხანე ბატონში“, რამდენადაც „დანგრეულ ბუდეებში“. თუ კი მწერლის იდეოლოგია ამ პერიოდში ფეოდალური და რეაქციონურია — მაშინ რათ აკრიტიკებს ასე სასტიკად მწერალი ფეოდალიზმსაო, იკითხავს მკითხველი. ამ საკითხზე შემდეგი პასუხი უნდა ვაგვცეთ: ძნელი არაა მწერლის შემოქმედებაში ვიცნოთ იმ რეალიზმის უდიდესი ძალა, რომელმაც აიძულა ვოგოლი სასტიკი დაცინვით მასხარათ აგღო თავის საყვარელი ძველი რუსეთი, აიძულა ბალზაკი მუსულიყო თავის პოლიტიკურ მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. ასეთია რეალიზმის ბუნება. სერუობს მხოლოდ ის მხატვარი, რომელიც სრულებით არ არის მხატვარი, როგორც ამბობს ლუნაჩარსკი. ნამდვილი ხელოვნება რეალიზმს ისტორიულ სიმართლემდე მიჰყავს, თუნდაც ეს სიმართ-

ლე მისი კლასის წინააღმდეგ იყოს მიმართული. ასეთი აზროვნების გამოვლინება ენგელსმა ბალზაკის შესახებ, ლენინმა ტოლსტოის შესახებ. რეალიზმი არწმუნებს მწერალს, რომ შუე ერთდამევე დღეს მეორედ აღარ ამოვა, რომ მიცვალებულნი მკვდრებით აღარ აღსდგებიან; მწერალი კარგი და კეთილშობილი ადამიანები დამებატა, მაგრამ რა ვქნა — ისინი არ არსებობენო" ამბობდა გოგოლი. ასევე შეეძლო ეთქვა ლორთქიფანიძეს ფეოდალების შესახებ. რეალიზმი მას არ მისცემდა ნებას სისხლის მსმელ ლევანის („მრისხანე ბატონი“) ნაცვლად სათნო და კეთილი ადამიანი დაენახა ფეოდალის ბუნებაში. რეალიზმის, ლალატი კი მისთვის ლიტერატურული სიკვდილი იქნებოდა.

„პეროლდი წინ და უკან აღარ დარბის, საყვირების ხმა ისმის, მხოლოდ აღმოსავლეთსა და დასავლეთზე ლაპარაკობენ. შუბები საზარლად წამთიშვირეს. წვეტიანი დეზები ცხენებს ფერდებში ერკობიან. აი შემოპარნი, რომლებმაც ომიც იციან და ცხენებზე ჯდობაც. შუბი ფარზე ტყდება, რაინდი მის დარტყმას გრძობს, ხმლებმაც გაიღღვეს. ჩაფხუტი შუაზე გაიბო და სისხლი ნაკადულივით ვადმოსკდა“.

(ჩაუსმარი, 15 ხაუკ. კოპიტი).

ეს არის სურათი რაინდული ეპოქიდან, ესაა აღწერა მომენტის, როცა მიჩუმიდება პეროლდი და მის მიერ გამოძახებული მებრძოლნი შეტაკებიან ერთი-მეორეს. ამგვარ ადამიანთა და ამბავთა ცენტრში ტრიალებს ნიკო ლორთქიფანიძის „რაინდები“. ეპიგრაფში მწერალი ამბობს, რომ ეს მოთხრობა დაწერილია მწარე ლამეებში ნალვლიან ფიქრების გასაფანტავად. მოთხრობა საქართველოს ცალკე კუთხეების ფეოდალთა ბრძოლას გადმოგვცემს. მწერალმა კარგად იცის ფეოდალთა ბრძოლის თუ ზეიმის წესები, ისე როგორც გოგოლმა იცოდა ჩინოვნიკური წრე თავის ქრთამებით და კარტის თამაშით. ლორთქიფანიძე გადმოგვცემს დრო და სივრცის კოლორიტს ფეოდალთა ყოფის, მათი საუბრის ეესტის და ტანსაცმელის, ოთახის მოწყობილობის და ქცევის აღწერით. აი ეს რეალისტური კანონზომიერება დაცულია „რაინდებში“. მოთხრობაში ადამიანთა მოქმედების ბაზისად ეკონომიკაა მიჩნეული. როცა „კავკასიონში“ პირველად დაიბეჭდა ეს მოთხრობა, ავტორი თითქო წინასწარ თავს იცავდა და ამბობდა, რომ „ისტორიული გამოკვლევა“ კი არ მქონდა მიზნად, არამედ „ხანის ელფერის, კოლორიტის გადმოცემაო“; მწერალი აქ სიმართლეს ამბობს: მოთხრობაში მოსჩანან ეპოქის დალით გატიპიურებული ადამიანები. მეფის ხუმრობასა და ლაზიკას ლაზლანდარობაშიაც კი ჩანს ორი ცალკე ფსიქოლოგიური ქვეყანა. ბრძოლის დაწყებამდე ლაზიკამ ცხენი მოიპარა მტრის ბანაკიდან, მაგრამ ცხენი ავად გაუხდა:

— ანუ შე მგლის არჩივო! კიდევ დაწოლა გინდა!? შეუწყრა ლაზიკა ცხენს!

— დაწვეს, დაწვეს... ახლა მაგას მოსვენება მოუხდება... უწამლე რამე?

— კი, ბატონო... თოფის წამლიანი არაყი დავალევიზე, მეტი რა უყო!

— თოფის წამლის მაგიერ საბონი დაველევიზებია სჯობდა, მაგრამ არაფერია, — მეფე დაიხარა მუხლებზე და მუცლის ქვევით დახედა. — თამ გადატყავებულზე კი წაუსვი თოფის წამალი... სიმიინდი აქამე.

მზე ჩადიოდა.

„რად აქცევს ჩემს ცხენს ამდენ ყურადღებას მეფე?! ვაი თუ წამართვან“. — ელვის სისწრაფით გაუარა თავში ლაზიკას. — არა, აპ, ჩემს ცოდვაში როგორ ჩაადგამს ფეხს“?!

აქ ნათლად სჩანს სამეფოს ეკონომიური ავლა-დიდება. ლაზიკას შიში — მეფის სამფლობელოს ჭონებრივ სისუსტეს ააშკარავებს. ეს სამეფო ერთი ნაწილია საქართველოსი, რომელიც ებრძვის მეორე ნაწილს. მოთხრობიდან სჩანს მწერალს გული სტკივა ამ ხალხისათვის, უყვარს ეს ჯაპყვის პერანგიანი მეფე და ვაჟკაცობით განთქმული აგიაშვილი. მოთხრობა ვადმოგვეცემს ისეთ ამბებს, რომელნიც ასურათებენ გმირობის და რაინდობის კულტს. აი ერთი მაგალითი. ბრძოლის წინ მეფე თავის კარავში ჭადრაქს თამაშობს. „ვერ მოასწრო ხელში აღებული მხედრის ვადასმა, რომ კარავი შეიძრა და მოისმა ზარბაზნის ხმა.

მეფემ ზევით აიხედა, კარავის წვერი იწოდა.

— გამოიჩანეთ რაც რომ არის... — კარავი წააქციეთ და ჩააქრეთ ცეცხლი, არ გადავიდეს — მშვიდათ გასცა ბრძანება მეფემ და ჭადრაკი აიღო, წამობრძანდი შენს კარავში — იქ დავათავოთ“.

ერთი სიტყვით მეფე ისე დამშვიდებულია, თითქო ხუთი წუთის შემდეგ ბრძოლა კი არა ბანკეტი იწყებოდეს. ეს პროფესიონალური მეომრის ფსიქოლოგიაა, „რაც მალე შევეპყვევით, მით უკეთესია“ — ამბობს მეფე ბრძოლის შესახებ. და შემდეგ ბრძოლაშიაც კი არ არღვევენ „ზრდილობის“ წესებს. აფხაზეთის მთავრის შვილი დამარცხების შემდეგ ქეიფობს მეფის ამაღასთან ერთად, აი რას ეკითხებიან მას:

— „მაშ გულახდილად სთქვი საჯაროდ, რატომ არ შეუტეე მეფეს, როცა ერთმანეთს შეხვდით, ხომ კი ეძებდით მას.

ბატონიშვილმა თავი ჩალუნა და მეფეს შეხედა, თითქოს ჰკითხავდა, ეთქვაო?

— ბრძანე, ბრძანე...

— მირონცხებული მეფე — მორცხვად წარმოსთქვა ყმაწვილმა — ჩემზე ხნითაც უფროსია და გვარიშვილობითაც უმაღლესი — პირველად მას უნდა ენებებია ხმლის მოქნევა...“



ერეკლესული

- ყოჩაღ.
- დაგელოცა სიტყვა-პასუხი!
- ვენაცვალე შენს ვაჟეაცობას“.

რასაკვირველია, ეს უკვე იდეალიზაციაა თავადვე დასაჯილდოებულ სოა აგრეთვე გლეხი ლაზიკა, ის ნამდვილი მარადიორია; ლაზიკა, მგავსად შექსპირის, ვალტერ-სკოტის ტრადიციისა, როცა დაბალი წოდების ხალხი მაინც და მაინც კლოუნებად გამოჰყავდათ — აქაც მასხარას სახითაა ნაჩვენები. როდესაც ძველად ლიტერატურაში სწორდენ მეფეების შესახებ — თითქო რაღაც ციურ ნათელს ხედავენ მათ თავზე. ნ. ლორთქიფანიძემ კი სავსებით განდევნა ეს პირობითობა, რადგან სადაც ნატურალიზმია იქ პირობითი აღარაფერი არ შეიძლება იყოს. ამგვარ ნატურალისტურ ხაზებითაა დახატული მეფე, მისი დიდებულები და მორჩილები, მისი ფსიქოლოგიური ქვეყანა. დედოფლის ხასიათიც ამგვარ ხაზებშია გაშლილი.

„ბნელდებოდა.

და დაიწყო მოსაყირობელი ალერსი — ნახევი და ნაგლეჯი ტარიელ-ავთანდილის მიჯნურობისა, სპარსელი მგოსნებისა, თუიშურაზის ლეჟსებისა, რომელნიც ახლაც ისმიან ბაიათებსა და მუხამბაზებში.

აქ იყო „კოკობი ვარდი“, „ალვის ტანი“, თუმცა დედოფალი კარგა შემრგვალებული, თვალქუქუნა, შუახნის მიხწეული ქალი იყო“.

ასეთია ეს გვირგვინოსანთა სიყვარული. აქ ნაშთიც აღარ არის ძველი რომანტიზმისა:

მაგრამ — „რაინდებში“ არ მოსჩანს ფეოდალურ იერარქიის მთელი სიბინძურე, როგორც ამას ვხედავთ „მრისხანე ბატონში“. ეს მოთხრობა დაწერილია 1911 წელს. მანამდე და მას შემდეგაც იგი არის ყველაზე უფრო საუკეთესოდ დახატული პორტრეტი სისხლის მსმელი ფეოდალისა; საკმარისია ყმამ კარგი სიტყვით ახსენოს ამ თავადის არა ნამდვილი დისწული, არამედ მისი დის გერი, რომ ამისთვის შიკრიკი საშინელი წამებით მოჰკლან.

აი ეს ამბავი: „ბატონმა წერილი შეახვია და იქვე მდგომ მაგიდაზე დააგდო, თითქო უმნიშვნელო რამ არისო.

— როდის წამოდი. — დაეკითხა შიკრიკს ბატონი.

— ამ დილას ბატონო.

— სტყუი...

— ბატონიშვილი რევაზი არ მომიკვდეს.

— ვინ არის რევაზი. რას ბეუტურობ ყაძახო. — მრისხანეთ შეუტია ბატონმა.

— თქვენი სიძის უფროსი ვაჟი, ბატონო.

— ეცი, მაგრამ ოჯახის შემკვიდრე დავითია ბრიყვი.

აი ამ ამბის გამო „შიკრიკი ისეთის საშინელის წამებით მოკვდეს, რომ პაატას ყმათა შორის ხმა გავარდა, ვინც რევას დახმარებას უწევდა, მოუვლის, მას ბატონი ჯოჯობეთში ცოცხლად ჰგზავნიან“.

კოჭლი და ბრმა ირემის დაკვლის გამო ბატონი თვალებსა სთხრის ახალგაზრდა ყმას, ის უკვე სავსებით გაველურებულია, მას აწუხებს უშვილობა, უშემკვიდროთ დაკარგვა ამ ჭვეყნიდან. სამართლიანად ეტუნება ერთი გმირი მოთხოვრებისა ლევანს, რომ მისი სასახლე — საყასბო და საროსკიპოა. ამაზე უკეთესი დახასიათება ძველი თავადური ყოფისა უკვე აღარ შეიძლება. მეორე საინტერესო ტიპი — ეს ციციწოა, ისიც ლევანის ბუნებისაა, სისტემა ფეოდალიზმისა ამხეცებს ადამიანს, ამ სისტემის წყურვილით, უქმობის და ავხორცობის ფსიქოლოგიით განუკურნებლად დაავადებულია ციციწოც, თავგამწვევა ცხენმა ერთი მხედარი შეახეთქა ხეს და მოკლა, ციციწომ ამაზე „მწვავე სიამოვნება იგრძნო“. და სხვა მრავალი ასეთი ფაქტები. მოთხოვრებაში ბატონის მხეცობა უკიდურეს საზღვრამდე მიდის ვახტანგის და ციციწოს წამების დროს, ისინი რჭებზე დააკრეს გაგიყებულ მოზერებს და დაფლეთინეს.

„ეამთა სიავეც“ ფეოდალიზმის მხატვრული ისტორიის ერთი ამბავია. აქაც მგლების სახით დათარეშობენ თავადები. ეს არის ნაბიჭვრისშვილების გვარის გენეალოგია, ბნელი და სისტლით მოსერილი ამბავი, სადაც ბრძოლის, ადამიანთა მკვლელობის და ხოცვაყლევის საბაბად „დედოფლის ღიღების“ გახსნა ხდება.

იულონის დედა ამბობს:

„ჩემი ხნის ქალისთვის ცოდვია ამის გამომტლავნება, მაგრამ ვის უნდა უთხრა თუ შენ არ ვითხარი? არჩილს აბრალებენ დედოფალს ყვარობსო, და დიდებულნი ვერ ითმენენ, რომ აბაშიძის ან წერეთლის შავიერ უბრალო აზნაური ბედავს დედოფლის ღიღების გახსნას“.

ეს „მოვლენა“ იწვევს შფოთს, აურზაურს, გვარეულობის ამოწყვეტას; თვალებს სთხრიან ერთი მეორეს და ხმაღში გამოწვევას უბირებენ. ეს ნაწარმოები ყველაზე უფრო ვრცელი ეპოპეიანა ძველი თავად-აზნაურობის ცხოვრებიდან. ფეოდალიზმის ნამდვილი სოციალოგიური ტკივილებიც — „ეამთა სიავეშია“.

ნ. ლორთქიფანიძე ფეოდალიზმის მემატიაეცაა და მსჯავრმდებელიც, ამბავი მისი შემოქმედების თავისებურება და სირთულე.

ნიკო ლორთქიფანიძემ არა მარტო გალაღებული ფეოდალიზმი გვიჩვენა, არამედ მისი განადგურებაც. ფეოდალიზმის დანგრევა ცნობილი თემაა მსოფლიო ლიტერატურაში. ყველაზე უფრო მამფრი გამოხატულება ფეოდალიზმის ნგრევისა იყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ბასტილიის დაცემა და მისი ვარნიზონის განადგურება ლაფაიეტის მიერ ისტორიის საგანგაშო სიგნალი იყო ტიულერის სასახლის დაცემა ისტო-

რიული აქტია ერთი ეპოქის სიკვდილისა. ჰეინე ამბობდა, რომ ძველმა ფეოდალებმა, ამ მტაცებელმა ფრინველებმა თავის დასუსტებულ ბარტყებს შემკვიდრობად მხოლოდ ძლიერი მადა დაუტოვეს. ლორთქიფანიძე კი ნაგვიანვე ფეოდალებს მერცხლების სიმსხვილეს, რომელთაც ბუდეები დაუნგრის ეს ბუდეები გაკეთებული იყო ძველი სახლის აივნის ჭერ-ჭვემ კედლებზე და აი ერთ დღეს ჩამოყარეს ისინი. დარჩენ მერცხლები უსახლკაროთ და უთავშესაფაროთ; ამ ნაღვლიანი ამბით იწყება „დანგრეული ბუდეები“; ესაა ისტორიის მიერ დასჯილი კლასის ტრაგედია. როცა რომელიმე კლასი კვდება, ისტორია მის სიკვდილს გულგრილად უტყუროს. ვანა შეიძლება ამ კლასის სიბრაღული იმის გამო, რომ მისი შვილები თავის დაქვეითების ეამს თვალს ველარა სთხრიან ადამიანებს, ველარ ჰყიდიან მათ სტამბოლელ ვაჭრებზე, ველარ აფლეთინებენ მათ სხელს გაგიჟებულ ხარებს, ველარ სწავენ მათ გახურებულ შანთებით. მწერლობის ერთი ნაწილი ხშირად უხვევდა გვერდს ისტორიის მ გულგრილობას. ნიკო ლორთქიფანიძესაც ხიბლავდა ნანგრევთა სურნელება. რაღაც თავისებურ ეშხს მიანიც ხედავს მწერლის თვალი ამ განადგურებულ ეპოქის ნაშთებში, ხატავს ამ ხალხის ცხოვრებას. რომელსაც მთელი დიდება წარსულში დარჩენია, რომლის აწმყო ბნელია, ხოლო მომავალი კი მას არ გააჩნია. ფუფუნების ნაცვლად — სილატყე, განცხრომის ნაცვლად — სიმშლი. მწერალმა ცალკე ოჯახების დაღუპვაში მთელი კლასის განადგურება დაინახა. ამ მოთხრობებში მწერალი მოკლე და მძაფრი ვადმოცემით სახავს ჯერ წარსულს. შემდეგ აწმყოს. ძველი ქეიფი, სმა, პაექრობა, ცეკვა და სიმღერა — თითქოს დავიწყებია ყველას. გავერანებულია ეზო, გაწყვეტილია საძაღლეითი. მაგრამ მივსკეთ თვით ავტორს სიტყვა.

„დიდი ხანია ამ მხარეებზე არ ვყოფილვარ. მსმენოდა რა ცვლილებაც მოხდა, მაგრამ თუ სახურავიანი ჭიშკრის მაგიერ დღეღუზე ჩელტი იყო დაკიდებული; თუ ცაცხვებით, ნიგვზებით და მარად დაუბნელავი ბაშბის ჭულასავით შებურვილი ბგოლით დაფენილ ეზოს საყანეთ გაატიტვლებდენ, თუ კრამიტით დახურული ორსართულიანი ოდა, პალატით და აივნებით ორ-ოთახიან ჩამპალ ყავრით დახურულ ქობად გადაკეთდებოდა; თუ სამეჯინიბო, სამშაერთლო, ნალია, ბელელი, მარანი, ხულა, საქათმეები, სალორე და კიდევ უსახელო და სახელიანი შენობები სადმე გაიპარებოდა — არ მეგონა... ტახტზე ვაგდებულ ჭუჭყიან დაგლეჯილ ლეიბზე იწვა ახალბიანი მოხუცი და გამოხუნებული პიკის საბანი ეხურა თავს. მოკლე საბანს ვერ დაეფარა სახლში ნაქსოვ წინდის ნაფლეთებში გახვეული ფეხები... ფეხებთან ტახტზე ეგდო გატეხილი კეხი, აბეანდები და უკანასკნელი მოწმე ძველი დიდებისა სევდიანი ვერცხლით გაწყობილი ავშარა... რანიირად დარჩა ამ საერთო წარღვნის დროს ეს საცოდავი?“.

ავტორი ყოფას აქცევს მთავარ ყურადღებას, ჩუმი ნაღველია ჩაჭოვილი ამ ესკიზებში; თქვენი დრო უკვე აღარ არისო, — ეუბნება ამ კლასის მწერალი, მაგრამ ატყობს, რომ უძნელდება ამის თქმა. აწვება ეელში. მაგრამ ხის ტოტებზე წარსულ წლის ფოთლებს ისეთი უკვე აღარ რჩება ადგილი, ახლები ამოდიან და ძველები, გაყვითლებულნი ცვივიან დაბლა; ასეა ცხოვრებაც. და ამიტომ ჰგვანან ეს ადამიანებიც გასული წლის ფოთლებს. თუმცა კიდევ არ მომკვდარა მათი წოდებრივი ეგოიზმი და კასტიური განცალკევება. მაგრამ მთავარი სასიკოცხლო ძალა — უკვე ნაცარტუტადაა გადაქცეული. განსაკუთრებით იგრძნობა მწერლის ნაღველი ამ ადამიანებთან შეხვედრის დროს. ლორთქიფანიძეს აქვს მოთხრობა „ა ლ ბ უ შ ი“. ამბის მთხრობელი ხედება მოხუც ქალბატონს, წუთით იგონებს მისი ოჯახის წარსულს, თურმე მისი მოყვანის დროს ისეთი ზეიმი ყოფილა, რომ მოულოდნელად მოსულ დრაგუნთა მთელი ესკადრონსაც თავის ოფიცრებით და მუსიკით ვერ დაურღვევია წესწყობილება, მზითვეი ორმოცდა რვა ურმით მოუტანიათ, პირველ ურემში მარტო ეკლესიის სამკაული ყოფილა, ახლა კი ეს ქალი უკანასკნელ გაჭირებამდე მისულა. ასეთ დროს ხედება მას ამბის მთხრობელი:

„ბიცოლა შემოვიდა...

ხელზე ვაკოცე დარცხვენილმა.

რ ა ლ ა ც დ ე დ ო ფ ლ უ რ ი, დ ი დ ე ბ უ ლ ი ი ე ო ა მ ხ ა ნ -
გ ა დ ა ს უ ლ ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ შ ი. როცა ამ მოსულ ქალს შესცქერო
დით, ვერ ამჩნევდით ვერც საცოდავ მორთულობას, ვერც მის ძლიერ და-
ზიანებულ ტანსაცმელს...

— როდის ეწვიე ჩვენს მიდამოს?..

— წუხელი...

— ბიცოლა მართას მაინც რა დაემართა ასე უეცრად?

— ზაფრამ, ზაფრამ იმსხვერპლა. ვილაც უღვთოს ეთქვა, თქვენი ეზო-
მიდამო გაიყიდაო...

სადილად არ გამომიშვეს.

სუფრა თვით ე — მ გააწყო.

თვითონ ასუფთავებდა, ალაგებდა.

— სად იყავი აქამდე, შე დალოცვილო — ვფიქრობდი გულში...
არც მის ტანს, არც მის ხელებს არ შეეფერებოდა ქათმის აქნა და პურის კრა, მაგრამ საცო-
დავი და საბრალო კი არ იყო ეს დიდი უბედუ-
რების გულმაგრად გადამტანი ქალი. არამედ თა-
ნაგრძნობის, პატივის ცემის და აღტაცების.

არიან ადამიანები, რომელთაც ქუჩყიან ხელს წარ-
ღვნის დროსაც კი ვერ გაუწყვედენ ახირებუ-
ლად“ (ხაზი ყველგან ჩემია — გ. ნ.).

აი ასეთი ნაღვლიანი მოწიწების გრძნობით ხვდება მწერალი ამ გარდასულ დროის ადამიანებს. ეს არა ჰგავს იმ გრძნობას, რომელიც რაზნოჩინელები და სხვა არა-ფეოდალური მსოფლმხედველობის მწერლები ხვდებოდნენ მაღალი წოდების ხალხს. რაზნოჩინელ-ფეოდალისათვის გაუგებარი და უცნობი იყო ეს „დიდებული და დედოფლური“ ემბი, აი მაგალითად ჩეხოვი თავის ცხოვრებაში ხვდება ერთ მაღალ წოდების ქალს, მხოლოდ იმ დროს როდესაც ეს უკანასკნელი ჯერ არ ვალატაკებუ-ლიყო. როგორი სიძულვილის გრძნობით ლაპარაკობს სახელოვანი მწერალი მის შესახებ: „ბიარიცში ცხოვრობს ჩემი მეზობელი — სწერდა ის ა. ს. სუვოროვს — მფლობელი უზარმაზარ მამულების, გრაფი, რომელიც გაეჭკა ხოლერას. მან გადასცა თავის ექიმს ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მხოლოდ ხუთასი მანეთი. მისი და, გრაფის ქალი, სცხოვრობს ჩემს უბანში, როცა მე მასთან მივედი, რომ მოვლაპარაკებოდი მისი მუშებისთვის ასაგებ ფარდულების შესახებ — მას ისე ეჭირა თავი, თითქოს მე მიველ მასთან იმიტომ, რომ მივეჭირებოდი, სამუშაო მეთხოვა... უზარმაზარი ბრილიანტები ყურებში... ასეთ ხალხთან შეხვედრის დროს მე ვდგები სემინარისტის ხასიათზე, როცა გინდა ძალათი უხეშად აჩვენო თავი“. აი ეს არის რაზნოჩინელის უძირო სიძულვილი მაღალი წოდებისადმი და ეს იმიტომ ხდება, რომ ჩეხოვს და ამ „ქალბატონს“ არ ესმოდა ერთი მეორის ენა, ეს ორი სხვა და სხვა ქვეყანა; ლორთქიფანიძე კი ასეთ შემთხვევაში შშობლიურ წრეში იგრძნობდა თავს და არც „სემინარისტული უხეშობის“ გუნებაზე დადგებოდა. ეს ორი ხაზია ლიტერატურაში, რომელიც მძაფრად ემიჯნება ერთი მეორეს ამ უბრალო ამბის მიხედვითაც. „სემინარისტი“ რუსულ ლიტერატურაში რაზნოჩინელის სინონიმი იყო. ტყუილად კი არ შესწიოდა ნეკრასოვი პანაევს, რომ მუდამ იმას გვაყვედრიან „სოვრემენიკში“ მარტო სემინარისტები იბეჭდებიანო. ეს „სემინარისტული უხეშობა“ ჩვენშიაც მძაფრად დაუბრისპირდა ფეოდალურ ზრდილობას, ეტიკეტს ნაროდნიკულ „იმედის“ სახით. ამიტომ ჩეხოვის ფრაზაც შემთხვევითი არ არის, ის გამოძახილია კლასთა ბრძოლისა.

განადგურებულ ეზოების იშვიათი სურათები აქვს მოცემული ლორთქიფანიძეს. ამავე იერით იცქირებიან ყოფილი ადამიანები. სოფლად დაუძღვრებულმა მოხუცებმა იციან თქმა: იქ მკვდრებს ვაკლივარ და აქ ცოცხლებსაო ე. ი. ისინი არც მკვდართა ქვეყანაში არიან და აღარც სიცოცხლის შუქი ანათებს მათ სულს. ეს საუკეთესოდ ახასიათებს თვითონ „დანგრეული ბუდეების“ გმირებს. რატომ მოხდა, რომ ფეოდალიზმისადმი თანაგრძნობა „მრისხანე ბატონში“ სანთლით საძებნელია, ხოლო „დანგრეულ ბუდეებში“ უხედაა? მწერალმა ჯერ გაანადგურა ფეოდალიზმი, ხოლო როცა დანგრეული ნახა ეს ბუდეები, მაშინ შეებრაღა! ტრაგედიას ფარსი მოჰყვა, შეუბრალებელი მსაჯული მგლოვიარე ჭირი-

სუფალმა შესცვალა, „მრისხანე ბატონში“ არაა არავითარი მხარალება, აქ კი მწერალი სდგას ვით მწუხარე მაყურებელი, მისი სახე ნაღვლით და ცრემლითაა აწურული.

მხატვრული თვალსაზრისით „დანგრული ბუდეები“^{ერსეშული} შექმნილია მკვრეტელური, აქ მოქმედების ადგილის ნაღვლიანი განსკვრეტა იკავებს და მწერლობაში დგება ზეიმი დეკორატიულობისა. ეს დეკორატიულობა ნათლად სჩანს აგრეთვე „იმერშიც“. საერთოდ ლორთქიფანიძის მთავარი მხატვრული მანერა — პლასტიური ხედვაა, მისი შემეცნება ამ ქვეყნისა თავის უამრავ შთაბეჭდილებების მხედველობითი წყაროდან იღებს, მისი მთავარი იარაღი „თვალია“ და არა „სმენა“. ამიტომ არის, რომ ხშირად მისი მინიატურები „დანგრული ბუდეებიდან“ და „იმერიდან“ რეალისტი მხატვრის მიერ შექმნილი პეიზაჟები გვეგონებათ. „იმერი“ — ეს ესკიზები და პეიზაჟები მთლიანობაში რომ ავიღოთ, ერთ დიდ მხატვრულ ტილოსა ჰგავს, ეს ნამდვილი ფერწერაა, ტყუილად კი არა აქვს, მას ეპიგრაფად: „ზოგან ყვითელ, ზოგან წითელ, ზოგან აღისფერიაო“. ფერი ხომ ძირითადი ელემენტია მხატვრობისა. აქ არის მზგავსება ჯორჯონესა და ტიციანის კოლორისტულ მხატვრობასთან. შემთხვევითი არ არის რომ ლორთქიფანიძის მინიატურებს ასეთი სახელები ჰქვია: „სურათი სოფლად“, „სანტიმენტალური ნახატი“, „ბიუსტი“; „უტყვთა ცრემლებს“ ასეთი ეპიგრაფი აქვს: „მკითხველს ესთხოვ მოიგონოს ბიოკლინის სურათი „მიცვალებულთა კუნძული“.

ნაკოლორთქიფანიძის შემოქმედებითი ბუნებაში შეერთებულია მხატვარი და მწერალი, ფერადების ოსტატი და სიტყვის ხელოვანი. ისე როგორც ვლ. კოროლენკოს შემოქმედება იყო სინთეზი მუსიკისა და მწერლობისა და ეს მუსიკალური ხმა იმდენათ აშკარათ ისმოდა, რომ ლ. ტოლსტოი განცვიფრებით ეკითხებოდა გორკის. „ერთი მითხარი, კოროლენკო მუსიკოსი ხომ არ არიო“. ერთი ცნობილი ისტორიკოსი ლიტერატურისა სწერდა მის შესახებ: „ქვეყანა ეჩვენება მას სავსე რალაც მუსიკალურ სინაზით. ამაშია მისი განსაკუთრებული სტილი. რიტმიულ სახეებში გადმოგვეცემს ის ჩვენ მიწის სილამაზეს, ცის დიდებულ ბრწყინვალეებას, ადამიანის სულის მიმზიდველობას. ქვეყანა აქცია მან მუსიკალურ ზღაპრად, როცა ის იღებს კალამს ხელში, ასე გგონია უსმენს შორეულ მომზიბლავ ზარების რეკას“.

ამრიგად ჩვენს წინაშეა ორი ტიპი მწერლისა. კოროლენკო „ისმენს“ ქვეყანას, ლორთქიფანიძე — „ხედავს“. მისი ესკიზი „ბუნება“ ხომ ყოველგვარ ეჭვის გარეშე აყენებს ჩვენს მოსაზრებას, კოროლენკოს თავის მოთხრობებში ხშირად გამოჰყავდა მუსიკოსის ტიპი, ლორთქიფანიძეს კი უფრო მხატვარი აინტერესებს. „ბუნების“ შინაარსი შემდეგია: მხატვარი ხედავს სურათს „დედა-ბუნებას“ სახელწოდებით. მას უნდა „მშვენიერება. სილიადე ბუნებისა უკლებლივ გადაიღოს ტილოზე“. მაგრამ მოდის

საშინელი აედარი, რომელიც ახრჩობს ადამიანებს, ცხოველებს, ფანტაგეს კრულ პეპელებს, მხატვარიც ამის გავლენით თავს ანებებს ძველ სურათს და იწყებს აბლის ხატვას შემდეგი სახელწოდებით: „თვალთმაქცი ბუნება“. და როგორც ეს მხატვარი პეიზაჟს, ისეთივე ფერწერით ხატავს ლორთქიფანიძე თავადების განადგურებულ ეზოებს, დაფორაჯებულ ასწლოვან მუხებს, დანგრეულ სასახლეებს, გლეხთა კარმიდამოს, ამ სურათებში ჩანს მთელი სოციოლოგიური ეპოქა. ძალზე გატაცებულია ნიკო ლორთქიფანიძე მხატვრობით და სკულპტურით. ესაა პირდაპირ ელინური გატაცება სილამაზის ჰარმონიით. გურჯისტანის ვალიმ ზონთქარს ძღვნად ღვიძლი შვილი გაუგზავნა — გვიამბობს მწერალი ერთ მოთხრობაში — ეს იყო ულამაზესი ქალი. მხატვარი ეხეწება ზონთქარს: „დაშსაჯე უღირსი მონა, ჩამავდე საუკუნოდ საპატიმროში, ოღონდ მთელი სიცოცხლე ნება მომეცი მაგის სურათი ვხატო...“

— მეფეც. — წინ წამოდგა მოქანდაკე: — შემინდევ კადნიერება და დაამტკრიე ყველა ქანდაკება, როგორც ჩემი გამოქანდაკებული, ისე სხვებისა, სადაც დედოფლის მშვენიერება, წარმოუდგენელი მიმოხვერა სხეულთა ხაზებისა თვალს ხიბლავს, იქ ყოველი ჩვენი ნამოქმედარი შეგვაწუხებს. მომეცი მარმარილო, ჩემს დღეს შევწირავ და სავარძელს გამოვჭრი.

— მეც ეს მინდოდა მეთქვა — ჩამოართვა სიტყვა ხეროთომოდვარმა — მომეცი ნება, ავაგო სასახლე, რომელიც უფრო ეკადრებოდეს დედოფალს... ყოველ მარმარილოს ქვას უნდა ჩაუსვიათ ბრილიანტის ბულბული, ყოველ სვეტს უნდა ამშვენიერებდეს ოჭროს შველი, იატაკი ბრინჯაოსი იქნება და ჭერი ზურმუხტისა“. ამ ელინურ სილამაზის თავყვანისცემით, სადაც მთელი სიცოცხლე ხელოვნებაშია გადასული, აღსავსეა აგრეთვე „შემოქმედიც“. ეს მოქანდაკის ცხოვრების ამბავია. ამ მოქანდაკემ მთელი თავის სიცოცხლე, თავის ბუმბერაზული ძალღონე, თავის სიმდიდრე, ენებათა-ღელვით სავსე თვალები, მზიარულემა თავის ქანდაკებებს გადასცა. მან გააცოცხლა მარმარილოში გაზაფხული, მოქანდაკე მოკვდა იმისთვის, რომ ცოცხალი დარჩენილიყო „პარისი“, „პერკულესი“, „ათინა“, რომ თავის ავტორის სიკვდილის შემდეგ მათ ელაპარაკნათ იმ ტკივილებზე, მათი შემქმნელის სულს რომ აწვალებდა. მისი „ათინა“ აღარ იყო ღმერთი, ამაყი, გულქვა და გადაჭარბებით მოსვენებული, არამედ ნაზი, ტკბილი, მოქნილი, ჩაფიქრებული ქალიშვილი.

ვრცელი მოთხრობა „ცხოვრების მეფე“ ისევ ხელოვნების ამ ძირითად პრობლემას ეხება. საქართველოში თეორიაშიც კი ვერავენ გამოსთქვა ასე მძაფრად მშვენიერების იდეალისტური ფილოსოფია, მარადიული სილამაზის ტრფიალი; ცხოვრების მეფე — ეს ოჭრომქედელია არახელოსანი, არამედ მოქანდაკე გენიალური ხელოვანი; ზღაპრის მთავარი აზრი ის არის, რომ „ხელოვნებას“ მიუწოდებელი სურვილი ასულდგმულებსო, ხელოვნებელი რაც გვეჩვენებო“. ოჭრომქედელი თავისმა იშვი-

ათმა ხელოვნებამ მეფის ტახტზე აიყვანა, ქალი, რომელზედაც მუდამ ოცნებობდა მის ცოლად აქცია, მიალწია თავის სურველებს, მაგრამ ეს გამარჯვება მისთვის საბედისწერო ვახდა. მისი ხელოვნებები მსგავსი ხელობად გადაიქცა. „ნუ თუ ნატყორცი ისარია მხოლოდ საქმისათვის საქტელი-ანად ფიქრობს მეფეთ-მეფე ამ ამბის გაგებაზე — და არა მიზანში მოხვედრილი. მხოლოდ ტალღათა შორის მებრძოლ ხომალდს აქვს მიმზიდველობა, ნავთსაყუდელში კი უღამაზო სახლია“. დახატო, ის რაც გიყვარს — ასეთია ცხოვრების აზრი, ამ მოთხოვნების მიხედვით, მაგრამ მწერალი სცდილობს გვიჩვენოს, რომ ეს ძლიერ ძნელია და როცა ადამიანი აღწევს ამ სიმალემდე — მაშინ ეკარგება აზრი მის სიცოცხლესაც. ნიკო ლორთქიფანიძეც თავის ზღაპრულ ოქრომჭედელის მგზავსად ხატავს საყვარელ სურათებს „გრძნობა-გონებაზე, — ამბობს ის — დაკვეთილი გულის სისხლი და ყვითელი ნალგელი ფერადათ აიღე და ცრემლით ვალესე გამხმარ მკერდზე. ტილოთ იხმარე სევდის ქსოვილი და ზედ დახატე მწუხარებაში ნაწეწის თმით გოდება სულისა“.

ეს განსაკუთრებული კულტი სკულპტორისა და მხატვრობისა ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში გამოძახილია ძველი ეპოქის პლასტიკური ხელოვნების, როცა ფეოდალურ სტილის ორნამენტებით და ბარელიეფებით ამკობდნენ შენობის კედლებს, მით უმეტეს, რომ ნიკო ლორთქიფანიძე ფეოდალურ კულტურაზე აღზრდილი მწერალია. მეორეს მხრივ ეს არის შედეგი და თვალთხედვა იმპრესიონისტული ესტეტიზმისა. ამ იმპრესიონისტულმა ესტეტიზმმა დააკარგვინა ერთ დროს ლორთქიფანიძეს რეალისტური სიმართლის გრძნობა. ევროპის ლიტერატურაში ამ მიმართულების წარმომადგენლები იყვნენ ელიამ მორისი, უალდი, მემბი გონკურები, ანატოლ ფრანსი, შნიცლერი, გოფმანსტალი და სხვები. აქაც გვხვდება კულტი ხელოვნების, ეს განსაკუთრებით ითქმის ძმები გონკურების შესახებ. „სიღამაზე იყო მათი რწმენა და სინიდისი, ლამაზი ტილო, ლამაზი ჭანდაკება, ლამაზი ხაზი წარმომადგენდნ მათ უღრმესი საამოვნების წყაროს“.

ასე ამბობენ გონკურები ერთ თავის გმირის შესახებ და ეს სიტყვები ეხება მათაც. ლამაზი ქალი მათთვის არის მხოლოდ „ნატურშიცა“ ისე როგორც ლორთქიფანიძისათვის „ცხოვრების მეფეში“ მათი მთავარი გმირები არიან მხატვრები, სკულპტორები. და თითქოს სცდილობდნენ წაშლონ საზღვარი აკვარელით ხატვისა და კალმით წერას შორის, მოახდინონ მხატვრობის და მწერლობის გათქვევდა ერთი-მეორეში. ეს იმპრესიონისტული ესტეტიზმი შემდეგში მწერალმა ისევე მოიცილა თავიდან.

ლორთქიფანიძე უკვე მკვდარ მოვლენას ხშირად ერთი წუთით აცოცხლებს, რომ დაანახვოს მკითხველს მისი სახე, რომ მკითხველმა უნახავდაც გაიცნოს ეს დავიწყებული ქვეყანა. რაც მთავარია მას შეუძლია აღადგინოს გარდასულის კოლორიტი. ასეთია მისი მხატვრული ხედვის

ძირითადი ბუნება. მწერლობის ძირითადი თემა მაინც ადამიანთა და ლორთქიფანიძე უმრავლეს შემთხვევებში იძლევა არა უსახო და ხოგად სტემებს. არამედ კონკრეტულ პიროვნებებს. ეს სახეებიც უმეტეს შემთხვევაში ლიხაყია და პორტრეტული მგზავსება მართლა ირფიდებიც მქონე ცხოვრების მეფეში“ და მის მგზავს მოთხოვნებში, მაგრამ სამაგიეროდ მგაფიოდ მოსჩანს „ვაშთა სივეში“, „მრისხანე ბატონში“, „სოფლის აშიკში“ და სხვა მოთხოვნებში.

„პანაშვიდი“ და „უილქოდ“ — ეს დეკადანსის, დეკლასიური ინტელიგენციის სულიერი კრიზისის ეპოქის გამოძახილია ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. მან დახატა ძველი საქართველო, შემდეგ მისი ნანგრევები, მაგრამ რეაქციის წლებში მან საკმაო ხარკი გადაუხადა ინტელიგენციის სულიერ მოქანცულობას, რომელმაც დეკადანსის ჭეჩაბანდებში მოამწვედია მწერლობა. სექტიციზმმა მოიცივა წერილობითი ინტელიგენცია, მან ყოველგვარი იმედი დაკარგა, ისე როგორც ვენის კონგრესისა და „სადეთო კავშირის“ ეპოქაში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ. რეაქციის შიამმა ცხრაას ხუთის შემდეგ უდიდესი ზიანი მიიყენა ლიტერატურას. დამარცხდა რევოლუცია და მათ შეგნებაში ვინც ბოლომდე ვერ გაიგო ისტორიის დიალექტიკა — მეცნიერება ისევ სარწმუნოებრივმა მისტიციზმმა შესცვალა. დეკლასიურ ინტელიგენციის შეგნებაში გონებას დაუთმო მბრძანებელი სიმაღლეები — რელიგიას. ამ განწყობილებებს კარგად ახასიათებს ძველი რუსის ინტელიგენტის, რადიკალის და ნაროდნიკის წერილი, რომლის ახალგაზრდა შვილმა, ტერორისტმა — სახრრობელაზე გაათავა თავისი სიციცხლე. ეს წერილი ლ. ვოიტოლოვსკიმ გამოაქვეყნა. ავტორი სწერდა: „...თუ მეცნიერები და ფილოსოფოსები დიდხანს იფიქრიბენ ძვირფას საფლავების შესახებ, მაშინ მიხედებინ, რომ ვერც მეცნიერბა, ვერც სოციალიზმი ვერ გავავადვილებს იმ განწირულებების ატანას, რომელსაც ჩვენში იწვევს პირლია სასაფლაო სიკვდილის სახით. ნეტავ ვინ იქნება, რომ თავის საყვარელ შვილის კუბოს წინ არ დაწყევლოს მეცნიერბა, რომელმაც გაანადგურა ჩვენი სარწმუნოებრივი ფიქრები და დაგვიტოვა საშინელი სიციარელე. რათ ავჩქარდით, რომ დამარხულიყო ჩვენი ბნელი რწმენა დარვინის, გალოლის, ლაპლასის და სხვა მესაფლავეთა მეოხებით. რათ გვინდა ჭეშმარიტება, თუ კი ის ჰყინავს გულს, აჩრებს ქარღვებში სისხლის მოძრაობა? რათ უარვეყვით ყველაფერი ის რაც არ გაიზომება და არ აიწონება, ჭეყანა მხოლოდ მოვლენათა მოძრაობათ და ატომთა მექანიკათ დავსახეთ. მაგრამ უხილავი ისევ უხილაეად დარჩა და „განთავისუფლებულ“ გონებამაც ვერ შესძლო მისი ამონცობა. რათ გვინდოდა ბარიკადები და

ბომბები, თუ კი თვითმპყრობელობა ისევ ტახტზე დარჩებოდა, თუ კი ეს ქვეყანა უზარმაზარ ფარდულად გადაიქცეოდა, სადაც „პქონია/სახრობელის თოკები, საძალღე ფურგონად, რომლითაც ადამიანებზე მიჰყავთ სასკლოზე“. ეს განწყობილება რეაქციის პერიოდში, მაშინვე უნდა იქნებოდა იყო და ის თავისუფლად ვრცელდებოდა ინტელიგენციის იმ წრეებში, რომელმაც გასწყვიტა კავშირი პროლეტარიატთან. მაგრამ ნაციონალისტური ინტელიგენციაც, რომელსაც ცხრაასხუთთან არაფერი ჰქონია საერთო, ჩაითრია ამ მისტიციზმმა. ინტელიგენციის ამ წრეს ეკუთვნოდა ნიკო ლორთქიფანიძეც. ხელოვნება ცხოვრების შემეცნებაა, მისი მაჯისცემის გადმოცემა, დღეს ის უკვე ისე ცხადია, რომ ამის დასამტკიცებლად აღარაა საჭირო ბელინსკისა და პლეხანოვის ციტატები. და რეაქციის წლების მოდუნებულმა მაჯისცემამ, უიმედობამ, დალილობამ თავის ბნელი ზეწარი გადააფინა ჩვენი მწერლის იდეურ ქვეყანასაც. ამ კრიზისის დროს ლორთქიფანიძის შემოქმედების მთავარ თემად — სიკვდილსიცოცხლე ხდება. ვისი დროშის ქვეშ იბრძოდა ეს მწერალი. პირველ რევოლიუციის პერიოდში აფეთქებულ ყუმბარების შუქზე ინტელიგენციამ გაიკვლია გზა, მაგრამ აი ჩამოდგა რეაქციის ნისლი და ისინი დაიბნენ. ამის ნათელი მაგალითი თუნდაც ედღოშვილია. წერილბურჟუაზიულ ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელიც მანამდე აქტუალურ საკითხების გადაჭრას ლამობდა — ეხლა დაქანცულად იგრძნო თავი და სამხედრო ენით რომ ესთქვათ, მებრძოლ ესკადრონების და ბატალიონების მწყობრიდან „ობოზში“ გადავიდა, როგორც დაჭრილი და უძლური ჯარისკაცი, რომლის გონებაში წინსვლის და გმირობის იდეა კომშარებმა შესცვალა. ლორთქიფანიძე, როგორც ესთქვით, მართალია პირველ რევოლიუციის დროს არ ყოფილა იმ ინტელიგენციის გვერდით, რომელიც რევოლიუციისთან ერთად იბრძოდა, მაგრამ რეაქციამ მაინც ერთ ჩიხში მოაქცია ყველა ის ვინც დაიბნა. ეს ის დრო იყო, როცა გამძაფრებით დაიწყო არჩილ ჯორჯაძემ მისტიციზმის ქადაგება, როცა სიკვდილის შიში მარადიულ სევდათ გამოაცხადა და თავის დროშაზე სიული პროტონის შემდეგი სიტყვები დააწერა: „ამ წუთისოფელში ხმება იასამანი და ფრინველთა გალობაც ხანგრძლივი არ არის, მე ვოცნებობ იმგვარ ზაფხულზე, რომელიც სამუდამოა... ამ ქვეყნად ტუჩი ტუჩს ოდნავ ეწაფება და ამ დაწაფებაში ერთმანეთს არ უზიარებენ თავიანთ ხავერდს. მე ვოცნებობ იმგვარ კოცნაზე, რომელიც სამუდამოა... ამ წუთისოფელში ყველანი დასტირიან ზოგი მეგობრობას, ზოგი სიყვარულს; მე ვოცნებობ იმგვარ კავშირზე, რომელიც სამუდამოა...“ „ქვეყანა წყვედიადით მოცული არარაობაო“, აცხადებდა ის. ნიკო ლორთქიფანიძე თუ „ეამთა სიავეში“ და „მრისბანე ბატონში“ საესებით დამოუკიდებელი მხატვარი იყო და არაეისი მოდერნიზაციის კვალი არ იყო მის შემოქმედებაში — „პანაშვიდი“ უკვე დეკადანსის იდეური ატმოსფეროს გავლენის ქვეშაა მოქ-

ცეული. აქ მწერალს უკვე მხოლოდ „განყენებული“ საკითხები აინტერესებს. ერთი ასეთი საკითხი სიკვდილია, რომლის წინაშე ჩაფიქრებულა ჩვენი მწერალი და მისი ამხსნელი, ამომცნობი ვერადგური მოსკოვია.

ნიკო ლორთქიფანიძე სწერს:

„მაგრამ მაინც სიკვდილი რას ნიშნავს?

„მიწა იყო და მიწად იქცა“-ო!? ადამიანი მიწა თავის დღეშიც არ ყოფილა. ადამიანი აზრია, გრძნობა, სიყვარული და სიძულვილი, აღტაცება და სულმდაბლობა, სინიღისი და უნამუსობა...

მოკვდა ადამიანი, მაგრამ რა დაემართა?.. ადამიანი მოკვდა. დარჩა ტალახი, წყალი, ძვალი... ლეში... სადღაა თაყვანისცემა ლეონარდო და ვინჩისადმი და ზიზლი ტერსიტისადმი? სადღაა სიყვარული ცის ლაყვარლსა და სიძულვილი აშშორებულ ტბისადმი?..“

მაგრამ ლორთქიფანიძემ ვერ იპოვა პასუხი ამ კითხვისა, ვერც იპოვიდა; ამ საკითხის ახსნა მხოლოდ მატერიალისტურ ფილოსოფიას შეუძლია; იდეალიზმი კი აქ საცესებით უძღურია, ის იძულებულია მიმართოს ისევ რელიგიას; ამ გამოუცნობ საიდუმლოების ძებნაში დაღლილი მწერალი ისევ მწუხარებას და გლოვას ეძლევა, ის ნაღვლიანად მიმართავს „ძვირფას აჩრდილებს“ „მკედართა ქვეყნიდან“: „თქვენ ცხედრებით გადიქცევით, ერთი ნაწილი ჩემი გულისა თან გაგყვით. დარჩენილის გასამართლებლად ვწერ ამ სტრიქონებს. უკანასკნელი უდიდესი ვალი ერთ მოვიხადე თქვენს წინაშე: ერთი მუჭა მიწა ვერ მოგაყარეთ. ეხლა გოგზავნით ამ თაიგულს ჩემის ცრემლებით დახატულს. გამბათილეთ მოვალეობა! პირნათლად თუ დაერჩი, მომიგონეთ, მომიკითხეთ, საყვარელნო მიცვალებულნო“.

„სტრიქონებო, სალამოს ეამსა ხარო თქვენ ამონაკენესი. კავშირად იყავით ჩემსა და ფერფლთა შორის.

ტკბილნო აჩრდილნო, მე ჩემებურად გადავიხდი პანაშვიდს: ტრაპეზად ვიხმარ პატარა ქალაღს, ეკლესიათ მკითხველთა კრებულს. ლოცვებისა წინ ვივალობებ ქვეყნის ჭირ-ვარამს“.

ესაა მწუხარების განწირულება, უკიდურესი ნაღველი ადამიანისა, როცა უკანასკნელად ჰკოცნიან მიცვალებულს და უკანასკნელ მუჭა მიწას აყრიან. განსაკუთრებით კოშმარული სურათია „ტაბაკელა“, აქ ასახულია შეშლილობა და ავადმყოფობა, უკანასკნელ საზღვრებამდე მიყვანილი ტანჯვა. ლორთქიფანიძე ეხება ბედისწერის პრობლემასაც; მოთხრობა „მოირი“ ფატალიზმის გამოსახვაა, ტრაგიკული ბედის რწმუნება; ბედისწერა ცრუმორწმუნეობა არ არის — ამბობს მოთხრობის გმირი — ეს რწმენაა წინად განგებისა. „თვით უსულო საგნები ემორჩილებიან რაღაც განუზომელს, შეუსწავლელს, გაუგებარ ძალას, ის ღრმად არის ჩაქედილი ყოველ რელიგიაში და ეხლა თვით მეცნიერებაში აპირებს გადასვლას... ზღაპარია მიზეზთა და შედეგთა შორის რაიმე კავშირს პოვნის იმედი“.

ეს არის სასაფლაოს შიში, ამ ქვეყნის სიძულვილი, გონების და მეცნიერების დაწყველა. სიყვარულის ინტიმიურობა არ არის უარყოფილი ავტორის მიერ, მაგრამ განა სიყვარული გვიხსნის ბედის საშინელ შეტევათაგან. ასეთია მთავარი აზრი ამ ესკიზების, აზრი, რომელიც შენედეითაც, ადამიანი განწარულია და ეს ცხოვრება აქცნობს ყველაფერს. რაც კარგი, იდეალური და ლამაზია მის სულში. ასეთია მრისხანე ბედისწერა. და ამ ასპექტიდან აშუქებს მწერალი სიყვარულსაც. მაგრამ ეს სიყვარული უფრო მეტად ლოცვასა ჰგავს. ლოცვა კი მაშინ სკირდება ადამიანს, როცა ის საწყალია და უმწეო. მწერალმა დაუკავშირა ერთი მეორეს ეს ბედითი განწირულება, ცოდვითა მონანიება და ქალ-ვაჟთა სიყვარული, ისე რომ აქ თვით განშორების ცრემლებიც და შეხვედრის ფრუანტელიც ფატალური ნისლითაა მოცული — აი უყვარს ვაჟს ქალი, მაგრამ მოირა, ეს ბერძნული შნოთი და ლაზათით გამოთქმული სპარსელების იღბალი თავის გემოზე აწყობს ცხოვრებას და რა მისი ბრალია, რომ არ უყვართ ის ვინც ჰყვანია, რომ შეამიტობა ცინიზმით ეჩვენებათ, აზროვნების სიწმინდე — გარყვნილებათ, რომ ყოველ მეჭრთამეს შეუძლია თავი იმართლოს — აი ბოკლი, ტიერი, ჰეინე, ისინიც მეჭრთამეები იყვნენო. ყოველი გაიძვერა, ვისაც შანტაჟისათვის ციხეში ჩასვამენ გაიძახის — არაფერია, ჯორდანო ბრუნო, სავანაროლა, რილევი, ჩერნიშევსკიც ციხეში ისხდნენო. აი ეს აფიქრებს მწერალს, მაგრამ მისი აზრით ამ „ცოდვას“ არაფერი ეშველება, ქვეყანას ვერაფერში დაეხმარები, მკვდარს ვერ აღადგენ, შეგიძლიან მხოლოდ იტირო. მწერლის აზრით ასე აიძულებს ადამიანს მოქცევას ის ჩარბი, რომელიც ატრიალებს ბედის ბორბალს, ის ტრაგედიის მორალი, რომელსაც ყოველ დღე თამაშობენ ამ ქვეყნად. აი ერთი ადგილი „მოირადან“: „უეტრად ქალი გათხოვდა თუ გაათხოვეს, სხვამ კი წაიყვანა ცოლად. ვაჟს გული ჩასწყდა. ეს ძველი ამბავია: ქალი ღირსი იყო სიყვარულისა და ვაჟს იგი უყვარდა. ვაჟი არ იყო ღირსი სიყვარულისა და ქალს იგი არ უყვარდა“. მართლაც, რომ ძველია ეს ამბავი და ძველი იყო ის ჰეინეს დროსაც, როცა პოეტი ნაღვლიანად ამბობდა:

„Любит юноша девицу
 Та другого избирает,
 А другой другую любит
 С ней в законный брак вступает.
 Радовасована этим,
 Сочетается девица
 Тоже браком с первым встречным.
 Юноша грустит и занята.
 Эта старая история
 Вечно новой остается,
 А заднем за живое —
 Сердце на двое порвется“.

ესეც თქვენი „მარად ძველი“ და იმავე დროს „მარად ახალი“ ისტორია. და ეს იმედების დაღუპვის განწირულება სასაფლაოს კენთზე იდგება მწერლის ყურადღებას. ნიკო ლორთქიფანიძეს ამ ხანაში ქვეყანა ქოჯოხებით მიიჩნია. „ყოველ სამარეს ჯვარი ჰქონდა — ფიქვრის ქვირთა გეგონებოდა მიცვალებულნი წვანან და ხელები ჯვრებად აღუპყრიათ, რადგან ელიან საშინელ სამსჯავროსო. რომელი სამსჯავრო აშინებდათ მათ, მას მერე რაც განვლეს და გამოსცადეს სამსჯავრო ამა ქვეყნისა — ეს იყო საკითხავი თუ გინდ სასაცილო“. მაგრამ მაინც ძლიერია სიცოცხლის ძალა, ამას ამტკიცებს ნიკო ლორთქიფანიძის მეორე მოთხრობა „მგლოვიარენი გულითა“, ესაა ვაჟაფშაველასებური მოთხრობა ფრინველთა შესახებ. აქ ფრინველთა „სასომიხდილ ყვირილში გამოთქმულია მთელი სინანული ფუჟ, უღიმღამო სიცოცხლის გამო. მასში ჩაქსოვილია ნატერა სინათლისა, სიტკბოებისა და სიხარულისა“. მაგრამ ლორთქიფანიძის აზრით ეს მცირედი სიხარულიც მიუწვდომელია და ცხოვრების სიძნელეს ფანტაზიაც აღარაფერს შევლის. ასეთია საერთო იდეური კომპლექსი მოთხრობათა ამ ციკლისა, მაგრამ ამ გზასაქვევზე საბოლოოდ არ გაჩერებულა მწერალი. ასეთ განწყობილებების ეაშს ის ხანდისხან კიდევ ეხმაურებოდა ნაციონალურ საკითხსაც.

6. ლორთქიფანიძის მოთხრობებში („ტლუ ბიჭი“, „მამულის სული“) კიდევ გაიხმაურა ილიას მამულის პრობლემა, მაგრამ ჩვენ მწერალს ილ. ქავჭავაძისაგან უკვე მთელი ეპოქა აშორებდა და მას აღარ შეეძლო ეძებნა ბაზალეთის ტბის ძირას დამარბული ოქროს აკვანი.

ერთ მოთხრობაში ნიკო ლორთქიფანიძე მოგვითხრობს როგორ მოკვდა მამულის სული, რომელიც განპიროვნებულია ადამიანის სახით. მას აპყარეს იარაღი, ბორკილებში ჩაქედეს, დაიხა მისი ხავერდას კაბა, დაიხა ფარჩის ვანიერი ყვითელი შარვალი, დაიგლიჯა წვეტიანი წალები. აზროვნება დაკარგა, ლაპარაკი დაივიწყდა, შემდეგ მოკვდა კიდევ სწორედ იმ დროს, როცა მის გასანთავისუფლებლად დაღუწეს ციხის კარები. აქ მძაფრადაა გამოთმქული ნაციონალისტური იდეოლოგია, მწერალიც მძაფრი და ფხიზელ რეალიზმიდან პრიმიტიულ ალეგორიულობაზე გადადის.

ასეთია ლორთქიფანიძის მსოფლხედვა ხსენებულ პერიოდში. როგორც ვნახეთ ამ დროს მისი აზრები არ იყო თავისუფალი პესიმიზმისა და ნაციონალიზმისაგან. ზოგ ალაგას მან მძაფრად უარყო ცხოვრებაც. როგორც ტანჯვის სამყოფელი, აღიარა, რომ ჯოჯოხეთი, რომელიც არ არსებობს ტრანსცენდენტურ წარმოდგენაში — ცოცხლად განხორციელებულია ამ ქვეყანაზე. ასე გამოიხატა კრიზისის ეპოქა ჩვენი მწერლის შემოქმედებაში.



ქართულ ლიტერატურის ტრადიციული თემა — *ქვეყნის მსახური* — თავისი ყოფით, უბრალოებით და სიმარტივით, ტანჯვის და სიხარულით — არც ლორთქიფანიძის ფხიზელ თვალს დარჩენია შეუნიშნავად. მაგრამ სრულიად თავისებურია მისი მხატვრული მისვლა ამ თემასთან, აქ უფრო მეტი რეალიზმითაა დანახული ქვეყანა, ვიდრე ნაროდნიკთა შემოქმედებაში გვხვდებოდა. თითოეული სურათი დახატულია ნატურალისტურ მიუდგომლობით, აურჩევლათ, მთლიანათ, მწერალი გადმოგეცემს ყველა ამბავს, რაც კი მის თვალს უნახავს, ამის ნათელი ფაქტები „იმერი“, „კერიასთვის“, „სოფლის აშოკი“ და პირველი ნაწილი მოსთხოვისა — „ბილიკებიდან ლიანდაგზე“. ჩვენს წინ მთელი სიყვარით გადაშლილია იმერეთის გლეხური სინამდვილე. შესაძლებელია ამ სინამდვილეს თქვენ გულგრილად გვერდი აუქციოთ, ვერაფერი ნახოთ მასში მომხიბლავი, მაგრამ როდესაც იგივე სინამდვილე ნახეთ ლორთქიფანიძის კალმით დახატული — აქ უკვე თქვენი ყურადღება მიჯაჭვულია ამ სურათებზე, რომენლიც გიტაცებენ თავის უბრალოებით და იმავე დროს მხატვრული სიღრმით. მისი მოთხოვა თვალ წინ დაგიყენებთ გლეხის ცხოვრების ყველა მხარეს, თქვენ ხედავთ მას მუშაობაში გუთნით და ფარცხით; რთველი, ღვინის სმა, ქეიფი, ჩხუბი და რაც მთავარია ბრძოლა მიწისათვის. ეს არის გლეხის ყოფა რევოლიუციამდე. ამ დროს მიწა — მესაკუთრე გლეხის დინჯი ოცნება და იმედი. მეორეს მხრივ ლორთქიფანიძემ რევოლიუციონური მოძრაობის გაღვივებაც შენიშნა წინარევოლიუციონურ სოფელში.

პირველ ხანებში ლორთქიფანიძემ ერთხელ კიდევ გაიმეორა ლიტერატურის ისტორიაში უკვე რუსოს დროიდან ცნობილი დაპირისპირება სოფლისა და ქალაქის, ბუნების იდილიის და ქალაქის კულტურის. მან მძაფრი განსხვავების საზღვარი გაავლო სოფელსა და ქალაქს შორის, ისინი წარმოიდგინა როგორც შეურიგებელი ეპოქალური მტრები: („ტლუ ბიჭი“) ქალაქად მხოლოდ მტვრიანი ქარია, რომელიც თვალებს გვჭამს, სოფლად კი მოლზე დაყრილი ბრილიანტივით ცვარი ათასფრად ბრჭყვიანებს, ქალაქად სდვას დამპალი, დაობებული ტალახიანი ქუჩების ოხშივარი, სოფლად კი ყვავილების ხეების საამო სურნელება. ქალაქად სიყვარულიც ყალბია და ფარისევლური, სოფლად კი წმინდა და ნამდვილი. „ქალაქის კლანჭები ორბის ნისკარტზე უფრო მჭრელია“. — აი ასეთი საშინელი და საზიზღარია ქალაქი. მაგრამ ეს განწყობილება ბოლმდე არ დარჩენილა მის შემოქმედებაში. მწერალმა მალე დააღწია თავი ასეთ ექსპრესიონისტულ იდეებს და რეალიზმზე გადავიდა. და მან დახატა ნამდვილი რეალისტური სოფელი, რომელიც ქალაქს კი აღარ უპირისპირდება, არამედ ხარბათ ითვისება მის მოწინავე იდე-

ჟვიერი „წყალდიდობა“. იცის სიტყვის ფასი, ის ისე უფროსობდება თავის მხატვრულ სიტყვას როგორც ძუნწი თავის ოქროებს, დღეს მის ამოცანას — თანამედროვე გმირის ახალი ადამიანის მხატვრული კვება წარმოადგენს. მან უნდა დასძლიოს ეს ამოცანა, მაშინ ~~იგი~~ ~~დასძვება~~ ~~სოციალისტურ რეალიზმის პლატფორმაზე.~~

მწერალმა უძველეს საუკუნეებში ჩამარხულ ამბებს აჰხადა ფარდა, ძალიან შორს გადაგვახედა და გვიჩვენა უკვე დამარხული ქვეყნების ფიქრი და ოცნება. საკმაო მსხვერპლი შესწირა დეკადენტურ ლიტერატურის კერპებსაც, მთელი ეს „პანაშვილები“, „უილაქნოდ“, „საფლავის ვარდი“ — იყო ზარალის ბალანსი რეალისტი ლორთქიფანიძისათვის. მაგრამ დღეს მისი ფეოდალური „მუზა“ სოციალისტურით შეიცვალა და მწერალი დაღვა დღევანდელობის ნიადაგზე.



ა. გავაჩილია

სიმონ ხუნდაძე

ერთი წელი გავიდა სიმონ ხუნდაძის გარდაცვალებიდან. ჩვენი კულტურული საზოგადოებრივობისათვის მეტად საგრძნობია ეს დანაკლისი. ქართულ ლიტერატურის ისტორიის ყოველი მკვლევარი ამ ფაქტს განსაკუთრებულს სიმწვავეთ განიცდის.

ლიტერატურული წყაროებისა და ჩვენი ჟურნალისტიკის საუკეთესო მცოდნე, ერუდიტი და სისტემატიკოსი, ს. ხუნდაძე იმავე დროს იშვიათი ადამიანი იყო, სარგებლობდა დიდი სიმპატიით ლიტერატურული და მეცნიერული საზოგადოებრივობის მხრით.

თავისი კვლევითი მუშაობის პროცესში ს. ხუნდაძეს უხდებოდა დღემდე შეუსწავლელ საკითხების დასმა და მათი გადაჭრა. სავსებით ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, თუ ასეთი მუშაობის პროცესში მკვლევარი ზოგჯერ შეცდომებსაც უშვებდა.

განსაკუთრებით ბევრი გააკეთა ს. ხუნდაძემ ტექსტუალური და კომენტატორული მუშაობის მხრით. მისი რედაქციით გამოცემული თხზულებანი ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, დ. ყიფიანისა და სხვების (რომელთა დასრულება, სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო) ყურადღებას იქცევენ საკითხების ღრმა ცოდნით და ტექსტოლოგიურ-ბიბლიოგრაფიული სისრულლით. ამ მხრით ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის სიმონ ხუნდაძის დამსახურება განსაკუთრებით თვალსაჩინოა.

სიმონ ხუნდაძის მთავარ თემას წარმოადგენდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია. ამიტომაც ყველა მის შრომებს ახასიათებს პუბლიცისტური სტილი.

მე-19 საუკუნის 60-ან წლებიდან დაწყებულ დავას ლიტერატურულ, ეკონომიურ თუ პოლიტიკურ საკითხებზე ს. ხუნდაძე აფასებდა უწინარეს ყოვლისა, როგორც საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუციის ფორმას. ამიტომაც მისი ანალიზისათვის განსაკუთრებით მდიდარ მასალას შეიცავდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარის ქართული მწერლობა. როგორც ცნობილია, ჩერნიშევსკისა, პერცენისა და დობროლადუბოვის იდეათა ზეგავლენამ ამ პერიოდში იჩინა თავი და ს. ხუნდაძის კვლევის უშუალო სფეროს ამ ზეგავლენათა ცხადყოფა, მათთვის საზოგადოებრივი აზრის ძიება, წარმოადგენდა.

კვლევის თემამ და სტილმა შემოფარგლეს მკვლევარისათვის ქართული ისტორიის განსაზღვრული პერიოდი — გასული საუკუნის მეორე ნახევარი. მართალია, მას ზღვარები ედებოდა წერა ოციან, ოცდაათიან და 50-ან წლებზე, სწორად, ცხელი წლების შეთქმულების მონაწილე მწერლებზე (გრ. ორბელიანზე, სოლ. რაზმაძეზე, დოდაშვილზე და სხვ.), მაგრამ ეს პერიოდი არ იყო უშუალოდ მისი კვლევის სფერო. ჩვენ ვფიქრობთ, ეს აიხსნება თვითონ მკვლევარის მუშაობის საერთო მიმართულებითაც.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მწერლობას საერთოდ არ ახასიათებს იდეოლოგიური პროგრამების მრავალფეროვნება, მასში უფრო ლიტერატურული პლასტების ცვალებადობა და ბრძოლა იგრძნობა. გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის და ნ. ბარათაშვილის შემოქმედება იშლებოდა მე-18 საუკუნის კამერული ლიტერატურის ფორმებისა და დასავლეთის პოეზიის ფორმათა შეხვედრის ფონზე. სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში ბატონობდა ბატონყმობა და სამხედრო იერარქია. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ადგილი არ ჰქონია საზოგადოებრივ ფენათა ისეთ მრავალფეროვან დიფერენციაციას, როგორც ამავე საუკუნის მეორე ნახევარში. ამიტომაც არც სოციალურ-პოლიტიკური პროგრამების სიმრავლით ხასიათდება აღნიშნული პერიოდი.

ს. ხუნდაძისათვის მეორე ხარისხოვან კითხვას წარმოადგენდა ლიტერატურული სტილის ევოლუციის პრობლემა. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მწერლობა კი ამ მხრით არის საკვლევი და როგორც ესთქვით, სოციალურ-პოლიტიკური პროგრამების მრავალფეროვნებით ის არ ხასიათდება.

ს. ხუნდაძე შეუდარებელი მცოდნე იყო განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მწერლობისა. ამ პერიოდის მწერლებსა და მოღვაწეებზე მას ეკუთვნის მთელი რიგი გამოკვლევებისა და წერილებისა. მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი ს. ხუნდაძის შრომებს გვერდს ვერ აუვლის და დიდი ხნის განმავლობაში ისინი დარჩებიან საორიენტაციო წყაროებადაც.

ს. ხუნდაძეს, როგორც მეცნიერს, ახასიათებდა მასალების ყოველმხრივი და ზუსტი შესწავლა, ეპოქის გათვალისწინება დეტალებში და საკითხების განზოგადოება ასეთი შესწავლის შემდეგ. იშვიათად მოიძებნება ჩვენში მკვლევარი, რომელსაც ეს მუშაობა ჩაეტარებინოს ისეთი სიფრთხილით, როგორც ს. ხუნდაძეს. მას, როგორც მკვლევარს ყველა ენდობოდა.

როგორც მეცნიერმა და ადამიანმა, სიმონ ხუნდაძემ სამართლიანად დაიმსახურა ჩვენი საზოგადოებრივობის სიყვარული და პატივისცემა.

ა. მენაბდე

მარქსი და ბალზაკი

1

ქარლ მარქსი და ჰონორე დე ბალზაკი ორივე გენიოსია. პირველი ის ადამიანია, ვინც კაცობრიობის ისტორიის მამოძრავებელი ძალები აღმოაჩინა, ვინც კაპიტალისტური საზოგადოების ღრმა მეცნიერული ანალიზი მოგვცა. მეორე კი ის ადამიანია, ვინც მხატვრულ ტილოზე ამ საზოგადოების სურათი დახატა.

მარქსს და ენგელსს მარტო შიტომ კი არ უყვარდათ ბალზაკი, რომ იგი უდიდესი მხატვარი, ფსიქოლოგი, სოციალური ცხოვრების ზედმიწევნით მკოდნე იყო, არამედ შიტომ, რომ ბალზაკი იყო კემარტი რეალისტი. საფრანგეთის ისტორიის ცოცხალი მემბტიანე. მარქსის თვალში ბალზაკის რეალიზმი არ იყო მწოცავე ემპირიზმის იარაღი, არამედ იმ წინააღმდეგობის მაჩვენებელი, რამაც ძირი გამოუთხარა არისტოკრატის.

ბალზაკმა რომანებში ორი კლასი დაუპირისპირა ერთმანეთს: დეკადანსის გზაზე დამდგარი არისტოკრატია და გამარჯვებული ბურჟუაზია.

ბალზაკმა კარგად გაიგო, რომ არისტოკრატის ფრთები ეკვეცებოდა. მან იგრძნო ამ კლასის სულის ლაფვა და ბურჟუაზიის ტრიუმფი. იგი სატირით და ჰუმორით გაუმასპინძლდა ამ კლასს. მან გაიგო ამ კლასის დაღუპვის მიზეზები და მხატვრული რეპროდუქცია უყო მას. ამაშია ბალზაკის რეალიზმის პროტესტანტიზმი.

ბალზაკი არ იღვა დილემის წინაშე, როგორც ვიქტორ ჰიუგო. ბალზაკს არ ახასიათებდა პოლიტიკური მერყეობა. მის დროს საფრანგეთში პრძოლა სწარმოებდა ბონაპარტისტებსა, ლეგტიმისტებსა და ორლენანისტებს შორის. ბონაპარტისტები ნაპოლენ პირველის დინასტიის აღდგენას მოითხოვდნ, ლეგტიმისტები — კანონიერ დინასტიას. რომელიც ბურბონებმა დაამყარეს, ორლენანისტები — ძველი ორლენანის სასახლისას. „მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებმაც შეადგინეს ერთი ნაწილი, ბატონობდნ რესტავრაციის პერიოდში და ამიტომ იყვნენ ლეგტიმისტები; მისი მეორე ნაწილი ბატონობდა იენისის რევოლუციის დროს და ამი-

ტომ იყო ორლენისტი“ (K. Маркс. „Восемнадцатое брошюра Луи Бонапарта“). „მაგრამ შემდეგ — აღნიშნავს იქვე მარქსი, ორივე ეს პარტია ერთად მუშაობდა. იენისის აჯანყებამ გააერთიანა ორივე წესრიგის პარტიად“. ორლენისტები როიალისტები იყვნენ, რომლის კალთას თავს აფარებდა სავაჭრო ბურჟუაზია.

ბალზაკი ლეგიტიმისტურ იდეებს თანაუგრძნობდა: იგი ხელს უწოდებდა მემამულეებს და სავაჭრო ბურჟუაზიას. მაგრამ 1848 წლის რევოლუციამ, ლუი ფილიპეს გამეფებით, არ გაამართლა ამ პარტიების იმედები: დაიშალა „წესრიგის პარტია“. პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების სადავე ხელში ჩაიგდო მსხვილმა ბურჟუაზიამ. ბურჟუაზიას ებრძოდა არისტოკრატია, მაგრამ იგი დარწმუნდა ამ წოდების განჯურების შეუძლებლობაში.

2

როგორც ცნობილია, მარქსი და ენგელსი დიდად აფასებდნენ ჰომეროსს, დანტეს, სერვატესს, შექსპირს, გოეთეს, ბალზაკს, ჰაინეს, ფრაილიგრატს. მარქსის თეორია ხელოვნების შესახებ საკვებით ამართლებს ამ დაფასებას. მარქსის გაგებით ამ მწერალთა ღირსება იმაში გამოიხატება, რომ მათ შემოქმედებაში შინაარსი და ფორმა მთლიანობაშია მოცემული. მეორეს მხრივ ამ მწერალთა შემოქმედება მთელი ეპოქის სარკეა. ისინი გვიხატავენ გაბატონებული კლასის გაღვივებულ ანტაგონიზმს.

არსებობს ბურჟუაზიული და სოციალისტური რეალიზმი. ბურჟუაზიულ რეალიზმს ორი სახეობა აქვს, პირველი არსია: გარდა ემპირიკალიზმისა და ობიექტივიზმისა (გ. ფლობერი) საერთო საკაცობრიო იდეები, ძმობა, ერთობა, თავისუფლება. უტოპიზმი პოლიტიკურ იდეებში, რომლითაც ფაბულა ზოგჯერ რომანტიულ ხერხებით ვითარდება (გ. ზანდი). ბურჟუაზიული რეალიზმის მეორე სახეობის არსია: მეცნიერული კვლევა-ძიება, რომლის იარაღი ექსპერიმენტია. მწერალი მატერიალისტია და დეტერმინისტია (ე. ზოლა). ასეთი მწერალი გვხვდება იმ პერიოდში, როდესაც ბურჟუაზიის ნიადაგი ისე განმტკიცდა, რომ იგი ძალუმად ებრძვის არისტოკრატიას. მწერალმა იცის, რომ გამარჯვება ბურჟუაზიის ხელშია. ასეთი რეალიზმის წარმომადგენელია ჰონორე დე ბალზაკი.

მარქსი და ენგელსი ბურჟუაზიულ რეალიზმს აფასებდნენ იმდენად, რამდენად ამ მანერით დაწერილი ნაწარმოებები მასებში ღიდ გამოხმაურებას პოულობდა, რამდენად იგი იძლეოდა როგორც ბურჟუაზიის, ისე მუშათა წრიდან გამოსულ ტიპებს. ეს შეხედულება, რომელსაც მარქსი საკვებით იზიარებდა, გამოსთქვა ენგელსმა ინგლისელი ჭალი-მწერლის მარგარეტ ჰარკნესისადმი მიწერილს წერილში. ენგელსს მხედველობაში ჰქონდა ამ უტოპისტ-სოციალისტი მწერალი ჭალის რომანი „ქალაქელი

ქალი“ და „უმუშევარი“. ამ წერილში ირკვევა აგრეთვე ის, რომ ბალზაკი მიუხედავად არისტოკრატიისადმი თანაგრძნობისა, ბერეტიზიულ-რევოლუციური რეალიზმის წარმომადგენელია. ამიტომაც მერტლელი იყო ვიქტორ ჰიუგო, რომელმაც მის საფლავზე წარმოადგინა ქრისტეში აღნიშნა: „შეგნებით, ნებისით თუ უნებლიეთ, იგი ეკუთვნოდა რევოლუციურ მწერალთა რასას“.

კლასობრივი წინააღმდეგობანი მხატვრულ სახეებში ჩამოაყალიბა ბალზაკმა თავის რომანებში. აქ მოცემულია არისტოკრატიის და ბურჟუაზიის ბრძოლა. ავტორის პოზიციაც საესეებით გარკვეულია. ამ მოვლენის შესახებ ზემოდ ნახსენებ წერილში სწორდა ფრ. ენგელსი ჯნ პარკენსს: „ის გარემოება, რომ ბალზაკი იძულებული გახდა წასულიყო თავისივე კლასობრივი სიმპატიებისა და შემცდარი პოლიტიკური რწმენის წინააღმდეგ; რომ იგი ხედავდა თავის საყვარელ არისტოკრატიის განადგურების აუცილებლობას და ხატავდა მათ ისეთ ადამიანებად, რომლებიც უკეთესი ხედრის ღირსი არ იყვნენ და, რომ ის ხედავდა მომავლის ნამდვილ ადამიანებს მხოლოდ იქ, სადაც ამ დროს შესაძლო იყო მათი პოვნა, — ეს გარემოება მე მიმაჩნია რეალიზმის ერთერთ უდიდეს გამარჯვებად, მოხუცი ბალზაკის ერთერთ უდიდეს თავისებურობად“. ამდენად დიდი ბალზაკი ენგელსის თვალში, ენგელსი პარკენსს უსაყვედურებს მუშათა კლასის ცხოვრების პასიურ აღწერას. აქ ხედავს იგი ამ მწერლის რეალიზმის სისუსტეს. ნაწარმოები უნდა აღვიძებდეს მუშათა კლასს, უნერგავდეს მას კლასიურ სიფხიზლეს, ბრძოლის წყურვილს და გულის წყრომას კაპიტალიზმისადმი. ასეთია მარქს-ენგელსის აზრი რეალისტი მწერლის დანიშნულების შესახებ.

„ჩემის აზრით, ამბობს ენგელსი, რეალიზმი დეტალების სისწორის გარდა გულისხმობს ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოში სწორ გადმოცემას“. ამ დებულებას შეესაბამება ბალზაკის მოწოდება „ადამიანურ კომედიის“ წინასიტყვაობაში: „გავატიპოთ ინდივიდუმი, გავაინდივიდუოთ ტიპები, მივიღეთ სოციალურ პრინციპთან“. კაპიტალიზმის განვითარების შინაგანი წინააღმდეგობის სურათი ბალზაკმა სწორედ მის ტიპებში მოგვცა. ეს არის სასიცოცხლო ძარღვი მთელი მისი შემოქმედებისა. რამდენად ბალზაკი მაჩვენებელია ამ წინააღმდეგობის, იმდენად არ ჩაითვლება იგი არისტოკრატიის მწერლად.

შექაირმა შეისწავლა ადამიანის ბუნება და მისი სწორი რეპროდუქცია მოახდინა. ბალზაკმა შეისწავლა საზოგადოება და ადამიანი, რომელიც მასში ტრიალებს და მის გავლენის ქვეშ იმყოფება. მას არც ფატუმი, არც განგება (la Providence) ამოქმედებს, არამედ მხოლოდ კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობა. შექაირმა უკვდავ ჰყოთავისი საბელი ადამიანის გულის საიდუმლოების ღრმად და ზუსტად შესწავლითა და მისი

მხატვრულ სახეებში გადმოცემით, ბალზაკმა კი — კაპიტალისტური საზოგადოების ყოველი წვრილმანი ატრიბუტის ღრმად გამოკვლევა და მისი დახატვით.

ბალზაკმა მოგვცა არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ^{ერეკენული} აქოფივადუ. მის რომანებში ჩვენ მხოლოდ მომაკედავ არისტოკრატიას, სავაჭრო და საბანკო ბურჟუაზიას ვხედავთ. ბალზაკმა შეისწავლა არა მარტო კაპიტალისტური ქალაქი, არამედ სოფელიც, სადაც ვაჭრები და ჩაჩხები პარპაშობენ. იგი ნახულობს პროვინციის ყოველ კუნჭულს, ეცნობა ადამიანის ხასიათს. მას უფრო ადამიანის მატერიალური მხარე და საქმიანობა აინტერესებს, ვიდრე მისი სულიერი ცხოვრება, რომელიც, მისი გაგებით, მატერიალურით განისაზღვრება. მისი ტიპები თითქმის დღესაც ცოცხალნი არიან.

3

ბალზაკის რომანების სცენები პროვინციისა და ქალაქის ცხოვრებას გვიხატავს. სოფლის ცხოვრება დახატულია რომანებში: „ვევენია გრანდუ“, „დაღუპული ოცნებები“, „მოხუცი ქალიშვილი“, „გლეხები“; პარიზის ცხოვრება მოცემულია რომანებში: „ცეზარ ბიროტის სიდიადე და დაცემა“, „კუზინა ბეტა“, „ბიძაშვილი პონსი“, „პატარა ბურჟუები“ და სხვა. ბალზაკი უფრო ძლიერია კაპიტალისტური პარიზის ცხოვრების აღწერაში. სოფლის ცხოვრების გამოშატეველ რომანებს შორის სანიმუშოა „გლეხები“. მარქსს ერთობ მოსწონდა იგი, რადგან მასში ხედავდა იმ თეორიის განაღდებას, რომელსაც „კაპიტალის“ მე-3 ტომში განმარტავს: „იმ საზოგადოებრივ მდგომარეობაში, რომელზედაც კაპიტალისტური წარმოებაა გაბატონებული, არაკაპიტალისტური მწარმოებლებიც კაპიტალისტურ შეხედულებებით არიან მოცულნი. თავის უკანასკნელ რომანში „გლეხები“, რომელიც საზოგადოდ შესანიშნავია იქ ასახულ რეალურ ურთიერთობათა ღრმა გაგებით, ბალზაკი მოხდენილად გვიხატავს თუ როგორ მუქთად უსრულებს სხვადასხვა სამუშაოს წვრილი გლეხი თავის მევახშეს და სულ არ იცის, რომ რაიმე მოაქვს ძღვნად მასთან, რადგან თავისი საკუთარი შრომა მას არავითარ ნაღდ ხარჯად არ უღირს.

მევახშე თავის მხრივ ორ კურდღელს ჰკლავს ერთი ვასროლით. იგი აღარ საჭიროებს ნაღდი ხარჯის გაწევას ხელფასისთვის და გლეხს, რომელსაც საკუთარი მიწის მუშაობაზე მოცდენა სწრაფი ტემპით ანადგურებს, უფრო და უფრო ახვევს სავაზო ქსელის ბადეში“.

გენერალი მონკორნე არა კაპიტალისტური მწარმოებელია. იგი მემამულეა, რომელმაც იყიდა ეგის ციხე-დარბაზი ბურგუნდიაში. ფული მან იშოვნა ეგვიპტესა და ჰამერანიაში ლაშქრობის დროს. ეს ციხე-დარბაზი რომელსაც ვარს აკრავს ვეებერთელა საყანე მიწები და ტყეები, ეკუთ-

ენოდა მომღერალ ქალს, ლაგერს. ავტორი ამ რომანში იძლევა გლეხის ტიპებს, მაგრამ, როგორც საერთოდ, ისე აქაც იგი ვერ იხვენს იმდენს სოციალურს, როგორც არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ტიპების დებატაჟში. გლეხში ავტორი ხედავს მხოლოდ ეგოისტს, კერძოდ, ასევე უფროსებისთვის მეტროქოს. ბალზაის გლეხი ამასთან უგუნური, უკულტურისა და შურიანი, ზოგჯერ დებოშის თავდასხმის მომწყობიც. ეგოისტია და შურიანი გლეხი-ქალი კუზინა ბეტა. იგი შურს იძიებს ბარონ პიულოზე, ცდილობს მისი ოჯახის დანგრევას.

ავტორი ჩვენს ყურადღებას თავდაზნაურობიდან გლეხობისკენ მიმართავს: „მსხვილ მიწათმფლობელებს, ფერმერებს და ლატაკებს, — ამბობს ავტორი ამავე რომანში, — ყველას ჰყავდა თავიანთი წარმომადგენელი-სოციალური საკითხი ცხადად ჩნდება სცენაზე, რადგან შიმშილმა შეკრიბა აქ ეს თავისთვის მოლაპარაკე ფიგურები. მზე აჩვენებდა ამ სასტიკ ნიშნებს და დარეჯილ სახეებს; იგი აცხუნებდა მათ შიშველს და მტვერით დაფარულ ფეხებს. აქ იყვნენ ბავშვები უპერანგოდ, რომელთა სხეულს ძლივს ფარავდა ხალათის ნაჭრები. მათი ქერა თმები გაწეწილი იყო, რომელშიც ჩალის ნამცეცები, თივა და პატარა ტოტები იყო ჩაცვივნილი. ზოგ ქალს ჩვილი ბავშვი ეჭირა ხელში; მათ ახლახან დაიწყეს სიარული და დედები მათ სტოვებდნენ საღდაც მინდვრის ხნულში“.

ბალზაის გლეხი განიცდის ერთის მხრივ მემამულის, ხოლო მეორის მხრივ ჩარჩის ექსპლოატაციას. ჩარჩის გაჩენა სოფლად სავაზო კაპიტალის განვითარების შედეგია, ეს უკანასკნელი კი იმდენად მომწიფდა, რომ საბანკო კაპიტალს დაუპირისპირდა და ზოგჯერ ამ უკანასკნელად გადაიჭყა, მათი სათავე თვდაპირველ დაგროვებაშია.

ბალზაის რომანებში არ არის მოცემული სამრეწველო კაპიტალისტური წარმოების სურათი, მაგრამ არიან ჩარჩისა და ვაჭრის ცხოველი ტიპები სოფლად და ბანკირების — ქალაქად. ვაჭარი უბადრუკია: იმას ხან შეევახშე აკადრებს და ხან ბანკირი. მემამულეც ვარდება მათ ბადეში. მარჭი „კაპიტალის“ პირველ ტომში ეხება ფულის მიმოქცევის საკითხს და ამბობს: „ფულის გამორიცხვა მიმოქცევის სფეროდან პირდაპირ საწინააღმდეგო იქნებოდა მისი გამოყენებისა კაპიტალის სახით, ხოლო საქონლის დაგროვება განძის შექმნის მიზნით აშკარა უგუნურობაა“. იქვე სჭოლიოში იგი შენიშნავს: „ასე, მაგალითად, ბალზაის, რომელსაც საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ყველა ელფერის სიძუნწე, გამოჰყავს მოხუცი გობსეკი, უკვე გამოშვებული, როდესაც იგი იწყებს თავმოყრილ საქონლისაგან განძის შექმნას“. გობსეკი, როგორც ბალზაის ზოგიერთი ტიპები და მათ შორის ბარონი ნიუსინიანი, გვხვდება აგრეთვე „ცეზარ ბიროტოში“: „ნუთუ თქვენ ასეთ უკიდურესობაში იმყოფებით, ბატონო? — ეუბნება კლაპარონი ბიროტოს. შეიძლება გობსეკს ბანკირი უწოდოთ თუ თქვენ ჯალათს ეჭიშს დაუძახებთ! ის 50 პროცენტზე ნაკლებს

არ ლებულობს: ეს მეორე პარპაგონია. იგი მოგცემს ზაფხულში ტყავს, ზამთარში ჩითს და რას მისცემთ თქვენ მას? ის მარტო რამსაც არ აიღებს; თქვენ უნდა მისცეთ მას ცოლი, ქალიშვილი, ყველაფერი, რაც თქვენ გაცვიათ, რაც სოფელში გაქვთ. მასთან ერთად ~~ქუჩის~~ ~~ქუჩის~~ ~~ქუჩის~~ ბუხრის მაშები, შეშა სარდაფში ჩაწყობილი... გობსეკი, გობსეკი. ვინ გიჩვენათ თქვენ ეს ჯალათი, ეს ფინანსიური გილიოტინა! გობსეკს, როგორც გრანდესს, თავისი თავი ქვეყნის ღმერთად მიაჩნია. „ჩემი გამოხედვა ისეთია, როგორც ღმერთის. მე ვხედავ ყველას გულს... ჯიბის კაზუისტებს. ჩვენ ვქმნით — სენტ-ოფიცს (ინკვიზიციის კონგრეგაცია) და ჩვენ მუდამ ვსტერეოტოპ ნამდვილს“. ასეთია ბალზაკის შეფასების ტიპი.

4

ფულმა „ამოქმედა“ თავადაზნაურობა, ფულმა დალუბა იგი. ფული ამოძრავებს ვაჭრებს, ჩარჩებს, ბანკირებს და მსხვილ კაპიტალისტებს. ფული ბალზაკის გამოთქმით „თანამედროვე საზოგადოების დიდი ზეუღლია“. „ფული ბალზაკის ნაწარმოებებში უსახელო და უსქესო გმირია“ (ფრიჩე). პარიზის ბირჟაზე და ბანკებში ფრიალებს თამასუქები. ბანკირები და ვაჭრები ფუსფუსებენ. მსხვილი ბურჟუაზიის გაბატონებას შედეგად მოჰყვა არისტოკრატისა და სავაჭრო ბურჟუაზიის გაკოტრება. პარიზი ამ მოვლენის ცოცხალი სცენაა. კაპიტალისტურ პარიზში ბედნიერების საპოვნელად მოდიან თითონ ავტორი და მისი გმირები ბიროტო, ლიუსიენი, როსტინიაკი. აქ ეჯახება რაფაელი ავადმყოფ არისტოკრატის შაგრენის ტყავით ზელში. „პარიზში ყველაფერი ფულია, — სწერს ლიუსიენი დას. — იხდიან ერთ სუს იმისთვის, რომ გადავიდნენ წვიმის დროს მომდინარე ნიაღვარზე. სულ ცოტა ხნით ეტლში 32 სუ უნდა გადაიხადოთ.

ლიუსიენის, რაფაელის და როსტინიაკის დამარცხება კაპიტალისტური სინამდვილის გამარჯვებაა. ლიუსიენიც და როსტინიაკიც პარტიზმოყვარენი არიან. გამდიდრების წყურვილმა ჩასახა ამ ნიჭიერს პოეტსა და პუბლიცისტში „თავადაზნაურული სიამაყე და არისტოკრატული მედიდრობა. ეს მაშინ მოხდა, როცა იგი გრაფი დე რიუბანპრე გახდა. ფულმა გააბედნიერა და მანვე დალუბა იგი და მისი საყვარელი კორალი. „დალუბულ ოცნებებში“ ავტორი სასტიკს სატირას იძლევა გადაგვარებული არისტოკრატისას, რომელიც უფრო მძაფრია „მამა გორიოში“.

ბალზაკი დასცინის გადაგვარებულს არისტოკრატის და ხარბსა და პარტიზმოყვარე ბურჟუაზიას. იგი სჯის იმას, ვინც არისტოკრატის პბადავს. ამ იდეას ატარებს იგი „შაგრენის ტყავში“. მისი სიმპატია იმ ადამიანისადმი, იქნება იგი თავადი თუ ვაჭარი, ვისაც აქვს უნარი ისე მოაწყოს თავის პირადი ცხოვრება, რომ ბოლოს სასაცილო არ გახდეს.

ბალზაკის პოზიცია სამწეო-საფინანსო ბურჟუაზიისადმი გარკვეულია: ეს კლასი მისთვის მიუღებელია. თავადაზნაურობა, რომელიც ბურბონე-

ბის რესტავრაციის წყალობით წელში გაიმართა, დღეს აღარ არის საიმედო ძალა; იგი მსხვილი ბურჟუაზიის ყბად ასაღები ფაქტია. იგი ჩნებორივადაც გადაგვარდა. ბურჟუაზიულ რევოლუციას ბალზაკი მიზნს უცხადებს, რადგან მან ერთის მხრივ თავადაზნაურობის მტკიცებობას მოულო, ხოლო მეორეს მხრივ უმწეო მდგომარეობაში წააყენა ბურჟუაზიის ის ნაწილი, რომლის ამ მდგომარეობიდან გამოყვანა მას თავადაზნაურობასთან შეერთებაში მიაჩნდა, ვიდრე საფინანსო ბურჟუაზიასთან ყოფნა: „ეს იყო ძველი პატიოსანი სავაჭრო ბურჟუაზია, მასთან თანამშრომლობდა სამრეწველო ბურჟუაზიაც“, — შენიშნავს ავტორი.

ბალზაკი საუკეთესო მკოდნეა სავაჭრო და სამრეწველო ოპერაციების ფინანსების, მწეების, ბირჟების, მარქსს კარგად ესმოდა, რომ ბალზაკი მარტო მწერალი კი არ იყო, არამედ ეკონომისტიც და სოციოლოგიც. 1868 წელს, 14 დეკემბერს იგი სწერდა ენგელსს: ბალზაკის „სამრეწველო მღვდელში“ სწერია: „მრეწველობის ნაყოფს რომ ორჯერ მეტი ფასი არ ჰქონოდა, ვიდრე მათი დამზადება ღირდა, ვაჭრობაც აღარ იქნებოდა“. რას იტყვი ამაზე? (მარქსი და ენგელსი, ტ. XXIV, გვ. 146). ჩვენ არა გვაქვს ენგელსის პასუხი, მაგრამ ის კი ვიცით რა აზრისა იქნებოდა ენგელსი ამ კითხვაზე: ის უპასუხებდა, ბალზაკი მართალია.

ეუზარ ბიროტოს სიღიადე მოგების ნაყოფია. „ბურჟუაზია, — ამბობს ავტორი, — შეადგენდა მთავარ ელემენტს ბიროტოს ნაღიშზე და ამჟღავნებდა სრულს ბრწყინვალეობაში მის კომიკურ სისულელეს. ეს იყო ის ბურჟუაზია, რომელიც ოცნებობს პატივზე, საზოგადოებაში როლის თამაშზე. ისწრაფის იყოს ელევანტური, აცმევს ბავშვებს ულანებისა და გვარდიელების ფორმას, მიდის კვირაობით საკუთარ-გარაკზე, ყიდულობს Victoires და Conquetes, Soldat-laboureur-ს. ისინი ხდებიან თალღითობის მსხვერპლნი, ამ დაცინვაში სიბრალულიც ურევია: ბალზაკს ეცოდება ეს ხალხი და მისი წარმომადგენელი ბიროტო, რადგან ისინი საფინანსო ბურჟუაზიის მსხვერპლი არიან.

ბირჟა მოედანია ყველა ჯურის ვაჭრების. აქ არიან ბანკირები, კრედიტორები, აგენტები, სინდიკები და მთელი კონკორდატი. თუ ერთი პარტნიორი მეორეს ვერ მოურიგდა, საჭმეს კომერციული სასამართლო არჩევს. გაკოტრებული ბიროტო ველარ მიდის ბირჟაზე, რადგან მან ნდობა დაკარგა და აღარავინ ენდობა მას. მაგრამ აქ არიან დიუტილიე, კელერი, ნიურინიანი, კლაპარონი, გობსეკი და სხვ. მათ შორის ზოგი კრედიტორია, ზოგი თამასუქის გამწაღებელი, ხშირია შემთხვევა ვაჭრის გაკოტრებისა. ამის მიზეზი კონკურენციაა. ის და ის შემთხვევა, როცა თვითონ ვაჭარი ხდება ვაჭრის კრედიტორი.

5

ბიროტოს სიღიადისა და დაცემის შემდეგ მისი აღდგენის ისტორია და მთელი ის პროცესი და პროცედურა, რომელიც მის გარშემო სწარმო-

ებს, უტყუარი განადგება მარქსის თეორიის — მოგების წყაროებს, ფულის მიმოქცევისა და მის კაპიტალად გადაქცევისა. ამ ეკონომიური თეორიის ზოგიერთი მხარეების გადმოცემა რომანებში ფაქტობრივად უკარგავს ღირსებას ბალზაკის მხატვრულ შემოქმედებას. დეტალურად განმარტებულია ფულის ანგარიშსა და აღწერაში აღრმავებს და ამდიდრებს ბალზაკის რომანების შინაარსს, რაიც მეტად მოსწონდა მარქსს. მისი აზრით ბალზაკს უმთავრესად იმიტომ ჰქონდა ფასი, რომ ის იყო კაპიტალისტური წყობილების მემკვიდრე, მისი მხატვარი, მისი კომენტატორი, ცოცხალი ტიპების მომცემი. „მის ნაწერებში ჩვენ ეპოულობთ ბევრს ისეთ პიროვნებას, რომელიც უფრო ტიპია ვიდრე ინდივიდუმი“ (იხ. პელისიეს „ისტორია ფრანგული ლიტერატურისა“).

ამდენად იყო ბალზაკი მარქსისთვის საინტერესო, როგორც ტიპოლოგი, როგორც უდიდესი ხელოვანი. მართალი იყო ფრ. ენგელსი, რომელმაც სთქვა: „ბალზაკი გაცილებით უფრო დიდი მხატვარი და რეალისტი, ვიდრე წარსულის, აწმყოს და მყოფადის ზოლა“.

„ადამიანური კომედია“ მარქსს იმიტომ მიაჩნდა დიდებულ ლიტერატურულ ძეგლად, რომ შიგნითადაც არის მოცემული ის ანტაგონიზმი, რომელიც კაპიტალისტურ წყობილებაში ჩაისახა. ბალზაკი გენიოსია იმიტომ, რომ მან იგრძნო კლასობრივი წინააღმდეგობანი და მისი მხატვრული რეპროდუქცია მოახდინა. მარქსი ბალზაკს ოდნავადაც არ უსაყვედურებდა იმას, რომ იგი ძლიერია სიავის დახატვაში. სწორედ ამაშია ბალზაკის რეალიზმის ღირსება.

ბურჟუაზიული კრიტიკა დიდად არ აფასებს ბალზაკს, რადგან მისი შემოქმედების დედა-ძარღვი მატერიაა და არა იდეა. ძირშივე შემცდარია ბურჟუაზიული კრიტიკოსის გ. ლანსონის მიერ მოცემული ბალზაკის შეფასება. პლენანოვი უსაყვედურებს ლანსონს, რომ იგი „უზრდელად ეპყრობა ბალზაკს“. „იგი იღებდა განცდებს იმ სახით, როგორსაც აძლევდა მას მისი თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება“ (ხაზი პლენანოვისაა. Г. Плеханов: „Две рецензии на книги Лансона по истории фран. литературы“, ст. 50).

„ლანსონს არ ესმოდა ბალზაკის მნიშვნელობა. ეს არ ვარგა“. — შენიშნავს იგი იქვე. მაგრამ პლენანოვი ორაფერს ამბობს იმის შესახებ თუ რა მიზეზია, რომ ლანსონს არ ესმოდა ბალზაკის მნიშვნელობა. ბურჟუაზიულ კრიტიკოსს არ შეეძლო და არც აინტერესებდა მოეძებნა ბალზაკის შემოქმედებაში კლასობრივი ეკვივალენტი. იმიტომ ვერ დააფასა მან ბალზაკი ისე, როგორც ამას მარქსისტული კრიტიკა აფასებს.

მოხდენილად აღნიშნავს „ადამიანურ კომედიის“ აზრს ეორე პელისიეს: „რომ განვიხილოთ „ადამიანური კომედია“ მის მთლიანობაში, იგი არის ქეშმარიტი პანდემონიუმი“. სწორედ ამ პანდემონიუმს შეადგენენ ჩარ-მნათობი“ № 10.

ჩები, ბანკირები, დაცინული და გამასხარავებული არისტოკრატია, ქურდი და შურიანი გლეხები და სხვა მრავალი. ჩვენს თვალწინ იქვე სამი ათასი ცოცხალი სახე ზოგი პანდემონუმს მსგავსად ზოგი სათნოების მაძიებელთა. თითოეულ მათგანს ქვეყნის საკუთარი ადგილი მოქმედებისა; თითოეული მათგანი თავისი საზოგადოების თვისებებს ატარებს.

ბალზაკის გმირები არ არიან გაქვნილი ყალბი პათოსით, უილაჯო სანტიმენტალიზმით. მათ არ ამოძრავებთ მეშინური სიყვარულის ინტრიგები, პათეტიური განცდები, ტიტანური ვატაცებები, ილუზიები, ფატუმი და განგება. თუ კი რომელიმე მათგანი მას მიჰყვება, იგი ბოლოს ხდება მოტყუებული და გამასხარავებული. მის გმირებს ხელში სავაჭრო გეგმები, თამასუქები, და დავთრები უჭირავთ. იმათ ხან მალაზიებში, ხან ბირებზე, ხან კომერციულ სასამართლოში და ხან ბანკებში ეხედავთ. ზოგს მამული უჭირავს ციხე-დაბაზით, ზოგს დუქანი და ზოგს ჭობი. ზოგი მიჰყვება ილუზიებს და ბოლოს მარცხდება. „ნაპოლეონის მსგავსად ის იწყებს პარიზის დაპყრობით. შემდეგ იგი იჭერს პროვინციას პროვინციაზე. თითოეული დეპარტამენტი თითქოს ჰგზავნის თავის წარმომადგენელს ბალზაკის პარლამენტში და ბოლოს იგი ფანტავს თავის ჯარებს, როგორც გამარჯვებული კონსული ბონაპარტე“, — ამბობს სტ. ცვაიგი. ასეთია ის პოზიტიური მხარეები, რომელიც ბალზაკის რეალიზმის ესენციას წარმოადგენს.

პროლეტარული კრიტიკა, რომლის იარაღს მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია წარმოადგენს, აფასებს ბალზაკის შემოქმედებას არა ისე, როგორც ბურჟუაზიული კრიტიკა, რომელიც ბალზაკში ხედავს მხოლოდ რეალიზმის წარმომადგენელს და ზოგჯერ რომანტიკოსსაც (გ. ბრანდესი).

საბჭოთა მწერლობა კრიტიკულად ითვისებს ბალზაკის რეალიზმის რევოლუციონურ მეთოდს, შინაარსისა და ფორმის ერთიანობის პრინციპს. იგი მატერიალისტური დიალექტიკით შეიარაღებული ასახავს თანამედროვე სინამდვილეს. ამიტომ მისთვის ბალზაკის შემოქმედებების კრიტიკის ათვისებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

6. ურუშაძე

მრნობ ტოლსკი

ერნსტ ტოლერი გერმანიის რევოლუციონური მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანია. ის უმთავრესად დრამატურგი მწერალია. ტოლერი საბჭოთა მკითხველისათვის კარგად ცნობილია და პოპულარული. მის პიესებს „კაცი-მასას“ და „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ საპატიო ადგილი ეჭირა საბჭოთა თეატრების და განსაკუთრებით ქართული თეატრის რეპერტუარში. პირველი მათგანი 1920 წ. არის დაწერილი. ის ტოლერის შემოქმედების დასაწყის პერიოდს მიეკუთვნება. მისი შემოქმედების ეს პერიოდი ექსპრესიონიზმის უშუალო გავლენით ხასიათდება.

პიესას „კაცი-მასას“ გეორგ კაიზერის „გაზთან“ ერთად თავის დროზე შეტად დიდი რევოლუციონური მნიშვნელობა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პიესები წვრილბურჟუაზიულ რევოლუციონური ხასიათის არის და პაციფისტური იდეებითაა გაყვლენილი, მათ თავის დროზე გზა გაუწმინდეს და ნიადაგი მოუშაადეს გერმანიის რევოლუციონური დრამატურგიის შემდგომ განვითარებას.

ტოლერი, რევოლუციონურ მწერალთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც თავიდანვე აქტიურად იყო ჩაბმული გერმანიის რევოლუციონურ მოძრაობაში. თუმცა ტოლერი სუბიექტურად ყოველთვის რევოლუციასთან იყო, მაგრამ ობიექტურად მისი შემოქმედება და პოლიტიკური მოღვაწეობა შორს იყო პროლეტარიატის იმ რევოლუციონურ მოძრაობისაგან, რომელსაც გერმანიის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა.

ტოლერის შემოქმედება მნიშვნელოვანია, წერილი ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ ნაწილის რევოლუციონური სულისკვეთების გასაგებად, რომელიც აქტიურად ილაშქრებდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ცდილობდა პროლეტარიატის მხარეზე დამდგარიყო, მაგრამ წვრილ-ბურჟუაზიული ტვირთი ხელს უშლიდა პროლეტარიატის რევოლუციონურ მოძრაობის არსი აეთვისებია და მასში აქტიური მონაწილეობა მიეღო.

ტოლერის პოლიტიკური მოღვაწეობა წვრილბურჟუაზიულ-პაციფისტურია. სოციალური წარმომადგენლობითაც ის ვაჭრის შვილია, წვრილ-ბურ-

უეაზიული ინტელიგენტი. მას მსოფლიო ომში უშუალო მონაწილეობის მიღება მოუხდა. პირველ ხანებში ის შოვინიზმით და პარტიოტიზმით იყო გამსჭვალული. იმპერიალისტური ომის გამანადგურებელმა შედეგებმა ხელი შეუწყო მის პოლიტიკურ გათვითცნობიერებას და ბურჟუაზიული ქვეყნის ტყვეობიდან თანდათანობით განთავისუფლებას. ტოლერი მიუახლოვდა პროლეტარიატის რევოლუციონურ მოძრაობას, 1916 წელს კურტ ესნერის აქტივისტთა ჯგუფს მიემხრო და სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაება. მსოფლიო ომის შემდეგ 1918 წ. ის ბავარიის რევოლუციონური მოძრაობის აქტიური მონაწილეა. უკანასკნელი გასაბჭოების დროს ის ბავარიის დამოუკიდებელი სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის თავმჯდომარე და საბჭოთა რესპუბლიკის ერთერთი ხელმძღვანელი მოღვაწეა.

ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის სათავეში მყოფი დამოუკიდებელი სოციალისტური პარტია საბჭოთა რუსეთს დიდი სიმპატიებით ეპყრობოდა და მას მრავალ მისალმებებს უგზავნიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა და მრავალი რევოლუციონური დეკლარაციებისა, დამოუკიდებელ სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის საქმიანობა და კერძოდ ტოლერის პოლიტიკური მოღვაწეობა წმინდა რეფორმისტული ხასიათისა იყო და ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ფარგლებიდან არ გამოდიოდა.

ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის დამხობის შემდეგ დატუსაღებული ტოლერი ვერ იჩენს რევოლუციონურ გამძლეობას, თავის რევოლუციონურ მოღვაწეობას ინანიებს, ყოველგვარ ბრძოლაზე ხელს იღებს და თანამებრძოლების მიმართაც ერთგვარ ლალატს სჩადის.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ რევოლუციაზე იმედგაცრუებული ტოლერი პირველ ხანებში ყოველგვარ რევოლუციონური ბრძოლის გარეშე დგება; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მისი დროებითი უკუქცევა არასოდეს იქამდე არ მისულა, რომ ის ბურჟუაზიის ბანაკში გადასულიყო, რაც გერმანიის რევოლუციონური მოძრაობის დამარცხებისა და კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის დროს წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წრეებში, კერძოდ მწერალთა შორის, მასიური მოვლენა იყო. პირიქით, ცოტა ხნით, ტოლერი კვლავ განაგრძობს ბრძოლას, თუმცა მუშათა რევოლუციონურ ბრძოლას მოწყვეტილი იყო.

მისი შემოქმედება უმთავრესად ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და თვით ტოლერის მიერ განვლილს პოლიტიკურ ბრძოლას გამოხატავს. ასეთია მისი პირველი პიესა „გარდაქმნა“. დაწყებული ჯერ კიდევ რევოლუციამდე 1917 წ. და დამთავრებული 1918 წ. საპყრობილეში ყოფნის დროს. პიესა საინტერესოა პროლეტარიატის თანამგზავრი, წვრილი ბურჟუაზიული ინტელიგენციის პოლიტიკური პოზიციის დასაბახიათებლად.

ტოლერის შემოქმედების ეს დასაწყისი პერიოდი ექსპრესიონისტული დრამატურგიის აყვავების პერიოდს ემთხვევა და მისი უმეტესად გავლენის ქვეშ მიმდინარეობს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტოლერი არც ერთი სალიტერატურო დაჯგუფების წევრად არ ითვლებოდა.

1918 — 22 წ.წ. ექსპრესიონისტული დრამატურგია ერთადერთ რევოლუციონურ მიმდინარეობად ითვლება ლიტერატურაში, რადგან მაშინ პროლეტარული მწერლობის ჩანასახიც კი არ იყო, ამიტომ ექსპრესიონიზმის გავლენა და განსაკუთრებით დრამატურგიისა მუშათა რევოლუციონურ წრეებში ძლიერი იყო. ექსპრესიონიზმის გავლენის ქვეშ მოექცა თითქმის ყველა ანტიკაპიტალისტურად განწყობილი მწერალი და მათ შორის ისეთი მწერალიც კი, როგორც ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის კომუნისტი მებრძოლი ევენ ლეენივა. უკანასკნელის შემოქმედებასაც კი არ ახასიათებდა რევოლუციონური მსოფლმხედველობის გაჩვენება. ცხადია ექსპრესიონიზმის გავლენის გარეშე ვერ დარჩებოდა ერნსტ ტოლერიც.

თავისი შემოქმედების ხასიათითა და პოლიტიკური მოღვაწეობით ტოლერი შეიძლება ექსპრესიონისტთა იმ დაჯგუფებას მიეკუთვნოს, რომელიც ჟურნალ „აქიონ“-ის გარშემო დარჩა და ექსპრესიონიზმის ყველაზე რადიკალურ დაჯგუფებას წარმოადგენდა.

ისინი თავიანთ ჟურნალში ათავსებენ კ. ლიბკნეხტის, რ. ლიუჰემბურგის, ლენინის, ტროცკის, ლუნაჩარსკისა და სხვათა წერილებს. მაგრამ ექსპრესიონისტთა ამ დაჯგუფების პოლიტიკურ ორიენტაციას ანარქო-სინდიკალისტური ხასიათი ჰქონდა და მისი საბოლოო შეთავსება გერმანიის კომუნისტური პარტიის ბრძოლასთან შეუძლებელი იყო. სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა მათ შორის განხეთქილება. საერთოდ ექსპრესიონისტული ლიტერატურა, მიუხედავად მრავალი ჯგუფებისა, სოციალ-დემოკრატიის, და კერძოდ დამოუკიდებელი სოციალისტური პარტიის მწერლებად ითვლებოდა, რომლის მემარცხენე ფრთის ხელმძღვანელი ბავარიისაში, თვით ერნსტ ტოლერი იყო. დ. სოც. პარტიის იდეურ ხელმძღვანელად კი გაყოფამდე კ. კაუცკი ითვლებოდა.

როგორც გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტური პარტიის პოლიტიკური ბრძოლა პაკიფისტურ და რეფორმისტულ ხასიათის იყო, აგრეთვე ექსპრესიონიზმიც ილაშქრებდა ომის წინააღმდეგ საერთოდ და სრულიადაც არ ეძიებდა იმპერიალისტური ომის კონკრეტულ დამნაშავეს. ექსპრესიონიზმის კრიტიკა, კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული, ბურჟუაზიულ ლიტერატურის შინაგან ფრაქციული ბრძოლის ხასიათს ატარებდა.

ამ მხრივ ტოლერის შემოქმედება ეკუთვნის ექსპრესიონისტული დრამატურგიის ყველა რევოლუციონურ ფრთას, რომელიც თავის შემოქმედებით იმთავითვე რევოლუციის თანამგზავრთა რიგებში იდგა.

ტოლერის პირველი დრამა „გარდაქმნა“ თემატიკითა და ფორმალური მხარეებით წმინდა ექსპრესიონისტულია, მაგრამ მისი იდეური მიმართება უფრო რევოლუციონურია, ვიდრე სხვა ექსპრესიონისტ დრამატურგთა შემოქმედება.

პიესის მთავარი გმირი ინტელიგენტი ფრიდრიხია. ის წარმოშობით ებრაელია. პირველ ხანებში სიონისტია, მაგრამ მალე შოვინიზმის გავლენის ქვეშ ექცევა და თავისი იმპერიალისტური სახელმწიფოს უდიდეს ენტუზიასტ დამცველად იქცევა. ტოლერი ამ დრამაში, ასეთი გმირის კაცობრიობის თავისუფლებისათვის მებრძოლად გარდაქმნის პროცესს ყველა ეტაპებს გვაჩვენებს.

ებრაული წარმოშობის გამო შევიწროებული ფრიდრიხი სახელმწიფოსადმი თავისი ერთგულების დასამტკიცებლად ჯარში მოხალისედ ეწერება და კოლონიალურ ქვეყნებში აჯანყების ჩასაქრობად იგზავნება. ის სახელმწიფოს წინაშე უდიდეს ერთგულებას იჩენს და აჯილდოვებენ. ამ გარემოებით ფრიდრიხი აღფრთოვანებულია. ის ხელოვანია — მოქანდაკე. ფრიდრიხი „სამშობლოს გამარჯვების ძეგლს“ ჰქმნის, მაგრამ ომის საშინელებანი იწვევს მის თანდათან გარდაქმნას და ბოლოს ის ამტკრვეს „სამშობლოს გამარჯვების ძეგლს“ და თავისუფლებისთვის მებრძოლად იქცევა. თვით პიესას ქვესათაურად „ადამიანის ბრძოლა“ აქვს.

კაცობრიობის განთავისუფლების მებრძოლად ქცეული ფრიდრიხი ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ფრიდრიხი და ხალხი მძლავრად გაიძახიან: „რევოლუცია, რევოლუცია!“ ასე თავდება ტოლერის დრამა.

მიუხედავად ასეთი დასასრულისა, პიესა მთლიანად ნათელჰყოფს ავტორის წვრილბურჟუაზიულ რევოლუციონერობას. პიესის მთავარი გმირი ფრიდრიხი თვით ავტორის აზრების გამოხატველია. თუმცა ფრიდრიხი მასებს ბრძოლისკენ მოუწოდებს, მაგრამ მას არა სჯერა მასების რევოლუციონერობა და ამიტომ ის კაცობრიობის განთავისუფლებას მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოელის. ის ემიჯნება ძველ ქვეყანას, მაგრამ ნიღაბს არ ზდის მის შესვეურებს. ფრიდრიხი თითქოს ბრძოლას უცხადებს თავის ბიძას — ძველი ქვეყნის შესვეურს, რომელსაც შემდეგნაირად მიმართავს: შე ვიბრძოლებ შენს წინააღმდეგ. მაგრამ არა! შე ვიბრძოლებ იმ ბნელი ზღუდის წინააღმდეგ, რომელიც შენს გარშემო აღმართული. ასეთი „საერთო“ ბრძოლა, მისი მიზნები და დანიშნულება ნათლად გარკვეული არ არის. ის მკაფიოდ ახასიათებს ტოლერს ამ პიესაში და იგი წვრილბურჟუაზიულ რევოლუციონერობას ახასიათებს.

თუ ფრიდრიხის ცხოვრების გზას, მის გარდაქმნის პროცესს და ბურჟუაზიული ქვეყნისაგან უკუქცევას შევადარებთ ტოლერის ცხოვრებისა და ბრძოლის გზას, ცხადი ვახდება, რომ ფრიდრიხის გზა თვით ავტორის ცხოვრების და ბრძოლის პირველი პერიოდის გზა არის.

ტოლერის ეს პიესა, წერილბურჟუაზიული პროლეტარიატის თანამგზავრი ინტელიგენციის დამახასიათებელი, საუკეთესო მხატვრული დოკუმენტია. აქ უკეთ, ვიდრე სხვაგან, გამოსახულია ამ ინტელიგენციის შინაგანი ფსიქო-იდეოლოგიური ქვეყანა და პოლიტიკური ვედეკები.

ტოლერის შემდეგი პიესა „კაცი-მასა“ 1920 წელს წარმოადგინა. ის „გარდაქმნის“ უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. ამ პიესის თემა, თვით ავტორის სიტყვებით, მე-20 ს. სოციალურ ისტორიას გამოხატავს.

ტოლერი აღნიშნავს, რომ მას სრულიადაც არ სურდა საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთობის რეალისტური ასახვა ნატურალისტური სცენების სახით, არამედ თავისი „სულიერი სუნთქვის“ გამოხატვა. „მოძქმედ გმირთა სახეები, სოფოს ფიგურას გარდა, ინდივიდუალურ ელფერს მოკლებული არიან“, — სწერდა ტოლერი პიესის დამდგმელ რეჟისორს. — „კაცი-მასა“, მოჩვენებაა, რომელიც ჩემს წარმოდგენაში ორნახევარი საათის განმავლობაში მოზღვავედა“, — განაგრძობს ტოლერი იმავე წერილში.

და მართლაც, ორივე პიესა ორ პლანზეა დაწერილი. ისინი, როგორც ყველა ექსპრესიონისტული დრამები, დაქუცმაცებული, ლოდიკური ერთიანობით დაუკავშირებელი სცენებისაგან შესდგება. მხოლოდ განსხვავება ტოლერის ამ დრამებსა და სხვა ექსპრესიონისტების დრამებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ, აქ ერთის მხრივ მოცემულია მოჩვენებითი სურათები, და მეორე მხრივ რეალური სურათები, რომლებიც ექსპრესიონისტური დრამის, კინოსებური სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს.

„კაცი-მასაში“ ავტორი აყენებს პიროვნების კოლექტივთან, მასასთან დამოკიდებულების საკითხს, და მათ როლს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ საკითხს ავტორი პირველის სასარგებლოდ სჭრის. პიესის რეალისტური ხასიათის სურათებში გამოხატული არის მუშათა კლასის მწვევე მდგომარეობა და მისი შეუგნებელი ნაწილის ამხედრება მანქანების წინააღმდეგ. აქ ტოლერი იძლევა „რევოლუციონერი“ ქალის რელიეფურ სახეს, რომელსაც ახასიათებს არსებული უკულმართობის წინააღმდეგ უანგარო ბრძოლა, მაგრამ ბურჟუაზიული ქვეყნის ტყვეობისაგან ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა, ამიტომ მისი ბრძოლის მეთოდები, მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში, რეფორმისტული ჰუმანიტური ხასიათისაა. ძველი ქვეყნის წინააღმდეგ არა გადამწყვეტ ბრძოლას და რევოლუციონური მასების ძალის რწმენას უჭადაგებს ის მუშებს, „უ ს ა ხ ე ლ ო“ გმირის წინააღმდეგ, არამედ მშვიდობიან გაფიცვას, რომლითაც მისი აზრით შეიძლება ძველი ქვეყნის ჯაჭვის გახსნა და მუშათა განთავისუფლება.

ასეთი „რევოლუციონერის“ ბრძოლა არ არის საშიშარი არსებული წესწყობილებისთვის და ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენელი მას განთავისუფლებას ჰპირდება, თუ ის თავის დანაშაულს აღიარებს, არსე-

ბულ წესწყობილებას შეურიგდება, მაგრამ გმირი ქალი მტკვარია და უარპყოფს ასეთ გზას. ის აგრეთვე უარპყოფს „უსახელო“ გმირის რევოლუციონური მუშების წარმომადგენლის წინადადებას გატყვევის შესახებ, რადგან ამისთვის საჭირო იყო უდანაშაულო მეკარის მტკვარია.

ქალის სახე თვით ტოლერის რევოლუციონურ სანეს წარმომადგენს. იბრძვის ადამიანთა გათნავისუფლებისათვის, მაგრამ მას არ ესმის ის რევოლუციონური გზები, რომელიც გამარჯვებისკენ მიდის. ტოლერის აზრით ეს უნდა მოხდეს კერძო პირთა თავგანწირვით და არა მასების საშუალებით. ასეთივე აზრი მას გატარებული აქვს შემდგომ პიესებშიც.

მიუხედავად ყალბი რევოლუციონერობისა, ტოლერს მაინც სწამს კაცობრიობის საბოლოო განთავისუფლება კაპიტალიზმის მძიმე უღლისაგან, მაგრამ მისი რწმენა არ არის პესიმიზმის გარეშე.

ავტორის პესიმიზმი თვით ამ პიესის ტრაგიულ გამოსავალშია მოცემული. მაგრამ ოპტიმიზმი უფრო ძლიერია მის პიესებში: „პინკერმანში“ და „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“-ში.

„მანქანების წინააღმდეგ მებრძოლნი“ ტოლერის მესამე პიესაა. ეს პიესა და საერთოდ მისი შემდგომი დრამები უფრო რეალისტური ხასიათისაა და მეტი სოციალური შინაარსითაა დატვირთული, ვიდრე პირველი ორი პიესა. შემდგომი დრამები თავიანთი სოციალური ურთიერთობის რეალისტურად გამოსახვით ექსპრესიონიზმის გავლენისაგან თანდათანობით განთავისუფლების მომასწავებელია.

„მანქანების წინააღმდეგ მებრძოლთა“ შინაარსი ინგლისელ მუშათა ლედისტური მოძრაობიდან არის აღებული. ჩვეულებრივად ამ პიესით ტოლერს, გ. კაიზერის მსგავსად, მანქანების წინააღმდეგ ბრძოლის იდეას მიაწერენ, რაც სიმართლეს არ შეეფერება. პირიქით, მანქანების წინააღმდეგ შეუგნებელ მუშათა ბრძოლას ტოლერი მთელი შროფლიოს მუშათა ძმობის იდეას უპირდაპირებს, რომლის საშუალებითაც, ტოლერის აზრით, მომავალში ადამიანი იქნება ბატონი და არა მანქანა. მიუხედავად ტრალიკული დასასრულისა, შორეულ მომავალში მუშათა განთავისუფლების ოპტიმისტური ნაპერწყალი მაინც გამოსჭვივის პიესაში.

მოხუცი ლუდი, მანქანების მტრევის აქტიური მონაწილე, შეცდომისგან გამოფხიზლებული, ბურჟუაზიულ ქვეყანას შემდეგს უწინასწარმეტყველებს: „ჩვენ ვიცით რაც ჩავიდინეთ. ჩვენ გვსურს მისი სიკვდილი გამოვისყიდოთ (ლაპარაკია მანქანების მტრევის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის სიკვდილზე. ავტორი). მოვლენ სხვები; მეტის მცოდნენი, უფრო მეტის რწმენით აღჭურვილები და უფრო მამაცები. რასაკვირველია, თქვენნი სამეფო ქანაობს, ინგლისის ბატონებო!“

ასეთია ტრალედიის ფინალი. აქედან აშკარაა ავტორის ოპტიმიზმი, და თავისთავადაც ცხადია, რომ ტოლერისათვის უცხოა მანქანების წინააღმდეგ ბრძოლის რეაქციონური იდეა.

ტრალედია „პინკერმანის“ სოციალური ტილო გაცოცხლებით უფრო ფართოა, ვიდრე ყველა აღნიშნული პიესებისა. ამით ტოლერა უფრო მიუახლოვდა რეალისტურ სტილს. ტრალედია „პინკერმანი“ აყენებს პიროვნების პრობლემას თანამედროვე და მომავალ საზოგადოებაში.

პიესის მთავარი გმირის საბრალო ევგენის (პინკერმანი) პიროვნული ტრალედია ვერსალის შემდეგი დროის გერმანიის ცხოვრების ფონზე იშლება, რომელსაც ავტორი მღელვარე მალშტრემს ადარებს. პიესაში იშლება კაპიტალისტური საზოგადოების უმზგავსოებათა მთლიანი სურათი, რომელშიაც ადამიანთა საყოველთაო ბედნიერება ავტორს ვერ წარმოუდგენია. ეს ბუნებრივია, მაგრამ ავტორის პესიმიზმი იმაში მღვომარეობს, რომ ის შეეკვებულე ადამიანთა საყოველთაო ბედნიერებაში, მომავალ კომუნისტურ საზოგადოებაშიც კი. ავტორის ასეთი პესიმიზმი და ტრალედიის მთავარი აზრი პინკერმანისა მოსაუბრეთადმი მიმართულ შემდეგ სიტყვებშია მოცემული: „მაგრამ მითხარი... თუ კაცი ავადმყოფია... გარეთაც ავადმყოფია... შიგნითაც ავადმყოფია... ბუნებით ავადმყოფია. განა გონივრული წყობილება შესძლებს გააბედნიეროს ასეთი ადამიანი?“

საკითხის ასეთი დასმა არ არის შემთხვევითი. ეს ავტორის მიერ განზრახ ხაზგასმულია პიესაში. პიესის მთავარი გმირი ბუმბერაზი პინკერმანი ომის ინვალიდია, იმპოტენტად ქცეული, რომელსაც ღრმად სწამს, რომ მისი და მისი მაგვარი პიროვნების ბედნიერება სოციალისტურ საზოგადოებაშიც კი შეუძლებელია. ეს ბუნებრივია. მარქსსაც აქვს ასეთი გამოთქმა, რომ ბუნებით ავადმყოფი ადამიანი კომუნიზმის დროსაც არ იქნება ბედნიერი, მაგრამ ავტორის მიერ საკითხის იმგვარად დასმა, როგორც ეს პიესაშია მოცემული, მის ღრმა პესიმიზმს მოწმობს. ტრალედიის კატასტროფიული დასასრულიც ავტორის პესიმიზმს ადასტურებს. ტოლერა ეუკვება, რომ მომავალ სოციალისტურ საზოგადოებას შეეძლოს გააბედნიეროს ყველა ადამიანი. „პინკერმანში“ მოცემული დასმა პიროვნული ბედნიერების პრობლემისა ბიოლოგიურ ელფერს ატარებს.

შემოდ გარჩეული პიესების მიხედვით აშკარაა, რომ სოციალისტური იდეალი ტოლერისთვის უფრო მსოფლშეგრძნებაა, ვიდრე მტკიცე მსოფლმხედველობა, ამიტომ ის ამ პერიოდში პროლეტარიატის მხოლოდ თანამგზავრია მხატვრულ ლიტერატურაში და არა თანამებრძოლი.

პიესაში რეალისტურია პინკერმანისა და გრეტას სახეები. აგრეთვე მთლიანი რეალისტური სურათის გარეშე რეალისტურ თვისებებს მოკლებულნი არ არიან პიესის ზოგიერთი სქემეტიური სახეებიც კი.

პიესის პერსონაჟები ალფგორიულ სახელებს ატარებენ, მაგ. „მამლაციინწა“, „ნუ ღრიალებ“, „ღვთის წყალობა“, „სულერთია“ და სხვა, რაც საშუალო საუკუნეების მისტერიების გავლენით აიხსნება.

პირველი ორი პიესის გარდა აქ არავითარი მოჩვენების სურათები არ არის. მასში ექსპრესიონიზმის ელემენტებიც ნაკლებია. ექსპრესიონისტული ელემენტები სახეების სქემატიურობისა და ავტორის სასცენო შენიშვნებში მდგომარეობს, აგრეთვე იმაში, რომ აქ ავტორს უნდა დასახული აქვს არა იმდენად მსოფლიო ბალაის რეალისტური სურათის მოცემა, რამდენადაც მისი ჩვენება, როგორც მძლავრი მალშტრემისა, რომლის ტალღებში ადამიანთა პიროვნული მეობა ათასობით იღუპება.

პინკერმანიც ყველაზე მეტად უკმაყოფილოა იმით, რომ აქ პიროვნება ყოველმხრივ დამცირებულია და აბურად ავდებული. ის ცოლის დალატით კი არ არის შეურაცხყოფილი, რადგან ის ამას ცოლის პიროვნულ საქმედ თვლის, არამედ იმით, რომ ცოლმა მას დასცინა, როდესაც ის ბალაგანში დაინახა, როგორც მაყურებელთა გამამრთობელი საოცარი ობიექტი. ის სწორედ ამას ვერ აბატეებს თავის საყვარელ ცოლს, ე. ი. მისი პიროვნული მეობის სრულ შელახვას და განადგურებას. ეს აიძულებს მას თავისი სიცოცხლე, თვითმკვლელობით დაასრულოს.

ციხეში დაწერილ ტოლერის უკანასკნელ პიესას „ვოტანი“ წარმოადგენს (1923 წ.).

ცნობილია, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის უარყოფელი ექსპრესიონისტები უკანასკნელს უპირდაპირედენ კაპიტალიზმის წინა-ფორმაციის სოფლურ იდილიას (აქედან გამომდინარეობდა მანქანების წინააღმდეგ ბრძოლის იდეა). თუ რამდენად ფართოდ იყო ფესვ-გადგმული მაშინდელ საზოგადოებაში ასეთი მსოფლგაგება, ამას ადასტურებს ტოლერის პიესა „ვოტანი“.

პიესაში ტოლერი არ იშურებს ირონიას და მკაცრ სატირას ასეთი მსოფლგაგების დაცინვისთვის, რომელიც საზოგადოების მრავალ ბუნებაშია ფესვგადგმული. ავტორი დასცინის სულელი დალაქისა და მის გარშემო შემოკრებილი ხალხის ფანტასტიური გეგმების უაზრობას, ამერიკის ხელუხლებელ ტყეებში იდილიური სოფლური ცხოვრების მოწყობის გამო.

პიესა „ვოტანი“ ადასტურებს, რომ ტოლერი შორსაა იმგვარი რეაქციონური იდეალისგან, რომელიც გ. კაიზერმა თავის ტრილოგია „გაზში“ გაატარა (კაპიტალიზმის წინააღმდეგ სოფლური ცხოვრების იდილიის დაპირდაპირება). მისი იდეალი სოციალიზმია.

ტოლერის ეს პიესა გ. ბიუნერის „ვოცეკის“ უშუალო გავლენით არის დაწერილი, რომელსაც ექსპრესიონისტები თავიანთ შორეულ წინაპრად სთვლიდნენ.

ტოლერის შესახებ ზემოთქმულის მიხედვით აშკარაა, რომ ის ექსპრესიონისტი უფრო წერის მანერითა და ფორმალური მხარეებით იყო, ვიდრე მსოფლმხედველობითა, მისი შემოქმედების უფრო მეტად რევოლუციონური და სოციალისტური ხასიათით, ვიდრე რომელიმე ექსპრესიონისტ დრამატურგის შემოქმედება.

ამ მხრივ საინტერესოა ტოლერის შემოქმედების შედარება ექსპრესიონიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელ ფრიც ფონ უნრუს ცნობილ ტრილოგიასთან. უნრუ იმპერიალისტური ომის წინა პერიოდში გერმანული იუნკერობის წარმომადგენლად ითვლებოდა დრამატურგიაში. ის ახალ გერმანულ ლიტერატურაში ე. წ. ნეოკლასიკურ მიმართულებას ეკუთვნოდა. იმპერიალისტური ომის გამანადგურებელმა შედეგებმა გამოიწვია მისი შემოქმედების გამემარცხენება. ის ექსპრესიონიზმის ბანაკში გადავიდა და შეიქმნა ექსპრესიონისტული დრამატურგიის გარდაუვალი ნიმუში.

დაუმთავრებელ ტრილოგიის პირველ ნაწილში „გვარში“ ის გამოხატავს თავის იდეალს, იმ მომავალი განახლებული საზოგადოებისას, რომელიც უნდა წარმოშვას დედამ. ეს გამოხატულია დის შემდეგ სიტყვებში, რომელიც დედის მიმართ არის ნათქვამი:

„Блеснет ли мне твой взор?
Я в сердце мира смотрю,
Где силой создаешь своей,
Любовью новой, новых ты людей“.

ამგვარად ტრაგედიის პირველ ნაწილში, იმპერიალისტური ომის სიტუაციიდან გამომდინარე, უნრუ შეტრფის განახლებულ კაცობრიობის უკეთეს მომავალს, მაგრამ მისი ასეთი განწყობილება სამოქალაქო ომის შედეგად ქრება და კაცობრიობის განახლების იდეალი ტრილოგიის მეორე ნაწილში („მოედანში“) კომპრომისულ გადაწყვეტას პოულობს. ტრილოგიის პირველ ნაწილში ის კაპიტალისტური ურთიერთობის წინააღმდეგ ილაშქრებს, მეორე ნაწილში კი მის ნიადაგზე დგება.

ან კიდევ, თუ თვალს გადავაგვლებთ სხვა ექსპრესიონისტების შემოქმედების გზებს, აშკარა გახდება, რომ მათი დიდი უმრავლესობა კაპიტალიზმის შედარებით განმტკიცებასთან დაკავშირებით არსებული ურთიერთობის ნიადაგზე დადგა.

რაც შეეხება ტოლერის შემოქმედებას, მიუხედავად მისი ღრმა პესიმიზმისა და ყალბი რევოლუციონერობისა, ვერსად მასში ვერ იპოვნით არსებული ურთიერთობის ნიადაგზე დადგომის გამოხატულებას. მას სწამს კაცობრიობის საბოლოო განთავისუფლება. ეს გარემოება ტოლერის შემოქმედებას უფრო აქტუალურად ხდის.

როგორც აღვნიშნეთ, ყველა აღნიშნული პიესები 1923 წ. ციხეშია დაწერილი. განთავისუფლების შემდეგ ტოლერი რამდენიმე ხნით ხელს იღებს ყოველგვარ ბრძოლაზე და რევოლუციაზე იმედგაცრუებულია.

ასეთი იმედგაცრუების მხატვრულ გამოსახვას იძლევა მისი პიესა „პოპლა. ჩვენ ვცოცხლობთ“ (1928 წ.). პიესა მაღალი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებს წარმოადგენს. ის უკანასკნელ ხანამდის იდგმება მარჯანიშვილის თეატრში. პიესა გამოხატავს მასიურ ბრძოლებისგან მო-

წყვეტილს რევოლუციონური ინტელიგენციის ბრძოლის უნიკდაგობას და მის ტრაგედიას. პიესა ძლიერ პესიმიზტურ ტონებშია დაწერილი, მიუხედავად იმისა რომ ტოლერს სწამს, რომ ეს ქვეყანა, რომელიც შეშლილთა უზარმაზარ თავშესაფარს წარმოადგენს, ყოველთვის მასწავლებს დარჩება.

ეს რწმენა გამოხატულია პიესის მთავარი გმირის სიტყვებში, რომლებიც მიმართულია ყოფილ თანამებრძოლ ამხანაგის, და ახლანდელი რენეგატის მიმართ: „ნუთუ შენ ჯგერა, რომ ეს ქვეყანა ყოველთვის ასე დარჩება, როგორც დღეს არის?“

ასეთი რწმენა ასულდგმულებს ტოლერს ამ რევოლუციონური დაცემულობის დროსაც, მაგრამ მას ჯერ კიდევ ვერ მიუგნია იმ ძალისთვის, რომელმაც ეს ქვეყანა უნდა გარდაქმნას. მან არ იცის ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ნამდვილი გზები, ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი რწმენა არ იქნება პესიმიზმის გარეშე.

პიესის მთავარი გმირი კარლ ტომასი, ავტორის „ალტერ ეგოა“. ის სხვა თანამებრძოლ ინტელიგენტებთან ერთად იბრძვის არსებული ურთიერთობის წინააღმდეგ, რისთვისაც მათ დასჯა გადაუწყვეტეს. ავტორი კინო-პროლოგში ძლიერ მხატვრული სურათების საშუალებით იძლევა სიკვდილით დასასჯელ მებრძოლ ინტელიგენტების სულიერ განცდებს. არცერთ მათგანს (ეკა ბერგი გამონაკლისია) არ ახასიათებს რევოლუციონური მებრძოლისთვის საჭირო გამძლეობა და სულიერი სიმხნევე. არცერთ მათგანს არა აქვს იმ საქმის გამარჯვების მტკიცე რწმენა, რომლისთვისაც იღუპებიან ისინი. ყველანი ცხოველური ინსტინქტებით არიან შეპყრობილი და მერყეობენ.

იმედგაცრუებული კარლ ტომასი ამ დროს ამბობს: „ისეთები, რომლებიც ბრძოლაში იღეის გულისათვის ებმებიან, ძლიერ ცოტანი არიან“. თვით ტომასს არსებულის წინააღმდეგ ბრძოლაში უანგარობა და თავდადება ახასიათებს, მაგრამ მის ბრძოლას არა აქვს რეალური საფუძველი, რადგან მას არ ესმის კაპიტალისტური ურთიერთობის მამოძრავებელი ძალები. გაბატონებულთა და დაზარალებულთა ურთიერთ სამკედრო-სასიცოცხლო ჭიდილი მას ესმის არა როგორც არსებული ურთიერთობის კანონი, არამედ როგორც არანორმალურობა და ადამიანთა შეშლილობა, ამიტომ მას მთელი ქვეყანა შეშლილთა უზარმაზარ სახლად ეჩვენება.

შეშლილთა სახლში მ წლის განმავლობაში ყოფნის შემდეგ ის ხედავს, რომ ქვეყნის უკუღმართობა არამც თუ არ მოსპობილა, არამედ კიდევ გაძლიერებულია: „ჩემს უკან მძიმე კარები დაიხურა, და როდესაც გაიღო, მე მ წლით უფროსი ვიყავი. ეს წლები ჩემთვის საუკუნეს უდრიდა... მე წავედი ამხანაგთან, რომელსაც ჩემთან ერთად სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი, და ის მტრის ბანაკში ენახე. შემდეგ წავედი საუკეთესო ამხანაგთან, რომელმაც რევოლუციით თეთრების მთელი ბრბო მოიგერია და მე მისგან გავიგონე: „ჩვენ არ შეგვიძლია ახლა

გამარჯვებაზე ვიფიქროთ. ზეციური სამეფო ასე სწრაფად არ მიდის. ჩვენ გვემართებს მოთმინების სწავლა და ნელი ბრძოლა უფლებების მოპოებისათვის“.

ამგვარად გაუცრუვდა კარლ ტომასს ყოველგვარ იმედებს აწლის შემდეგაც გამართლდა მისი დიაგნოზი, თითქოს იდეისთვის მებრძოლნი ძლიერ ცოტანი მოიპოვებიან. ის სასოწარკვეთილი ვერსად ვერ ხედავს მებრძოლ ძალას და ტოლერის მსგავსად ცდილობს ბრძოლას განშორდეს, წავიდეს შორეულ აფრიკაში, ინდოეთში, სადაც მისი აზრით, ხალხი არ არის მუდმივ ბრძოლაში გართული: „მე არ მსურს ამის შემდეგ, სხვებთან ერთად, როგორც ვეფხვმა, კბილები ჩემთვის საზიზღარ ქვეყანაზე ვილესო“. მაგრამ რაკი მას შორეულ ქვეყანაში გამგზავრების განზრახვა სისრულეში ვერ მოჰყავს, ამიტომ ის ბრძოლის ერთადერთ საშუალებად ინდივიდუალურ ტერორს მიიჩნევს. ის აუცილებლად სცნობს კერძო პირთა თავგანწირვას მასების განთავისუფლებისათვის. თანამებრძოლი ამხანაგის ალბერტ კროლის სიტყვებს მოთმინების შესახებ ის უბასუხებს: „მოთმინა შეუძლებელია. საჭიროა გადამწყვეტი გამოსვლა. ვინმემ მაგალითი უნდა მისცეს. ვინმე ერთმა უნდა გასწიროს თავი“.

მხოლოდ ამაში ხედავს ის ერთადერთ გამოსავალს და ინდივიდუალურ ტერორს მიმართავს. მაგრამ აქაც ფიასკოს განიცდის. მას მინისტრის მკვლელობაში სდებენ ბრალს. ის უბნება ამხანაგებს: „მე არ შემეძლო ეს ქვეყანა მეტად მეთმინა, არ შემეძლო. ამის უფლება მე არ მქონდა. მე გადავწყვიტე კაცობრიობა შემერყია, ძილისაგან გამომეღვიძებია, მინისტრი მომეკლა, მაგრამ ამ წუთს ჩემს მაგიერ სხვამ გაისროლა“.

ის კვლავ ძველ ამხანაგებთან ერთად ზის საპყრობილეში. და იმედგაცრუებული ფიქრობს: ყველაფერი თავიდან იწყება, ყოველგვარი ბრძოლა უშეზნო ყოფილა. ისევ მოთმინებით, მოთმინება, მოთმინება... არა, მე არ შემეძლია. ჩვენ ერთმანეთისა არაფერი გვესმის. ჩვენ ვხედავთ ერთმანეთს, მაგრამ გვძულს ერთმანეთი. ნუთუ ეს ყოველთვის ასე იქნება? ყველაფერი ამაოა... მე მივდივარ შენგან შემოლილთა ქვეყანავ. ის თავს იღრჩობს.

ასე ბოლოვდება მასებისგან მოწყვეტილი ინტელიგენტის თავგანწირული ბრძოლა. ახლო მომავალში გამარჯვების იმედი აეტორს არ აქვს. ეს პერიოდი ტოლერის შემოქმედებაში მისი რევოლუციონური დაცემულობის კულმინაციური წერტილია. იმ დროს ტოლერს ახლო მომავალში გამარჯვების იმედი აღარა ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, პიესის ერთგვარი რევოლუციონური მნიშვნელობა მაინც უდავოა. უდავოა იმდენად, რამდენადაც მის რეალისტურ სურათებში გადაშლილია 1914 — 28 წ.წ. გერმანიის ამბები, დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლა და დემოკრატიზმის იდეის საბოლოო გაკოტრება.

პიესა ძლიერი ტრაგიზმით არის აღსავსე. ის მაღალი მხატვრული ძლიერებით არის შექმნილი, და მიუხედავად კატასტროფული კოლიზიისა, მაყურებელს, მკითხველს, კაპიტალისტური უკუაღმართობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის რაზემავს.

პიესა არ არის თავისუფალი ექსპრესიონიზმის რეციდივებისაგან, რადგან ის თავისუფალი ვერ არის სქემატიზმისაგან და პერსონაჟების გაუპიროვნებისაგან. მასში დრამის ახალი ელემენტებია გამოყენებული, სახელდობრ კინო-სურათი. მოქმედებათა შორის კინო-ინტერმედიების საშუალებით შესაძლებელი ხდება სცენაზე მაყურებლის წინ მსოფლიო კაპიტალისტური მალშტრემის სურათის გადაშლა.

ტოლერის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და შემოქმედებაში ამ რევოლუციონური დაცემის პერიოდს კვლავ მოჰყვა მისი პოლიტიკური გამოფხიზლება და გათვითცნობიერება. ამას ხელი შეუწყო ერთის მხრივ გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვებამ და მეორე მხრივ დედამიწის მეექვსედ ნაწილზე სოციალისტური აღმშენებლობის ძღვევამოსილმა განვითარებამ. პიტლერის მძიმე ქუსლმა ტოლერისთვის ნათელი გახადა კომუნისტური პარტიის როლი ფაშიზმის უღლისგან განთავისუფლების საქმეში. ეს მას უფრო უახლოვებს პროლეტარიატს. მისი რევოლუციონური პოლიტიკური შემეცნება მწიფდება და ყალიბდება. ამის თავდება მისი პოლიტიკური მოღვაწეობისა და შემოქმედების უკანასკნელი პერიოდი.

საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე თავის მტკიცე რევოლუციონურ სიტყვაში მან სხვათა შორის შემდეგი განაცხადა: „თქვენი სიხარული ჩვენი სიხარულიცა... მე მწამს, რომ დაჩაგრული და იატაკის ქვეშ მყოფი გერმანია ხვალ გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს, რათაც უნდა დაუჯდეს“. ეს არ არის უბრალო საზეიმო სიტყვები. ტოლერის შემოქმედებაშიც ადგილი აქვს სათანადო ნაბიჯებს. ის გერმანიის მებრძოლ პროლეტარულ ლიტერატურას თანდათანობით ეზრდება: მისი უკანასკნელი პიესა „ბრმა ქალ-ღმერთი“ გერმანიის იუსტიციას ნიდაბს ხდის. ეს პიესა მოსკოვის თეატრების 1934 წ. რეპერტუარშია შეტანილი.



ქოქი აბაშიძე

გ რ ი შ ა ა ბ ა შ ი ძ ე

მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ქართველი მწერლები — პოლიტიკურსა და ეროვნულ თავისუფლების საკითხს დასტრიალებდნენ თავს. აღნიშნულ ეპოქის მწერალთა შემოქმედება წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიის ზეგავლენით სულდგმულობდა უმეტეს შემთხვევაში და მთავარი საკითხი — საკითხი სოციალურ უთანასწორობისა და უსამართლობისა ხშირად განუხილველი რჩებოდა.

ამ მწერალთა შორის — პოეტ გ რ ი შ ა ა ბ ა შ ი ძ ე ს მეტად თავისებური ადგილი ეკირა. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების მიმდევართა შორის, გრიშა აბაშიძის პოეზია საგრძნობლად განსხვავდებოდა. მისი სიტყვა ყოველთვის გაბედული, წამახალისებელი და იმედის მომგვრელი იყო. ზოგჯერ გრიშა აბაშიძის ლექსი თავისი შინაარსით ისეთი უდარდებლობით და სიხარულით არის გამსჭვალული, რომ ეჭვი გაპარებათ მის გულწრფელობაში. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, მისი სიტყვა მართლაც იმედის მომგვრელია და გამამხნეველი:

„რას მიქვიან მწუხარება,
მრავალთ გლოვა, კენესა ავზე,
ოდეს წინსვლის წმინდა სხივი,
იმედს სახავს კაშკაშ ცაზე;
როს გონების ბჭობა, ძალა,
გრძნობას და სულს გვისალმუნებს,
შრომასა და სიფხიზღუზე,
სიციცხლის ჩანგს გვიხმატებილებს...
...მაშ რად გვინდა კენესა სულის,
ურგები და მღრღნელი მარად,
ჩონგურს ვუწყობ რწმენით სიმებს,
გავლილინებ მთად და ბარად...“

ასეთი იყო მთავარი შინაარსი გრიშა აბაშიძის პოეზიისა. იგი ყველგან და ყველაფერში იმედის მომგვრელ, გამამხნეველ მოვლენებს ხედავდა. იგი შეგნებულად გაურბოდა — სასოწარკვეთისა და სევდის შთანერგველ სურათებს. პოეტს არ სწამდა კენესა სულისა, სულის ობლობა,

რადგან წინსვლის სხივი გულს უმაგრებდა მას. პოეტი სრული დარწმუნებული იყო, რომ განათლების ნაკადი, წყვილიადს დააქრობდა, ახალ გზას გვიჩვენებდა და ამიტომ ახლო არ იკარებდა სევდას:

„არ მივიკარებთ, სევდებო,
არ მოკედეს ჩემი გულია;
მეც მატკობს ჩემი ქვეყნისა
ლამაზი გაზაფხულია;
მეც დავკრფე ია-ვარდებსა,
ბულბულს მოვუსმენ სტენასა,
მეც მაყრულს ვეტყვი ბუნების
ქორწილს და სულის ღებნასა.“

ე. ა. აბაშიძის
ბეჭდვით

რადგან პოეტი თავიდანვე ოპტიმისტურად იყო განწყობილი, მის სა-
აღერსო საგნად ისეთი პეიზაჟი და სანახაობა იყო გამზდარი, რომელნიც
უაღრესად იმედის მომგვრელი და სიხარულის მომნიჭებელი იყო. იგი
შეგნებულად გაურბოდა მუქ ფერებს და ბუნების ისეთ მოვლენებს, რო-
მელნიც სევდისა და მწუხარების გამომწვევი იყვნენ.

პოეტი შესცქერის მთას და იმასაც კი ემუდარება: ნუ სტირი, ნუ
ქვითინებ, სატირალი არა გვაქვს რა, რადგან განთიადი მოახლოებულაო:

„მთაო დარაჯო ქვეყნისა,
ნუ სტირი, ნულარ ქვითინებ;
ნულარ გდის ღვარი ცრემლისა,
შეხედე — სხივი გაშუქებს,
მიმომფანტველი ბნელისა.
წინა-მორბედი მზის მოსვლის,
წყვილიადისაგან მხსნელისა,
ყინულ-სიცივის მაქრობი,
მომსპობი ხაშმის მწველისა,
სულის ჩამდგმელი მშრომელთა,
დამღწინებელი ველისა...“

პოეტი ისე იყო დამტკბარი სიციოცხლით, მოჯადოებული „მსოფლიო
ჩარხის ტრიალით“, ბუნების მომხიბლავი ძალებით, რომ რალაც უცნაუ-
რის და არაჩვეულებრივის სიხარულით გამღეროდა:

„მიყვარს სიციოცხლე, მიყვარს ცხოვრება,
მიყვარს, მიყვარდა და მიყვარება;
მიყვარს მსოფლიოს ჩარხის ტრიალი,
ის არის ჩემი ბედნიერება!
მიყვარს ბუნება, მისი ძალები,
შეგნებას მისას ვეტრფიადლები,
მასში ვპოულობ ზეშთაჯონებას,
იმის გამჩენსა ვენაცვალუბი...“

შეუძლებელია აგრეთვე გვერდი აუხვიოთ გრიშა აბაშიძის მრავალ
ლექსს, რომელიც ეროტიული მოტივებით ხასიათდებოდა. ამ მხრივ პოე-

ის ზოგიერთი ლექსი ხშირად მეტად გადაჭარბებული ეროვნებით განისაზღვრება, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდის, როდესაც პოეტი უკვე ვეღარ გრძნობდა და აზროვნებდა ნორმალურად.

პოეტი არც ჰუმანიტარულ გრძნობებს იყო მოკლებული, ახლო განიცდიდა თავის დროის ხალხის გაჭირვებასა და ტანჯვას. მასაც აწვავდა ჩვენი უკულმართი და უნიადაგო არსებობა. ისიც აღშფოთებული იყო უსამართლობით და ხალხის საუკუნო მონობით.

ერთს თავის ლექსში, პოეტი ასე გადმოგვცემს თავის გულის ვარაშ:

სულ ცრემლი, ოხერა, ნაღველი —
 დამწყვლულბედი გულისა...
 ნეტავ ვიკოდე სადა სჩქედს
 ნაკადი სიხარულისა?
 სულ რბევა, უსამართლობა,
 დაუღვევი მონება...
 რის დასძლევს მადლი ბოროტსა,
 რისთვის არ გვეტყვის გონება?
 სულ შური, განხეთქილება,
 სულ გმინვა დაიგარულისა...
 სადღაა საერთიერთო
 გალობა სიყვარულისა?..“

ამის პასუხს პოეტი თვითვე გვაძლევს საპასუხო ლექსში. მას სწამდა კაცობრიობის მომავალი, — იგი დარწმუნებული იყო, რომ უსამართლობას, მონობასა, შურსა და განხეთქილებას ახლო მომავალში მოეღებოდა ბოლო:

„ოხერასა, ცრემლსა. ნაღველში —
 ძღვეით იმოსვის გულია,
 დაკრავს, წამების კლდეს შესტყხს,
 იქ მოსჩქედს სიხარულია...
 უსამართლობა სულს ძალს ფენს,
 სტიქიონს ბადებს მონება;
 დაღუწავს ბოროტს, — ბოროტი
 მადლს მაშინ დაემონება...
 ურთიერთობა ვარდს კოკრავს,
 უცინის შთამომავლობას
 და დროთა ჩანგი უკვდავსა
 აერცელებს ხალხში გალობას!..“

ძნელი იყო გაბედული სიტყვის თქმა. მე-XIX საუკუნის მიწურულში, როდესაც მეფის ჯალათები სასტიკად ახშობდნენ ყოველ თავისუფალ სიტყვასა და მოქმედებას. პოეტი არ შეუშინდა გამეფებულ რეაქციას და თავგამოდებით შეუღდა ხალხის სამსახურსა და თავისუფლების ძებნას:

„შევუღექ ხალხის სამსახურს,
 ვეჭებდი თავისუფლებასო...“

რასაკვირველია, პოეტისათვის საესებდთ გარკვეული არა უფილა „ხალხის სამსახური“ და „თავისუფლების ძეგნი“, — მისთვის, შეიძლება, ბევრი რამ გაუგებარი და მიუწოდომელი იყო სოციალურ უსამართლობისა და კლასთა ბრძოლის ნიადაგზე წარმოშობილ უსამართლო მართის, მაგრამ ის ინტუიციით გრძნობდა ამ უსამართლობის დამლუპველ თვისებებს. იგი დარწმუნებული იყო, რომ უსამართლობა, სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებული — ხანმოკლეა და ტანჯვა, ძალმომრეობით გამოწვეული — უღლეო და ამიტომაც მოუხმობდა ხალხს საუკუნო მონობის ბორკილების დამსხვრევისაკენ.

ცხადია გრ. აბაშიძე არ იყო დიდი მამტაბის შემომქმედი, — იგი არ იყო თავის დროის იდეებისა და ზრახვათა სრული განმასახიერებელი. მის შემოქმედებაში უფრო ტემპერამენტი, აღფრთოვანება და პათოსი სკარბობდა, ვიდრე პოეტური სახეები, — წარმტაცი ფორმა — შინაარსთან შეხამებული. იგი დეკლამაციით, ლექსის თავისებური წაკითხვით, ორატორულის ნიქით უფრო ხიბლავდა და იმორჩილებდა მსმენელთ, ვიდრე ლექსის უმაღლესი ტექნიკით...



...თუ პოეტის შემოქმედება უსაზღვრო სიხარულით იყო გამსჭვალული, თუ მისი ლექსი, მისი სიტყვა აღსავსე იყო მომავლის უდიდესი იმედით, — სამაგიეროდ პოეტის პირადი ცხოვრება და თავგადასავალი — ხშირი იმედების გაცრუებით, ტანჯვითა და მწუხარებით ხასიათდებოდა. თავიდანვე ბედი არ სწყალობდა მგოსანს: ნივთიერ შევიწროებასთან ერთად, იგი მძიმე და განუკურნებელი სენით იყო დაავადებული, რომელმაც პოეტი ჰკლის შეშლამდე, სიგიჟემდე მიიყვანა.

ქეშმარიტად უცნაურ წინააღმდეგობათა ქსელით იყო გარემოცული პოეტის ხანმოკლე ცხოვრება: ბრწყინვალე წოდებიდან გამოსული და ნივთიერად თავიდანვე სიღატაკეში ჩავარდნილი, — ცოდნისა და სწავლის დიდი მსურველი და ამავე დროს — მოკლებული საშუალებას დასახულ მიზნის განხორციელებისა, — სიყვარულის ცეცხლით დამწვარი და ამასთანავე — სატრფოს ცბიერებით, ღალატით გაწილებული. აი, მოკლედ ისტორია ცხოვრებაში წამებულ ადამიანისა და პოეზიაში — შემოქმედების ცეცხლით დამწვარ უცნაურ პოეტისა...



...გრიშა აბაშიძე მთელი თავისი არსებით უსათუოდ ხელოვანი, შემომქმედი იყო, უცნაურის ტემპერამენტით დაჯილდოვებული, მაგრამ იგი თავიდანვე იძულებული შეიქნა, ნივთიერ შევიწროების გამო, მისთვის შეუფერებელ პროფესიისათვის მოეკიდა ხელი. ქუთაისის კლასიკურ გიმ-

ნაზიის შვიდი კლასის დასრულების შემდეგ, მან გამოცდა ჩააბარა კერძო ვექილის სახელწოდებაზე და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდობ — ვექილობას მიჰყო ხელი.

მისი ახლობლებისა და განსაკუთრებით კი აკაკი წერეთლის გადმოცემით, გრ. აბაშიძე არაფრით არ მოგაგონებდათ ჩვეულებრივ ვექილის ტიპს — მთელი თავისი უარყოფითი თვისებებით. იგი, უპირველეს ყოვლისა, პოეტი იყო და თავის ახალ პროფესიაშიც შეიტანა სიწმინდე და აღფრთოვანება შემომქმედისა. მას უფრო შეურაცხყოფილთა და უფლებამულახულთა დაცვა და სიტყვაში შეჯიბრება იტაცებდა, ვიდრე ხელფასზე, გონორარზე ზრუნვა და ფიქრი...

...აკაკი წერეთლის გადმოცემით, გრ. აბაშიძე ორატორის უდიდესი ნიჭით იყო დაჯილდოვებული და თან უცნაურის მეხსიერებით აღჭურვილი. მეც მომისმენია ბავშვობაში მისი სიტყვა, მისი დეკლამაცია და გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ იშვიათად ვყოფილვარ შემდეგში მოწმე ისეთი დიდი შთაბეჭდილებისა, რომელსაც პოეტი ახდენდა საზოგადოებაზე. მის გამოსვლას სცენაზე ყოველთვის დამსწრე საზოგადოების არაჩვეულებრივი შეხვედრა, ოვაცია მოყვებოდა. პოეტი მეტად პოპულარული იყო. საზოგადოებას იგი უყვარდა არაჩვეულებრივის სიყვარულით...

...გრიშა აბაშიძე მე მრავალჯერ მინახავს ბავშვობაში. პოეტი უახლოესი ნათესავი და მეგობარი იყო მამაჩემის და ამის გამო ხშირი სტუმარი ჩვენი ოჯახის. გარდა ამისა, მამაჩემს პოეტთან აკავშირებდა პროფესია (ისიც ვექილი იყო) და ხასიათთა იგივეობა...

...ახლაც თვალწინ მიდგას პოეტის მკრთალი სახე, წაბლისფერი წვერულვაშით შემოსილი, — მისი სიცოცხლით სავსე თვალები, რომელიც მუდამ დაფარული ჰქონდა მას შავი სათვალეებით. იშვიათად შემხვედრია ისეთი მოუსვენარი, ბავშვივით ცელქი და აღფრთოვანებულ ადამიანი. მას არ შეეძლო ერთ ადგილას დიდხანს გაჩერება, სულ მოძრაობაში იყო, ხუმრობითა და თამაშით გატაცებული. დასწერდა თუ არა რაიმე ლექსს, მაშინვე უნდა წაეკითხა ვისმესათვის, ისე ვერ მოისვენებდა. როდესაც პოეტი სადმე სტუმრად იყო, ყველას მისი სახელი პირზე ეკრა: „გრიშა, გრიშა“ — გესმოდათ ყოველ მხრიდან. პოეტი თუ კარგს გუნებაზე იყო, თავისით წაიკითხავდა ლექსებს. მას უყვარდა აგრეთვე ილიასი და აკაკის თხზულებათა კითხვა საჯაროთ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კითხვას თავს არიდებდა, ალბათ იმიტომ, რომ უდიდეს სევდას იწვევდა მის გულში, — თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პოეტი — ბარათაშვილს ყველაზე უფრო მაღლა აყენებდა მე-XIX საუკუნის ქართველ პოეტთა შორის.

მე ბევრი რამ აღარ მახსოვს მისი პირადი ცხოვრებიდან და იმ ცნობებიდან, რომელიც სხვადასხვა დროს გადმოუციათ ჩემთვის მის ახლობლებსა და მეგობრებს. დავიწყების ლანდმა დაფარა მისი ცხოვრების მრავალი წერილმანი მოვლენა.

მხოლოდ ორი ფაქტი შერჩა ჩემს მეხსიერებას და სამუდამოდ შთამენერგა გულში.

პირველი: ქუთაისის თეატრი; სცენაზე გამოდის შავს ჩოხაში — საღათ გამოწყობილი პოეტი. დიდხანს ვერ ახერხებს იგი ლექსის წაკითხვას — არაჩვეულებრივი ოვაციის გამო. არ მახსოვს — რა ლექსი წაიკითხა პოეტმა; არც მისი მანერა კითხვის, არც ხმის ინტონაცია. მახსოვს მხოლოდ არაჩვეულებრივი ოვაცია, ვაშის ძახილი, საზოგადოების აღფრთოვანება.

მეორე: სოფ. დილიკოური. სამგლოვიარო პროცესია. სასაფლაო. გრიშას სიტყვა, გულის გამგმირავი. სიტყვის შემდეგ: საშინელი ტირილი, მოთქმა, გულზე ხელისცემა.

ასეთ უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებდა პოეტი თავისი გამოსვლებით: სიტყვით, ლექსით. მას აუდიტორია ყოველთვის დამორჩილებული ჰყავდა, პირდაპირ დამონავეებული. მისი სიტყვა ისე მოქმედებდა მსმენელზე, როგორც გიპნოზი, ბრძოლის ყიფინა, ბრძანება, რომელსაც თავს ვერ დააღწევდი.

აკაკი წერეთელი ყოველთვის განცვიფრებით მოიგონებდა ხოლმე პოეტის თავდადასავალს. ორიგინალური იყო, სხვათა შორის, აკაკის აზრი პოეტის შესახებ. აკაკი მას პოეტად არ სთვლიდა. მისი აზრით, გრ. აბაშიძე დიდი ორატორი, მჭერმეტყველი იყო, უპირველეს ყოვლისა.

— „იგი ბუნებით ტრიბუნი, ოქროპირი იყო, — უდიდესი ტემპერამენტით აღჭურვილი და არაჩვეულებრივი მეხსიერებით დაჯილდოებული“ — იტყოდა ხოლმე აკაკი და თან მოგვიყვებოდა ამის დამადასტურებელ ფაქტებს.

ერთხელ საჩხერეში, აკაკი სტუმრად ყოფილა მის ახლო მეგობარ — ბეჟან წერეთელთან, სადაც იმჟამად ბევრი სხვა სტუმარიც ყოფილა მიწვეული. აკაკისათვის უთხოვნიათ წაეკითხა რაიმე ახალი ლექსი. აკაკის საზოგადოების თხოვნა დაუკმაყოფილებია და წაუკითხავს იმ დღეს ახლად დაწერილი ლექსი, რომელიც, დაახლოებით, რამდენიმე ათეულ ტაგებს შეიცავდა. როდესაც აკაკის ლექსის კითხვა დაუსრულებია, სწორედ იმ დროს დარბაზში შემოსულა გრიშა აბაშიძე. საზოგადოებას გრიშასათვისაც მიუმართავს თხოვნით ლექსის წაკითხვის შესახებ, რაზედაც პოეტი სიამოვნებით დათანხმებულა და დიდის პათოსით წაუკითხავს კიდევაც ლექსი.

აკაკი, გაოცებული, მაშინვე მივარდნილა გრიშასთან და აღელვებული უკითხავს:

— „ეს შენი ლექსია?“

— „ღიას, ბატონო, სწორედ დღეს დილით დაესწერე“

— „როგორ თუ შენ დასწერე, როდესაც ეს ლექსი შენთვის დაესწერე დღეს და ესეცაა მისი კითხვა დაეასრულე“

გრიშა აბაშიძის მხიარულ სიცილს დაუსრულებია. პოეტს მაშინვე უამბნია შემდეგი: როდესაც აკაკის ლექსის კითხვა დაუწყია, ამ დროს გრიშა დარბაზის კარებთან ყოფილა მისული. ხელი რომ არ შეეშალა აკაკისათვის, იქვე ამოფარებია კარებს, დიდის ყურადღებით მოუსმენია ლექსი და მთლიანად აღუბეჭდავს იგი თავის მეხსიერებაში. როდესაც მისთვის მიუმართავეთ თხოვნით ლექსის წაკითხვის შესახებ, პოეტს ხუმრობით განუმეორებია აკაკის ლექსი თავიდან-ბოლომდე. ცხადია, აკაკი ამის შემდეგ ყოველთვის გაკვირვებული გაიხსენებდა ზოლმე გრიშა აბაშიძეს, სამუდამოდ მოხიბლული მისი უცნაური მეხსიერებით.



გრიშა აბაშიძე დიდი მოყვარული იყო სასცენო ხელოვნების. მართალია იგი არც დრამატურგი და არც სცენის პროფესიული მუშაკი არ ყოფილა, მაგრამ მას უყვარდა ხელოვნების ყოველი დარგი და მათ შორის სასცენო ხელოვნებაც. მსახიობთა საზოგადოება, მათთან დროს გატარება. იგი უსათუოდ სცენის დიდი მოყვარე იყო, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით და, როდესაც მას მიმართავედნ თხოვნით ამა თუ იმ სპექტაკლში მონაწილეობის მიღების შესახებ, პოეტი ყოველთვის დიდის სიყვარულით და ენტუზიაზმით შეუდგებოდა მასზე დაკისრებულ როლის შესწავლასა და შესრულებას. მას მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა ქართულ წარმოდგენებში. პოეტს აგრეთვე ბევრი ახლო მეგობარი ყავდა დრამატურგთა და მსახიობთა შორის.

სხვათა შორის მეტად კარგს განწყობილებაში იყო ჩვენ დრამატურგ — შალვა დადიანთან.

შალვა დადიანის აზრით, გრიშა აბაშიძე ჩინებული მთარგმნელი იყო უცხო ლიტერატურის, განსაკუთრებით პოეზიის. მართლაც, ვინც გასცნობია პოეტის მიერ თარგმნილ ნაწარმოებს, ცხადია, ვერ აუარყოფს მის მიღწევებს ამ დარგში.

საინტერესოა აგრეთვე შალვა დადიანის მიერ გადმოცემული ამბავი. ქუთაისის დრამატიულ დასს განუზრახავს „მარგარიტა გოტიეს“ დადგმა სცენაზე. პიესის წინასწარ კითხვას თეატრში დასწრებიან: პოეტი გრიშა აბაშიძე, შალვა დადიანი, ცნობილი მსახიობი ქალი ეფემია მესხი, რომელსაც სხვათა შორის უნდა შეესრულებია პიესის მთავარი როლი და მრავალი სხვა პირი. როდესაც მარგარიტას მონოლოგის კითხვა დაუსრულებიათ, ეფემია მესხის ქალს განუცხადებია:

— რა ძნელი იქნება ამ როლის შეთვისება, მე ალბათ ვერ შევძლებ მის შესწავლასო.

გრიშა აბაშიძეს, თურმე, მაშინვე ღიმილით გამოუთქვამს თავისი გაკვირება მსახიობ ქალის ასეთი განცხადების გამო და ჩქარა თქვიდან-ბოლომდე ზეპირად წაუკითხავს ზემოაღნიშნული მონოლოგი...



...აკაკის გადმოცემით, პოეტ რაფიელ ერისთავის იუბილე — გრიშა აბაშიძის ტრიუმფად გადაქცეულა პირდაპირ. იუბილეს მისასალმებელ განყოფილების დროს, დარბაზში შემოსულა პოეტი გრიშა აბაშიძე. დამსწრე საზოგადოებას, მოუკრავს თუ არა თვალი პოეტისათვის, არაჩვეულებრივი ოვაცია გაუმართავს მისთვის. ამტყდარა ხალხში ყვირილი: „გრიშა აბაშიძე, გრიშა აბაშიძე სცენაზე, გზა მიეცი“ და სხვ....

ყველას ახსოვს, ალბათ, რაფიელ ერისთავის ცნობილი ლექსი, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება:

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ
და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა გვეგულვის,
იმათი კუბოს ფიცარი...“ და სხვ.

გრიშა აბაშიძე სასწრაფოდ გასულა სცენაზე და უმაღვე ექსპრომტით მიუმართავს იუბილიარისათვის და წაუკითხავს ზემოხსენებული ლექსი, ხოლო ლექსი იქვე გადაუკეთებია შემდეგნაირად:

„სადაც შობილხარ, გზადილხარ
და გისროლია ისარი,
სად მამა-პაპა გვეგულვის,
იმათი კუბოს ფიცარი...“ და სხვ.

დამსწრე საზოგადოება დიდის ალტაცებით შეხვედრია პოეტის ასეთ მოსწრებულ სიტყვას...



...ერთი მეტად ახირებული ჩვეულება ჰქონდა თურმე პოეტს. ამოიჩემებდა რომელიმე ლექსს და მთელი დღეები იმეორებდა მას. ერთხელ, დაიჩემა, თუ არ ესცდები, შიო მღვიმელის ლექსის კითხვა და ერთი კვირის განმავლობაში სულ იმას იმეორებდა: სცენაზე, სტუმრად, სახლში:

„შამად შემერგოს დედის რძე,
შამად მომედოს გულზედა,
ქვეყანამ გამათხსიროს,
ცა — დედამიწის ზურგზედა“ და სხვ....

შემდეგ, მოულოდნელად გაანებებდა თავს ამ ლექსს და სამუდამოდ მიივიწყებდა...



დეკლამაციის მხრივ ხომ პირდაპირ შეუდარებელი არაა პოეტი. ლექსის წაკითხვაში მას ბადალი არ ჰყოლია. სრულიად უმნიშვნელო ლექს იგი ისეთის ტემპერამენტით წაკითხავდა, რომ ყველას განცვიფრებაში მოყვანდა. ერთხელ, ჩვეულებრივ ღზინის დროს, ჩააცვიფდნენ, თურმე, პოეტს ლექსის წაკითხვის შესახებ. პოეტი გუნებაზე ვერ იყო და უარს აცხადებდა. მაგრამ დაეინებულმა ხევწინამ გასჭრა: მას ისეთი ინტონაციით და პათოსით წაუკითხავს:

„მზეო ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლავს
საწყალი აგერ გორავსა...“

რომ დამსწრე საზოგადოებაში დიდი აღტაცება გამოუწვევია...

...საშინელი ტრაგედიით დასრულდა ამ უცნაური პოეტისა და ადამიანის ცხოვრება. განუკურნებელი სენით დაავადებულს, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაეტყუა არანორმალური ადამიანის ნიშნები. ავადმყოფობა თანდათან ძლიერდებოდა და უკვე საშიში ხდებოდა მისი ჩვეულებრივ მდგომარეობაში დატოვება...

ორმოცი წლის არცკი იქნებოდა პოეტი, როდესაც ის, სულით ავადმყოფი, საზოგადოებამ გაგზავნა პეტერბურგში საექიმოთ. ფსიქიატრული სამკურნალო შეიქნა მისი უკანასკნელი თავშესაფარი. არ გასულა დიდი ხანი და პოეტი სამუდამოდ გამოეცალმა წუთისოფელს.

იგი დასაფლავებულია პეტერბურგში, ვოლკოვის სასაფლაოზე და მისი საფლავის უბრალო რკინის მოაჯირს — რკინისავე პატარა დაფა აქვს მიღურსმული — შემდეგის წარწერით: „Здесь похоронен грузинский поэт — князь Григорий Давидович Абашидзе“.

1913 წელი. იგივე საფლავი, გარშემორტყმული პეტერბურგში იმეამად მყოფ ქართველ საზოგადოებით და მოსწავლე ახალგაზრდობით. მგრძნობიარე სიტყვები ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მესვეურთა, სურვილი პოეტის ცხედრის საქართველოში გადმოსვენებისა... ეს იყო უკანასკნელი გახსენება და პატივისცემა პოეტისა ქართველ საზოგადოების მხრივ...

1933 წელი კ. ტფილისი.

ს. თალაკვაძე — „ბადასასვლელი“ გამოცემისათვის „შეფარება“ 1933 წ.

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ, რომ ახლად გამოსულ რომანს არასოდეს ბოლო არა აქვს გამოდის წიგნი და უსათუოდ ამშვენებს თავში წარწერა: „წიგნი პირველი“ და ბოლოში დაპირება — „გაგრძელება მეორე წიგნი“. წლები მიდის და რომანს ბოლო არ უჩანს. რა მიზეზი აქვს მწერლების ასეთ მრავალ სიტყვაობას? პირველად ყოველსა კომპოზიციის სისუსტე — რომანი ვითარდება, იშლება, ემატება პერსონაჟები, ვრცელდება გეოგრაფიულად — არ არის ერთიანი შემკავშირებელი სიუჟეტური ძარღვი, არ არის ფაბულა — სხარტი და წრეშემოვლელი. არ არის დაცული განვითარების კანონზომიერება.

სევასტი თალაკვაძის უკანასკნელი რომანის „გადასასვლელის“ — პირველი წიგნი არ ასცდა ამ გზას.

რომანში არ არის გატარებული მთლიანი სიუჟეტური ხაზი. გაუგებარია, რისთვის დასჭირდა ავტორს პირველი ორი თავის დაწერა. — ნუ თუ რაიმე მოვლენის გასაშუქებლად საჭიროა ჩაპვეე მას ძირამდე. თუ ლაპარაკია სოფელელ ადამიანზე — თალაკვაძე აუცილებლად თელის ფრიად მრავალსიტყვიერად განმარტოს მისი — „კრედო“, — საიდან მოვიდა, რას აკეთებდა. ადამიანის წარსული რეტროსპექტულად უნდა შექდებოდეს. აწმყო კი, — ადამიანის ხასიათი, ტყვეა — ერთი სიტყვით ყველა ის კომპონენტები, რომლებიც ჰქმნიან ტიპს — უნდა ჩანდეს რომანის გასწვრივ. — თალაკვაძე გვაძლევს მზამზარეულ სქემებს — „ეს კელაქია“, „ეს ღარიბი გლეხია სრული კლასური შეგნების მატარებელი“, „ეს ოპორტუნისტია“. ტიპი უნდა იქმნებოდეს რომანში თანდათან. პატარა შტრიხებით, ხასიათის, გრძნობის სხვადასხვა გამოჩენით იზრდება ადამიანის სულიერი პროფილი და ფიგურა. — თალაკვაძე კი ტიპებს ზელში გვაძლევს. ეს ნოველის პრინციპია — დასრულებული ტიპის მოცემა პირველივე გვერდიდან. მაგრამ ტიპი, როგორც ვთქვით — იქნება იმ „წერილმანებიდან“, რომელიც მას თან ახლავს. თალაკვაძე არ ენდობა მხატვრულ შტრიხებს, — იგი ვაბმით, ხანგრძლივად და მოსაბეზრებლად მოგვითხრობს, რომ ეს კაცი კელაქია და არა ღარიბი — რომ ის ცუდია და ამიტომ კარგი ვერ იქნება — ერთის სიტყვით იყენებს „დამაჯერებლობის“ პრინციპს: „се аев а не собака“. მშრალი, პუბლიცისტური ტერმინოლოგიით იგი მოგვითხრობს — „...და რამდენი დღეების მოსამზადებელი მუშაობა დასჭირდა ანდროს, რომ ასეული შრომის არმია — გამოეყენა მინდვრებში გამწვევი ძალებით“ (გვ. 48)

თალაკვაძე ვაუტობის აშშის აღწერას და მხატვრულ მოცემას. შეიძლება იმიტომ, რომ „მხატვარი, სიტყვის ოსტატი უღონოა მისი (აღტარების. კ. ჯ.) ქალღმერთი გამოხატვაში“ (ს. თალაკვაძე).

სარეცენზიო რომანის ბევრი ხერხი „უღონოა“ და კვლავღვ გეომორტილია“ არა ნამდვილი სასიცოცხლო ამბები“, არამედ ავტორის გამოგონილი სტრუქტურა.

ს. თალაკვაძის მთელი რომანი — აგებულია კრებებზე, რომელში ხელი კრება და მათ დათმობილი აქვს ნაწარმოების მთელი 200 გვერდის უმეტესი ნაწილი. ამ კრებებზე იყრება და იხსენება ყველა კვანძები, აშკარადება ადამიანის ქმედებულენბანი და თუთი ადამიანები. რომანი, შეიძლება ითქვას, აგებულია უმეტესად კრებულ პუბლიცისტურ მსჯელობებზე და დიალოგებზე. — მთელი რომანის საერთო ფონთან შედარებით — დიალოგ უფრო ცოცხალია, მაგრამ ყოველივე ეფექტი იკარგება, როცა ამ დიალოგს ხელი გვერდი მოაქვს. თალაკვაძე ცდილობს დიალოგში ხალხი დამახასიათებლად აღაპარაკოს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სრულებით სხვადასხვა პირთა საუბარი ერთი და იგივე ხელოვნური — სავაჭეთო ენითაა მოცემული. სავაჭეთო ტერმინების სიყვარული მაგრათაა გამკადარი მწერლის ენაში.

გვ. 49 „კვალაკვალ მიდიან ხარები, მიისწრაფვიან ცხენები, მისრიალებენ (?) ტრაქტორები, მიწის გოლის გადმომბრუნებელ ამ ძალებს გვერდით უდგიათ თუ შედუხებდან (რას? ძალებს?) მრავალი გამრჯე ადამიანები და ნიშართულებას აძლევენ. მათ“ (რას? ძალებს?)

ენას მწერალი დაუდევრათ ეპყრობა და ამ დაუდევრობას ხშირად მიჰყავს იგი (მწერალი) აბსურდამდე.

მაგ. „დღდა კი ცოცხალი ჰყავს პორფილეს, რომელიც ტრალიკულად დაღუპულ რევოლუციონერ ქმრის პენსიაზე ცხოვრობს“ (გვ. 39). ვინ ცხოვრობს ქმრის პენსიაზე პორფილე თუ დედამისი?

გაუგებარია ასეთი რქმა „დღეს ამ პრაქტიკული ნაბიჯების საათებში უკვე შემდგარ კოლმეტრნეთა არტელში წმარებად შევიდენ ისინი“. — (გვ. 46) ან კიდევ: „ასე მასლაათო ბენ მინდვრად გასული კოლმეტრნეობაში ჩაბმული ჩაღეთის თემის დარინბი გლენობა რითიერთ შორის“ (გვ. 83)

დასკენა — მიუხედავით საინტერესო და აქტუალური თემისა, რომანი არც საინტერესოა, და არც აქტუალური. იდეების აქტუალობა, არ ამტკიცებს მხატვრული ნაწარმოების აქტუალობას. — იდეა გაშიშვლებული, გადმოცემული არა დამაჯერებლად, მხოლოდ გვეს ბადებს მის სამართლიანობაში. თალაკვაძე მხატვრულ ხერხების ნაცვლად მიმართავს ახსნა-განმარტებას“. სუსტია კომპოზიცია და ცალკეული ნაწილები სუსტადაა შეკრული. იმგვითად რომანი „გადასასვლელი“ არის ნაბიჯი უკან თალაკვაძის ლიტერატურულ მუშაობაში. მწერალმა უნდა მიიღწიოს უფრო მაღალ მხატვრულ დონეს, რისთვისაც საჭიროა დი და ხანგრძლივი მუშაობა.

„გადასასვლელის“ მეორე წიგნმა უნდა მოგვეცეს მერტი მხატვრული ეფექტი და მერტი დამაჯერებლობა.

8. ჯამაჩიშვილი.



საფო მგელაძის „ქარიშხლის ფრთებზე“ გამომცემლობა ფედერაცია 1934 წ.

საფო მგელაძის „ქარიშხლის ფრთებზე“ ჩვენი ქვეყნის წარსულ რევოლუციურ მოძრაობას შეეხება.

საქართველოს რევოლუციური წარსული ბევრ ქართველ მწერალს იზიდავს და ეს გასაგებიცაა: მეტად მდიდარია ის მასალა, რომელსაც ეს წარსული იძლევა და მწერლისთვის ძნელიცაა რისიმე ამოჩვენა და გამოყოფა — იმდენად მიწვიდველია ყოველი დეტალი, ყოველი ეპიზოდი გავლილი ბრძოლებისა.

ჩვენ უკვე საკმარისი რაოდენობით მოგვეპოვა ამ ამბების ამსახველი — მხატვრული თხზულებები. და როცა ამავე თემაზე დაწერილ ახალ ნაწარმოებს იღებ ხელში — ცხადია მოელო, რომ მის დამწერისგან ახალ რასმე მოისმენ, ახალს ჯერ გაუშუქებულ კენჭულს დაინახავ განვლილ ისტორიისას, ცოცხლად, ბუნებრივად და დამაჯერებლად აღწერილს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება გამართლება ახალ წიგნს.

საფო მგელაძის წიგნს „ქარიშხლის ფრთებზე“ ამ მხრივ ძალიან ბევრი დეტალი ახასიათებს.

სტვას რომ თავი დავანებოთ — სრულიად გაუგებარი და დაუსაბუთებელია მოქმედება ნაწარმოების მთავარი გმირებისა: ლალა — შემღებულ აზნაურის ქალიშვილი — თავგამოდებული რევოლუციონერია, ებრძვის არსებულ ხელისუფლებას, კრებებზე დადის, რომ „პროპაგანდა გასწიოს იმ წრის წინააღმდეგ, რომელი წრიდანაც თვითონ გამოვიდა“. ზოლოს კი, ერთ მშვენიერ დღეს, რევოლუციით მოკლავს ბაღში მისიერნე გუმბერნატორ რუსევიჩს, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ „ღუთის რისხვად მოველინა ადგილობრივ მცხოვრებლებს“.

რატომ, რისთვის? დანტერესებულთა მკითხველი, რად დადგა ლალა ამ გზას? რას ერაოდა „იმ წრეს, რომელი წრიდანაც თვითონ გამოვიდა“? რასაკვირველია, აქ შეუძლებელი არაფერია: სინამდვილეშიაც ბევრი ყოფილა ასეთი შემთხვევა. მაგრამ აქ აუცილებელი იყო ნათლად დახატვა იმ გზისა, რომელშიც აზნაური ლალა — მუშათა კლასთან მოიყვანა, იმ წრისა, რომელშიც ლალა იზრდებოდა, იმ ფაქტებისა მისი ცხოვრებიდან, რომელთაც შეეცალეს მისი მოფლმხედველობა და მის აზრებს ამგვარი მიმართულება მისცეს. ლალას რომ ოდნე ლიბერალური განზრა ჰქონოდა — კიდევ პო — მკითხველი იფიქრებდა — ინტელიგენტი და განვითარებული ქალია, წიგნს წაუკითხავს, საერთო ფეხის ხმას აყოლიაო — და დაიჯერებდა ამგვარ ამბავს მაგრამ აქ ლიბერალობა აღარავის ახსოვს — ლალა შეუპოვარი ტერორისტი, რომელიც ყოველ წუთს მზადაა საკეთარი სიკოცხლე გასწიროს — არც შეტი და არც ნაკლები. და ბევრიც რომ ებოთ, მაინც ვერ ნახავთ მისი ამგვარა ტყვეის მიზეზს.

ასეთი დაუსაბუთებელია მაგდას რევოლუციური მისწრაფებებიც, მაგრამ ამისი დაჯერება კიდევ შეიძლება — თუ მივიღებთ მხედველობაში უფროსი დისა და მასწავლებლის (რეზოს) გავლენას. ზოლო თვით რეზოს გარეოლუციონერება კი სრული ბუნდოვანებით არის მოკული, სრულიად უცნობია მთელი წარსული ამ კაცისა. მისი წარმოშობაც კი არა გვევინია, რომ ყოველივე ამის გაგება ზედმეტა ყოფილიყო მკითხველისთვის, მით უფრო რომ რეზო არაღუგაღურ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. განია, როგორც ჩანს, ავტორს სურდა, მნიშვნელოვან ფიგურად გამოეყვანა იგი (რეზო „დინჯია, კვეინი, სეროზული“ და მრავალი სხვა სიკეთით შემკული).

შეტი გზა არაა, — უნდა დავუჯეროთ ავტორს, რომ ამ ხალხის უარყოფითი კონცეფცია სავსებით მართებული და ბუნებრივია, რას აკეთებს სინამდვილეში ეს ხალხი? — ყველამ კარგად იცის რომ რევოლუციონერები კრებებსაც აწყობდნენ, სიღრმელო სტამბებსაც მართავდნენ და როცა საჭიროება მოითხოვდა, ტერორსაც უმჯობესდნენ ხოლმე. ამ მხრივ წიგნში ყველაფერი რიგზეა: აქ სტამბაც არის, კრებაც და სხვ. მაგრამ სულ ტყუილი იქნებოდა რაიმე დამახასიათებელი, ტიპური შტრიხის ძებნა ამ ამბების აღწერაში. აი, მაგალ. სოფლის კრების სურათი: „ამხანაგებო, დღეს პირველად გამოდის თქვენს წინაშე ამ დღეებში ქალაქიდან ჩამოსული ჩვენი პარტიული ამხანაგი, განაცხადა რევაზმა და ქალმაც (ე. ი. ლალაშ. ვ.). დიუჭირა თავისი ადგილი. ის უბრალოდ წვეკრილი კამით, სადად დავარცხნილი თმით, ცოცხალი ქვეყანი თვალებით კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა, თავიე თვისუფლად ეჭირა და სრულიად არ სციდილობდა მოეზობლა ვინმე გადაქარბებული მკერამეტყველებით. თავისი დიხჯი, აზრიანი ლაპარაკით თინდათან არკვევდა მომავალი ბრძოლისა და მოქმედების გეგმებს: „თანამედროვე, მოწინავე ახალგაზრდობამ ფიცი დედეთ თავისუფლების დროშის წინაშე, რომ არას დროს არ უმტყუნებთ მას და თუ ის მოითხოვს ჩვენ სიყოცხლეს, სიხარული გავსწირავთ მას... ჩვენ რიგებში არიან ახალგაზრდა, შვეგნებული ქალები რომლებიც მამაკაცური სიმტკიცითა და მამაკაცური ენერჯით ასწევენ ტვირთს სოციალური მუშაობისას (?), ქალი ვარ მეც, მაგრამ ვარ ადამიანიც და ადამიანურა უფლებებისთვის ბრძოლა სასიყოცხლო მიზნად დამისახავს...“ დაუმტეით ამას სამ სტრიქონიანი, უფერული საუბარო გლეხებისა და სოფლის კრების სურათიც მზად იქნება.

როცა ამ წიგნის მომქმედ პირთა ლაპარაკს კითხულობ, ისე გგონია, ისინი ყოველგვარ ადამიანურ განცდას არიან მოკლებულნი. მათი ლაპარაკი მუდამ გაბერილია და არაბუნებრივი, მათ არ შეუძლიათ უბრალოდ გამოსახონ თავისი აზრი, არა, მათ უთუოდ უნდა წარმოსთქვან: „დავაფრობე ჩემი პატარა ჯეირანი“ „მთის ველური ვარდისთვის მიგაგნა“ (ლაპარაკთა მაგდაზე), „გატაცებულ ბავშვო, საჭიროა შეინელო შენი ტემპერამენტი“, „დავეშვა მწეანე ზღაბებით ახავერდებულ ბაღჩაში“ და სხვ.

სხვათაშორის, ამ წიგნში საფურადღებოა მუშის სიტყვები: „...ყურები რათ დავიყრიათ, ხომ ხედავთ, ეიმარჯვებთ, შარშან რუსეთიანი გავისტუმრეთ საიქოს, წრელუს რაკოვიჩი მივიყოლეთ და ამგაის ნიკოლოზსაც მივაბრძანებთ“. აქ უკვე ისმის საკითხი: ვინ არის ეს ხალხი, რომელსაც გენერლების ხოცვა თავის პროგრამად მიიჩნია და ამით ცდილობს თავისუფლების მოპოებას? ცხადია — ტერორისტები; მაგრამ წიგნში სრულიად არ ჩანს მათი კავშირი ხალხთან, მასთან, ისინიც კი უცნობია, რომელიმე პარტიას ეკუთვნიან ისინი, თუ არა? ამ წიგნში ყველაფერი დროსა და სივრცის გარეშე ხდება. ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ ავტორი თავის ამოცანას ზერეღედ მიუდგა და უმცირესი წინააღმდეგობის გზას დაადგა: რაღა თქმა უნდა, ადვილია ასე წერა — მომქმედ პირებს, როგორც მოსილრეებ, ისე ალაპარაკებ და ამოქმედებ, მაგრამ მარტო ამით საქმე არ გაეყოფება.

რომანში სოფეტის გაშლა ძალზე მოისუსტებს, არ არის არც ერთი ადგილი, რომელსაც შეეძლოს მკითხველის ყურადღების დაძაბვა, ინტერესის გაძლიერება. ილენიშინეთ მხოლოდ ერთ ადგილს, რომელიც თავისი გულუბრყვილობით კომიკურ ეფექტს ახდენს:

საიდუმლო სტამბის მომუშავენი დაამატებრეს და ციხეში მოათავეს. გადარჩენილ ამხანაგებს — მათი გათავისუფლება სურთ. ერთი ამბოვანი, ლაზარე, ამგვარ ზერებს მიმართავს: თავის ბავშს გაგზავნის ქუჩაში პაპიროსების გასაყიდად. ერთ-ერთ კოლოფში მოთავსებულ პაპიროსებს რაღაც გამაბრტყებელ ნივთიერებით გაელენოს და ბავშვს ეტყვის — ეს კოლოფი, ვითომც უცაბედად, მიწაზე დააგდო. ბავში შეასრულებს დავალებას და აქ უკვე იწყება სასწაულები: ამ კოლოფს აიღებენ სწორედ ის ჯარსკაცები, რომლებიც ციხეში მსახტობენ, სწორედ ისინი, რომლებსაც მცეველებად მი-

უნებენ დაპატიმრებულ ამხანაგებს და ეს ნივთიერებაც სწორედ მაშინ გამოქმედებს მცველებზე, როცა მათ პატიმრები დაკითხვაზე მიყავთ სხვა შენობაში. უნებურად თითქმის თოფზე შემოსვრული, უნებურად ეხსნებიან და უწყაური ძილით შეპყრობილი სცივიან ძირს. თრიაკით გაელენითლმა პაპიროსმა, რომელიც პეტრე მკვიდრს შეაპარა მათ, მხოლოდ ეხლა იმოქმედა მათზე“ (!)

გ. ი. ბ. ი. მ. ი. მ. ი. მ.

შაკლედ შეეცხოთ ენას:

„შენი სახით და შენი თვალებით არ უნდა კადრულობდე ცრუობის თქმას“ — წაკითხავთ მეცხრამეტე გვერდზე. „შეიარაღდენ, ჩაიცვენ, საჭირო ნივთები ამოაღებენ“ (!) — ნახავთ სამოცდამეოთხეზე.

არის ასეთი გამოთქმებიც: „მე მაშინებს ის ტერორი, რომელიც შენს გულში ზის“ (გვ. 34). (საინტერესოა, როგორ ესმის ავტორს სიტყვა „ტერორი“?); „დახუჭული თვალებით სივარძლის ზურგსაყრდენს მიეყრდნო“. „თეთრი ბრინჯაოს ბიუსტი“ (გვ. 79) და სხვა მრავალი.

ამგვარი გამოთქმებით არის შეზავებული, უფერული, სანტიმენტალური და ფრიად პრეტენზიული ენით დაწერილი, ოთხმოცგვერდიანი ოხზულება.



მხატვრული ლიტერატურა

დემნა შენგელაია — ბაშკადიკლარ (მოთხრობა)	83-3
ვ. ფურული — ნარაზენი (პოემა)	37
მ. მრევლიშვილი — შიში (მოთხრობა)	47
ირ. აბაშიძე — ბურთაობა (ლექსი)	75
აღ. ქუთათელი — აღისმერეთი (ლექსი)	77
ვ. რუხაძე — სურათები (ლექსები)	82
კ. გამსახურდია — მთვარის მოტაცება (რომანი — გაგრძელება)	84
მ. ლერმონტოვი — სამი ლექსი თარგ. გივი გაჩეჩილაძის)	115
ნიბელუნგები — ერთი თავი (თარგმ. კონსტანტინე ჭიჭინაძისა)	119
ქ. ლომთათიძე — დღიური (დასასრული)	124

მწერალთა საკავშირო შრილობა

ნ. ბუხარინი — პოეზია, პოეტიკა და პოეტური შემოქმედების ამოცანები სსრ კ-ში (დასასრული)	136
--	-----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ვ. ნატროშვილი — ნიკო ლორთქიფანიძე	164
აკ. გაწერელია — სიმონ ხუნდაძე	184
მ. მენაბდე — მარქსი და ბალზაკი	186
ნ. ურუშაძე — ერნსტ ტოლერი	195

წარსულიდან

კ. აბაშიძე — გრ. აბაშიძე	207
------------------------------------	-----

ახალი წიგნები

კ. ჯავრიშვილი — ს. თალაკვაძის „გადასასვლელი“	216
ვ. — ს. მგელაძის „ქარიშხლის ფრთებზე“	218



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1935 წლისათვის:

საპარტოვლოს საბჭოთა მწერლების კავშირის უძველთვიურ
სამხატვრო-სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ

„მ ნ ა თ ო ბ ე მ“

ჟურნალის რედაქცია: გიორგი შურულაშვილი, (პ/მგებელი რე-
დაქტორი). ლევან ასათიანი (პ/მგებელი
მდივანი). ირაკლი აბაშიძე. ნოე ჯომ-
ლეთელი. ნიკო ლორთქიფანიძე. კონ-
სტანტინე ლორთქიფანიძე. გრ. მუში-
შვილი. შალვა რადიანი. ბალ. ტაბიძე.
ტიც. ტაბიძე. ლეო ქიაჩელი. დემან შენ-
გელაია. პანტ. ჩხიკვაძე.

ჟურნალი 1935 წელს გამოვა 12 ნომერი 12 წიგნად.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო სალიტერატურო, სა-
მხატვრო და სამეცნიერო ძალები.

ჟურნალზე ხელისმოწერა მიიღება:

სახელგამის პერიოდსექტორში (აღმასკომის ქ. № 7).

სახელგამის წიგნის მაღაზიებში

ფაბრიკარხადგილკომებთან

„სოიუზპეჩატის“ რწმუნებულებთან

ფოსტის ყველა განყოფილებაში.

ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით 24 მან.
ნახევარი წლით 12 მან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბელის ქ. № 13

ტელეფონი 3 — 55 — 25.

სახელმწიფო გამომცემლობა

1935 წ. განმავლობაში ქუჩნალ „მნათობში“ დაიბეჭდებ

1. ილია ჭავჭავაძე — პირადი მიმოწერა.
2. აკ. წერეთელი — გამოუქვეყნებელი ნაწერები, პირადი მიმოწერა.
3. ვ. ბარნოვი — გამოუქვეყნებელი რომანები:
 1. „ცოდვა სიჭაბუკისა“
 2. „შურისგება“
4. აღ. აბაშელი — 1. ლექსები. 2. „სუსანა“ (მოთხზ. 1905 წ. მასალაზე).
5. ირაკლი აბაშიძე — ბალადები, ლექსები
6. ნ. ლორთქიფანიძე — „აბრაგი“ — რომანი, „დიდი მესტიერე“ ნოველა.
7. კონსტ. გამსახურდია — 1. „მთეარის მოტაცება“ (დასრულება)
2. „იგავები“ (ქართული ფოლკლორის ელემენტებიდან)
3. ნოველებიდან „თვალაი“
8. რაუდენ გვეტაძე — „უკანასკნელი ჩერქეზი“ (რომანი)
„აფხაზური“ — (ნოველები)
9. იოსებ გრიშაშვილი — „შავი ზღვის სიძღერები (ლექსების ციკლი)
„პოეტები შუშბანდში“ (პოეტების პორტრეტები)
„აღ. ჭავჭავაძე“ (მონოგრაფია)
10. შალვა დადიანი — „ურდუმი“ (ისტორიული რომანი 3 ნაწ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყება მე-19 საუკ.)
11. ანატახია ერისთავ-ბოშტარია — „სალი“ (რომანი მეორე ნაწ.)
12. ნოე ზომლეთელი — „თესვის დღე“ (პოემა)
13. კონსტ. ლორთქიფანიძე — „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ (მე-2 წიგნი)
14. მარიჯან — ლექსები
15. ილო მოხაშვილი — „კოფა ჩოხელი“ (პოემის დასასრული)
16. დავით მესხი — მოგონებანი
17. ი. მანსვეტაშვილი — მოგონებანი.
18. ალიო მაშაშვილი — „ენგური“ (პოემა); ლექსები.
19. პაოლო იაშვილი — ლექსები

20. სერგო კლდიაშვილი — 1. „ქალი ხაბარდიანი“ (მოთხრობა)
 2. რომანი (თანამედროვე ინტელიგენციის და ახალგაზრდათა ცხოვრების შესახებ).
21. სანდრო ეული — ლექსები.
22. პოლიკარპე კაკაბაძე — „ბახტრიონი“ (პიესა)
23. გალაქტიონ ტაბიძე — ლექსები
24. ტიცოან ტაბიძე — ლექსები. ნარკვევები. წერილები.
25. ლეო ქიაჩელი — 1. „მერცია“ (რომანი თანამედროვე საკოლმეურნეო ცხოვრებიდან)
 2. „ლევან დაღია“ (ნოველა)
 3. ისტორიული მოთხრობა.
26. ს. ფაშალიშვილი — ლექსები და ნარკვევები.
27. სიმონ ჩიქოვანი — 1. „თქმულება ამირანზე“ (პოემა, მეორე ნაწილი)
 2. ლექსები.
28. პანტ. ჩხიკვაძე — 1. „მურზაყან და დეშქელიანი. 2. ნოველები.
29. დენა შენგელაია — „ფოლადი“ (რომანი), „ოქროს ვერძი“ (ციკლი მოთხრობისა კოლხიდაზე).
30. ვარლამ რუხაძე — 1. „ბაზისარაის შადრევანი“ (თარგმ. პუშკინიდან)
 2. ლექსები.
31. აღ. ქუთათელი — 1. „გაიანე“ (მოთხრობა), 2. კუბო (ნოველა),
 3. „იოველ“ (პოემა), 4. ლექსები.
32. შიხ. ჯავახიშვილი — „აზნაურის სიკვდილი“
33. გრიგოლ ცეცხლაძე — „გამსვლელი პაიკი“ — (პოემა) და სხვ.
- გარდა ამ ავტორებისა 1935 წ. განმავლობაში ჟურნალ „მნათობში“ მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საბჭოთა მწერლობის, მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო ძალები.
- ჟურნალში მოთავსებული იქნება თარგმანები დასავლეთის და საბჭოთა კავშირის მოძვე რესპუბლიკების ლიტერატურის ნიმუშებისა.
- ჟურნალში დაიბეჭდება აგრეთვე საუკეთესო ნიმუშები ახალგაზრდა დამწერებ მწერლებისა, კრიტიკოსების და ლიტერატურის დარგში მომუშავე მეცნიერებისა.
- ჟურნალი 1935 წლის განმავლობაში გამოვა თორმეტი ნომერი თორმეტ წიგნად, ნაცვლად ცხრა წიგნისა.

